

# რამაზ ნამიჭეიშვილი

არაადამიანური ეკონომიკის განზომილებანი და  
მისი გაადამიანურების ენერგო იმპულსები



ქუთაისი

2019

რამაზ ნამიჭეიშვილი

არაადამიანური ეკონომიკის განზომილებანი და მისი გაადამიანურების  
ენერგო იმპულსები  
(გადამუშავებული და შევსებული მეორე გამოცემა)

ქუთაისი

2019

ნამიჭვიშვილი რ. არაადამიანური ეკონომიკის განზომილებანი და მისი გაადამიანურების ენერგო იმპულსები. ქუთაისი. 2019 – 153 გვ.

განხილულია ამჟამინდელი ქართული ეკონომიკის თორსირების პროცესები, როგორც უმცირესობათა პრივილეგიების რეალიზაცია, როცა იგი მოსახლეობის მომსახურების ბუნებრივი ფუნქციებიდან არაადამიანურ, ძალმომრეობის ინსტიტუტად იქცევა, და რომლის გამოხატულებაა ეკონომიკური აზროვნების დეგრადაცია, სიძულვილი, მონობის რეინკარნაცია, სიხარბე, ეკონომიკური სიბეცე. წარმოჩენილია ეკონომიკის გაადამიანურების ისეთი ენერგომუხტები, როგორცაა ეკონომიკის მოწყობის ზნეობრივი პასუხისმგებლობა (ღვთიური სიყვარული), მართლმადიდებლურ ეკლესიასა და ხელისუფლებას, როგორც ერთიანობას შორის მმართველობითი ფუნქციების დანაწილების პირობითობა და თანამშრომლობის აუცილებლობა; საზოგადოებრივი ცნობიერების განახლება სამშობლოს კეთილდღეობის გაუმჯობესების ნაციონალური ინტერესებიდან გამომდინარე.

წიგნი განკუთვნილია მაგისტრებისა და დოქტორანტებისათვის, აგრეთვე ახალი ეკონომიკის პრობლემებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რალაც მოვიფიქროთ-ვამბობთ, ამაში ალბათ, იდეის მოფიქრება იგულისხმება. ჰო, ასე უნდა იყოს.

თხუთმეტი წელიწადი თვალსა და ხელს შუა გაილია. შენ ისევ აქ ხარ. გუშინ გაგვახსენე თავი შენი სიკეთით- ჩვენი აქაური ცხოვრების სულიერ ნაწილად დარჩენილმა. შენი სეხნია უცნობი შვილიშვილი შენს ნატვრას ასრულებს-აღდგომას შენი მაქაური სახლის მწვანე ხალიჩაზე წითელ კვერცხებს აგორებს და..."შვილიშვილები რომ გულზე გადავირბენენ, იმას რა სჯობიაო".

რუსუდან, შენი მარადიული ცხოვრების 15 წლისთავს ვუძღვნი ამ წიგნს.



## სარჩევი

შესავალი .....	5
ეკონომიკური აზროვნების დეგენერაცია ანუ განათლების ტრეფიკინგი.....	16
ღორობის ეკონომიკა .....	23
მონობის ეკონომიკა.....	30
სიძულვილის ეკონომიკის ქართული განშტოება.....	40
სიყვარულის ეკონომიკისაკენ .....	48
საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის წინა პირობები .....	55
საქართველოს ეკონომიკა პერსპექტივების სტარტზე.....	61
ეკლესია და სახელმწიფო .....	67
სახელმწიფო ეკლესიის სტატუსი მდგომარეობს შემდეგში: .....	68
საქართველოს ეკონომიკის ლანდები .....	98
დასკვნა.....	128
გამოყენებული ლიტერატურა.....	153

## შესავალი

დიდი ტყუილის ეპოქაში ვცხოვრობთ: ზოგი ეკონომიკის უსაფრთხო განვითარების თეორიებს გვინერს, ზოგს სოციალური ორიენტაციის ეკონომიკით უნდა მოგვხიბლოს, ზოგს ადამიანზე ზრუნვის ეკონომიკის სატყუარა შემოქმედს და ა.შ. სად არის, რაში მდგომარეობს ადამიანური ეკონომიკის რეალური სიკეთეები? მიღმური სამყაროს იქეთ არის, ხოლო აქეთ პირიქით არის, დედამიწაზე ამდენი ღარიბი და ამ სიგრძე რიგის პროლეტარიატი არასდროს ყოფილა. რაკი ეს ყველასათვის საცნაურია, დავანებოთ თავი ამ პრობლემის მსოფლიო მასშტაბებს და ჩვენს სამშობლოს მივუბრუნდეთ, და ვნახოთ როგორ „ადამიანურებენ“ მის ეკონომიკას აგერ 30 წელიწადია ქვეყნის ხელისუფლების სათავეში შემძვრალი ეპიგონები.

ისტორიული ფუძიდან აჰყარეს და ებრაელებივით დააბნიეს მსოფლიოში აქამდე ადგილის დედას მიჯაჭვული ქართველები და შინაყმებად და ხელზე მოსამსახურებდად უფეშქაშეს უცხოეთის მაძღარ და ნახევრადმაძღარ ოჯახებს. თუკი რაიმე თვალში მოვუვიდათ და ქონებად ეჩვენათ, წაგლიჯეს პატრონებს, ენის ამოღება ვინც გაბედა, ციხეებში გამოკეტეს სამუდამოდ, ზოგს კიდევ წამებით ამოჰხადეს სული ან ინვალიდებად აქციეს. ნახევარ მილიონამდე ადამიანი უმუშევარია, 700 ათასზე მეტ პენსიონერს 200 ლარის პენსიას ამაღლიან-ადრინდელ 14 ლარზე 14-ჯერ მეტიაო. არავის ადარდებს ის, რომ მოსახლეობის რაოდენობა 1940 წლის მაჩვენებელს გაუტოლდა. დაცარელდა სოფლები, დაჩაჩანაკდა ქალაქები. იმიგრაციის ტემპები არ მცირდება, პირიქით, იზრდება და უარესი გვემართება-უცხოელები გვეძალებიან და მიტოვებულ სახლებს იკავებენ. შენს მიწაზე რომ უცხოელი დაქირავებულ მუშად გაგიხდის, ამას უბედურებაზე მეტი ჰქვია. რამ დასცა ქვეყანაო-იკითხა ერთ დროს დიდმა ნიკო ნიკოლაძემ და თვითონვე უპასუხა-ქართველთა შინაშლილობამო. ახლა ყველა თავს ვიტყუებთ და ჩვენ უბედურ ყოფას ხან რუსეთს, ხან აშშ ვაბრალოთ და სულ არ ვფიქრობთ იმაზე, რომ ყველაფერი ჩვენი უღმერთობისა და უჭკუობის ბრალია. ჩემო სამშობლო, შენგან გაზრდილი ამდენი მტრად და დამაქცევრად თუ მოგიბრუნდებოდა, არ მეგონა.

რა ტვინში დაიბადა აზრი, რომ საქართველომ დაშალა სსრ კავშირი და დამოუკიდებლობა მოიპოვა. მაშინ ჩვენდა სამარცხვინოდ, მეწინავე დროშად გამოგვიყენეს, რომლის ტარი ვისაც ხელში ეჭირა და გვიფრიალებდა, ახლაც გვიკიჟინებს: ნატოში, ევროკავშირში შედით, რუსეთს არ გაეკაროთ, აშენდებითო. კაი ხანია იყო ხალხი ამას ფეხსაყოლილი და იმის ლოდინსაც მიეჩვია, რომ ზერო ზარს ჩამოკრავს და გვირაბის ბოლოდან სინათლე შემოვა და ჰოდა, მაშინ გვეშველება. ერთია, როცა ხელისუფლება ხალხის ეკონომიკური ცხოვრების გაუმჯობესებისთვის მართლა იბრძვის, მაგრამ გამოსავალს ვერ პოულობს, მეორეა, როცა იგი არაფრის გამკეთებელია და თვალყური დასავლეთზე აქვს მიპყრობილი და რასაც ეტყვიან იმას აკეთებს. მესამეა შემთხვევა, როცა ხელისუფლება თავის მდგომარეობას პირადი გამდიდრებისათვის იყენებს და ცდილობს ხალხი ათასგვარი სატყუარებით შეიქციოს. ვინც გასული საუკუნის ქართულ პრესას გადაშლის, ნახავს თუ როგორი იყო ხალხის ერთსულოვნება, რწმენა იმაში, რომ სსრკ დაშლის შემდეგ, საქართველო აყვავებული ქვეყანა შეიქმნებოდა. მთავარი საბჭოეთიდან გამოსვლა ითვლებოდა და ეგონათ სხვა

დანარჩენი იოლად გადანყდებოდა: ამერიკელები დაგვეხმარებოდნენ, ანდა ბოლოს და ბოლოს ბალახს შემჭამდით და ისე გავიტანდით თავს.

დღემდე რჩება საზოგადოებაში თავისუფლების პრიმიტიული გაგება. მაგალითად, პატიმრის ციხიდან გამოსვლა სასჯელის მოხდის შემდეგ-თავისუფლებად მიაჩნიათ. სინამდვილეში ხომ აქ უფლებისა და თავისუფლების გაგება ერთმანეთშია არეული. პატიმრობაში მყოფი ადამიანი ზოგჯერ იმაზე მეტი თავისუფალია, ვიდრე სასჯელმოხდილი პირი, ვინაიდან მან იცის, როგორ დააღწიოს თავი სასჯელს და როგორ უნდა იმოქმედოს მომავალში. თავისუფლებას, როგორც მოვლენას დიდი ფილოსოფოსის აზრით, ზომა გააჩნია, რომელსაც განსაზღვრავს ცოდნის მასშტაბები და ხარისხი, ანუ თავისუფლება კულტურის ფენომენია. საერო ცხოვრება ადამიანს მისი ცხოველქმედების უფლებების ნორმატივებს უწესებს, რომლითაც შეზღუდულია მისი თავისუფლება. ეს აიძულებს პიროვნებას (პიროვნება თავისუფლების რეზულტატია) დაძლიოს უფლებები ან მისი გაფართოების იძულებით (პიროვნებას შეუძლია აიძულოს ხელისუფლება შეცვალოს კანონები), ან ამ უფლებებზე ამაღლებით (პიროვნება პოულობს უფლებებში გასვლის გზებს). მკითხველს შევახსენებ, რომ ნებისმიერი კანონი საღვთო კანონებიდან უნდა გამომდინარეობდეს. თუმცა ეს უკვე სხვა საკითხია.

თუ ვაღიარებთ იმ აზრს, რომ სსრკ შემადგენლობაში საქართველო მორჩილი სუბიექტი იყო, მაშინ ვასაგები არის ისიც, რომ მას თავისუფლების ხარისხი აკლდა. ამიტომ ქვეყანა ვერ აღწევს დამოუკიდებლობას და ეს ასეა დღემდე. ფორმალური დამოუკიდებლობა რეალურ დამოუკიდებლობაშია არეული. არ უნდა გვიკვირდეს ის, რომ დასავლელი გადამთიელები გვკარნახობენ ქვეყნის მართვას წვრილმანი საკითხების ჩათვლით. მაგალითად, პატიმრების ციხეებიდან გათავისუფლება. სოციალურ ლიტერატურაში საერთოდ და კერძოდ ეკონომიკურ პუბლიკაციებში ღიად მითითებულია იმის შესახებ, რომ ქვეყნების მართვა ხორციელდება მათივე მოქალაქეების მორჩილი უმცირესობის მეშვეობით, რომლებიც უცხოელებს წინასწარ შერჩეული ჰყავთ ისეთი ნიშნების მიხედვით, როგორიცაა არაპატრიოტულობა, არატრადიციულობა, ფულის სიყვარული, ემპათია, ტირანია, სადიზმი, გულგრილობა, პატივმოყვარეობა, უსირცხვილობა, უსინდისობა, უზნეობა, მონური მორჩილება პატრონისადმი და ა.შ. ამ ტიპისა და შეგნების ადამიანებს თავისი ხალხი და საერთოდ ხალხი, არ უყვართ, არც მისი ბედი აინტერესებთ. პირიქით, ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ხალხის მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდეს, ვინაიდან უკიდურესი გაჭირვება ხალხს ბრბოდ გადააქცევს, ხოლო ბრბო იოლად მართვადია.

ზემოთ შინააშლილობა ვახსენეთ, რაიც ქართველთა ისტორიული ავადმყოფობაა, რასაც ახლა უზნეობა და უცოდინარობა მიემატა. უცოდინარებს, ფსევდოგანათლებულებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დასავლეთში ამზადებენ და იმ ქვეყნებში აგზავნიან, რომლებიც მათი ინტერესების სფეროში შედის. საქართველო რომ რუსეთისა და აშშ საჭილდაო ქვა არის, ყველასთვის ცხადია. რუსეთის რა ვთქვა, მაგრამ აშშ საქართველოში თავისი მორჩილი ხელისუფლება ჰყავს, რომელთა შორის პრაქტიკულად ძნელია ზნეობრივი მაღალპროფესული კადრების შემჩნევა. მათი განათლება ინგლისური ენისა და კომპიუტერის მოხმარების ცოდნაში გამოიხატება. თავს შესანიშნავად გრძნობენ: ქვეყნის საქმეები მათ არ მოეკითხებათ, ხალხის ხარჯზე

კი ფუფუნებაში არიან. მთელ თავიანთ ღვაწლს ქვეყნის წინაშე იმით გამოხატავენ, რომ წინა ხელისუფლების მსგავსად ხალხს არ ატერორებენ და ციხეებში ეშელონებად არ აგზავნიან. როგორც ჩანს თავიანთი დასავლელი პატრონებისაგან ახალი დარიგება მიიღეს-გაუზარდონ ისედაც გაჭირვებულ მოსახლეობას გადასახადები და ეს აცნობონ ახალი წლის წინა დღეებში. ამას ეკონომიკური სიკვდილი ჰქვია და მოსახლეობის იძულება იქნება მიატოვოს ქვეყანა და უცხოეთში გადაიხვეწოს ლუკმა-პურის საშოვნელად. თვითონ არაფერზე ამბობენ უარს: მაღალი ხელფასები, დანამატები, შეღავათები, წილებში ჩაჯდომა, სხვადასხვა ობიექტების ხელში ჩაგდება ჩალის თასად ან საერთოდ უფასოდ. გამოისროლეს „თეორია“- ხელისუფალს მაღალი ხელფასი უნდა ჰქონდეს, რომ ხელი არაფერზე წაუცდესო. რაც ამათ ხელფასები მიითვისეს, იმისი ფასი რა გაუკეთეს ქვეყანასა და ხალხს. იმათ სულ არ აინტერესებთ, წაუცდება თუ არა მშვიდ ხელი რაიმეზე თავისი ნების საწინააღმდეგოდ. საშინელი შედეგი მივიღეთ- მაღალხელფასიან და გაქსუებულ ხელისუფალთ საერთოდ არ ესმით ხალხის გაჭირვება.

ვაკვირდები ეკონომისტ ექსპერტების სატელევიზიო გამოსვლებს და ვკითხულობ იმათ საგაზეთო და საჟურნალო პუბლიკაციებს. ამკარაა, ძალიან ჩამოვრჩენილვართ. ბევრს ამერიკული ეკონომიკის სახელმძღვანელოებიდან დაუბეჭირებიათ და გვიყვებიან, რომ ბაზარი ეკონომიკას დაარეგულირებს, ფასები თავისუფალი უნდა იყოს, აუცილებელია სახელმწიფოებრივი საკუთრების ობიექტების პრივატიზება და ხალხი უკეთესად იცხოვრებს. განა ამდენი სახელმწიფო ობიექტის განკერძოებამ ხალხს კეთილდღეობა მოუტანა? როგორ: პური, ბენზინი, ელექტროენერჯია გაიაფდა მას შემდეგ, რაც კერძო წარმოება გახდა? იქნებ უმაღლესი განათლება ასცდა იმ სიმაღლეს, რაც იმ საუკუნის 80-იან წლებში ჰქონდა? ჩვენ არა მარტო ჩამოვრჩით გასული საუკუნის 80-იანი წლების დონეს, უარესი უარესი ხდება- უფრო მეტად ვზორდებით მას და ძნელი წარმოსადგენია მიუახლოვდებით თუ არა იმ სიმაღლეს ოდესმე, მითუმეტეს, რომ ნამდვილი ეკონომიკა იდეოლოგიისაგან ვერ გაგვირჩევია. არანაირი ცოდნა არ არის ის, რომ ბაზარი ეკონომიკის მთავარი რეგულატორია და იგი თვითონ აწესრიგებს რესურსების განაწილებას. ჯერ ერთი, ცხადია ის, რომ წმინდა საბაზრო ეკონომიკის ქვეყნები არ არსებობენ, მეორე, განა ბაზარი რესურსების ეფექტიანი განაწილების მექანიზმია? საქართველოს შრომითი ბაზარი მარეგულირებელი მექანიზმია? იქნებ ვინმეს ბაზარი თავისუფალი ჰგონია? ბაზარს იშვიათად ხილული პატრონი ჰყავს, ხოლო უფრო ხშირად ფარული, „უხილავი ხელი“ მართავს. მაგალითად, აშშ როკფელერები განაგებენ „შავი ოქროს“ წარმოებას, მანქანათმშენებლობასა და ელექტროტექნიკას, საფინანსო-კრედიტულ და სადაზღვევო კომპანიებს. ძმები როკფელერები აკონტროლებენ 50 უმსხვილესი ამერიკული კომერციული ბანკების აქტივების 25%, ასევე 50 უმსხვილესი სადაზღვევი კომპანიების 30%. არსებობს მათი სახელობის ფილანტროპული ფონდი, სამედიცინო კვლევების როკფელერის ინსტიტუტი, განათლების საერთო საბჭო, როკფელერის უნივერსიტეტი და ჩიკაგოს უნივერსიტეტი, რომელიც დიდი რაოდენობის ეკონომისტ-ლიბერალებს ამზადებს საერთაშორისო კაპიტალის აპოლოგეტებად<sup>1</sup>. არსებობს ვარაუდები, რომ როკფელერების ქონება გაცილებით დიდია, მაგრამ ამის შესახებ, როგორც წესი, ოფიციალურად არ საუბრობენ, რაც ისედაც არახელსაყრელია მისთვის, ვისაც იგი

<sup>1</sup> Активы дома Рокфеллеров. smart-lab.ru/blog/116870.php.



ანტერესებს. არც ბარუხების, როტშილდების ქონებაზე არსებობს ზუსტი მონაცემები. არც ის იყის ვინმემ, რა ცვლილებებს გამოიწვევენ ისინი მსოფლიოში და არა მხოლოდ ეკონომიკაში. გამოდის, რომ ბაზრებს არა მარტო პატრონი ჰყავს, არამედ კონსტრუქტორებიც, რომლებიც ახალ ბაზრებს ქმნიან. ჩანს, რასაც ბაზრის თავისუფლება ჰქვია, შენი ხელმისაწვდომობა არ არის. ქათმის ხორცის მწარმოებლებთან საუბარში გაირკვა, რომ საქართველოს ქათმის ხორცზე დაკმაყოფილების საკუთარი რეზერვები აქვს და თუ ადგილობრივ ბაზარს სახელმწიფო დაიცავს, სამუშაო ადგილებიც გაიზრდება და ხორცის ფასიც დაიკლებს. შეთანხმებას ვერ მიაღწიეს ზემდგომ ემელონებთან, ვინაღან ისინი „იმპორტულ“ მენარმეებთან გარიგებაში არიან. დელიკატური პასუხით გამოისტუმრეს: თქვენი ბიზნესი თვითონ დაიცავითო. ამან ბავშვობაში გაგონილი ანეკდოტი გამახსენა. ებრაელებს „ლევი“ საქონლით ვაჭრობას უშლიდნენ. შეიკრიბნენ ვაჭრები, აკრიფეს ფული, გაატანეს ერთს მოსკოვში საქმის ჩასაწყობად. ჩავიდა შუამავალი მოსკოვში გაიარ-გამოიარა, აბა, კრემლში ვინ შეუშვებდა. დაბრუნდა უკან და მოახსენა ვაჭრებს: ცკ-დან დამაბარეს ჩუმ-ჩუმად ივაჭრეთო. ასეა დღესაც. მცირე ბაზრები დიდი ბაზრების მეპატრონეების ზედამხედველობის გარეშე ვაჭრობენ, მანამ ვიდრე მათი ინტერესების კონფლიქტი არ მოხვდება. გაბედავს ახლა ვინმე საქართველოში ბენზინის თავისი სურვილით შემოტანას? ან წამლების იმპორტს?

არ გვეყო 30 წელიწადი, რომ დამოუკიდებელი ქვეყანა გავმხდარიყავით. თვითონ მაძრებს ეს ტანჯული ქვეყანა თავისუფალი და დამოუკიდებელი ჰკონიათ. თავი ისე მოაქვთ, თითქოს ნახევარი მოსახლეობის შიმშილი ცივი კლიმატის შემოტევაა და ხვალ თუ არა ზევ, თავისით გადაივლის. თავშეკავებას არ შეუძლიათ და ტელეეთერიდან იმოძღვრებიან-ვინც ეძებს, პოულობსო. ამიტომ ვართ ჩვენ ხელისუფლებაში, ვეძებთ და მოვიპოვეთო. რას ვერჩით! მაგათთვის ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა დროშა და ჰიმნი ყოფილა, ევროვიზები და ვალუტაზე ლარის გადაცვლის ხელმისაწვდომობა. ამ სამშობლოში რომ შიდა ბაზარი დაცული იყოს იმპორტული პროდუქტების ინტერვენციისაგან, რამდენი ახალი სამუშაო ადგილი გვექნებოდა, რამდენი ოჯახი გადარჩებოდა უცხოეთში გადავარდნას, მთლიანი შიდა პროდუქტიც ხომ გაიზრდებოდა, რამდენი ტრადიციული წარმოება აღდგებოდა, რამდენი ადამიანი მიბაძავდა წარმატებულ მენარმეს. ახლა ქვეყანა უმეტესად სპეკულაციური საქმიანობით არის დაკავებული. ამით არა მხოლოდ ფულის მასას ვკარგავთ, არამედ მენარმეობრივი აზროვნების დეგრადაციასაც ვწვევით. კრეატივი ენაზე აკერიათ და ის კი არ იციან, რომ ასეთ შემოქმედებას მაღალი განათლება იძლევა. საფუძვლიან განათლებაზე არ ვფიქრობთ. სტუდენტს დიპლომის აღება ერქარება და იმისი იმედი აქვს, რომ ვინმე ნაცნობი გამოუჩნდება ან რომელიმე პარტიაში გაერთიანდება და სამსახურს იშოვნის. სამსახურს რა ცოდნა სჭირდება! ერთთვისანი ტრენინგი ამისთვის საკმარისია, სადაც დაიბეჭირებს იმას, რომ ეკონომიკის წარმატება მის ლიბერალიზაციაშია. ლიბერალიზაცია, ლინდონ რაუმის აზრით, არის საექსპორტო „პროდუქტი“ მონოპოლიების ბატონობის გასამტკიცებლად. „გაიმეორეთ გებელსური სტილით, რომ ეკონომიკის ბაზისია „ბაზარზე კონკურენციის თავისუფლება“, რომ ეკონომიკა ემორჩილება „მოთხოვნა და მიწოდების“ მითიურ წესს ან პოპულარიზებული ტყუილი, თითქოს აშშ კონსტიტუცია დაფუძნებულია ჯ. ლოკის

პრინციპებზე ან ახალგაზრდა ამერიკული ეკონომიკა ადამ სმიტის იდეებზე აღმოცენდა, და „გარედან მართვადი“ ამერიკელი ტიპი თქვენგან გადაიღებს ამ რიტუალურ სისულელეს, როგორც ერთერთს უმაღლესი ჭეშმარიტებიდან<sup>2</sup>. ლარუში ამ წიგნში იმასაც წერს, რომ ლიბერალურ ეკონომიკას არაფრად აინტერესებს ეროვნება, ტრადიცია, ოჯახი, ტრადიციული სახელმწიფო, ვინაიდან ლიბერალურ ეკონომიკას თავისი ღმერთი-ლუციფერი ჰყავს და მხოლოდ იმას ემორჩილება. რას მივანეროთ ის, რომ ქართველი ლიბერალები თავიანთ ხელისუფლებასთან ერთად მართლმადიდებლურ მონასტრებსა და ეკლესიებში წირვა-ლოცვისას ხელში ანთებული სანთლებით დგანან (!). მორწმუნე თავის ეკლესიაში რომ მიდის, გასაგებია, მაგრამ ლუციფერის მორწმუნეს ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში რა ესაქმება. უნახავს ვინმეს როკფელერი ან როტშილდი მართლმადიდებლურ ეკლესიაში პირჯვარს იწერდეს? ამას მე აზროვნების ტრეფიკინგი ვუნოდე. ხარბი ვილაყამ გააბრიყვა, ფულით თავისად მიიმატა და ბუდარიხად აქცია, უხარია კიდევ, მაგრამ საზოგადოების ეშინია და თვალთმაქცობს, მართლმადიდებლური რწმენა რომ არა აქვს, ეს ცხადია. იმის მიხვედრაც არ შეუძლიათ ამ ურჯულოებს, რომ სათამაშო ფიგურებად იყენებენ იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომელსაც წესით სამშობლოს უნდა ეძახდნენ, მაგრამ რა ჰქნას უბედურმა-ქვეყანა რომ სამშობლოდ გქონდეს, მაშინ მას უნდა ემსახურებოდე, სამშობლოს სამსახური კი რწმენის გარეშე შეუძლებელია. ამიტომ პირიქით არჩევანს აკეთებს-სამშობლოს ქვეყანა ურჩევნია და ისიც თავისი სამსახურისთვის.

მსოფლიო საიდუმლო ორგანიზაციები, რომლებიც წელთაღრიცხვით ქრისტიანობასთან შედარებით ჩვილი ასაკის ბავშვები არიან, მსოფლიო ძალაუფლებას ფლობენ, ვინაიდან თუ ჩვენ ღმერთთან მიმართებაში მორწმუნე და არა მორწმუნეთა ნარევი ვართ, ისინი ლუციფერის მიმართ ერთსახოვანი არიან. თუ ჩვენ ერთმანეთს ვხოცავთ, ისინი ერთმანეთს ეხმარებიან, თუ ჩვენი ხელისუფლება ნათესავების ნაკრებია, იმათი ხელისუფლება გენიოსების, ტალანტების, უთვალსაჩინოესი სპეციალისტების გუნდია. მის მფლობელობაშია არა მარტო უდიდესი კომერციული ბანკები და საფინანსო-კრედიტული ინსტიტუტები, არამედ უნივერსიტეტები და კვლევითი ინსტიტუტები, რომლებიც ასევე უნიჭიერესი მეცნიერებით არის დაკომპლექტებული და სათანადოთაც უხდიან. ან. ფურსოვი ერთერთ ვიდეო ინტერვიუში ამბობს, რომ დაინტერესდა და დაურეკა ალ. ზინოვიევი და ჰკითხა, თუ როგორ აფასებდა იგი სწავლების დონეს აშშ უმაღლეს სასწავლებლებში. მცხოვანმა მეცნიერმა უპასუხა, რომ იქ საერთოდ სწავლების დონე ისეთია ან უფრო უარესიც კი, ვიდრე რუსეთში, მაგრამ სადაც უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე მუშაობენ, კვლევები და სწავლება უმაღლეს დონემდე აქვთ აყვანილი. ან. ფურსოვმა გაიხსენა, რომ მარტო სსრკ-ზე აშშ 1200 ინსტიტუტი მუშაობდა. საქართველოში მთავრობამ განათლებისა და მეცნიერების რეფორმები იმით დაიწყო, რომ კვლევითი ინსტიტუტები გააუქმა. ახლა რუსეთსა და აშშ მომუშავე ინსტიტუტები კი არა, მევენახეობის ინსტიტუტიც აღარ არსებობს. ქვეყანას ტვინები „გამოურევს“, უსამსახუროდ დატოვებს, ყურადღების ღირსადაც არ მიიჩნევენ. სამაგიეროდ ისეთი „პროფესურა“ გამოჩვენებს, რომელთაც ლიბერალური ეკონომიკა, ბაზარი და თავისუფალი კონკურენცია მწვავე კრიზისის

<sup>2</sup> Линдон Рауш. Физическая экономика. с. 31.

მარეგულირებელი მექანიზმები ჰგონიათ. ხალხი კიდევ იმდენად უმეცარი ყოფილა, რომ 200 ლარით როგორ იცხოვროს, ის ვერ გაუგია! ამ ღვთისაგან ნაჩუქარ მიწას, რომელსაც ასეული საუკუნის თაობათა ქართველი გამრჯე კაცის ხელი ატყვია, ერთმანეთს ხელიდან გლეჯენ და როცა შენ-ჩემობია არ გამოდის, ძმურად იყოფენ...ამ შესავალს, ახლა რომ ვწერ, კოლეჯში ვარ, 7იანვარია, შობა დღე, 2016 წ. სახლში ვერ მოვისვენე. სადაა ის დრო და ვითარება მეზობელი რომ კარებს „გიმტვრევდა“, გილოცავდა და ისეთნაირად გეპატიუებოდა თავისას, რომ უარის თქმას ვერ შეგედავდი, შენ კიდევ იმისთვის დასწრება გინდოდა. ჰოდა იყო განევა და გამოწევა. ოჯახმა წუხელ საღამო ტელევიზორთან გავატარეთ. ახლო მეზობლები თურქეთში არიან გადავარდნილები. სხვებთან რომ მივსულიყავი, უხერხულში ჩავარდებოდნენ-ჯერ თვითონ ხომ უნდა მივეწვიე, დამელოცა იჯახი. არც ჩემთან მოსულა ვინმე-მერე მეც ხომ უნდა მივეწვიე. დილით ეზოშიც სულიერი კაცთაგანი არავინ მინახავს გამოსული. მაღლივ აკლდამებად მეჩვენა საცხოვრებელი კორპუსები, ხოლო დასახლება-სასათლაოდ, სადაც ჩიტები გალობასაც კი ფრიდებიან...აქ მარტო ვარ და მტკივა და მანუხებს სამშობლო ჩემი. მკვდარი ქუთაისი გახსოვთ? არც ახალ წელს ჰქონია ძველებური ხიბლი. ასათფეთქებლებით კი ჭრელდებოდა ცა, ვილაცები გულს არ იტყებდნენ, მაგრამ მიწვევა-გადაწვევა არ ყოფილა არც იმ დღეს. არც ველოდი, ვინაღან ახალი წლის წინა დღეებში ბაზრებზე ვიყავი და იქაც სასათლაოს სიჩუმე იდგა. აღარ იყო ის ძველი ქუთაისური მხიარულება, მოკითხვა, მილოცვა, ხვევნა-კოცნა, შეთანხმება საახალწლო მიწვევაზე, მაშინ ბაზარი ნაცნობების შეკრების ადგილი გეგონებოდა...გარე თვალით ვაკვირდებოდი ყველაფერს. ნეკრასოვის „ფიქრები საპარადო მისასვლელთან“ გამახსენდა. არავის სურდა, ვინმეს შეემჩნია, თეთრებს ითვლიდნენ, იათიანს ეძებდნენ ყველაფერს, გამყიდველებიც იყვნენ ნირნამხდარი, მუშტარი პირშეკრულივით ყველგან ფასის დაკლებას ითხოვდა. საქონელს, ადგილობრივსა და უცხოურსაც, ცეცხლის ფასი ეკიდა. რა დროს საახალწლო ფასდაკლებებია, პირიქით, ახლა არის მოსწრება: ყველა იძულებულია რაღაც იყიდოს, აბა, ისე როგორ შეხვდება ახალ წელს. გამყიდველებს მაზანდა აწეული აქვთ-ამ დღისთვის დიდი ხანია ემზადებოდნენ, იმაზე კი არ უფიქრიათ, რომ იმავდროულად თვითონაც მყიდველებიც არიან. ერთმანეთი დაძარაცვენ. სამაგიროდ რესტორნები ყოფილა გადაჭედილი ქვეყნისჭამია ხალხით, საქართველოს სადღერგძელოებში შემოათენდათ ამ მართლაც და ნაძირალებს.

მე ასეთ გაჭირვებას არ შევწრებივარ, დედაჩემი მეუბნებოდა მეორე მსოფლიო ომის დროს გვიჭირდაო, მაგრამ ყველას ერთნაირად უჭირდა მაშინ. ახლა მტაცებლებს, ქვეყნის დამაქცევლებს ულხინთ. მართალი კაცი, პედაგოგი, მეცნიერი, ხელოვანი, შემოქმედი ადამიანი ღმერთის იმედზეა. უარესია პენსიონერების ბედი. მათი დიდი ნაწილი დღიური 6,5 ლარის შემჩერეა. ზოგს თავიანთი გაჭირვებული შვილები ლუკმას უყოფენ, ზოგს საზღვარგარეთდან უგზავნიან სიმწრით და შეურაცხმყოფელი პრომისაგან მოპოვებულ გროშებს. გენიალურ იმანუელ კანტს აკვირვებდა მორალური კანონი მასში, ღმერთი არ სწამდა, მაგრამ ქრისტიანობა უდიდეს ნაბიჯად მიაჩნდა კაცობრიობის განვითარების გზაზე. მორალი და ზნეობა, როცა სასაცლოდ იქცევა, ადამიანი საშიშ მხეცზე უფრო უარესია. იმ შენობის ირგვლივ, რომელშიც ახლა ვარ, რამდენიმე ათეული სასურსათო მაღაზიაა, რომელიც ერთ პარლამენტარს ეკუთვნის,

მაგრამ გარეშე თვალის ასაქცევად სიდერის, ცოლისდის, ქალიშვილის, სიძებისა და შვილიშვილების სახელზეა გადაფორმებული. ამის ფილოსოფია ასეთია: ქვეყანა თუ ცხოვრების წესს შეიცვლის და პარლამენტარს ხახვივით გაგვცქვენინან, ნათესავები და მოყვრები „სუფთად“ დარჩებიან, როგორც პატიოსანი მყიდველები. რაკი სიძეები და ცოლსდები ოჯახის წევრებია არ არიან. იმას კი არავინ დაგიდევს, რომ ამ მაღაზიებსა და სავაჭრო ცენტრებს კი პატრონობენ პარლამენტიდან და სიძე-ქალიშვილს არათფერი აღარდებს, მაგრამ თუ ცხოვრება წაღმა მობრუნდა, იმათ ობიექტებს ისე ააორთქლებენ, რომ იმ ადგილზე ცოცხის მოსმაც არ დასჭირდებათ. ჩნდება მწვავე სახელმწიფოებრივი შიდა კლასობრივი წინააღმდეგობა-კაპიტალისტებსა და პროლეტარიატს შორის. ამ წინააღმდეგობის დაძლევის ვარიანტიც გაჩნდა-სხვა ქვეყნების მცირე მენარმეთა ინტერვენციის გაფართოება საქართველოში, რომლებიც ქართველ პროლეტარიატს ჩანაცვლებენ ანუ ისინი იმპორტულთან შედარებით უფრო იათ ქართულ პროდუქციას შექმნიან და ბაზრის ინგრედიენტები გახდებიან, ქართული მოსახლეობა სხვა ქვეყნების „შავ ბაზარს“ შეავსებს. იმათ თავში იმის აზრი არ მისდით, რომ უცხოური მენარმეობრივი საქმიანობის უკონტროლო გაფართოება საქართველოში ახლა ხელისუფლებაში მყოფ სპეკულიანტ საქმოსან პერსონებსაც მოკლე დროში პროლეტარიატად გადააქცევს. ამის ფაქტები ხილვადი მოვლენებია: საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა არ უმჯობესდება. ისინი არ მყავს მხედველობაში, რომელთაც მოსახლეობის სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა ენაზე აკერიათ, კარგად ესმით ის, რომ, რაც უფრო მეტი წავა ამ ქვეყნიდან და აქ ხელფასები გაეზრდება ხელისუფლათ, მით მეტი იქნება ეროვნული შემოსავლის ზრდა მოსახლეობის სულზე.

როცა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას იკვლევ, ერთი წახნაგით იგი ღორობად აღიქმება, ვინაიდან მძარცველ-წამგლეჯელებს იმდენი ქონება აქვთ მითვისებული, რომ რაში გამოიყენონ, არც კი იციან. ამას წინათ სატელევიზიო ეთერით გადმოსცემს, რომ ერთ მევახშეს 160 სახლი აქვს წართმეული მეანაბრებისათვის. რამდენი ასეთი მევახშე და წურბელაა საქართველოში. მინიმუმ 100 მევახშემ რომ 100 სახლი დაუთმოს უსახლკაროებს, უბინაოები აღარ იქნებიან, მაგრამ ეს ჩემი უხერო ფანტაზიაა, რომელიც მევახშეების ჰომერულ სიცილს ინვევს და კაჟაია ბულავასავით გაკვირებული მიყურებს: ჩემი ასი რა არის, ეგერ იმათ 1000 სახლი აქვს და ამ წლის ბოლოსათვის 3000 ექნებაო. აი, რატომ ეჯავრებოდათ და ახლაც ეჯავრებათ უდიდეს ინტელექტუალებს მევახშეობა. არამი ფული ამდაბლებს სულს და ზნედაცემული პირუტყვზე უფრო უარესი ხდება. ასეთი ადამიანის ამ მდგომარეობიდან ზნეობრივი ცხოვრებისადმი შემობრუნება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამას ახალი თაობა ან თაობათა რიგი თუ გადაფერთხავს, ცნობიერებიდან თუ ამოიღებს.

სხვა პროფილიდან ქართულ ეკონომიკა სიძულვილის ჭაობშია. სიძულვილი ორგვარია: ერთი, როცა მეორის დანახვა უსიამოვნო განწყობას ქმნის, ვინაიდან შენ ძალა არ შეგწევს უთხრა ის, რაც არის, მეორე, როცა სხვა ხელს გიშლის იმაში, რომ შენ ჭკუაზე ვერ იქცევი. სიძულვილი ჩვენს ცხოვრებას ყველაფერში ატყვია. გაშლი კომპიუტერს და ინყება სიძულვილის კორიანტელი. ისეთი ვინმეებსაც ვაძაგებთ, რომელთანაც არანაირი პირადი შეხება არა გვაქვს. ეს უკვე ავადმყოფობად იქცა ჩვენში, ვინაიდან ადამიანი უუფლებობას ყველა ფეხის ნაბიჯზე აწყდება: რაიმე საქმე

რომ წამოიწყოს, ფული უნდა ჰქონდეს. ფული რომ ისესხოს, ბანკში ქონება უნდა ჩადოს მესამედ თუ მეოთხე ფასად. იმ საქმეზე თუ ხელი მოგეცარა, ქუჩაში დარჩები. არადა, ვინც ხელისუფლებაშია, იმისთვის ყველაფერი ხელგახსნილია. მათი უმრავლესობა მტაცებელი ცხოველი იყო და ახლა ქვეყნის ჩინოვნიკის ფარაჯა აცვია. იმათაც სძულთ ქვეყნის მოსახლეობის უკმაყოფილი უმრავლესობა, ვინაიდან თუ შესაბამისი შემთხვევა გაუჩნდებათ, ხელისუფლებიდან დაიფრენენ და სიცოცხლე პრობლემად ექცევათ. სიძულვილი ღორობაზე უარესია იმით, რომ სიძულვილს სისხლით იბანენ. სსრკ 30-იანი წლების სისხლიან პერიოდს ბოლშევიკები მათ მონინაალმდეგეებს აბრალიან, არადა თვითონ სისხლიანი ხელებით მოვიდნენ ქვეყნის სათავეში და სისხლისღვრას ისევ აგრძელებდნენ. გვიან მიუხვდნენ და აზღვევინეს. ცნობილია ბუხარინის ჩანაწერი თავის ყოფილ თანაგუნდელებზე: что расстреляли собак-страшно рад (ეს ძალღები რომ ჩახოცეს, უზომოდ მიხარია), რომელსაც მერე იმათი ბედი არგუნეს.

მონობის ბევრნაირი სახე არსებობს, მაგრამ ფულის მონობა ყველაზე უკიდურესი ფორმაა. ღღეს მას ტოტალური გავრცელება აქვს და ყველაფერში ვლინდება. მოსახლეობა ფინანსური იმპერიის ვალებშია გამომწყვდეული. ფინანსური იმპერიის მესვეურებს თავიანთი ვასალი მილიარდ/მილიონერები ჰყავს, რომლებიც მოსახლეობის ძირითად ფენებზე ბატონობენ. მათ არა აქვთ სამშობლოსადმი, ხალხისადმი პასუხისმგებლობისა და მომსახურების გრძობა, ვინაიდან ეს ფინანსური იმპერიის ინტერესებში არ შედის. ამიტომ ადგილობრივი, ეროვნული წარმომავლობის მილიარდ/მილიონერები ფულის მონები არიან და მხოლოდ თავიანთ გამდიდრებაზე ფიქრობენ. მონობა დიდხანს მოჰყვებოდა კაცობრიობის ისტორიას, რასაც საზოგადოების განვითარების დონე განაპირობებდა. მონები არ ურიგდებოდნენ თავიანთ ყოფას და ბევრჯერ მოუწყვეს სისხლიანი კალო მათ მეპატრონეებს. ვასალი ფინანსური მონები მშვიდად არიან; რომელი ფულიანი „ახალი ქართველი“ შეწუხებულა ხალხისა და ქვეყნის ბედით. პირიქითაა, ქვეყანას სიმდიდრეები გაუყიდეს, ღმერთის ბოძებული მიწიდანაც კი აჰყარეს თავიანთი სისხლი და ხორცი სხვა ქვეყნების მოსამსახურეებად. სიტყვაც კი არ წამოსცდებათ, რომ ის ადამიანები თავიანთ სახლებში უნდა დაბრუნდნენ. ქართველ კაცს სხვაგან არ ეცხოვრებოდა, იშვიათი გამონაკლისების გარდა. რაც უფრო მაღალია ფულისადმი მონობა, მით უფრო მეტია წარმატების შანსი თანამედროვე ცხოვრებაში. ამიტომ ხდებიან ტრადიციების მაგინებელნი, ზნეობრივი გარყვნილების ადამიანები ცნობადი სახეები, პოეტები, მწერლები, პროფესორები. რამდენიმე კაცის პრინციპული ბრძოლა საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ ლიბერასტებს და მათ მომხრეებს ხელისუფლებაში არ შეეღწიათ, უმაღლესი სასწავლებლების რიცხვი ასე ერთი ხელის მოსმით არ გაზრდილიყო, კათედრებზე ამდენი უნიჭო და გაუნათლებელი არ შემდგარიყო. ახლა ისინი ბევრნი არიან. ყოველდღე ივსება თარო ნაჯღაბნი წიგნებისაგან, რომელიც სამეცნიერო შრომებად ეთვლება მათ ავტორებს. სულ რამდენიმე წელიწადი და ქალაქით აღიარებული პროფესორები ნამდვილ პროფესურას დაიფრენენ და წავა შტამპების კარუსელი. ფსევდო ცოდნა დაეუფლება მასებს, აი, მაშინ ვერაფერი გვიშველის. მონური აზროვნება ქვეყნის კატასტროფის პირობაა. ეს უკვე აშკარად ემჩნევა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას. საკმარისია ვინმემ სოციალისტური ეკონომიკის პერიოდი გაიხსენოს, რუსეთი დადებით კონტექსტში გამოხატოს, რომ ატყდება ქვეყნის სროლა,

ჩამორჩენილობის იარლიყების მიწებება, ქვეყნის მოლაღატეობის დაწამება. იმათ, რომ ჰკითხო თავისუფლების მებაირახტრები არიან, ადამიანის უფლებების დაცვის ფერხულში დგანან. საუბარზე იოლად ემჩნევა, რომ მათ არც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაეგება რაიმე და არც ის იცის, რა არის თავისუფლება. ერთი რამ კარგად იცის-ისე უნდა თქვას, როგორც ასწავლეს. ამაზე არის დამოკიდებული მისი კარიერა და მატერიალური კეთილდღეობა.

30 წელიწადია ხელისუფლება ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირის, რომ ჩვენი მომავალი დასავლეთზე არის დამოკიდებული. შევალთ ნატოში, ვიქნებით ევროსაბჭოს წევრი და მერე ყველაფერი მისით მოგვარდება. რაკი შეძახილი ხეს ახმობს, ამ ავადმყოფურმა მჩხიბავობამ ქართველი კაცი სხვის მოიმედედ აქცია და თავი ევროპას მისცა-ქვეყნიდან აიყარა (მკითხველი მიხვდება, რომ ევროპაში ბევრი გაჭირვების გამო კი არა, გამდიდრების სურვილით გაიქცა) და ახლა მშობლიურ კერიაზე დაბრუნება უჭირს, აკი იცის ის, რაც აქეთ დატოვა გადადგურებული თუ არა, განახევრებული მაინც იქნება. საზოგადოებას ეიფორიის ნისლები თვალწინ უქრება და არ ფარავს, რომ უკვე სძაგს დასავლეთი, რომელიც მას თავისი ცხოვრების სტანდარტებს ახვევს თავს და გადაგვარებით ემუქრება. ფილოსოფიურ და ეკონომიკურ ლიტერატურაში მიღებულია, რომ სახელმწიფოებრივ ურთიერთობებში რელიგიური აღმსარებლობა მათორმირებელი კლასტერია. ქრისტიანულმა დასავლეთმა კაი ხანია დაკარგა ღმერთი, რაც საქართველოსთან მიმართებაში სრული შეუსაბამობაა. ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ახლა ძლიერია, ვიდრე ადრე იყო. ქართველის მოთმინება დაჭიმული მშვილდია, რომელიც ერთნაირსქესიანთა ქორწინებისა და ჰომოსექსუალისტთა ე.წ. უფლებების საპარლამენტის გადანყვეტილების შემთხვევაში დამიზნებულ ობიექტს ისრებს დააყრის. მონურმა აზროვნებამ შეუძლებელია არ იცოდეს, რომ ევროკავშირის წევრობის შემთხვევაში სამშობლოს არაბი და აფრიკელი ლტოლვილების შეფარება მიუწევს, რომლის ევროპისაკენ მიგრაცია საიდუმლო საზოგადოებების პოლიტიკის ნაწილია. ახლა უკვირთ ლტოლვილთა მიერ გერმანიაში ძალადობისა და ქალთა გაუპატიურების რეციდივები. განა ათეული წელიწადია იგივე არ ხდება ინგლისში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში და სხვაგან?

მონურ აზროვნებას არ უყვარს ავტორიტეტები, არ მოსწონს ჩვენი ძველი ტრადიციები. ხელი ვერ შეუშალეთ და სწორედ მათი მცდელობებით დაკნინდა ავტორიტეტის ინსტიტუტი ოჯახში, სამსახურში, ხელისუფლებაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში და განათლებაში. რა იქნებოდა ჩვენი ცხოვრება ავტორიტეტების გარეშე. ვთქვათ, ქართული პოეზია რუსთაველის, გურამიშვილის, გალაკტიონის გარეშე. განა ეკლესია წმინდანებით არ გვესაუბრება? განა წმინდანები არ გვისწორებენ ცხოვრების ლარს? ახლა რა დღეში ვართ! ეკლესიას გვიგინებენ, პატრიარქს ლანძღავენ. ტელევიზიით გამოსულ თვალსაჩინო მეცნიერს უდიერად მიმართავენ მაყურებლები და მსმენელები. არაფრად ადარდებთ ის, რომ თვითონ არანაირი ავტორიტეტები არ არიან, მათი საზოგადოებრივი გამორჩეულობა მხოლოდ ბილწსიტყვაობასა და ლანძღ-გინებაშია. ასეთი აზროვნების ადამიანები საზოგადოებას ვერ შექმნიან, სამშობლოს წინსვლის პერსპექტივებს ვერ განსაზღვარავენ. ახალი ზროვნება არ გვყოფნის.

ქართული ეკონომიკა სიყვარულზე უნდა მოეწყოს ანუ იგი ადამიანის სამსახურში უნდა ჩადგეს. ვისაც ღვთის სიყვარული არა აქვს, იგი ამ ეკონომიკაში ადგილს ვერ იპოვის. სამშობლო სიყვარულია და ეს ნიშნავს იმას, რომ იგი მისით მარტო კი არ სულდგმულობს, უვლის და ამრავლებს მის სიკეთეს. ქართველი კაცის სიამაყე ყოველთვის იყო მისი მამული, როგორც მისი ნიჭიერებისა და კრეატიულობის გამოვლენა, რომელიც მითების რანგშია აყვანილი და მსოფლიო ცივილიზებული საზოგადოების აღფრთოვანებასა და განცვიფრებას იწვევს თავისი უნიკალობითა და კულტურული დახვეწილობით. რომ არა სამშობლოსა და მიწის, ადგილის დედის ღვთიური სიყვარული, ქართული სიმღერები და ქორეოგრაფია ეროვნული კულტურის ამ ღონეს ვერ მიაღწევდა. და პირიქით, თუ ქართველ კაცს მოეწყვეტო მიწას და უცხოელებს შევაშველებო, როგორც ამას ზოგიერთები გაიძახიან, ქვეყანა მუზეუმებად გადაიქცევა. ყველა ქართული სიკეთე ამ ღვთისმშობლის წილხვედრი მიწიდან მოდის. საქართველო ღმერთის სიყვარულია, მან მას ყველაფერი მისცა სიცოცხლის სამარადისოდ. ტრადიციულად ჩვენ ბუნებრივი რესურსებით მდიდარ ათეულობით ქვეყანას ვიცნობთ. საქართველო ამ მხრივ უნიკალური გამონაკლისია-იგი არა მარტო მიწისზედა მშენიერებაა, მის წიაღში ანკარა, ცოცხალი წყლის იმდენი რეზერვი ყოფილა, რომელიც არა მარტო მისი მოსახლეობის კეთილდღეობას გააუმჯობესებს მნიშვნელოვნად, არამედ წყლის დეფიციტის ქვეყნებს საშუალებას მისცემს წყურვილი დაიოკონ და სიცოცხლე გაიხანგრძლივონ. ვაეროს მონაცემებით პლანეტის მოსახლეობის ყოველი მეექვსე ადამიანი სასმელი წყლის უკმარისობას განიცდის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში ყოველდღიურად 250 მლნ. ადამიანი იღუპება უხარისხო წყლის გამო. 2030 წელს მსოფლიო მოსახლეობის 67% ანუ 5 მლრდ. ადამიანს უწყლოდ დარჩენა ემუქრება. წყლის დეფიციტი გაუჩნდებათ ისეთ ქვეყნებს, როგორცაა აშშ, ჩინეთი და ინდოეთი. ამ დროს პატარა საქართველოს, როგორც პროექტის ავტორი პაატა გიორგაძე წერს, სასმელი წყლის იმდენი რეზერვი გააჩნია, რომ შეუძლია უზრუნველყოს მსოფლიოს 7მლრდ. მოსახლეობა და დღელამეში კიდევ 8,5 მლნ. ლ რეზერვი დარჩება. ბედნიერია ერი, რომელსაც მსოფლიო მოსახლეობის სასიცოცხლო სამსახური შეუძლია, თანაც ისეთისა, რასაც წყლის მიწოდება ჰქვია. მართალია, ცისქვეშეთის უმეტესი ნაწილი წყალს უკავია, მაგრამ სასმელი წყლის რესურსი ძალიან მწირია. ბიბლიაში მიმდინარე წყალს ცოცხალი წყალი ეწოდება. საერთოდ კი მასში წყალი 700 ჯერ მოიხსენიება. წყალი სიცოცხლის, განწმენდის, მკურნალობის, სისუფთავის სიმბოლოა. ქართველმა კაცმა დიდი ხანია გაითავისა წყლის ცხოველმყოფელობა და მას სულის სიმშვიდის, ღმობიერების, თანაგრძნობის, შვების მომგვრელობის თვისებები უპოვა. უფალო შეგვიწყალებ, წყალობა გვიყავ, შენი წყალი გადამესხას-ეს ის სიტყვები და მიმართვებია, რომელსაც ჩვენ ყოველდღე ვისმენთ.

ზემოთ აღნიშულიდან შეიძლება შეიქმნას წარმოდგენა, რომ თითქოსდა გვერდი ავუარე პრობლემას, რომელიც იშვიათი და უნიკალური რესურსების მეპატრონე ჩვენნაირ პატარა ქვეყანას აქვს. ვფიქრობ ეს უკვე სიძულვილის ეკონომიკის სფეროს ეკუთვნის. სიყვარული სძლევს სიძულვილს. ამის დასტურად ტელეეთრში მეცნიერთა ჯგუფის და კერძოდ ბატონი პაატა გიორგაძის ცეცხლოვანი გამოსვლებიც საკმარისია. ეს ადამიანები წლების მანძილზე დაუღალავად იღწვოდნენ იმისათვის, რომ ქართული

ეკონომიკის აღორძინების ფუნდამენტური საფუძვლები მოეძებნათ. მოიძიეს, მეცნიერულად დაასაბუთეს ქართული სასმელი წყლის საექსპორტო შესაძლებლობები. მონური აზროვნება აქამდე წინ ეღობებათ და ცდილობს ეროვნული, საქვეყნო, სახალხო სიმდიდრე ხელში ჩაიგდოს. მაგრამ მეცნიერებს აქ გმირული სულისკვეთებაც აღმოაჩნდათ და სიცოცხლის ფასად ქართველი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების შესაძლებლობებს არავის უთმობენ. ადამიანის ფუნქციაც ეს არის.

ჩვენ ახლა გადაბრუნებულ ანუ თავუკუღმა მდგომარეობაში ვიმყოფებით. ეკონომიკა კი არ ემსახურება ხალხს, ხალხია არის ეკონომიკის მსახური. ეკონომიკა, რომ ფეხზე დადგეს, ადამიანის სამსახურში იყოს, აზროვნება უნდა შეიცვალოს. ეკონომიკაც სიყვარულის პროდუქტია. სიყვარულის ეკონომიკაზე რამდენიმე სტატია შეიძლება მოიძიო ლიტერატურაში, რომელიც ოჯახის საფუძვლად სიყვარულის მიიჩნევს და მის ეკონომიკურ მოწყობას იხილავს. მე ეს სიყვარულის ეკონომიკის პრიმიტიულ გაგებად მიმაჩნია. სიყვარულის ეკონომიკა ადამიანის მომსახურებაა, ადამიანის ეკონომიკაა. ღმერთმა იზრუნვა ადამიანზე და მას დაბადებამდე ცხოვრების ყველა პირობა შეუქმნა, ედემის ბაღშიც კი დაასახლა. არც შესცოდების შემდეგ დაუტოვებია უყურადღებოდ-ყველა საარსებო პირობაზე მიუწვდებოდა ხელი. მერე ღმერთისგან გამიჭნულმა ადამიანებმა მისგან ბოძებული სიმდიდრე დაისაკუთრეს და მოსახლეობის უმრავლესობაზე გაბატონდნენ. ქართველ მოსახლეობას წურბელებივით შეასხდა სამშობლოს მოძულე ხელისუფლება და იმდენად სიამოვნებს მისი სისხლის წოვა, რომ ტიკებივით დაბერილები აქამდე ისევ მოსახლეობის კისერზე ნებივრობენ.

წელწელა იმარჯვებს იმისი შეგნება, რომ სამშობლო სიყვარულის გარეშე ვერ იქნება ბედნიერი, ნაკლებად მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენ ხანს გასძლებს იგი, როგორც ადმინისტრაციული ტერიტორია. თავის მხრივ, სიყვარული პასუხისმგებლობის, ზნეობრივი პროფესიული ცოდნის, პატრიოტიზმის, იმედისა და რწმენის მთლიანობაა. აქედან გამომდინარეობს ის, რომ განათლება ძირეულ რეფორმას საჭიროებს, რომელიც ქართულმა ინტელექტმა ეკლესიასთან ერთად უნდა გაატაროს.

გვიჭირს, მაგრამ უიმედობის საფუძველი არ გვაქვს. მდიდარი ტრადიცია, უფლის რწმენა, ქვეყნის სიყვარული ადამიანთა საკმაოდ დიდ ჯგუფებს მოიცავს. ესენი არიან: პენსიონერები-700 ათასზე კაცი, ქვეყნიდან იძულებით გაქცეული 2მლნ. ადამიანი, 3 ათასამდე უმაღლესი აზროვნების ინტელექტუალი, მართლმადიდებლური რწმენის დიდი არმია.



## ეკონომიკური აზროვნების დეგენერაცია ანუ განათლების ტრეფიკინგი

რამდენი ხანია თვალს ვადევნებ ჩვენი ლარის კურსზე მიძღვნილ გადაცემებს, ათაგვარ რაიმეს მისწვდებიან და გადაწვდებიან, მაგრამ ერთს ყოველთვის მაინც მუდმივად ხელუხლებლად მიიჩნევენ-ეკონომიკის ლიბერალისტული მოდელი ფუკუიამას საბოლოო ჭეშმარიტებად მიაჩნიათ, რომლის მიმართ ცოდვილი ყოფილა ყველა დანარჩენი. ბრწყინვალედ თქვა პერიკლემ: სითხე კი არა, ჭურჭელია გახრწნილი. ვაი, იმ ყოფას, როცა სითხეც და ჭურჭელიც ორივე გახრწნილია. გამოსავალი ერთია: ან სითხე უნდა გადაღვარო და ჭურჭელი გარეცხო, თუკი ეს შესაძლებელია, თუ არა და შეცვალო უვნებლით. აქედან ისიც ჩანს, რომ სითხესა და ჭურჭელს პატრონი უნდა ჰყავდეს.

ლარის კურსის დაცემას ზოგი ეროვნულ ბანკს აბრალის, ზოგიც-ფინანსთა ინსტიტუტს, ზოგი კიდევ ეკონომიკის სამისტროს ან ყველას ერთად. ბევრი იხტიბარს არ იტებს-მეც ვიცო, და მხოლოდ გარეშე ფაქტორებს ჰკიდებს სიმძიმეს-საბერძნეთში კრიზისია, უკრაინაში ომი, რუსეთს დასავლეთი უბლანდავს სანქციებს და ქვეყანას გარედან შემოსავლები აკლდება. ვის ხელშიც ყველაფერი ეს თავმოყრილია, ჩემად არის, თუკი რაიმეს ჰკითხავენ მიბლანდ-მობლანდავს გაურკვევლობის სივრცეში გადასაგდებად. მკაცრად თუ მოჰკითხავენ, ფინანსური იმპერიის სინედრიონიდან თითს დაუქნევენ, ჭკიუთ იყავით, თორემ უფრო უარეს დღეში აღმოჩნდებითო. ეს ხელისუფლება მარაქაშია. გამწარებული ხალხი შფოთავს მხოლოდ, დღეები გაჭრილი ვაშლის ნახევრებით ემსაგვსება ერთმანეთს.

ყველაფერი სათავეს იღებს 1991 წლიდან. ეს ჰამლეტ ჭიპაშვილმაც აღნიშნა ამას წინათ ტელეეთერში გამოსვლისას. ნაცვლად იმისა, რომ სსრ კავშირის რესპუბლიკებად დაშლის პროცესებით ქვეყნის სასიკეთოდ გვესარგებლა, რუსეთს სალანძღავად მივადექით და ეკონომიკური კავშირები გავწყვიტეთ. საბჭოთა კავშირის დაშლით წარმოქმნილი ციებ-ცხელება დამცხრალი არ იყო, რომ მაშინვე რუსეთს ვესროლით ხელთათმანი. ამას ჭკვიანურ პოლიტიკას ვერ დაარქმევ. საბჭოთა კავშირის რუსეთის ელიტარული და მოღალატე ინტელიგენციის სისულელეებით ვერ ვისარგებლეთ. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მიმხრობის ნაცვლად, უფრო გავალიზიანეთ, ვიდრე მანამდე იყო. უჯარო ქვეყანამ ხელში რუსებისაგან დატოვებული იარაღი აიღო და რუსებს მიუშვირა, რომლის არმიები ჩვენი ქვეყნის ბაზებზე იდგნენ. მაშინდელ ხელისუფლებას არა მარტო ქვეყნის მართვის გამოცდილება არ ჰქონდა, უმადურებაც გამოიჩინა და უნიჭიერესი ინტელიქტუალები, რომლებმაც იმათ ქვეყნის სათავეში მოსვლას მხარი დაუჭირეს, პარლამენტიდან დემონსტრაციულად გაჰყარა და მტრებად თუ არა, უკმაყოფილო მასად აქცია. ადგილი გაუჩნდა გაიძვერა, მძარცველ და თაღლითურ მასას, რომელიც ქვეყნის ეროვნულ სინდიკატებს წაეტანა, გაანიავა და

მიიტაცა. ამ აურაცხელ ზარალს დღემდე არ ვითვლით თითქოსდა წლების წვიმებმა ნაქურდალთა და მძარცველთა ნაკვალევი ჩარეცხა. საქართველოს იმდროინდელი სამოქალაქო ომი ჩვენი ისტორიის კიდევ ერთი ბინძური ფურცელია. ქვეყანა სწრაფად დაუძლურდა და "ქართლის ჭირი" მაშინვე შეგვეყარა. ყველაფერი ამერიკული სცენარით წარიმართა-დამმეულებს პურის ნატეხები მოგვიყარეს და ჩვენც ამერიკიდან გაგვითენდა მზე.

რუსეთთან და სსრ კავშირის სხვა ყოფილ რესპუბლიკებთან ეკონომიკური კავშირების მყისიერმა განწყვეტამ სამშობლოს მოსახლეობის ასევე მყისიერი მასობრივი უმუშევრობა გამოიწვია, რასაც მაშინ მოქმედი პროფესიული სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სწრაფი მასიური გაუქმება მოჰყვა. დასაქმების ერთადერთი მინდორი უმაღლესი სასწავლებლები აღმოჩნდნენ, რომლებიც აბიტურიენტთა მოზღვავენას ვერ აუდოდნენ. ამას ემატებოდა იმ ადამიანების მასა, რომელთაც ხელისუფლებაში მოხვედრა იოლად შეეძლო, მაგრამ დიპლომი არ ჰქონდა. კერძო ინტერესებმა გაიმარჯვა-იფეთქა კერძო სასწავლებლების ნიაღვარმა და დაიწყო უნიჭო მასების გადიპლომირების ბაკჰანალია. დღითიდღე იხსნებოდა აკადემიები და უნივერსიტეტები, რომელთა რაოდენობა 2010 წელს 200-საც გადასცდა. განათლებისა და მეცნიერების მინისტრად ქცეული სანტეფნიკოსი ლომაია გაშმაგებული ენერჯით დაერია სახელოვან და ცნობილ მეცნიერებს და უმაღლესი სასწავლებლებიდან გამოდევნა ისინი. ხელის ერთი გადასმით გააუქმა ათეული წლები ქვეყნის სამსახურში მყოფი მქონე კვლევითი ინსტიტუტები. მარტო მეჩაიეობის, მევენახეობის, ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტების გახსენებაც რად ღირს. დასავლეთ საქართველოში მოქმედი ერთადერთი მუსხელიშვილის სახელობის ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტი ყოფილ წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტს მიუერთეს, საინჟინრო სპეციალობები გააუქმეს და ჰუმანიტული მიმართულებებზე გადაიყვანეს. ახლა საქართველოს ლიხს აქეთა ნახევარს ტექნიკური აზროვნების განახლების საკუთარი არანაირი ავტორიტეტული სამეცნიერო დაწესებულებ არ გააჩნია.

ზემოთ მოტანილი მსჯელობებიდან გამომდინარეობს ხილვადი ჭეშმარიტება-საქართველოში განათლების დონე იქამდე დაეცა, რომ მისი შედარება გასული საუკუნის 80-იანი წლების შესაბამის მაჩვენებელთან მწუხარე განცდებს იწვევს და უიმედობის განწყობას ქმნის. ამ ბოლო 10 წლის მანძილზე ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების ლამის ნახევარი მილიონი კურსადმთავრებულიდან 80%-ზე მეტი უმუშევარია. ის 19 თუ 20% რა სამუშაოთი არის დაკავებული, ეს სხვა საკითხია. ამის მერე მკითხველს არ გაუკვირდება ის, რომ საქართველოს ხელისუფლებაში მყოფი ნახევარი საუკუნისა და უფრო ნაკლები ასაკის ადამიანებს უმაღლესი პროფესიონალიზმის დეფიციტი აშკარად ატყვიათ. ამას ჩვენ, ვისაც სამშობლო გვიყვარს, ისინი ვამბობთ, თორემ სხვებისთვის სახელისუფლო არაპროფესიონალები

ნამდვილი პროფესიონალები არიან, ვინაიდან ფინანსური იმპერიის დავალებებს ზედმინწევით ზუსტად ასრულებენ. ეს "პროფესიონალები" განათლებას ისეთი წიგნებით ღებულობენ, რომელიც ფინანსური იმპერიის ინტერესებს შეესაბამება. მათ ეროვნული და ქართული არაფერად ეპიტნავენათ, ვინაიდან მსოფლიო მეურნეობის მოქალაქეს ზნეობრივი და მორალური, ტრადიციული, მართლმადიდებლური, ქართული სული არაფერში არ ესაჭიროება. არის პროფესიული განათლების მეორე ხერხი, ეს არის-ტრენინგი, რომელიც მის მონაწილეს გონებაში უჭედავს კონკრეტულ ცოდნას ამა თუ იმ სამუშაოს შესასრულებლად. მაგალითად, გვასწავლიან, რომ საქართველოს ეკონომიკის აყვავების ერთადერთი გზა არის ევროკავშირში გაწევრიანება. ამის გამო მთელი ქვეყანა იმის მოლოდინშია, თუ როდის გაწევრიანდება ევროპაში, მეტი არაფერია საჭირო, ავყვავდებით. ხელისუფლება ამ შტამპით აბრმავებს თავის ხალხს. უაპელაციოდ ითვისებენ ყველაფერ იმას, რასაც დასავლეთიდან კარნახობენ. არაფერად აინტერესებთ ის, რომ კაპიტალიზმი რანაირი სახელით არ უნდა მოინათლოს იგი-პოსტინდუსტრიულით, საბაზრო ეკონომიკით, ინფორმაციული საზოგადოებით, უფრო ჰუმანური კი არა, თანდათან სასტიკი და მძარცველი ხდება. მუქთად ითვისებენ განვითარებადი ქვეყნების ბუნებრივ რესურსებს, სამუშაო ძალას. მათი ეკონომიკის მატერიალური წარმოება თანდათან იქცევა ბუნებრივი რესურსების მოხმარებისა და გარემოზე ზემოქმედების დანაშაულებრივ საქმიანობად<sup>3</sup>.

ყველაფერი დასავლური სანიმუშოა. სანინაალმდეგო აზრის გამოთქმას ჩამორჩენილობად და უცოდინარობად ჩამოგართმევენ ან საერთოდ წაგიყრუებენ. 2010 წელს ერთ სამეცნიერო კონფერენციაზე წარვადგინე მოხსენება: "საქართველოს ევროპიაზცია ანუ მისი ეროვნულობის დასასრული". გაუჭირდათ უარის თქმა, დაბეჭდეს, მაგრამ სექცია, სადაც უნდა წამეკითხა მოხსენება, საერთოდ არ შედგა. ცარიელი აუდიტორია დამხვდა. არც არავინ გამომხმამაურებია სამეცნიერო კონფერენციის სარედაქციო შემადგენლობიდან. ავერ სულ ახლახან, ევროკავშირის ერთმა ჩინოსანმა, ალბათ შევეცოდეთ და პირდაპირ განაცხადა: ევროკავშირში ახლა თქვენი შესვლა ზარალის მეტს არაფერს მოგიტანთო. სწორია, სულის მღაფავი ეკონომიკური ობიექტები დადუმდებიან, მოსახლეობა გადამფრენი ფრინველებით "თბილ" ევროპას მიაშურებს, ხოლო ქართულ მიწა-წყალს უცხოელები დაიკავებენ.

ტრენინგით განათლებულები ქვეყნის ხსნას უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში ხედავენ, რადგან არ იციან, რომ ბუნებრივი რესურსების მსოფლიო დეფიციტის პირობებში ინვესტორები ეროვნული სიმდიდრისაგან გაგვფუცქენიან როგორც ეს რუსეთის პირობებში ხდება. რუსეთის ეკონომიკა რუსულია იმდენად, რამდენადაც კომპანიები მის ტერიტორიაზე მდებარეობენ. იმათ მსხვილ და საშუალო კომპანიების ერთ ნაწილს უცხოელი ინვესტორები მართავენ და თვითონ აკონროლებენ, ხოლო მეორე ნაწილს-შინგამოზრდილი ოფშორული ზონების იურისდიქციას ამოფარებული

<sup>3</sup> Катасонов В. Ю. От рабства к рабству. От древнего Рима к современному Капитализму. С. 183. Кислород 2014.

ოლიგარქები. 1995-2012 წწ. რუსეთში 793,8 მლრდ. დოლ. უცხოური ინვესტიცია შემოვიდა, იმავე პერიოდში ინვესტიციური შემოსავლების-ღირებულებისა და პროცენტების სახით 703,2 მლრ დოლ. გავიდა. კიდევ უფრო უარესი: 2010-2012 წწ. რუსეთში წმინდა ინვესტიციური შემონატანები 196,9 მლრდ. დოლ. იყო, რასაც ქვეყნიდან 261,4 მლრდ. დოლ. გადინება მოჰყვა ინვესტიციური შემოსავლების სახით ანუ რუსეთმა 64,5 მლრდ. დოლ ზარალი ნახა<sup>4</sup>. მკითხველს არ დასჭირდება იმისი შესენება, რომ ანგელოზი ინვესტორები არც საქართველოში შემოფრინდებოდნენ და არც ქართველი ოლიგარქები არიან რუს კოლეგებზე ნაკლები ქვეყნის მჭამელები.

ლამის მეოთხედი საუკუნე მიიღია და სამშობლოს სიკეთის საშუელი არ ეღირსა. მოსახლეობის რაოდენობა 1940 წლის დონემდე ჩამოქვეითდა. ქვეყანა ხელიდან გვეცლება. რა დანახვა სჭირდება იმას, რომ შენი ქვეყნის კეთილდღეობის გაუმჯობესების პრინციპები და მისი განვითარების მიმართულებები უცხოური ტრენინგების პროგრამებში არ შედის. სხვები თავიანთი სამსახურისთვის გვამზადებენ. ამაში მათ ჩვენი ხელისუფლება ეხმარება. ხალხი კიდევ ამ ხელისუფლებისაგან მაინც ჯიუტად ითხოვს იმას, რისი გაკეთება მას არა მარტო არ შეუძლია, დასავლელი პატრონები ქვეყნის სამსახურს ისედაც არ დაანახებენ.

ტრენინგით გამოთავყვანებული სპეციალისტები ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობას პრივატიზაციის ტემპების დაჩქარებას, ტურიზმის გაფართოებას უკავშირებენ. პრივატიზაცია პანაცეა არ არის. იგი ერთ შემთხვევაში მომენტალური შემოსავლის წყაროა-გროშებად გაიყიდა მინისტარას ქარხანა, რომელიც მესაკუთრემ ჯართად აქცია, შენობები დაშალა, ხოლო გამოთავისუფლებულ მინის ფართობზე მალაზიები განათავსა, რომლებიც ხვალ, ადვილი შესაძლებელია, გაკოტრებული აღმოჩნდეს. ქარხანა პრაქტიკულად მინის ინტერესებს შეენირა. იგივე ბედია ენია ქუთაისის აბრეშუმკომბინატს. უზარმაზარი ტერიტორია ლიმონათის ჩამოსასხმელი ობიექტის, ავეჯის სახელოსნოს, საბანკეტო დარბაზის დასახლება გახდა. ის, რაც ადრე მილიონობით შემოსავლის წყარი იყო, ახლა გროშების შემომტანია მხოლოდ. ათასების სამუშაო ადგილები ერთეულებმა დაიკავეს. ქუთაისის ინდუსტრიიდან პროფილით მხოლოდ ყოფილი სამკერვალო გაერთიანება "იმერეთი", ახლა ს/ს "იმერი" ფუნქციონირებს. მისი ხელმძღვანელობა ქვეყნისა და ხალხის ინტერესების შესაბამისად მოიქცა. სხვებმა მსხვილი საწარმოები ჯართისა და მინის ფართის, მისი ადგილმდებარეობის უპირატესობების მოტივებით შეიძინეს. ქუთაისში იმის ნახევარი მოსახლეობა აღარ დარჩა 30 წლის წინათ რომ იყო. ამნაირი პრივატიზებით სხვანაირი შედეგი არც იყო მოსალოდნელი. დაგრეული და მიტოვებული საწარმოების პრივატიზებაში ყელამდე ფულიანი უცხოელები არ ჩარეულან, არც ახლა ერევიან. ისინი ზემალაღი ეკონომიკური ეფექტიანობის ობიექტების შეძენაზე არიან ორიენტირებულები და იმ თამაშში გვინვევენ, რომლისაც ჩვენ ხეირიანად არათვრი

<sup>4</sup> Катасонов В.Ю. «Акулы капитализма» в России. [www.parufaturrussia.ru/.../377-v-yu-katasonov-205...](http://www.parufaturrussia.ru/.../377-v-yu-katasonov-205...)

გაგვეგება რა. თანაც წინასწარ აფულიანებენ ხელისუფლების ნომინალურ ფიგურებს, რომლებიც კაი ხანია ფულოსოფიით არიან დაავადებულები.

ზემოთ ტურიზმი ვახსენეთ. ნატრენინგალები გვაიმედებენ-ტურიზმი გვიშველისო, თითქოსდა ტურისტი კუზიანი აქლემი იყოს, საქართველოს გაივლის და მორჩა. ტურისტს ვიზასთან ერთად საჭმელი და სასმელი უნდა (ჩავთვალოთ, რომ მათი დაბინავების საკითხი მოგვარებულია). ჩვენ ხომ თავისთვისაც არ გვყოფის საჭმელი, თან რაც გვაბადია, გვარიანად ძვირია. ეს იმას ნიშნავს, რომ ახლა ჩვენი ტურისტული შესაძლებლობები არც თუ ისე მაღალია. გარკვეული მხოლოდ ის არის, რომ ღვთისაგან მოძღვნილი ეს ქვეყანა ყოველთვის იყო და ახლაც არის უცხო თვალისთვის მიმზიდველი და მიგნებელი ხილული აღმოჩენა. ეს პოტენციალური შესაძლებლობები, რომ ჩვენი მოსახლეობის სიკეთედ იქცეს, ტურისტული ინდუსტრიის განვითარება სახელმწიფო პოლიტიკის რანგში უნდა ავიყვანოთ და ხელი შეუწყოთ მის პრაქტიკულ განხორციელებას. ამის გაგონება და ლიბერასტები ქოშებს უკულმა აყრიან და ქირქილს ატეხენ: ეს რაებს მოთქვამს, ნუთუ არ იყის ის ელემენტალური ჭეშმარიტება, რომ ხელისუფლება ეკონომიკაში არ უნდა ჩაერიოსო. ჩვენც ხომ გვაქვს კონსტიტუციური უფლება შევახსენოთ ლიბერასტს, რომელსაც დედაბუდიანად ჩაჭიბული აქვს კაი შემოსავლიანი ობიექტები და ფული სად დახარჯოს, თვითონაც არ იყის და არც მოყვარე-ნათესავებმა. ეკონომიკის სახელმძღვანელობში მართლაც წერია, რომ სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში შემოიფარგლება თამამის წესებზე კონტროლით, რომლსაც თვითონვე ქმნის და იგი მეთვალყურისა და ღამის დარაჯის როლს ასრულებს. ადამ სმიტმაც ხომ დაწერა: ეკონომიკაში "უხილავი ხელი" მოქმედებს, თვითრეგულირებადია და არ ჩაერიოთო.

ისტორიულად ხელისუფლება ეკონომიკის მართვის ტრადიციული ინსტიტუტია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება<sup>5</sup>. მას შემდეგ, რაც ფული რელიგიად იქცა, ხელისუფლებას ფინანსური იმპერია ირჩევს ხალხის მეშვეობით და ხელისუფლებაც ეკონომიკას მდიდრებისთვის სამსახურში აყენებს. მსოფლიო მეურნეობის კონსტრუქტორებს პერიფერიულ ქვეყნებში თავიანთი ადგილობრივი ოლიგარქები სჭირდებათ, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი ხდება მსოფლიო მეურნეობის მმართველობის ცენტრის კონსპირაციული ფორმირება. ამ დროს მსოფლიო მოსახლეობის უმრავლესობას ინსტიტუტების, ტრენინგების, მასმედიის საშუალებებით იმ სტერეოტიპებად ბეჭდავენ, რომელთაც მართლაც სჯერათ, რომ ისინი თავისუფლები არიან და თვითონ განაგებენ თავიანთ ბედს, არადა სულში ფული აქვთ ჩასახლებული და გარშემო მადისაღმძვრელი ნაირგვარი ნივთებისა და

<sup>5</sup> ვიეტნამში მართვის, აეროპორტების მომსახურების, სახელმწიფო პორტების ექსპლუატაციის სფეროს 7 სექტორში სახელმწიფოს წილად მოდის აქციების 75%-ზე მეტი. 7, 10 და 10,5 % მოკლევადიანი, საშუალო და კრედიტების ნაწილი სახელმწიფო სუფსიდიებით იფარება. Thoi Khn te. 24.06.2014. Vietnam economic news, №24,2014.

ფასეულობების სიმრავლემ მომხმარებლის მონად აქცია და ფსიქიურად დაავადა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით პლანეტის ყოველ მესამე ადამიანს ამა თუ იმ პათოლოგიური ფორმის ფსიქიური გადახრები აქვს. ამას თურმე ბევრი რამ განაპირობებს. მაგალითად, გადაღლილობა, გარემოს ეკოლოგიური დაბინძურება, არასწორი კვება, ალკოჰოლი, იმედგაცრუება და ა. შ. მაგრამ ყველა მათგანი სათავეს იღებს იქედან, რომელსაც უკეთური, უღმერთო ცხოვრება ჰქვია<sup>6</sup>.

ძალიან გვითხვას და თანაც თავხედურად ქართული დეგრადირებული აზროვნება. რასაც ვერ ბედავდნენ რამდენიმე წლის წინათ, ახლა გამგელებულები შეტევაზე გადმოდიან და ეროვნულ ღირებულებებს სასაცულოდ იგდებენ, ხოლო ტრადიციულ ღირებულებათა მატარებლებს ჩამორჩენილებს უწოდებენ. მასმედიის საშუალებები მათი ტრიბუნაა და უცხო ქვეყნების ფულითაც უზრუნველყოფილები არიან. ეს დრო ახლა მძიმე გამოცდას გვინცობს მამულიშვილობაზე, ქართველობაზე, სინდისსა და ნამუსზე, ვალდებულებასა და პასუხისმგებლობაზე, ხალხისა და ქვეყნის სიყვარულზე. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდობის საკმაოდ დიდი ნაწილი აღვირახსნილობის მორევში შეითრის, მთელ საზოგადოებას ვერ ერევინ. ბევრი ადამიანი თავშეკავებულია, ბევრი გაურკვევლობის გამო ღუმს, მრისხანებენ ტრადიციონალისტი ჭაღაროსნები, მაგრამ აუდიტორიებს არ ფლობენ. ვერც მეცნიერება ნახულობს თავის ტრიბუნას, ხელისუფლებაში მხოლოდ უმცირესობაა ქვეყნის მოყვარული, ზოგს კიდევ ქონების დაკარგვის შიშით, გაჩუმება ურჩევნია. არადა, როგორც ჩემი ბოლოდროინდელი დაკვირვებები მიჩვენებს, ნიჭიერი ადამიანების გაერთიანება ჭკვიან ბიძნესმენებს არ გაუჭირდებათ. ჭკუის სწავლა სხვების მაგალითზეც შეიძლება. მასონებს, 300 კომიტეტს თუ ილუმინატთა საზოგადოებას მხოლოდ საფრთხედ აღვიქვამთ და არ გვინდა მათგან ვისწავლოთ, რომ პრობლემებს მხოლოდ მაღალი დონის პროფესიონალები წყვეტენ. მასონთა ლოჟას ქმნიან ბანკირები, ნობელიანტები, საყოველთაოდ აღიარებული პოლიტიკოსები. მასონთა სიაში მოიხსენიება მოცარტი, გოეთე, აშშ პრეზიდენტები, უნისტონ ჩერჩილი, პუშკინი, სუვოროვი, ყუკოვსკი, პეტრე პირველი, გოლიცინები, ზინოვიევი, ტროცკი, ბუხარინი, ლენინი, იაკოვლევი, სობჩაკი, შატალინი, აბალკინი, კისინჯერი, ჩუბაისი, გაიდარი და ა. შ.<sup>7</sup> 25-30 წლინაღია ხელისუფლება ნაცნობების, მოყვრების, ძმაკაცების სიმრავლიდან იქმნება, რასაც თავის ჭკუაზე ათამაშებენ დასავლელი ინტელექტუალები. ამის გათვალისწინებით ცხადია, რომ ჩვენი ქვეყნის თითქმის განახევრებული მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების მოლოდინი არ უნდა გვქონდეს. "ჩვენს ერს ბავშვები ჩაგრავენ და დიაცები უპატრონდებიან. ჩემო ერო, შენმა მეგზურებმა დაგაბნიეს და გზა-კვალი აგირიეს!" (ესაია წინასწარმეტყველი. 3:12).

<sup>6</sup> Психические процессы и болезнь. [www.medpsy.ru/meds/meds427](http://www.medpsy.ru/meds/meds427).

<sup>7</sup> Масоны создали США, проиграли февральскую революцию. Svpressa.ru.

ერთ პირად შეკრული იმოძღვრებიან ხელისუფლების პერსონები, მასმედიის ძალად ცნობადი სახეები, ექსპერტები და ძმანი მისნი. ისე გვიხატავენ ამ გაუსაძლის მდგომარეობას თითქოსდა ეკონომიკის ეს ლიბერალური მოდელი საბოლოო რანგის ჭეშმარიტება იყოს და მხოლოდ ადამიანების კეთილ ნებაზე იყოს დამოკიდებული. ლიბერალური იდეოლოგიით დაბინდულ და დაქირავებულ პირებს მართლაც სჯერათ იმისი, რასაც ამბობენ, ოღონდ იმას კი არ ფიქრობენ, თუ რატომ არიან ყველანი ერთნაირ ჭკუაზე. არადა სხვანაირად როგორ იფიქრებენ ტრენინგებით განათლებულები. ისინი ფინანსური იმპერიის ღმერთის-ფულის "კარნახით" მსჯელობენ და იქცევიან. სჭირდებათ ისეთები, როგორიც მათი სამსახურის მოთხოვნებიდან გამომდინარეობს. ტრენინგი ორგვარია: ერთი სამუშაოსთვის მოსამზადებელი, მეორე ე. წ. საკონკურსო, კონკრეტული სამუშაოს დასაკავებლად. ეს სტანდარტები ვრცელდება არა მხოლოდ ტექნიკური სამუშაოების სახეებზე, არამედ უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური პერსონალის კონკურსის მონაწილეთა მიმართ, სადაც მთავარი შრომების მეცნიერული ღირებულება და მეცნიერული კონცეფცია კი არ არის, არამედ გრანტებში მონაწილეობა, სტაჟირება, რედკოლეგიის წევრობა და რაღაც აქტივობები. ამ დროს გრანტებს არავინ გაღირსებს, არც სტაჟირებაზე გაგისწიან მწვანე გზას, ვინაიდან შენ არასასურველი პირი ხარ კრიტიკული აზროვნების გამო, ან სამეცნიერო საზოგადოებას მიაჩნია მეცნიერების ავტორიტეტად. "დაითრგუნება ხალხი, კაცი კაცს დაჩაგრავს, მოყვასი მოყვასს; ბავშვი გაუმედიდურდება მოხუცს, უღირსი პატივისმცემელს" (ესაია წინასწარმეტყველი. 3:5).

## ლორობის ეკონომიკა

ლორი ერთი თავნება უწყინარი ცხოველია, რომელიც თავისი ინსტიქტებით ცხოვრობს. მართალია, ტალახში გორაობს და ნაგავში იქექება, ათასგვარ უწმინდურობას ჰლაფავს და ზაფხულის ცხელი თვეების სიმხურვალისაგან შეწუხებული ტლაპოში ჩანვება, მაგრამ კი არავის ბაძავს, თავისთვის ნებივრობს, არანაირად არ იზიდავს, ვთქვათ, მაგალითად, კატების სუფთა და აზიზი ცხოვრება.

ადამიანმა ოდითგანვე გაიშინაურა, მიიჩვია ტყიური ღორი, როგორც ხორცის მომცემი, ზამთრის სუსხიან ამინდებში შებოლილი და ლორებად აჭრილი შაშხიანი დელიკატესების, სამწვადე ნაჭრებად დაკეპილი და კიდევ მადისაღმძვრელი მრავალგვარი ასორტიმენტის ხორციეული კერძების შეუცვლელი დელიკატესი, ოჯახის ბარაქის სიმბოლო. გერმანიაში ღორის მუზეუმიც კი არსებობს, სადაც არა მხოლოდ ღორების ჯიშების ამსახველი მასალებია გამოფენილი, არამედ მათი მოვლისა და გამრავლების წესები და მეღორეობის განვითარების ინდუსტრიული ტექნოლოგიები. მაშ, რას ვერჩით ღორს, რატომ გაგვიხდია დაცინვად ადამიანის ღორთან შედარება, ღორთან მიმართება. მაშინ როცა სიამაყეს გვეგვის უხსოვარი დროის ისეთი ეპიტეტები, როგორიცაა ლომგული, ვეფხვივით მარდი, მგელკისერა, დათვივით დინჯი, ხარივით ღონიერი, ძალღივით ერთგული, ქურციკივით სხარტი, შვლისნუკრისთვალეზიანი, ნუკრივით ნაზი, შველის ფეხება, ირემივით ყელმოღერებული. ადამიანს თავის სახელებად და გვარებადაც კი უქცევია ბევრი ამ ცხოველთაგანი მისი ხასიათისა და თვისებების გამო. მაგალითად, ლომინაძე, ლომაშვილი, ირემაძე, სალომე, ვეფხია, მგელიკა, ნუკრია და ა.შ. პათეტიკურ ლექსებსა და სიმღერებს, ზღაპრებსა და პოემებს ხომ თვლა არა აქვს. ღორი ამ ლამაზი ბინადრების სამყაროში ვერ ხვდება, ვინაიდან მისი ცხოვრება ადამიანში არასდროს იწვევს ამაღლებულის განცდას სილამაზის, ნადირობის, ალერსის, მონატრების გამოხატვის, ძილის პროცესების ხილვისას. ღორი არ მონატრებს პატრონს, არც იცის რა არის ერთგულება; იგი ამ თვისებების კი არა, ხორციელი ნეტარების მატარებელია. ყველაფერს ჭამს, რომ ხორცად იქცეს. და მაინც: ღორი უფრო დიდია ღორობაზე. ღორი ადამიანისთვის სასარგებლო ცხოველია და ამით არის განსაზღვრული მისადმი დამოკიდებულება. ღორობა კრებსითი ფენომენია, რომელიც ადამიანმა შექმნა და რომელშიც თავმოყრილია ისეთი ცნებები, როგორიცაა სიბინძურე, უწესრიგობა, გაუმაძღრობა, თავკერძობა, ჭამით კმაყოფილებისა და სიამოვნების განცდა, ბავშვებისადმი უყურადღებობა. ამით თითქოსდა ადამიანმა დასცინა ღორს, რომელიც სრულიადაც არ არის დაცინვის ღირსი, ვინაიდან იგი ისე იქცევა, როგორიც მისთვის გაჩენის დღიდან დაწერილია. სასაცილოა თვითონ ადამიანი, რომელიც როცა სალაფავით გაერთო, სიმაძღრის ნეტარება იგრძნო და ღორობა შეითვისა, ღორს იმით აჯობა, რომ გაძლომის საზღვარი ვერ ნახა, ამიტომ ტალახში კი არ ჩანვა, რა საჭმელიც იპოვა-მუცელში ჩაიყარა, სადაც მოეწონა-ბინაც იქ აიშენა, ან სხვებს წაართვა და



მიითვისა; ქვეყანა ეცოტავა და მსოფლიოს ყველა კუთხეში დაიღო ბინა. ვინც გაუძალიანდა-მოაკვლევინა. წამალი-საწამლადად აქცია, სიყვარული-სექსად, სიცოცხლე-მწუხარებად. ლამის მთელ ცისქვეშეთს გადააფინცა ღმერთი და ფული დასახა ღმერთად. ახლა ისე გათავზედდა, რომ მსოფლიო ხალხების ჩიპბაცია მოინდომა და განვრთნა კიდევ პიარისტთა უზარმაზარი არმია, მეცნიერებას ანტიმეცნიერება დაუპირისპირა პლანეტის მოსახლეობის ცნობიერების შესაცვლელად...აქ ცოტა უნდა შევაჩერო აზრის მსვლელობა, თორემ ცალმხრივობას ვერ ავცდები.

ღორობა ორგვარია. მდაბიო და მაღალი ღონისა. მდაბიო ღორობა გაუნათლებელ და უწესრიგო, აღუზრდელ, უზნეო, არატრადიციული ოჯახის ადამიანებს ახასიათებს.

როცა ამ თემისთვის ბიბლიოგრაფიულ მასალებს ვეძებდი ღორობის ფენომენის ასახსნელად, კითხვაზე ყველგან ერთ პასუხს ვპოულობდი, რომლის თანახმად ღორობაა გადაჭარბებული სიმთვრალე, ლოთობა, ქუჩებში ნაგვის დაყრა, სკვერებისა და მოედნების დანაგვიანება, წყლის მასივების დაბინძურება, უკულტურო მიმართვები, გაუმძღრობა, მოურიდებლობა, აღვირახსნილობა, მეძაობა და ა.შ.

მართლაც წმინდა წყლის ღორობაა, როცა ქუჩები სავსეა ფეხით მოსიარულეთაგან და მანქანებით მოძრავი არსებებისაგან ფანჯრებიდან გამოდმოსროლილი დაჭმუჭნული ქაღალდებითა და ცარიელი მინისა თუ პოლიეთილენის ნაირგვარი ჭურჭლებით, ბუნებრივი წყაროს წყლის ადგილები დანაგვიანებულია გამვლელი დამსვენებლებისაგან: ჭამეს, გაერთვენენ, დაისვენეს და ნასუფრალი აულაგებელი მიატოვეს და სხვა. მაგრამ ამნაირ ღორობას იოლად მოევლება თუკი ხელისუფლება თავისი ხალხისა და ქვეყნის მზრუნველი და მომსახურე იქნება (ეს საკითხი აქ ახლა ჩემი ინტერესების გარეთაა).

ღორობის მეორე სახეა მიმბაძველობა. აქ ნაკლებად მნიშვნელოვანია ეს შეუგნებლად ხდება თუ შეგნებით, ანუ როცა ვინმე ღორობის როლისთვის ფულს გიხდის თუ ღორობა შენც ხელს გაძლევს, ვინაიდან სხვა არაფერი დაგრჩენია, ანუ ღორობა შენი ნაღორალი ცხოვრებისთვის-გამოსავალია. ამ საკითხებს მაღალი ღონის ღორობის განხილვის მერე მივუბრუნდები.

მაღალი ღონის ღორობა ორსაფეხურიანია. ჯერ შენ უნდა გალორდე და მერე სხვები აქციო ღორებად, თორემ ღორობას მიმდევრები არ ეყოლება ანუ ღორობა საზოგადოებრივ ცნობიერებად ვერ გადაიქცევა.

მსოფლიოს 85 ადამიანს აქვს იმდენი ქონება, რამდენიც პლანეტის ახლანდელი მოსახლეობის ნახევარს ანუ 3,5 მლრდ. კაცს. მსოფლიო მოსახლეობის 15-20% ყველა წარმოებული კეთილდღეობის 80% მოიხმარს. ფინანსური სადავეები 9 ბანკირის ხელშია და ისინი წყვეტენ კაცობრიობის არსებობისა და მატერიალური კეთილდღეობის ბედს. ფინასურმა მაგნატებმა, გამდიდრების მიზნით, უამრავი ომი

შექმნა და სისხლისღვრა აწვიმა ციშქვეშეთს, მათ ანგარიშზეა პირველი და მეორე მსოფლიო ომებიც. იმათ ინტერესებს შეენირა ერაყელი, ლიბიელი, ვენესუელელი ხალხის კეთილდღეობა. ეს პროცესები გრძელდება დღესაც, და მილიარდერთა რიცხვი პროგრესულად იზრდება. 1986 წელს მსოფლიოში 140 მილიარდერი იყო, 2004 წელს მათი რიცხვი 691-მდე გაიზარდა, რომელთა საერთო შემოსავალი 2,2 მლრდ. დოლარს შეადგენდა. 2005 წელს მილიარდერთა რიცხვი 793 გახდა, ხოლო მათი საერთო შემოსავალი 2,6 მლრდ. დოლარს გაუტოლდა. 2011 წელს მსოფლიოში უკვე 1210 მილიარდერი იყო, ხოლო მათი საერთო შემოსავალი 4,5 მლრდ. დოლარს შეადგენდა. 2014 წელს მილიარდერები 1426 კაცს ითვლიდა, ხოლო მათი საერთო შემოსავალი 6 მლრდ. დოლარს მიუახლოვდა. ბოლო 10 წლის მანძილზე მილიარდერთა რიცხვი 2-ჯერ მეტად გაიზარდა, ხოლო მათი საერთო შემოსავალი თითქმის 3-ჯერ. საშუალო სტატისტიკური მონაცემებით ერთი მილიარდერი 4 მლრდ.დოლარის მფლობელია, რაც 0,7 მლრდ. დოლარით მეტია 2005 წლის შესაბამის მაჩვენებელზე. ამ დროს მსოფლიოში 1,3 ლრდ. ადამიანი აბსოლუტურად ღარიბია. თითქმის 3 მლრდ. ადამიანის დღიური გამომუშავება 2 დოლარს არ აღემატება. გამოდის, რომ 7 მლრდ. ადამიანიდან 4,5 მლრდ. სიღარიბის პირასაა და ცხოვრების ელემენტალურ პირობებს ვერ იკმაყოფილებს. 13-18 მლნ. ადამიანი შიმშილით იღუპება. აფრიკაში ყოველწლიურად 11 მლნ. ბავშვი დაბადებიდან ხუთ დღემდე მეტს ვერ ცოცხლობს შესაბამისი პირობების უქონლობის გამო. მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში მდგომარეობა იმაზე უარესია, ვიდრე 50 წლის წინათ იყო. ბოლო 30 წლის მანძილზე მდიდრებსა და ღარიბებს შორის ქონებრივი სხვაობა 2-ჯერ გაიზარდა. 3-ჯერ გაიზარდა საშუალო სულადობრივი შემოსავლის სხვაობა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის. გაეროს ვაჭრობისა და განვითარების სამდივნოს კონფერენციის მონაცემებით თითოეულ განვითარებულ ქვეყანაზე 60 სუსტად განვითარებული ქვეყანა მოდის. თუ სიღარიბის ზღვრად მივიჩნევთ 1\$, როგორც ამას გაერო იყენებს, მაშინ აფრიკისა და აზიის მოსახლეობის 64-71% ღარიბად ჩაითვლება. 1\$-ზე ნაკლები ღირებულების საქონელსა და მომსახურებას მოიხმარს ბრაზილიის მოსახლეობის 25%, ნიგერიის 67%, ინდოეთის 50%. მაშინ როცა პლანეტის მოსახლეობის 1% მსოფლიოს ძირითადი რესურსების პატრონია. ადამიანების 60% დღიური შემოსავლები 2\$ ნაკლებია. ამით თითქოსდა ყველაფერია ნათქვამი, მაგრამ ეს საზოგადოების თვალის ასახვევად არის გასაჭაროებული. მსოფლიო საზოგადოების ყურადღების გარეშე რჩება ისეთი ადამიანები, რომლებიც პლანეტის ფინანსურ წესრიგს ქმნიან. ექსპერტთა არაზუსტი მონაცემებით როტშილდების ოჯახი 3,2 ტრლნ. დოლარის ქონებას ფლობს, როკფელერებისა-1 ტრლ. დოლარით ნაკლები ყოფილა. ეს კიდევ ცოტაა. არის უფრო მაღალი რანგის ფინანსური რგოლი, საიდანაც ფინანსური პოლიტიკა მომდინარეობს. პირველ ადგილს ფინანსურ დინასტიაში ბარუხას ოჯახი იკავებს, თვით ბერნარდ

ბარუხა აშშ ბოლო 5 პრეზიდენტის მრჩეველი იყო. თუმცა ბარუხების სიმდიდრის შესახებ სტატისტიკური მასალების პოვნა პრაქტიკულად მოუხერხებელია თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ მონაცემებს ექსპერტები რომ ისვრიან. ასეთივე წესით გამოქვეყნდა პუტინის ქონებრივი მდგომარეობა, რომელიც თურმე 130 მლრდ. დოლარის პატრონი ყოფილა. მიხელ სააკაშვილს 10 მლრდ. დოლარის მესაკუთრედ თვლიან. დიდი ფულის პატრონები ჩრდილში ყოფნას ამჯობინებენ. ფაქტი ის არის, რომ როკველერებმა ტრასტში 37 ტრლ. დოლარი ჩადეს, როტშოლდებმა მხოლოდ 3 ტრლნ.

ინტერნეტით ვრცელდება 50 მდიდარი ქართველის სია, რომელიც იწყება 8 მლრდ. დოლარის მფლობელით და მთავრდება 10 მლნ. დოლარის მესაკუთრით (როგორც ჩანს 9,8...1 მლნ.დოლარი მდიდრებისთვის ხურდა ფულად ითვლება). იმ 50 კაცის საერთო შემოსავალი 35 მლრდ. დოლარს აღემატება, რაც ჩვენი ქვეყნის მთლიან ნაციონალურ პროდუქტზე 1,4 ჯერ მეტია. იმ 50 ქართველი მდიდარის საშუალო სტატისტიკური შემოსავალი 700 მლნ.დოლ. მეტია. უმუშევარია ქვეყნის პრომისუნარიანი მოსახლეობის მილიონი კაცი. 50 ათასი ბავშვი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს. 700 ათასზე მეტი პენსიონერი თვეში 200 ლარს ღებულობს. 2 მლნ. ადამიანი ქვეყნიდან გაქცეულია ლუკმა-პურის საშოვნელად. იყიდება ყველაფერი, ხოლო ყიდულობენ უცხოელები. მიწები უცხოელებზე დაარიგეს, ელექტროენერჯის წარმოება და რეალიზაცია ხელში ისევ უცხოელებს ჩაუვდეს. ახლა თვალი წიაღისეულზეა შეჩერებული. ამჯერად მიწის გაყიდვაზე შეიქმნა კამათი. მიწა და წიაღისეული ქვეყნის და მისი ხალხის საკუთრებაა და მისი გაყიდვის უფლება ხელისუფლების კომპეტენცია არ არის. მიწას თაობების მზრუნველი ხელი ატყვია და ამდენად ქვეყნისა და ხალხის ისტორიული საკუთრებაა. ისე არიან ჩვენი სახელისუფლო ჩინოსნები ფულის რელიგიით დასნეულობები, რომ ყველაფერში სარგებელს ეძებენ, მოსწრებაზე არიან, ვინაიდან სახელისუფლო თანამდებობები მოკლევადიანია და ამ ვადაში სიმდიდრის მოხვეჭა უნდა მოასწრონ. მათ არაფერი ჰყოფნით, მიტაცებულს არ სჯერდებათ და უზარმაზარ ხელფასებს, ასევე უზარმაზარ პრემიებს უმატებენ. აღმოჩნდა, რომ საქართველოში ჩინოსნის ხელფასი საშუალო ხელფასსთან მიმართებაში 700%-ია, რაც უპრეცედენტო ყოფილა იმ ქვეყნებისთვისაც კი, რომელთა მთავრობებსაც ისინი ჰბაძავენ (იქ აღნიშნული თანაფარდობა ხელფასებს შორის 40%-ს არ სცილდება). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, რომლის არაფრის მომცემი საქმიანობა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, წელიწადში ხელფასის სახით 63 ათას ლარზე მეტი თანხა მიუღია.

ქვეყნის ხელისუფლების ხელფასებისა და პრემიების სააშკარაოზე გამოტანამ ხალხის აღშფოთება გამოიწვია, რასაც ზოგიერთი თანამდებობის პირის, აქაოდა თქვენ არაფერი გაგვგებათო, და უტიუარი განცხადება მოჰყვა, რომ თურმე ხელისუფლებაში ნიჭიერ ხალხს მაღალი ხელფასისა და ყველამდე ჩაფლული პრემიების გარეშე ვერ

შენარჩუნებენ და ისინი სამსახურს მიატოვებენ (ნეტავი რა გაუკეთეს ქვეყანას ჯერ ლომიამ და მერე შაშკინმა). აი, ევრიკა! ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის უმძიმეს მდგომარეობაში ყოფნის გამო ხალხი ხელისუფლებას მაღალ ანაზღაურებას უნდა აძლევდეს. ქუთაისის მერიის თანამშრომელთა მხოლოდ წლიური სახელფასო ფონდი 3 მლნ. ლარს შეადგენს, რაც მერიის ერთ თანამშრომელზე საშუალოდ 3333 ლარის ტოლია. მაშინ როცა თითქმის 40 ათასი ქუთაისელი პენსიონერის წლიური საპენსიო თანხის მოცულობა 6 მლნ. ლარს არ შორდება.

საქართველოშიც ყალიბდება ელიტარული ფენა, რომელიც უკვე გაემიჯნა საკუთარ ხალხს და მოასწრო გაუცხოება მისგან. პრაქტიკულად შეუძლებელია იპოვო ქალაქში ფეხით მოსიარულე ჩინოსანი, სახელისუფლებო პირი ხალხის ამბავი რომ აინტერესებდეს, გაჭირვებულის მიხმარების სურვილი ჰქონდეს, წამლის ფული აჩუქოს, შეეწიოს, საქვეყნო მაღლი ჰქმნას, ადამიანის ბედით შეწუხდეს. ყველაფერი ისეა, როგორც წერილ არს: "ფულის მოყვარული ფულით ვერ გაძლება, და არც სიმდიდრის მოყვარული თავის შემოსავლით. ესეც ამაოებაა" (ეკლესიასტე 5:9).

ახლა მსოფლიო საზოგადოებრივი ცნობიერება ისეთია, რომ ყველაფერს სიმდიდრეს უწოდებს, რაც ადამიანის მოთხოვნებს მატერიალურად აკმაყოფილებს, როცა სულიერება მატერიალურშია განივთებული და მატერიალური ხატზე აქვს გადაცემული. არადა საქმე სულ მარტივია. ცნება "მდიდარი" ბიბლიაში სიდიდეს, დიდს, ბევრს ნიშნავს. ამდენად სიმდიდრე წარმოგვიდგება როგორც რაოდენობრიობა. თუ რაიმე ბევრი გაქვს, მდიდარი ხარ. ბიბლია ამაზე საკმაოდ ზუსტ პასუხებს იძლევა. მაგალითად, მშვიდობა გიმრავლოთ, წყალობით მდიდარი, მაღლით მდიდარი, წრმენით მდიდარი, მემკვიდრეობის სიმდიდრე და ა.შ.

რაკი სიმდიდრე სიმრავლეს ნიშნავს, მაშინ ცხადია ისიც, რომ იგი სტრუქტურულად მრავალგვარია. მაგალითად, ჯანის სიმდიდრე, შვილების სიმდიდრე, ქონების სიმდიდრე, საქონლის სიმდიდრე, მინდვრის ბარაქა, მოსავლის სიუხვე. გამოდის, რომ სიმდიდრე მატერიალურისა და სულიერის თანაარსებობაა, სადაც სულიერება მატერიალურის დემიურგია. პირიქით არ არის-მატერიალურის პირველადობა სულიერების დეგრადაციაა. ღმერთი მატერიალურის იდეა იყო და რაც შექმნა, ადამიანისთვის გააკეთა. რასაც ჰქმნი სიკეთისთვის გჭირდება. რასაც აკეთებ, სხვებისთვის აკეთებ, სხვები კიდევ შენთვის აკეთებენ. ამაში გამოიხატება ეკონომიკის ზოგადობა ადამიანის მიმართ. სტალინური ეკონომიკა სიკეთის ეკონომიკა იყო, ადამიანები ერთმანისთვის, ქვეყნის მომავლისთვის აკეთებდნენ. დედა ბუნებისაგან ღებულობდნენ და მაღლიერების ნიშნად ყურადღებასაც არ აკლებდნენ, მის გამდიდრებასაც ახერხებდნენ. ბუნება ღმერთმა ადამიანს მარტო საცხოვრისად კი არ მისცა, არამედ მოსავლელადაც და გასამდიდრებლადაც. ღმერთს მარტო დედისა და მამის მიმართ არ უთქვამს-გიყვარდეს დედა და მამა შენით.

ღმერთი სიმდიდრის, ყველაფერი დიდის, ყველაფერი სიმრავლის შემქმნელია. მან ადამიანს თავისი ჯიშის გამრავლებაც კი დაავალა. "კაცს ღმერთი აძლევს ქონებასა და სიმდიდრეს და იმის შნოსაც, რომ მოიხმაროს, მიიღოს წილი და გაიხაროს თავისი შრომით; ეს ყველაფერი ღვთის ნყალობაა"(ეკლესიასტე. 5:18). ამდენად, ღმერთი სიმდიდრის შექმნას კი არ უთვლის ადამიანს ცოდვად და ბოროტებად, არამედ იმას, რომ არ მივენდოთ სიმდიდრეს სულით, ანგარებამ არ დაგვიპყროს, რომ ღვთის სიყვარულმა სიმდიდრესთან არ ჩაიჩოქოს. "მიმოიხედა იესომ და თავის მოწაფეებს უთხრა: რარიგ ძნელია მდიდრისათვის ღმრთის სასუფეველში შესვლა. მოწაფეებს გაუკვირდათ ეს სიტყვები, ხოლო მან ხელახლა მიუგო და უთხრა მათ: შეიღებო, რარიგ ძნელია სიმდიდრის მოყვარულთათვის ღმრთის სასუფეველში შესვლა"(მარკოზი. 10:23-25). "და უთხრა მათ: ფხიზლად იყავით და ეკრძალებით ანგარებას<sup>8</sup>, ვინაიდან კაცს შეიძლება ყველაფერი უხვად ჰქონდეს, მაგრამ სიმდიდრით როდი ცოცხლობს იგი (ლუკა. 12:15). "არ დაამყაროთ იმედი მძარცველობაზე და მტაცებლობას ნუ გამოედევნებით; დოვლათი ოდეს გაიზარდოს, ნუ მიაქცევთ მას ყურადღებას" (ფასლმუნი.61:11). "მაშ, მოაკვდინეთ თქვენი მინიერი ასონი: სიძვა, ვნება, ბოროტი გულისთქმა, და ანგარება, რაც არის კერპთმსახურება"(კოლოსელთა მიმართ).

ამას თუ ვილაყ ისეთი წაიკითხავს, რომელსაც ფული თავსაყრელად აქვს და რაზეც ხელი შეიჭრა, ყველაფერი გამოუვიდა, გაეცინება, იტყვის, რაებს ბოდავსო. როკფელები და როტშილდები ხომ ბიბლიურ ზნეობაზე სიცილით იხოცებიან. ის კი არავინ უწყის, რომ ღმერთს არსად ეჩქარება და ყველას თავის დროზე მიაკითხავს და თავისას ამცნობს, ბევრჯერ განუკითხია და განიკითხავს."რას არგებს კაცს, თუ მოიგებს მთელ ქვეყანას და სულს კი წააგებს? ანდა რას მისცემს კაცი თავისი სულის სანაცვლოდ? რადგან ვერცხვინები მეცა და ჩემი სიყვებიც ამ მემრუშე და ცოდვილ მოდგმაში, ძე კაცისა სამარცხვინოდ მიიჩნევს მას, როდესაც მოვა მამის თვისის დიდებითა და წმიდა ანგელოზთა თანხლებით"(სახარება მარკოზისა. 8:36-37).

მსოფლიო ფინანსური დინასტიის მაგნატებმა და ოლიგარქებმა დიდი ხანია ღმერთს განერიდნენ და საკუთარ თავში ჩაიკეტნენ. რაკი უღმერთოდ ცხოვრება შეუძლებელია, ფული აქციეს ღმერთად, რის საფრთხის შესახებაც მაცხოვარი 20 საუკუნის წინათ გვაფრთხილებდა. "არავის ძალუძს ორი ბატონის მონობა:რადგან ერთს შეიყვარებს და მეორეს შეიძულეს, ან კიდევ ერთს შეითვისებს და მეორეს შეიზიზღებს. ვერ შეძლებთ ღმერთსაც ემონოთ და მამონასაც"(სახარება მათესი. 6:24). დაემონეს ფულს და მსოფლიო ფინანსური ოჯახები შექმნეს. 4-5 საუკუნეა, რაც ფინანსური დინასტიები ერთმანეთს ექიშებიან ქონების ღორობის პირველობაში. ფულით იღორეს და ღორობის ეკონომიკა დამკვიდრდა. ჰაერში ფულის სუნი ტრიალებს, ფულის არომატი იგრძნობა. მსოფლიო ფულის მეფეებმა ხალხები და

<sup>8</sup> ამორალური, ეგოსტური თვისება ადამიანისა, გამორჩენის მიზნით მოქმედება.

ქვეყნები ერთმანეთს გადაჰყიდეს და სისხლის გუბეები დააყენეს, ბუნება დაასახიჩრეს, ადამიანები დაავადმყოფეს, დაამშიეს, ყველაფერი წაართვეს.

დედამიწა დამძიმდა სიცოცხლისა და ბუნების მომსპობი საშინელი იარაღებით, რომლის წარმოების მასშტაბები წლითი-წლობით მატულობს, რათა რასაც თუ ფულით ვერ წაიღებენ, ძალით რომ წაიღონ. ბოლო 25-30 წლის პერიოდში მსოფლიოში იმდენი ნედლეული იქნა მოხმარებული, რამდენიც ცივილიზაციის მთელ მანძილზე. მსოფლიო სასწორის პინეზზე დევს.



## მონობის ეკონომიკა

ბიბლიურად ადამიანი ცოდვის მონაა, ვერცხილსმოყვარეობაც კიდევ ცოდვაა. მაშასადამე, ფულის მოყვარული ფულის მონაა. ეს ბრძნული ჭეშმარიტება სიტყვიერად თითქმის ყველამ კარგად იცის, მაგრამ ფაქტის წინაშე რომ აღმოჩნდებიან, მაშინ აღარ ახსოვთ. ახლა ფული სულიერებას ჩაენაცვლა და ადამიანი საქონლად აქცია. ზოგს შეიძლება ეს ნათქვამი გადაჭარბებულად ეჩვენოს, მითუმეტეს, როცა ამ სტრიქონებს კითხულობს. მაგრამ უნდა გავანზილო ჩემი არგუმენტებით, რომელიც ყოველ ფეხის გადადგმაზე მხვდება. მკითხველმა, რომელმაც ამ წიგნის წინა თავები წაიკითხა, იფიქრებს უთუოდ, ავტორს ქართული ყოფის ეკონომიკის კიდევ რანაირი წახნაგი გამოორჩაო. სწორია, მეც ასე მეგონა, მაგრამ როცა ქუთაისის ტერიტორიული და ადგილობრივი სამსახურების უფროსებს შევხვდი, თურმე ტყემლიდან ბოლომდე ჩამოსული არც მე ვყოფილვარ.

შევხვდით. ვსაუბრობთ გულახდილად, ვინაიდან შუამავალი გვყავს ანუ ინტერესების მიჯნაზე ვიმყოფებით-იმას მერე ინფორმაცია ექნება და პერსონალური მონაშე ეყოლება ინდივიდზე, რომელიც კარგად იცის რა ღვითოა და როცა დასჭირდება „წითელს“ აუნთებს და ჯიბეს თუ არ გაისქელებს, თავს ჩააქინდრიფნებს. ჩვენ კიდევ გვაინტერესებს, ეს კაცი სახელმწიფო მოხელეა თუ რომელიმე პარტიული გუნდის ყურმოჭრილი მონა-მოსამსახურე. მიკითხვა-მოკითხვის შემდეგ, შეხვერდა ფამილიარულად დაიწყო. ჯერ ჩემს მხარესაა-თანაუგრძობს ყველა გაჭირვებულს, მაგრამ რა ჰქნას, მძიმე მემკვიდრეობა დარჩენიათ წინა ხელისუფლებისაგან, კოჰაბიტაციაც გარედან თავსმოხვეული იძულება ყოფილა, მძიმე საქმე აწევს უღლად, ირგვლივ ნაციონალები არიან, ყველაფერი იმათ ხელშია, ძალიან უჭირს, მაგრამ წლის ბოლომდე დამთავრდება ყველაფერი და მერე დაიწყება, რაც ხალხს უნდა. აგერაა 2016 წელიწადი და ნახავთ, რასაც ვიზამთო. თურმე თავი გაუწირავს და თბილისი მიუტევებია ხალხის სიყვარულის გამო და რაკი ქუთაისში საჭირო ყოფილა, იქაურ მთლიან სახელფასო განაკვეთს აქაური ნახევარგანაკვეთიანი ხელფასი არჩია. ოჯახიც თბილისში ჰყოლია და არის გამოკვრებული ქუთაისისა და თბილისის შორის ბათუმელი ქალივით შვილი რომ თბლისში სწავლობდა და ერთი ფეხი ბათუმში ჰქონდა და მეორე თბილისში.

ყველაფერზე გვეთანხმება, რომ საქმის შინაარსი იცის: რამდენი მექრთამეა, ვინ რას აკეთებს, რომ არ ინვევენ ქეიფებსა და შეკრებებზე მექრთამეები, რომ იმათ აქვთ სახლები და ბიზნესები. იცის ყველაფერი და მისთვის ახალი არაფერია. ბოლომდე „გაიხადა“, ვითომ არაფერი დაგვიმალა მისი ჭკიუთ. ბოდიშსაც იხდის, რომ არაფრის გაკეთება შეუძლია. ჰოდა, რა ჰქნას ხელფეხშეხორკილმა: ტელევიზია კერძო სექტორია, განათლების საკითხებში ვერ ჩაერევა, სასამართლო დამოუკიდებელია, პროკურატურას ვერ გაეკარება, სასწავლებლები ავტონომიურია. შემოგვაპარა: მეტი აქტივობაა საჭირო, მოითხოვეთ თქვენი უფლებებიო.

ჩვენ სამი ვართ, ისინი-ორი. უფროსი საუბარში რომ გაერთო, რაც თავში თქვა, უკვე დაავინწყდა და „ბრძნული“ აზრი მოგვანოდა-სასწავლებლის რექტორს დავიძახებო. ვიუარე, რა მიხვედრა უნდოდა, შერიგება ენადა, არადა მექრთამეაო-თავში გვითხრა. საათზე იყურება, თურმე შეხვერდაა ჰქონია ვილაყვებთან და ვერ დაავგანებდა. 5-ს ხუთი

ნუთი აკლია და არ დავანებე და კითხვები დავაყარე: რად გინდათ უნივერსიტეტები ქალაქში თუ ისინი თქვენ მეცნიერულ წინადადებებს არ მოგცემენ, თქვენ კიდევ რატომ არ გამართავთ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს, ამ ქალაქს 300 გამომგონებელი ჰყავს...

მაგის საშუალება ვინ მოგვცა, კონფერენციებისთვის 100 ლარის დახარჯვის უფლებაც არ გვაქვს... 2003 წელს ქუთაისის მაშინდელმა მერმა საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ჩაატარა. ეს კონფერენცია მე მიმყავდა...

კაი, თუ კაცი ხარ, წელში გაიმართა მასპინძელი, მაგ მერმა დალუპა ქუთაისი, კორუფციაში იყო ყელამდე ჩაფლული. მაგის გამო ვართ ამ დღეში...

კომუნისტებმა სამ წელიწადში რიონჰესი ააშენეს, რომელიც სოფელ გუმათიდან მთელ ქუთაისს გვირახით მიუძვრება და მდინარე რიონის დასახლების რკინიგზის სადგურთან ეშვება...

კომუნისტებმა დალუპეს ქვეყანა, ახლა მასე არათფერი გამოვა... 1930 წელს საქართველოში არც ერთი უმუშევარი არ იყო, ყველა რაღაც საქმეში იყო ჩართული... რა დროს კომუნისტობაა, ახლ სხვა დროა და სხვანაირად უნდა ვიმოქმედოთ...

მინდა ზემოთ თქმულს მივუბრუნდე. მაშინ ის კონფერენცია პირველი იყო, რომელიც ნიკო ნიკოლაძის 160 წლისთავს მიეძღვნა, რომელსაც რუსეთის, ირანის, საფრანგეთის ელჩები, ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი ესწრებოდნენ.

კონფერენცია ბიზნესმენებმა დააფინანსეს: ბ. ივანიშვილმა, ბ. პატარკაციშვილმა, გ. თოფაძემ, ა. მორჩილიძემ...

მაგი მაკლია ახლა ბიზნესმენებს ჩაუუჭდე წილში. მერე მაგენს მოვიშორებ აქედან?... ფეხზე ვდგები და დანარჩენ თანმხლებლებს მივანიშნებ, რომ გავიდეთ, ვინაიდან ყველაფერი გასაგებია. მასპინძელიც წამოდგა, ბოდიშა იხდის, რომ ვერაფრით გვეხმარება. ჩვენს გვერდით მდგომ ქალბატონს ჰპირდება, რომ რექტორს დაიბარებს და მას დაკარგულ სამუშაოზე აღადგენს. ჩვენ დანარჩენმა ორმა უნდა განვაგრძოთ ბრძოლა ჩვენი უფლებების დასაცავად და ახლად დანიშნულ გენერალურ პროკურორს მივმართოთ.

ზრდილობიანად დავემზვიდობეთ, იმანაც გაიხარა, გადარჩა უხერხულობებს. სწრაფად მივაშურე სამსახურს და კვირის დარჩენილი დღეები ჯ. კოლემაწის „300 კომიტეტის“, „კრასნაია სიმფონიას“, აბე ფილკენშტეინის ინტერვიუს, გერასიმოვის სენსაციურ ინტერვიუს, ლინდონ ლარუმის „ფიზიკურ ეკონომიკას“ მეორედ თუ მესამედ მივუბრუნდი.

წარმატებებს მხოლოდ ისეთი სახელმწიფოები, ორგანიზაციები და სამსახურები აღწევენ, რომლებიც პროფესიების შესაბამისი მონაცემების სპეციალისტებს არჩევენ. უკვირთ ხოლმე, რომ მეორე მსოფლიო ომის წინ საბჭოთა კავშირში მეხუთე კოლონა არ არსებობდა, ის კი ავინყდებათ, რომ უშიშროების სამსახურში კადრებს მეცნიერების მიერ სპეციალურად დადგენილი რეკომენდაციების მიხედვით არჩევენ. კანდიდატის შერჩევისას მხედველობაში იღებდნენ ისეთ მახასიათებლებს, რომელიც არაპროფესიონალს სასაცილოდ ეჩვენებოდა. მაგალითად, თმის ფერი, თვალების სიმრუდე, სხეულის არაპროპორციულობა, ხალები სახესა და ტანზე, მშობლებისა და ნათესავების საზღვარგარეთლებთან კავშირი, ოჯახური ტრადიციები და სხვა. ის არა,



მაგრამ ახლა კი ქართველები, ნამდვილად, მართლაცდა სასაცილო მდგომარეობაში ვართ. ხელისუფლებაში, ქვეყნის მმართველობისათვის ვირჩევთ ადამიანებს და არავინ იცის რამდენად ვარგისიანი იქნებიან ისინი დაკავებული თანამდებობებისადმი. პარლამენტსა და მთავრობაში ბევრი პირდაპირ სტელუდენტის მერხიდან მოხვდა, ბევრი კიდევ პროფესიონალია იმდენად, რამდენადაც დიპლომირებულია. აქ კიდევ ექსპერტები იმაზე იმტვრევენ თავს, თუ რატომ არ იქცევიან ხელისუფლები კანონიერად, პროფესიულად და ხალხის საკეთილდღეოდ, თუ რატომ ვერ იკავებენ თავს და იმას წამოროშავენ, რაც ენაზე მოადგებათ, იმის წარმოდგენა არა აქვს თუ რა რეაქცია მოჰყება უმაღლესი ტრიბუნიდან მათ გაუთლელ და ავადმყოფურ, ჰაერზე ნასროლ წინადადებებს მისი უბედური სამშობლოს სხვა ქვეყნებთან სახელმწიფოებრივ ურთიერთობებში დროის მიმდინარე და პერსპექტიულ დასალიერში. ამის თვალსაჩინო ილუსტრაციად ზემოთ ნახსენები რწმუნებულის მოდგილე საუკეთესო ნიმუშია. რა ჰქნას საცოდავმა თუკი მას ადგილობრივი პრესა და ტელევიზია არ ემორჩილება, არც პროკურატურა, არც განათლების ობიექტები. მაგრამ იმედი არ უნდა დავკარგოთ, კიდევ რამდენიმე დღე და დასრულდება ეს წელიწადი. აი, მერე ნახავთ როგორ შეიცვლება ყველაფერი-გვამშვიდებს მისი ჭკუით. ჩვენს თანმხლებელ ქალბატონს ისევ ახსენებს, რომ დაიბარებს იმ სასწავლებლის რექტორს და სამუშაოზე აღდგება. აკი, უმაღლესი სასწავლებლები არ მემორჩილებიანო? აი, როგორი ადამიანები არიან წამოსკუპულები სახელისუფლო სკამებზე. ისინი სკამებს ეკუთვნიან და არა ქვეყანას და ქალაქს. ეს „გენიალური აზროვნება“ რომ არ შეაწუხონ, ქვემოთ შემოსასავლელში სპეციალური განყოფილება იცავს. ამიტომ მასთან მოხვედრა ძნელია ძალიან არა იმიტომ, რომ დაკავებულია სამსახურებრივად, არამედ იმიტომ, რომ არც არაფერი იცის და არც არაფერი ეკითხება. მისი საქმე მკაფიოდ განსაზღვრულია-მომავალი არჩევნებისთვის გააკეთოს ის, რასაც დაავალდებენ. ამისთვის „შავ“ ინფორმაციებს აგროვებს. ჩვენთან საუბარში წამოროშა, რომ მან კარგად იცის იმ რექტორის, რომელსაც ახლა დაიბარებს ჩვენი თანმხლებელი ქალბატონის თაობაზე და სამსახურში აღდგენას დაავალდებს. მერე გავიგე, რომ ამ ქალბატონსა და მის ოჯახს შორის საერთო ნაცნობობა გამორკვეულა. საინტერესო მედლის მეორე მხარეც კი არის, რომ ეს ქალბატონი „ოცნების“ 2016 წლის არჩევნებისთვის თავგამოდებული პროპაგანდისტი იქნება და რაკი თავის დასახლებაში მთელ უბანს იცნობს, და როგორიც თვითონ თქვა: იმიტომ გაათავისუფლეს სამსახურიდან, რომ ნაციონალებს არ უჭერდა მხარს, ყველას ფეხზე დააყენებს „ოცნების“ მხარდასაჭერად. რა ვუყოთ იმას, რომ რექტორი ნაციონალია. აი, აქ არის აზრების თანხვედრა-რექტორი ახლა „ოცნების“ კაცი გახდება, აკი იციან, რომ ბევრი ფულის პატრონია, მრავალი კერძო ობიექტი იყიდა რექტორობიდან ნაშოვნი ფულით და ახლა „ოცნებას“ უნდა გაუნათოს გზა ხელმეორე არჩევნებში. აი, რა კარგი ყოფილა კოჰაბიტაცია. ვის აინტერესებს შენი ქუთაისი და ქვეყანა.

ამას წინათ გავრცელდა ინფორმაცია ფასიანი სამხედრო სამსახურის შემოღების თაობაზე. მეც გამოვეხმაურე და დავწერე, რომ სამშობლოს დაცვა ყველა ადამიანის წინდათა წმინდა ვალია. რის პასუხადაც ჩინოვნიკმა მომწერა, რომ თურმე ადამიანს სამშობლოს სიყვარულს ვერ დაავალდებს. ამ კაცს რომ სკოლაში ქართული ლიტერატურა ესწავლა, ან უმაღლეს სასწავლებელში ხეირიანი ლექციები მოესმინა, ამ

სისულელეს ხომ არა წამობოდავდა. სისულელების არც რცხვენიათ, ეს მათში არანაირ უხერხულობას არ იწვევს. მას მხოლოდ „თბილი“ ადგილი უნდა, დანარჩენი ნაკლებმნიშვნელოვანია, ვინაიდან ფულს სუნი არა აქვს, არც სირცხვილი ახლავს. ფული ყველაფერზე მაღლა დგას ლიბერალურ ეკონომიკაში.

ხედვა სხვადასხვანაირია. ვისაც თვალი აქვს ყველა იყურება და მეტნაკლები სიზუსტით აღიქვამს საგნებს და მოვლენებს, ან გრძნობს ფიზიკური ორგანოებით. უფრო მაღალი დონეა აბსტრაქციული ხედვა. სიღრმისეულია მეცნიერული ხედვა. ყველასა და ყველაფერს ღმერთი ხედავს. რაც უფრო ბევრ საგანს უყურებს ადამიანი, მით უფრო მეტი საღერღელი ეშლება და ლაპარაკის დასრულება უჭირს. ახლა ჩვენს წინ მატერიალური იმდენად ბევრია, იმდენად მიმზიდველია საინფორმაციო ოკეანე, რომ ადამიანს თავი ყველაფერის მცოდნე ჰგონია. „პატრიოტულ ალიანსს“ ტელეგადაცემაში უაღრესად კულტურული ინტელექტი ჰყავდა მოწვეული, რომელმაც კაპიტალური პრობლემა შექმნა ინგლისისა და აშშ საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე, რასაც 30 წელიწადზე მეტი მოანდომა. მეორე დღეს ამას იმდენი ბინძური „გამოხმაურება“ მოჰყვა, რომ ნიჭიერი ამროვნება, ალბათ, ჭკუიდან გადადიოდა. პრობლემა, რომლებმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვეს, არამკითხვე ვილაცებმა ქილიკის საგნად აქციეს. იმასაც არ მიაქციეს ყურადღება, რომ უცხოეთის არქივებში მომუშავე მკვლევარს ხშირად შიმშილობა უხდებოდა, რომ წიგნები შეეძინა და უნიკალური ბიბლიოთეკა შეექმნა დროის იმ პერიოდის მონაკვეთებში, რომელიც სიცოცხლის განწირვის ტოლფასი იყო.

უბედური დრო დაგვიყენეს და ჩვენც მივიღეთ იგი, ვინაიდან უცხოელმა ჭკუის დამრიგებლებმა ჩვენზე უკეთ იცოდნენ, თუ რა იყო ადრინდელი ჩვენი „უბედური“ ცხოვრების საფუძვლები-უფასო და საყოველთაო განათლება, და მეცნიერების პრიორიტეტები, ფულის როგორც საქონლის გაცვლის საშუალება და ნაციონალური თავმოყვარეობა. ისიც, რომ 500-800 კგ. წონის აქლემი ნემსის ყუნწში უფრო ადვილად ძვრება, ვიდრე 80-90კგ. ცოდვილი მილიარდერი, ვინაიდან იმ გაჭირვებული აქლემის მთელი სიმდიდრე მისივე კუბში ეტევა, ხოლო მილიარდერს იმდენი ქონება აქვს, რომ აქლემი თავისი ნაშიერით და დამარაგებული კუბით მის სიმძიმეს ბუზის წონამდე თუ გაუტოლდება. ამიტომ ურჩევნია აქლემს ნემსის ყუნწში გაძვრეს, ვიდრე მილიარდერის აურაცხელი ბარაქა ათრიოს. აქლემი აქლემთან ქარავანს ქმნის, ხოლო მდიდარი უფრო მეტ მდიდართან ყურმოჭრლი მონაა და როცა საჭირო იქნება აქლემს იმაში წახედავს, რომ „სამაიათი“ კლდიდან გადაუძახებს, თუკი ისეთი სიმღერა წამოსცდება, რომელიც მის რეპერტუარში არ შედის. ამიტომ არიან ერთ გუნდში წყნარად ვირებივით: აურაცხელი ქონების პატრონები მოციქულები არიან, რომელთაც თავიანთი ღმერთი-ლუციფერი ჰყავთ, ხოლო დანარჩენი მდიდრები მისი ზნედაცემული ანგელოზები არიან ქვეყნებში ჯარისკაცებად გაბნეულები. მათ თავისუფლება არა აქვთ, ისინი ფულის მონები არიან. მათი თავისუფლება დამოკიდებულია ზეპირ უფლებებზე და მით უფრო ვრცელია, რაც მეტია საკუთარი მოსახლეობის ძარცვის უკიდურესობა. ფაქტები სახეზეა. მოსახლეობის უმრავლესობა მონებად გადააქციეს და გაჭირვებულად ცხოვრობენ.

ბოლო ხანებში გახშირდა ზოგიერთების გაკვირვება იმასთან დაკავშირებით, რომ თურმე დასავლეთელი პოლიტიკოსები და ძმანი მისნი ჩვენს შინაურ საქმეებში არ

ერევიან და მხოლოდ ზოგიერთი გადაგვარებული ქართველი ქვეყნის დაქცევაში პირად ინიციატივებს იჩენს. განა ლუციფერიც სული არ არის? სწორია რაკოვსკი, როცა ამ სულის ადამიანებს მოიხსენიებს სახელით „ისინი“. სული არ გამოდის სხეულით საცნობრად, მაშინ იგი კაი ხნის მკვდარი იქნებოდა. ლუციფერული სული ქმნის თამაშის სახეებს და წესებს, რომლებშიც შორს მიმავალი ზრახვები არის ჩაბუდებული. მხოლოდ ზეციურ აზროვნებასთან წილნაყარს შეუძლია მისი ამოკითხვა, რომელსაც კაცობრიობის მიუხვედრებელი უმრავლესობა სარწმუნდ არ ღებულობს. ცდუნებას მანამდე მიჰყვება, ვიდრე კისერს არ წაიტეხს. სულსწარფობამ, წამხედურობამ, დაფეთებულმა თვალებმა რამდენჯერ აგვინგრია ცხოვრება. მივეჩვიეთ საკუთარი სისუსტეების, უმეცრების, წინდაუხედავობის სხვებზე გადაბრალებას, ღმერთს მაშინ ვიხსენებთ, როცა სისხლი გვდის, როცა ცრემლები გვასველებს, როცა უმწეოები ვართ ახალშობილი ბავშვებივით, და საღვთო წესებს კი არ ვიცავთ, ღმერთს ვთხოვთ შემწეობას, ძალას, ბოროტის დამარცხებას, ჩვენს მაგიერ მოქმედებას. მწედაცემული ანგელოზი იმითი გვჯობია, რომ იგი ბოროტი გენიაა, თანმიმდევრულია, მკაცრი და სასტიკი. მისი ზიარება ნიშნავს ლუციფერის კანონების ზედმიწევნით დაცვას, შენდობა და მითევება მისთვის არ არსებობს. მათი საიდუმლოება ეპოქებს აბერებს. ხანდახან გამოაგდებენ ნახევარ სინამდვილეს, რათა ყველამ იგრძნოს, რომ იგი სასტიკია და ყველა, ვინც კი მას წინ აღუდგება, აუცილებლად დაისჯება. ფინანსურმა იმპერიამ იმსხვერპლა აშშ პრეზიდენტი კენედი, საფრანგეთის პრეზიდენტი დე გოლი. თანდათან იფანტება ბურუსი, რომელიც სტალინის მკვლელობის საიდუმლოებას ახლავს, თუმცა რაკოვსკიმ მისი დაკითხვისას მიუკიბავად თქვა, რომ სტალინს მოკლავენდნენ, ვინაიდან ფინასურ იმპერიას გაერიდა და საკუთარი კონსტრუქციის სახელმწიფო შექმნა. არც ის დაუმაღლავს, რომ ფინასური იმპერია გააკეთებდა ამას თვით სტალინის გარემოცვს ხელით. გააკეთეს კიდევ და მესამინდე ხრუმჩოვს დღემდე მიათრევიანებენ იმ მძიმე ჯვარს, რომელმაც არც იცოდა ვინ ჩამოჰკიდა და როდის.

ვფიქრობ მოვახერხებ მეთქვა მკითხველისთვის ის, რომ ფულის რელიგია ახლა ძლიერამოსილია მთელ მსოფლიოში და საქართველო, ამ მხრივ, გამონაკლისი ვერ იქნება. უფრო მეტიც, ქართველი და საქართველოში გაზრდილი მილიარდერები და მილიონერები ფულის რელიგიის მსახურები არიან და მათთვის საქართველო სამშობლო კი არაა, ფულის შოვნის ადგილის დედაა, სადაც ჯერ კიდევ სჯერათ, რომ მისი გვარისა და სახელის ხორციელი უსულობა მისი სისხლისა და ჯიშის ნაწილია. მკითხველო არ იფიქრო, რომ გულმოსული და გაფიცხებული ვარ და სიბრაზე მაცეცხლებს. ისე მართლაც ძნელია მოითმინო ის, რასაც ჩვენს კმაყოფაზე დამჯდარი უზნეო ხელისუფლები „საპასხმელიოდ მღერიან“-მხოლოდ თქვენთვის ვითმენთ, თორემ რასაც ამ სატაჯველი თანამდებობების გამო გვიხდიან, ზღვაში წვეთია და მეტი არაფერი. ცხოვრება, რასაც ჰქვია, თქვენ გაქვსო. პენსიები ორჯერ და მეტად გაგებარდათ, ვიდრე შევარდნაძის დროს გქონდათ, როცა ჩვენთაგან ზოგს ხელფასები შეუმცირდა, ზოგს იგივე დარჩა, პრემიები და დანამეტები დავინწყებას მიეცაო. როცა ერთხელ წაუყრებ ტყუილს, მეორედაც, მესამედაც, არ უნდა გიკვირდეს, რომ ყრუმუნჯად გთვლიან, ხეიბარი ხარ და მორწმუნე მდაბიო, რომელსაც სულ ცოტა სჭირდება. ერის ტრაგედია აქედან იწყება-ადამიანი მეორე ადამიანის ნდობას ბოროტად იყენებს და ამას ბუნებრიობად მიიჩნევს. ეეჰ, აბა ნაციონალებისთვის სამართალი მიგვეზღვია,

რამდენი თვითინიციატივით ღურთავდა თავს ნების სუნიან სამალავებში იმის შიშით, რომ მასაც მოჰკითხავდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ეს წვრილმანობა ხელის შესახოცადაც არ ვარგია, მაგრამ ისე ეთბილა შემცვლელ ხელისუფლებას თანამდებობრივი სკამები, რომ ძველი აზროვნებიდან „ხელი ხელს ჰბანს და ორივე პირს“ კოჰაბიტური ჰიგიენის პირსახოცი ამოიტანა და გასაქცევად გამზადებულ ხელისუფლებას მხარზე გადაჰკიდა, არ დაგავინწყდეს, შეიძლება მალე მეც შენ დღეში აღმოვჩნდეთ. ფაქტი სახეზეა-ძველი და ახალი ხელისუფლება ერთმანეთს უფრთხილდებიან, ხოლო თუკი რაიმეში უთანხმოება მოვუათ, დასავლელ მასწავლებლებს მიაკითხავენ საქმის გასარჩევად. ხალხს ვინ რას ეკითხება! არა, მოვა დრო არჩევნების და დაინწყება ტაკიმასხარაობა და ილუზიონისტთა კონცერტები. ვილაყებს სამედიცინო ოპერაციებს დაუფინანსებენ, სადღაც გზებს დაათვინენ ასფალტს, რამდენიმე სოფელს კაპრონის შლანგებს დაურიგებენ, სადღაც ჭაბურღილს ამოთხრიან, ვილაყებს კარტოფილსა და შაქარს უფემქაშებენ და წავა ხმების მიცემის სომხური და ქუთაისური სერიალები. საარჩევნო კომპანიის პერიოდი სასაფლაოსავით მოასწორებს მონა-მორჩილების უსწორ-მასწორებებს და ფრანგული რევოლუციის ძველი ლოზუნგი: „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“ ერთთვიან რეალობად იქცევა. ამასობაში ახალბედა ხელისუფლები თანამდებობრივ სკამებს მოირგებენ და საყოველთაო კეთილდღეობის დაპირებები ისე მალე გადაავინწყდებათ, როგორც ათასში ერთხელ მაისის თვის ანომალური ერთდღიანი წამოთოვა, რომელიც მესამე დღეს ბევრს გულწრფელად უკვირს, ეს ცხადი იყო თუ წინა დღიდან გამოყოლილი სიზმარი. სამაგიეროდ არ დაავინწყდებათ ახლობლები და...დანარჩენი ყველამ ყველაფერი ვიცით.

მონობა გაიარა კაცობრიობამ, მაგრამ მას თავისი დრო და პერიოდი ჰქონდა. თანამედროვე საუკუნე მონობის უმკაცრესი ფორმაა. ფულის მონობა სატანისტური მონაგონია. მისთვის უცხოა ეროვნება, ოჯახური სინწინდე, ეკლესია, ჯვარი, სინდისი და სიბრალული. ყველაფერს გიკრძალავენ, შენი ადამიანური პრეტენზიები წესრიგის დარღვევაა, ხოლო იმათი თავგასულობა-დემოკრატია. შენ წარსული უნებლიედ თავს გახსენებს, სამაგიეროდ იგი ამას ჩამორჩენილობაში ვითვლის. ეშინია ხალხისადმი ხელისუფლების სამსახურის უახლესი აზროვნების გაღვიძებისა, რომ საზოგადოებრივ მოძრაობად არ იქცეს და სახელმწიფო გაიძვერული მექანიზმებით ხალხისგან მოპარული და მითვისებული უძრავ-მოძრავი ქონება იმ გზით არ ჩამოართვან, რა გზითაც თვითონ მიისაკუთრა. ჰო, ქურდობა, წართმევა, ხალხის ხარჯზე ცხოვრება ცოდვაა ღვთის წინაშე, ცოდვილი თავისი ცოდვის მონაა ქრისტიანული რელიგიით. ამიტომ ცოდვის დაძლევა მისი მონანიებით შეიძლება, რომლის შედეგია თავისუფლება. მონანიება ღმერთის წინაშე ხდება. არის მარტივი ლოგიკური სენტენცია-რა უნდა მოინანიოს ფულის რელიგიის ფანატიკოსმაც კი, როცა მისი ღმერთი ლუციფერი მისგან მხოლოდ მორჩილებას მოითხოვს. რა უნდა თხოვო ღმერთს ლუციფერს ის, რაც მას თვითონ არა აქვს. ჰო, როცა სული გაყიდულია მადლი არ არსებობს და შენდობაც არასადიან არის. უღმერთო ბოლშევიკებმა აღიღეს მახვილი და მერე იმ მახვილითვე დაიხოცნენ. ტყუილად იღვრებიან ნიანგის ცრემლებად მათი შთამომავალნი, ვინაიდან „рукописи не горят“. სასჯელი ისევ განმეორდება, ვინაიდან

ღმერთი ადამიანს იმას სთხოვს, რისთვისაც მას ადამიანი უნდა, რასაც ადამიანობა ჰქვია.

ჩნდება ძალიან მარტივი კითხვა: თუკი 50 მლდარ ქართველს ქვეყნის მშპ-ზე 3-ჯერ მეტი თანხა აქვს, რატომ არაფერს აკეთებს ხალხის კეთილდღეობის ასამაღლებლად? ახლა საქართველოში ხალხი ინდივიდუალიზებულია და მოსახლეობას წარმოადგენს ანუ ადამიანი ადამიანისთვის საშუალებაა, რაც უფრო მკაცრია ძარცვა, მით უფრო მეტია ცალკეული პირების გამდიდრების შესაძლებლობები. ყველაფერი ფულია-დასაფლავებაც და სასაფლაოც. გაჩნდა ახალი ტერმინი-სასაფლაოს დირექტორი, ბიზნესმენი. სიკვდილიანობის ზრდა-გამდიდრების საშუალებაა. წამალი და სანამლავიც ბიზნესია და ფულის კეთების ინდუსტრია. როცა ფული მეფობს, სინდისსა და სირცხვილს არჩევებში სძინავთ. მახსოვს ბავშვობიდან: მეზობლები ერთმანეთისაგან ფულს სესხულობდნენ კვირეობით, თვეობით. რის პროცენტი, რისი სარგებელი. ახლა ფულს ვინ გასესხებს-ფული „ცხელია“ და მაგიური-ქალაქის საქონლსა და მომსახურების მოძრაობის შუამავალს-პროცენტები მოაქვს. ძროხა მხოლოდ რძეს იძლევა და თანაც სეზონურად, ჭამაც ხომ უნდა. ფულმა არ იცის სეზონურობა. მაგრამ ღამეები უნდა უთიო და კუდში მისდით. ამიტომ ადამიანებს ერთმანეთისათვის არ სცალიათ. ერთმანეთიც კი ფულად ეჩვენებათ. 50 ქართველ მილიარდერ-მილიონერს, რომ ტრილიონებიც ჰქონდეს, ქვეყნისთვის ახლა ხომ არ იცლის და არც მაშინაც მოიცილიდა, ვინაიდან თავიანთი ღმერთის-ლუციფერის ერთგულები არიან. გადაშლი იმ საუკუნის 30-50-იანი წლების ურუნალეებსა და გაზეთებს და თვალებს ვერ დაუჯერებ, რომ დიდი შემოსავლების ადამიანები გაჭირვებულებს სახლებს უშენებდნენ, სკოლებს აგებდნენ, ბაგა-ბალებს უშენებდნენ ბავშვებს. ეს მათი ღირსებისა და ადამიანური შეგნებულობის საზომი ერთეულ იყო. ახლა საქართველოში იმაზე ნაკლები რაოდენობის ქალაქია, რამდენიც ძალიან მდიდარი ადამიანია. განა თვითველი ერთ ქალაქს ვერ მოუვლის? რა თქმა უნდა მოუვლის, მაგრამ ვერ იზამს, და თუ იზამს, მაშინ ყველაფერს დაკარგავს. ფულის შოვნის სცენარი დაწერილია და მოთამაშებმა წესები უნდა დაიცვან, თორემ ლუციფერი თვითნებობას ვერ აიტანს.

საკმარისი არ არის იცოდე ვინ და რა არის შენი მტერი, არც ის თუ რა მეთოდებით, გზებითა და რესურებით შეიძლება მისი/მათი დამარცხება. ამასთან ერთად აუცილებელი არის ძლივამოსილი მთელის კრიტიკული მდგომარეობისა და მისი დაკნინების დახრილობაზე მოძრაობის სიჩქარეებისა და აჩქარებების ცოდნა, ისევე როგორც იმ პირობების მართვის უნარი, რომელიც მოწინააღმდეგის არსებობის მდგომარეობას კატასტროფის წინაში დააყენებს (კატასტროფების თეორია). საქართველო ოკეანეში უიალქნო გემის მოძრაობა ჰგავს, რომლის შტურვალს, კაპიტნის პრეტენზიებით ენაცვლებიან მორიგეობით ადამიანები, რომელთაც მეზღვაურის პროფესია კი არა, ზღვაში ცურვის გამოცდილებაც არა აქვთ. იმათთვის უმთავრესი მიზანი მხოლოდ გემზე არსებული რესურსების პირადი მოხმარებაა და თვითონ გემი მიადგება თუ არა ოდესმე ნაპირს, არაფრად აინტერესებთ. სიხარბე, როგორც წესი, ყოველთვის სიცოცხლის წინ გარბის. მორალი: გემს თუ აშენებ, კაპიტანი კი არა, კაპიტნები უნდა გაზარდო. ამ სახელოვან გემს, რომელსაც საქართველო ჰქვია, კაპიტანი ვერ მოუძებნეთ, ყველა კაპიტნობას იბრალის, ვინაიდან იმათ ქონების მითვისება არ ასვენებთ, თორემ თვით გემი ფეხებზე ჰკიდიათ. იმდენად უმეცრები

არიან, ისიც არ იციან, რომ წყლის ფსკერზე დაღმავალ გემზე ერთნაირი ბედი ელის, როგორც მის მგზავრებს, ასევე კაპიტანს. გასაგებია ისიც, რომ ამ უცოდინარებს ვილაყები გარედან აიძვებენ: ჩვენს გემზე გადაგიყვანთო. როგორც ჩანს, ყურმოკრულიც არა აქვთ უძველესი ჭეშმარიტება: ყველა მატარებელს თავისი მგზარი ჰყავს და ყველა მატარებელი თავისი მარშრუტით მოძრაობს. კეთილშობილება და თავგანწირვა რჩეულთა საქმეა. რჩეული კიდევ ათასში ერთია.

როგორ უნდა ვიპოვოთ ქვეყნის მესაჭე? ჯერ ქვეყნის მმართველობის ფორმა უნდა ავირჩიოთ. თვით სტალინიც ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მონარქია ქვეყნის მმართველობის საუკეთესო ფორმაა, ვინაიდან ქვეყანა მთელია და მთელს, რომ იგი ბოლომდე მთელი იყოს, დინასტიური ხელისუფლება სჭირდება. ქვეყნის მმართველობის ინსტიტუტი ისტორიული პროდუქტია და მასში ქვეყნისადმი პატრონობის გენეტიკური სისხლი ჩქევს. არ ვარგა პოლიტიკური პარტიებისაგან ქვეყნის მორიგეობითი პატრონობის ინსტიტუტი თითქოსდა დემოკრატიული არჩევნების გზით. ეს სატყუარაა სხვა გაუთვითცნობიერებელი ქვეყნებისათვის, თორემ პრაქტიკულად ყველაფერი მაინც ისე კეთდება, როგორც საჭიროა. მაგალითად, აშშ-ს პრეზიდენტები კი არ მართავენ, არამედ ფინანსური მაგნატები<sup>9</sup>. პრეზიდენტები დიდი პოლიტიკის საჭადრაკო დათაზე პაიკები არიან. ეს, რა თქმა უნდა, უზნეო მმართველობაა, მაგრამ ფორმა სწორია (იარაღი თავდაცვის საშუალებაა, მაგრამ ხანდახან ხომ არამიზნობრივად იყენებენ). განა ყველა მთელი მხოლოდ ზნეობრივია, მოგონილი ღმერთებიც მთელის ინტერესების არტეფაქტია.

ქვეყანის მთლიანობა სულიერისა და მატერიალურის თანაარსებობაა. აქ პირველადი სულის ფენომენია, რომლის გამოხატულებაა მატერიალობა-ქვეყანას თავისი საცხოვრისი აქვს. საკმარისია ამ მთელს სული დაუსუსტდეს-იგი მის სხეულებრიობას დააკნინებს. ოდესღაც დიდ საქართველოს ერთსულოვნება ედევო საფუძვლად-ქრისტესმიერი ცხოვრება. ეს არ ყოფილა სხვა ხალხებზე რჩეული ერის თვითშეგნება. მან მოძალადე ხალხი გადაფერთხა თავისი მიწიდან და შეავიწროვა იმდენად, რომ თავის კანში დატეულიყო. როცა ძალაუფლებამ სულის სინძინდე დაჭაბნა, სამშობლო დაკნინდა და მტერთა სათარეშო გახდა. მენშევიკებისა და ბოლშევიკების საქართველოს რა ხერი ეწებოდა, როცა საუკუნოვანი სულიერი და მატერიალური კულტურული ფასეულობები ფეხქვეშ გათელეს, დაანგრეს და პირადი ცხოვრების კეთილდღეობისათვის გამოიყენეს, „და თუ გადარჩა ის, როგორც ერი“, ეს იმიტომ რომ მართლმორწმუნეებს ქრისტესთვის არ უღალატიათ. მეორე მსოფლიო ომში ქართველთა საარაკო თავგანწირვა იმპერიის სამსახური კი არ იყო, მასთან მხრის მიბმა იყო სატანისტური ურჩხულის დასამარცხებლად, რომელშიც ღვთის ხელი ჩაერია. აკი უთქვამს იმ ომის ზევსს პირად საუბარში იმ უუკოვისათვის ომის პარადი რომ მიაღებინა: ომი ღმერთმა მოიგო, მე ვლოცულობდიო. ისარა კიდევ იმ ომის შემდეგ სამშობლომ და როცა ისევ მატერიალურმა სული „შეუკრიჭა“ და მის სულიერ მამას არ უსმინა, დღესაც სილატაკის ჭაობში ბანაობს. მაინც ვერ გაგვიგია ის, რომ ქვეყნის გამთლიანების ენერგია არც რუსეთია, არც აშშ, არც ოსეთი, არც აფხაზეთი და ევროპა, ქვეყნის მთლიანობა მისი ხალხის ღვთიური სრულყოფილებაა. ვიდრე ქართველი ღვთის მორჩილებას არ შეიგნებს, მანამ იგი მსოფლიო მათხოვრობიდან ფეხს ვერ

<sup>9</sup> (Кто управляет президентом США?dokumentika.org/.../ kto-upravlyaetv-ssha-i).

აიდგამს. არ უნდა გვიკვირდეს უძველესი ისტორიის ამ მრავალჭირნახული ქვეყანის უმცირესი მოსახლეობა, თუ რატომ არის ასე გადაბნეული დედამიწის კიდიდან კიდემდე ებრაელებით და სახლებში დაბრუნება ვერ მოუხერხებიათ. დღემდე ვერ გავგივია ვის ვებრძოდით ჩვენ: რუსეთს, კომუნიზმს თუ სტალინს და რისთვის ვებრძოდით და რა გვინდა ბოლოსდაბოლოს.

1917-1927 წწ. საბჭოთა კავშირის ისტორიის ლენინურ-ტროკისტული პერიოდი იყო, 1927-1929 წწ.-განვითარების ახალი კურსის ძიებისა და მობილიზაციისა, 1929-1953 წწ.-სტალინური სოციალიზმისა, ხოლო მერენდელი ხრუშჩოვ-ბრეჟნევი-ჩერნენკო-ანდროპოვი-გორბაჩოვის სსრკ-ნგრევისა. იქნებ ვინმეს სადავოდ მიაჩნია ის, რომ სტალინის სიკვდილის შემდეგ ხრუშჩოვმა იმ სსრკ საფუძვლები მოურყია და დაქცევის გზაზე დააყენა, რაც მაშინვე შენიშნეს გერმანელმა კომუნისტებმა (უფრო ვრცლად ნამიჭეიშვილი რ.). გამოდის, რომ ბოლშევიკური სოციალიზმი მსოფლიო ფინანსური მაფიის შეკვეთა იყო, სტალინური სოციალიზმი-გორელი გენიოსი ჯულაშვილის ეკონომიკური ინოვაცია, რომელიც მან კონსპირაციისათვის ლენინის სახელქვეშ შეფუთა. რეალურად ეს სახელმწიფოს ახალი ეკონომიკური მოდელის მსოფლიო უპრეცედენტო შემთხვევაა, რაც დღემდე იმათთვის გაუგებარია, რომლებიც სტალინის სახელის გაგონებაზე პირში ენას ვერ იკავენ. რაც შეეხება სტალინის შემდგომი პერიოდის სსრკ, ეს კომპარტოკრატის პერიოდია, რომელიც თვით მათ უპასუხისმგებლობამ იმსხვერპლა.

სსრკ პარტოკრატია და პირადად რუსეთის პარტიულმა ელიტმა დაშალა და არა საქართველომ. იგი მას ვერ დაშლიდა ისევე, როგორც კოლო ვერ გააჭენებს ეტლს, რომელიც მასში შებმულ ცხენს ყურთან უბის და უბზის. ჰო, თუ სსრკ რუსეთთან ერთად ვანგრებიტ ქართველებს რუსეთთან თავიდანვე გასაყოფი არაფერი გვქონდა. მერენდელი თუ რაიმე შეუთანხმებლობა იყო, ეს სხვა საკითხია. რაში ვედავებით რუსეთს?-დასავლეთის დავალებას ასრულებენ იმათი გამოზრდილი ქართულგვაროვანი ხელისუფლები, რომელთაც ფენის ხმას აყოლილებიც მიეტმასნენ. წარმოუდგენია კი ვინმეს, რომ რუსეთი რომ აღარ იყოს, საქართველოს ეს სიკეთეში წაადგება? „დაცვას მიხედვე ხვედელიძეო“, სამშობლოს მივხედოთ, ოჯახზე ვიფიქროთ, დაგრძელდა კისრები ღობეების ზემოდან ევროპაზე ყურებით. ამ აზრსთან დავსვათ წერტილი და იქვე კითხვაც: როგორ გავმთლიანდეთ და რას ნიშნავს ერის გამთლიანება?

მთელი სიდიდით არ განისაზღვრება, ბუნებრივია, რომ არც ტერიტორიული სივრცეა ქვეყანის მთლიანობის მახასიათებელი. მთელს თავისი ბირთვი, შინაგანი სულიერი ამძრავი აქვს, რომლის გარშემო მოძრაობენ მიზიდულობის ორბიტაზე დასახლებული სუბიექტები. შინაგანი ენერგო მუხტის დასუსტება ან უფრო ძლიერ ბირთვულ ენერგიას შეუძლია სხვა ორბიტაზე მოძრავი სუბიექტების მიზიდვა, მაგრამ ეს არ ნიშნავს მთელის გაქრობას. მთელი მაშინ გაქრება, როცა შინაგანი სულიერი ენერგია დაძაბუნდება. ამას ღმერთთან კავშირის განწყვეტა ჰქვია. საქართველოსაც სჭირდა და სჭირს სენი რწმენის, სიყვარულის დასუსტებისა. თუმცა ყოველთვის ჰყავდა ღვთისაგან რჩეული ეროვნული უმცირესობა, რომელიც ღვთიურ ცეცხლს აღვივებდა და ქვეყანა სიცოცხლისუნარიანობას ყოველთვის ინარჩუნებდა. ჰოდა, ჩვენ ქართველებს ტერიტორიების პრობლემა კი არა, უღმერთობის ავადმყოფობა

გვტანჯავს. ღმერთს დავშორდით, ადამიანის სიყვარული დავკარგეთ, საკუთარ თავს იქით ვერაფერს ვხედავთ.

ამძრავი ენერგია, რომლის შესახებ ზემოთ აღვნიშნე, ჰაერში მოძრავი და პიროვნული აზრობრივი კონსტრუქცია კი არ არის, ღვთისაგან ბოძებული საცხოვრისის უძველესი ისტორიის სიღრმისეულ პლასტებშია დავანებული და იქედან იმპულსირდება. გამოდის, რომ ჩვენ დამოუკიდებელიც ვართ და დამოკიდებელიც. დამოუკიდებელი ვართ იმდენად, რამდენადაც ღმერთმა უსუსხისმგებლობა მოგვანიჭა, ხოლო დამოკიდებელი ვართ იმდენად, რამდენადაც ღმერთს ადამიანის არსებობისა და ცხოვრების კანონები დანერგული აქვს. ამიტომ არის ადამიანი მონა ღვთისა და არა ლუციფერისა.





## სიძულვილის ეკონომიკის ქართული განშტოება

ლიბერალური ეკონომიკა ღრმა გლობალურ მსოფლიო კრიზისში შევიდა, რომელსაც მეცნიერება მეურნეობის უმაღლეს და საბოლოო ფაზად მიიჩნევდა. იგი ეყრდნობა პრინციპს, რომლის თანახმად ადამიანი ეგოისტია და წარმოებაზე მეტად მოხმარება აინტერესებს. ეს პრინციპი დაედო საფუძვლად დაუსრულებელი მოხმარების თეორიას, რომლის ბაზაზე საფინანსო ინსტიტუტებმა სწრაფად გააფართოეს კრედიტული ოპერაციები საქონელისა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაფართოების მიზნით, რომლის პრაქტიკული გამოხატულება შეიქმნა მსოფლიო მომხმარებლური საზოგადოების გლობალიზაციის აპოკალიფსური მასშტაბები. რამდენიმე ათეული წელიწადი საკმარისი აღმოჩნდა იმის გასარკვევად, რომ წარმოების შესაძლებლობები შეზღუდული ყოფილა და ზღვრულ მნიშვნელობამდე მისულა. ერთმანეთს კატასტროფულად დაშორდა ცხოვრების ორი ნაპირი მდიდრებსა და ღარიბებს შორის. წარმოიქმნა „ზედმეტი“ ადამიანების მასა, რომელთა რაოდენობა დღითიდღე მატულობს. მილიონერი, მილიარდერი ოლიგარქების უმცირესობის გვერდით გაჩნდა ტრილიონერთა რიცხვი. ზოგიერთი მათგანის ქონებრივი ცენზი რამდენიმე ქვეყნის მშპ ღირებულებაზე მეტია, ხოლო თვით ასეთი ქვეყნების ხელისუფლება ფინანსური იმპერიის ვასალებს წარმოადგენენ და ამდენად თავიანთი ქვეყნების მძარცველებად იქცევიან.

ბაზარმა, რომელიც ლიბერალური ეკონომიკის ფუნდამენტია და რომელიც თითქოსდა რესურსების განაწილების ყველაზე ეფექტიანი მექანიზმია, არა მხოლოდ ფუქსავატური, ზედმეტი მოხმარების ინტერესების მამოძრავებელი აღმოჩნდა, და საბოლოოდ მივიღეთ ის, რომ ადამიანი სულიერის პრიმატიდან მატერიალურის პრიმატზე გადავიდა, ხოლო მთლიანი საზოგადოება დამოუკიდებელ ინდივიდუუმებად დაიშალა, რომელთაც ფულის რელიგია აერთიანებს. საზოგადოებები, რომლებიც ინდივიდუუმებისაგან იქმნება ვინაობა ინტერესების მატარებლები არიან და ქვეყანაც ასეთი საზოგადოებების ჯგუფების ინკუბაციის მინდორია. ისინი არა მხოლოდ სპონტანურად იქმნებიან, არამედ გარეზე ფაქტორების ხელშეწყობითა და მხარდაჭერითაც. ამ მცირე შესავლის მეშვეობით მინდა გასაგები გაგხადო ის, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი მოხმარების სიხარბემ გამოიწვია, რომელიც ღორობად (ნამიჭეიშვილი რ. ღორობის ეკონომიკა. <https://www.facebook.com/pekmallink.php?d>) იქცა და ადამიანები სიძულვილის სივრცეში მოაქცია. ადამიანს ადამიანი საშუალებად ექცა. ვერტიკალურად, დაქირავებული პროფესიონალი მოგების მიღების საშუალებაა, არაპროფესიონალი-შემთხვევითი მუშა, უმუშევარი-„შავი მუშა“. ჰორიზონტალურად, ადამიანს მეორე ადამიანის მიმართ ეკონომიკური სიძულვილი სჭირს, ვინაიდან კონკურენტია, მასზე უკეთესად ცხოვრობს. ჩვენი ქვეყნის საზოგადოების იერარქიულ სტრუქტურაში დამოკიდებულება უფრო მძაფრია-ფინანსურ და სახელისუფლო ელიტარულ პერსონებს თავიანთი ქვეყნის მოსახლეობა მდებიო ფენებად მიაჩნიათ და მათი მორჩილების სოციალურ ტექნოლოგიებს ეუფლებიან. ქვეყანაში სიძულვილმა ისე იმძლავრა, რომ ადამიანს საკუთარ თავს იქით არაფერი აინტერესებს. ეს პროცესი ნ. ხრუშჩოვის პერიოდიდან დაიწყო. თუკი რამ სსრ კავშირს მსოფლიო მიღწევა ჰქონდა, ტალახში ამოსვარა (აქ

ჩემი წიგნიდან სქოლიო). საბჭოთა კავშირის მაშინდელი წარმატებები, რომელიც დღესაც მეცნიერთა და სპეციალისტთა აღფრთოვანებას იწვევს და ისტორიის უპრეცედენტო მოვლენად მიაჩნიათ, ქვეყნის შესაძლებლობათა მინიმუმად ჩათვალეს რაღაც ლენინური გზიდან გადახვევის პრეტენზიებით, რა მიზეზებითაც თურმეობთ დაკნინდა საბჭოეთის აპოკალიფსური პროგრესული ხდომილებები.

მე-20 საუკუნის 60-იანი წლების ეკონომიკა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი 50-იან წლებთან შედარებით უკან გადადგმული ნაბიჯები იყო. ბრეჟნევისა და მერენდელი გენსეკების გრძელი პერიოდი ხრუშჩოვის სიძულვილის ეკონომიკის გაგრძელება შეიქმნა სხვადასხვა ფორმებით, რომელმაც კულმინაციას გორბაჩოვის პრეზიდენტობისას მიაღწია. საბჭოთა კავშირის მოსახლეობა იდეურად უკვე გადაგვარებული იყო და დასავლეთის ეკონომიკა სამოთხედ ჰქონდა წარმოდგენილი. საქართველო მაშინდელი საბჭოთა რესპუბლიკებიდან გამსვლელი პაიკის პოზიციაში იმყოფებოდა და „დედოფალი დასავლეთის“ შემოტანის საათებს ითვლიდა. უცბად სიტუაცია აირია-ყველაფერი მოულოდნელი აღმოჩნდა. თვალსა და ხელს შუა გაქრა ის, რისი ფასიც არ გვცოდნია. ახლა ქვეყნიდან დასავლეთისაკენ ჰქნეს პირი და ხელზე მოსამსახურეებად იქცნენ. ქვეყანის სიმდიდრეებს, როგორც მოსალოდნელი იყო, ავაზაკები და გარენრები დაეპატრონენ და ერთმანეთს ექიმპებიან, ხან ერთმანეთთან კოჰაბიტირებენ თავის გადარჩენის მიზნით. ყოფილი და ახლანდელი ხელისუფლება თითქოსდა ერთმანეთს ებრძვიან, მაგრამ, ერთის მხრივ, დასავლეთისაგან დამოუკიდებელი მოქმედების ხუნდები აფერხებს, მეორეს მხრივ, მისი მონინაალმდევის მსგავსად მოშიშარია თავისი ყაჩაღური და ქურდული ბიოგრაფიის გამო. ორმაგი სიძულვილის ვითარებაა. ყოფილ და ამჟამინდელ ოფიციალურ ხელისუფლებს ერთმანეთის ეკონომიკური სიძულვილი სჭირთ არაქართული არასახელმწიფოებრივი საქმიანობის გამო. საკუთარ ხალხს ვერ ეგუებიან, ვინაიდან ეკონომიკური სიდუხჭირისაგან შენუხებულები უფრო და უფრო პრეტენზიულები ხდებიან.

სიძულვილის ეკონომიკა ზოგიერთი ეკონომისტის აზრით ნიშნავს იმას, რომ ეკონომიკური გადანყვეტილებები მიიღება არა ჯანსაღი აზროვნებიდან გამომდინარე, არამედ გარედან კარნახით. ამ განსაზღვრებაში სიზუსტე არ ჩანს, ვინაიდან გარედან კარნახით, თუ იგი სწორია, შეიძლება ეკონომიკა სასარგებლო და ეფექტიანი იქმნას. სიძულვილი სიყვარულის საპირისპიროა. სიყვარული ღვთიურია და იგი ნიშნავს უსმინო ღმერთს, ძეს ღვთისას, რომელიც ამბობს: „ეს არის ჩემი მცნება, რათა გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ. არავისა აქვს იმაზე დიდი სიყვარული, ვინც სულს დადებს თავისი მეგობრებისთვის. თქვენ ჩემი მეგობრები ხართ, თუ ასრულებთ იმას, რაც გამცნეთ თქვენ. უკვე აღარ გინოდებთ მონებს, ვინაიდან მონამ არ იცის, რას აკეთებს მისი ბატონი; არამედ მეგობრებს გინოდებთ თქვენ, ვინაიდან გითხარით ყველაფერი, რაც მსმენია მამის ჩემისაგან“ (სახარება მათესი. 15:12,13,14,15). მაცხოვარი თვითონ არის სიყვარული. იგი ემსახურებოდა ხალხს, ასწავლიდა როგორ ეცხოვრა, ჰკურნავდა ავადმყოფებს, დევნიდა ფარისევლებს და ამხელდა მათ, იყო გლახაკთა რწმენისა და იმედის მიმცემი, ჭეშმარიტების მქადაგებელი, სათნოება დაჰქონდა თან. ამიტომ მოიძულეს ფარისევლებმა და რჯულის დამრღვევებმა. „რომ არ მოვსულიყავი და არ მეთქვა მათთვის, არ ექნებოდათ ცოდვა, ახლა კი არა აქვთ მიტევება თავიანთი ცოდვისათვის. რომ არ მექმნა მათ

შორის საქმენი, რომელნიც სხვას არავის უქმნია, არ ექნებოდათ ცოდვა; ახლა კი მიხილეს და მომიძულეს მეცა და მამაც ჩემი. არამედ რათა აღსრულდეს სიტყვა დაწერილი მათს რჯულში: მომიძულეს მე უმიზგზოდ". (სახარება მათესი.15:22,24). თუკი ვინმეს ცოდვას უმხელ, შეგიძულებენ, მეტი რა ძალა აქვთ, ცოდვილნი არიან. თუკი ქრისტეს მცნებას არ იცავ, მაშინაც შეგიძულებენ. გამოდის, რომ სიძულვილისაკენ ორი გზა მიდის: მიზგზიანი და უმიზგზო. როცა არაქრისტიანულად იქცევი-შეგიძულებენ, და პირიქით, როცა ქრისტიანულად ცხოვრობ-ფარისევლები შეგიძულებენ. სიძულვილი ასეთი წმინდა მოვლენის სახით იშვიათად გვხვდება, ხშირად იგი ივსება ბოროტებით, რისხვით, ბილმით, შურით, ანგარებით, მტრობით, მწვალებლობით. თუ შეეყვარებული საყვარელზე უფრო ბედნიერია, სიძულვილით სავსე ორმაგად უბედურია: სიძულვილს ატარებს, რომელიც მას ხელს ყველაფერში უშლის და სხვისი წარმატებები ახალ სატკივარს უღვიძებს. სიძულვილის მატარებელი ბოროტების ნაღმებად იქცევა, სისასტიკის ყველანაირ ზღვარს გადადის და ბოლოს თვითონვე ნადგურდება.

სააკაშვილის ნაციონალური მოძრაობა სიძულვილის ენერგიით იკვებებოდა და ახლაც იკვებება. სამშობლო, მოსახლეობა მათთვის მხოლოდ კეთილდღეობის წყაროა. უცხოელებზე გაყიდეს ქვეყნის ეროვნული სიმდიდრეები, რომელთა გასხვისება ბოროტებაა, საქართველოს ძარცვაა. მდიდრები, რომლებიც მათ წრეს არ ეკუთვნოდნენ, გაძარცვეს ან აიძულეს ქონება სხვებისთვის ეჩუქებინათ, წინააღმდეგობის შემთხვევაში ციხეში სვამდნენ და აწამებდნენ გაუგონარი სისასტიკით. საპატიმროებში გამოამწყვდიეს 300 ათასზე მეტი ადამიანი, 2 მლნ. კაცი იძულებული შეიქმნა სამუშაო საზღვარგარეთ ეძებნა, გაანადგურეს განათლების სისტემა, მოშალეს კვლევითი ინსტიტუტები, უცხოელებზე გაყიდეს, რამდენადაც მოასწრეს, სასოფლო სავარგული მიწები, კარი გაუხსნეს ყოველგვარ უხამსობასა და პორნოგრაფიას, სექსის პროპაგანდას. ამათი ეკონომიკური სიძულვილი „გამდიდრებულია“ ნაირგვარი ცოდვებით-მტრობით, შურით, ბოლმით, ბოროტებით, ცრუ ბრალდებებით, რასაც ახლა რევანშის ისტერიკა და ფსიქოზიც მიემატა; სირცხვილი და სინდისი ანაქრონიზმი გახდა, შეცოდება და თანაგრძნობა კაი ხანია, რაც აღარ იციან. შეურაცხყოფა, მაკომპრომატებელი, ცრუ ინფორმაციების გავრცელება ჩვეულებრივი მოვლენა შეიქმნა. ქუჩები გაივსო მეძავებითა და მათხოვრებით. "განსაკუთრებით მძიმეა ცოდვა, როცა ადამიანები ათახსირებენ თავიანთ სიტყვას, ავრცელებენ წინასწარ შეთხზულ ინფორმაციებს პირადი მდაბიო ინტერესებიდან გამომდინარე, როგორცაა, მაგალითად, შეთითხნილი ინფორმაციები ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფების სახელის გატეხვის, მათი პოლიტიკური მავნებლობის მიზნით".<sup>10</sup> (

ღმერთი ჩაფიქრებული მომთმენია. ამიტომ მას არასდროს ეჩქარება, ვინაიდან მარადიულია. ადამიანმა უნდა მოასწროს, რადგან იგი მოკლე დროით მოვლენადია. აჩქარება მოთმინების ამშლელია და იგი შეცდომის ვარიანტებს გადმოაფენს. ქართული „ოცნება“ გამონაკლისი არ ყოფილა-რადაცები კი ჩამოაწერა ნაციონალებს, მაგრამ როცა იგი პოლიტიკურად ჩაანაცვლა, სახელისუფლო სკამის სითბო იგრძნო და ასპარეზიდან გასული იმპრესარიოს შპარგალკა გადაინერა. მოხიბლა რეჟისორის ამპლუამ და რასაც ადრე ამრეზით უყურებდა, ახლა იმით მოხიბლული შეიქმნა. ხალხის

<sup>10</sup> Дарио Салас Соммэр. Мораль XXI века. с. 488. М.:1995).

სიძულვილის ფარაჯა სწრაფად გადაიკვა და სიამოვნებისაგან გაიტრუნა. ვითანამშრომლოთო-აღმოთქვა ბოლოს. ახლა ისე თავხედია, რომ ყველგან და ყველა თანამდებობაზე თავისი ბახალა უნდა და სერთოდ არ აინტერესებს რამდენად ადეკვატურია იგი თანამდებობისადმი. რამდენად ზნედაცემულია ხელისუფლებაზე დაგეშილი და ხელიდან გაქცეული ადამიანის მსგავსი ორთეხა, რომელსაც საკუთარი ოჯახის მართვა არ შეუძლია და საქვეყნო საქმეზე პრეტენზიებს აცხადებს. როცა ხალხი ლუკმაპურზე ფიქრობს, მონად იქცევა. ერთია, როცა მასა მეთაურს ეძებს მისი უძღურების გამო, ხოლო მეორეა, როცა პიროვნება ეძებს მასას, რომელიც მის უძღურებას გრძნობს და კისერზე აჯდება.

კოალიცია „ოცნებამ“ ხელისუფლებიდან გააგდო ნაციონალური მოძრაობა პირადი, კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ როცა ხელისუფლებაში მოვიდა იმ დამარცხებულებს იმით აჯობა, რომ ხავერდოვანი გზები აირჩია: განგებ არავის იჭერს, სიტყვის გამო არავის დევნის, ჰო და სხვას არათერს აკეთებს. სალაპარაკოდ ჰყოფნის-ილაპარაკე რამდენიც გინდა, თავისუფალი ხარ, ხომ ხარ შენტვის, სადაც გინდა იქით წაღი-ვეროპა, ამერიკა, აზია, აფრიკა, ავსტრალია და ჯანდაბა! აი, ქვეყნის გაძლოლის ახალი სტილი! გამოდის ისე, რომ ყველა თავისთვის უნდა იყოს, ხელისუფლებაც თავისთვისაა, რასაც უნდა, იმას აკეთებს!

საქართველოში 162 უმაღლესი სასწავლებელი და კოლეჯია ანუ სტატისტიკურად აღრიცხვულ 54 ქალაქის წილად 3 პროფესიული სასწავლებელი მოდის. 9000-მდე პროფესორ-მასწავლებელი ყოფილა. ქვეყნის ნახევარი გაქცეულია საზღვარგარეთ „შავ მუშებად“. ამას გარდა ქვეყანაში კიდევ რაღაც არარეგისტრირებული უნივერსიტეტებია, მაგალითად, უკრაინის უნივერსიტეტი, რომელსაც მიღება აქვს ყველა იმ პროფესიაზე, რაც თანამედროვე მსოფლიოში ცნობილია. არც ეროვნული გამოცდები სჭირდება და ავტორიზაცია. რვათეხასავით არსებითია-საქართველოს ყველა ქალაქსა და რაიონში აქვს მისაღები პუნქტები. სოციალისტურ საქართველოში ამნაირ დანესებულებებს „ცეხებს“ უწოდებდნენ. ქუთაისში ლამის ყველა ქუჩაზეა უკრაინის უნივერსიტეტის აბიტურიენტთა მიმღები პუნქტები. მათ შესახებ დაინერა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მისამართით, მაგრამ ყურადღება არავის გამოუჩენია. გასაგებია, რომ ყოველივე ამის წინ ვილაცა დგას, მაგრამ ამას როგორ ითმენს სახელმწიფო. თუმცა რა ჰქნან, ფული გაგიჟებამდე უყვართ და ამდენად ქვეყანა სძულთ. ყოველწლიურად ათასობით ახალგაზრდა ამთავრებს ამნაირ სასწავლებლებს და უმუშევართა არმიას ემატება. ისედაც დაბეჩავებული ხალხის მძიმე პირობებზე ხელის მოთბობა მხოლოდ გადაგვარებულ აზროვნებას შეუძლია.

აგერ ჩემს გვერდით არსებულ სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის საკმაოდ დიდი ჯგუფი 6 წელიწადია ყველანაირ ოფიციალურ ორგანიზაციას მიმართავს თავისი უფლებების დასაცავად, მაგრამ რად გინდა, ყურიც არავინ ათხოვა. ზოგი ტკბილი სიტყვით ისტუმრებს, ზოგი საერთოდ თავს იკავებს პასუხის გაცემისაგან, ზოგი სხვა ორგანიზაციებთან აგზავნის და ა.შ. გაჟონილი ინფორმაციით ყველა ზემდგომმა სამსახურმა კარგად ისარგებლა თავისი მდგომარეობით და ხელმრუდე პერსონებს სალარო „შეუმსუბუქა“. დაზარალებულები ციყვის ბორბალზე სხედან და ჰგონიათ, რომ დარბიან. არ იტეხენ იხტიბარს, არც ხელისხელ მბანელთა კარუსელი ჩერდება და ბრუნავს ფული სახელისუფლო წრეებზე.

უმალღესი სასწავლებლის ხელისუფლება თავს ქერის ორმოში გრძნობს და საერთოდ შიში არა აქვს არანაირი სამართლისადმი. აკი სასამართლომაც გაამტყუნა საცოდავი მომჩივნები და მართო კი არ გაამტყუნა, სასამართლო ხარჯებიც გადაახდევინა. აბა რას იზამდნენ, მოსამართლეები ხომ იმ უმალღესი სასწავლებლის ლექტორები არიან, მართალია, აკადემიური ხარისხების გარეშე, მაგრამ ხარისხებს ვინლა დაეძებს-უმალღესი სასწავლებელი დამოუკიდებელია და ისე იქცევა, როგორც უნდა.

ინსტიტუტების რექტორებად და დირექტორებად, როგორც წესი, ცნობილ მეცნიერებს ირჩევენ, ხოლო არჩევა ხდებოდა სამეცნიერო საბჭოზე, რომელთა წევრების უმეტესობა ასევე ცნობილი მეცნიერები უნდა ყოფილიყვნენ. ახლა მოქმედი კანონმდებლობით სავალდებულო არ არის რექტორი ცნობილი მეცნიერი იყოს, არც იმის ვალდებულებაა, რომ უმალღესი სასწავლებლის სამეცნიერო საბჭო აღიარებული მეცნიერების საკრებულო იყოს. მივიღეთ ის, რაც მოსალოდნელი იყო: უმალღესი სასწავლებლის პირველი პირი პროფანია და მეცნიერები სძულს, ვინაიდან მათი არ ესმის, ამიტომაც არაფრად აგდებენ. გამოგონილი ხელმძღვანელი ხელს უწყობს უნიჭოთა გაპროფესორობას, ერთგული „მეცნიერების“ გაღმერთებას და თანამდებობებზე წამოჭიმვას. ფაქტები სახეზეა. აბა, გადასინჯეთ მათი საქმენი და თუ იპოვით მეცნიერული ღირებულების შრომებს. უფრო შორს წავიდნენ: სასაცილოდ არ ჰყოფნით მართლა მეცნიერები და სახელოვანი ადამიანები. გაავსეს ნათესავეებით სასწავლებელი. ვისი ადგილი არ არის აქ: მათი ქალიშვილების, სიძეების, ბიცოლების, ნათლულების, ძმაკაცების, ნაციხრების, აღვირახსნილების, ცოლისდების, საყვარლების, ნარკომანების და ვინ იცის კიდევ რამდენი მამაძაღლის. ამდენ ზარალს მტერიც ვერ მოგვაყებენდა. ამაზე ითქმის: გიჟი საყდარში შეუშვი, საკურთხეველს დაგიმტვრევსო.

სამეცნიერო საბჭო ფაკულტეტებისაგან იქმნება, თითოეული ორ კანდიდატს ირჩევს. ხმის მიცემა იწყება დილიდან და 17.00-18.00 სთ.-მდე გრძელდება. საღამოს გადათვლიან, გადაარჩევენ და სასურველ პირს გაიყვანენ გამარჯვებულად. ასე იქმნება მორჩილი რექტორის გამგონე სამეცნიერო საბჭო 18-20 კაცის შემადგენლობით, რომელიც სასათბურე პირობებში ჰყავთ. არის ახლა კოჭლი თხა ცხვრის ფარას სათავეში, ვინაიდან აღმა მიმავალი უკვე დაღმართს დაუყვა და თუ სადმე არავინ შეაჩერებს, ბნელეთის საუკუნემდე ირბენს.

ფულის სიყვარული სიძულვილს ბოროტებით ავსებს, ამპარტავნობასა და ქედმაღლობას ჰმატებს. უმეცარ გონებას შიშის გრძნობას უქრობს, მალე თავს გასდით. დაქირავებულ პერსონებს ფულს უხდიან სხვათა სტატიებს რომ სათაურები შეუცვალონ, ძვირადღირებულ შურნალებში გამოაქვეყნონ. ვიღაცების წიგნებს ყდები შემოაცალონ და საკუთარ სახელზე გადაიფორმონ. ასე დააგროვა თანამდებობის გამო მოუცლელმა „მეცნიერმა“ 3 თვეში 23 მონოგრაფია. მეორე მოუცლელი „დიდი მეცნიერი“, უფრო პრაქტიკული აღმოჩნდა: წიგნის სათაური მოაჯახირა, ცარიელი ფურცლებით მოცულობა შეუქმნა და მონოგრაფიად ააკინძვინა. სატიტული გვერდებს ქსერო ასლი გადაუღო და აკადემიური პერსონალის ასარჩევმა კომისიამ მონოგრაფიულ გამოცემაში ჩაუთვალა. შრომა დაიბოგა, ფულის ეკონომიაც გაკეთდა და სწრაფად გაპროფესორებულმა სხვისთვის მისაღები გაზრდილი ხელფასი თვითონ დაიმკვდრა ნ წლით.

სიყვარული თუ ნათელია, სიძულვილი სიბნელეა, მაგრამ არა მხოლოდ ლოკალურად არამედ, ვრცელი მასშტაბით. მაღალი მეცნიერული კულტურის უმაღლესი სასწავლებელი არ არის გარანტია იმისა, რომ მისი ყველა კურსადმთავრებული სახელოვანი მეცნიერი გამოვა, მაგრამ შეუძლებელია უნიჭო და საშუალო აზროვნების ადამიანებისაგან უნივერსიტეტი შექმნა, რომლის რექტორი კრიტიკულ აზროვნებასთან არანაირად წილნაყარი არ არის, და არც ამ სასწავლებელს შეუძლია პროფესიული კადრების აღზრდა; სამეცნიერო პროდუქციაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. აქ თავს მახსენებს იმ ადამიანთა პრეტენზიები ასეთი უნივერსიტეტისა და რექტორის მიმართ, რომელთაც ვერ გაუგიათ საქმის თავი და ბოლო-რას ითხოვ იმისაგან მეცნიერებას, ვისაც 300 წელიწადიც არ ეყოფა იმისათვის, რომ მეცნიერი გახდეს.

საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე 30-ზე მეტი მონვეული მომხსენებელი გამოცხადდა, მასპინძელი უმაღლესი სასწავლებელიდან „საპაეფროდ“ 5 პერსონა იყო წარმოდგენილი, დანარჩენები სახლებში დარჩნენ, ვინაიდან პროფესიული აუდიტორიის წინაშე გამოსვლა არ შეუძლიათ. ოფიციალური წარდგენისა და მისაღებების შემდეგ ექსკურსია გაიმართა, რომელიც რესტორანში ბანკეთით დასრულდა. ყველა ერთად კმაყოფილი დარჩა, სტუმრები-გამასპინძლებით, მასპინძლები-ქეიფითა და იმ თანხებით, სტატიების დაბეჭდვის შემდეგ რომ პირად საკუთრებაში აღმოჩნდება. საქმეც ხომ გაკეთდა-სტატიები დაბეჭდეს და მომავალი აკადემიური არჩევნებისთვის კიდევ ერთი პუბლიკაცია მზად არის. ფულის სიყვარულმა ყველაფერი გადაათასა, ფულის გაღმერთებამ ნიჰილიზმი დათესა, პასუხისმგებლობა დამარხა, ადამიანი გაუმადლარ არსებად აქცია, რომელმაც ნამდვილ ცხოვრებას ვირტუალური არჩია.

ბანკიდან ოვერდრაფტი მოვითხოვე, თანხა პირად ანგარიშზე დავტოვე, ვინაიდან არ დამჭირდა. ორი თვეც არ გასულა და თანხა მომიხსნეს. მივაკითხე და პასუხიც დამახვედრეს: თქვენ 6 თვის შემდეგ 65 წლის იქნებით და 65 გადაშორებულებზე სესხებს არ ვიძლევი. რამდენად უნდა სტულდეს ბანკს ადამიანი, ასეთი გადანყვეტილება რომ მიიღოს. აქ კიდევ უაზრობა იკითხება. ეს გამონაკლისი შემთხვევა არ არის. 85 წლის პენსიონერს, ერთ დროს დიდი წარმოების უფროსს, ტელევიზორის ყიდვა უნდოდა განვადებით, უარი უთხრეს, რაკი პენსიონერი არის.

10 თვის წინ აუდიტის დეპარტამენტმა ჩემი სამსახურის კამერალური შემოწმება ჩაატარა. მივანოდე ყველა მასალა, რაც მოითხოვეს. აუდიტის სამსახურმა დანახარჯები დააზუსტა-შეაჯამა სანგარიშო პერიოდში განეული ხარჯები. შემოსავლების სიდიდე ასე იანგარიშა: სტუდენტთა რაოდენობა სექტემბრის დასაწყისს გაამრავლა წლიურ გადასახადზე და არაფრად მიიჩნია სასწავლებელიდან სტუდენტთა გასვლა სხვადასხვა მიზეზებით, რომელთაც სწავლის საფასური არ გადაუხდიათ. როცა ამის შესახებ მივწერეთ, მოგვწერეს, რომ არ გვეთანხმებიან. მივწერეთ უფრო მაღლა მდგომ ინსტანციას. იქაც იგივე პასუხი მოგვეცეს: არ გვეთანხმებიან. კიდევ უფრო ზემდგომს მივწერეთ, იმან ისევ აუდიტთან დაგვაბრუნა, რომელმაც სასწავლებელს ინკასო დაადო, თანხები წაგვართვა. ისევ გავსაჩივრეთ. ვითომცდა გაამართლეს აუდიტის დასკვნა: თურმე აუდიტორულ სამსახურ თავის მიერ გამოცემული ბრძანებით შემოსავლის დადგენა არ ევალებოდა. რაც არ შემოსულა, იმაზე რა გადასახდი უნდა

გამელო. აქ ერთმანეთშია არეული უპასუხისმგებლობა, კანონის უგულებელყოფა, სიძულვილი, არასახელმწიფოებრივი აზროვნება, ნიჰილიზმი, უპატივცემულობა.

დავადეთ იმათ ნაკვალევის ლაბირინთს გულმოდგინედ. სად არ გადავუხვიე, რას არ გადავეყარე, რაებს არ შემოვუარე, მაგრამ ყოველთვის ერთიდაიგივე ადგილზე მივდიოდი და ახლობლები და კეთილმსურველები ერთიადიგივეს მეუბნებოდნენ: ამათ ასეთი წესი აქვთ თურმე-ვილაცას ამოიჩემებენ და ფულს ოფიციალურად „შეანერგენ“. სადაც არ უნდა მიხვიდე, სიმართლეს ვერ მოისმენენ, ვინაიდან:

1. ადამიანი თავს დაუცველად უნდა გრძნობდეს და მარტოობის მუდმივი შიში ჰქონდეს;
2. არავის აინტერესებს რა დღეში აღმოჩნდება შენი სახლობა და სამსახური. ვინ და რამდენი დარჩება უმუშევარი, რა შემოსავალი დააკლდება ქვეყანას შენი სამსახურის გაკოტრებით.
3. არ უნდათ დაგეხმარონ, რომ სამსახური გაიმართოს და დასაქმების პრობლემას შეეხილო.

იქ, სადაც ფულის რელიგიაა (ფულის რელიგია ადამიანის სპეკულატური აზროვნების პროდუქტია), იქ ადამიანი თავისუფალი ვერ იქნება, ვინაიდან ქრისტიანობა ღმერთის, ადამიანის, სიცოცხლის სიყვარულია, მასზე ფიქრი და მზრუნველობაა. ფული საქონლისა და მომსახურების მიმოქცევის საშუალებაა, საზომი ერთეულია. შეუძლებელია ვინმეს უყვარდეს მეტრი, კგ, კუმ, ცალი, კომპლექტი, წყვილი, სექცია. ამდენად “ფულის სიყვარული” სპეკულატური ტერმინია. იგი საზოგადოებრივი დეგრადაციისა და ზნედაცემულობის გამოხატულებაა. თუ ქრისტიანული რელიგიის გამოვლენა სიყვარულია, ფულის რელიგიის ღმერთი არის ადამიანის სიძულვილი. რაც უფრო მეტია სიძულვილი, მით უფრო მეტია სიმდიდრისაკენ ლტოლვა, მით უფრო მაღალია სიძულვილის ხარისხი, მით უფრო სასტიკი და დაუნდობელია სიძულვილის ღმერთი. საქართველოში ახლა დღის სინათლეზე ჩანს, დღითიდღე თუ როგორ მატულობს გაუტანლობა, უპატივცემულობა, წართმევა, ძარცვა, ალვირახსნილობა, ნიჰილიზმი, მრუშობა, სიბილწე, თავგასულობა. ყველაფერი ეს ერთად შერეულია ღორბასთან, სამშობლოს ღალატთან, მტრობასთან, ტრადიციული სინამდინდეების ფეხებით გათელვასთან და ყოველივე ამას სიძულვილის ცხოვრება, სიძულვილის ეკონომიკა ჰქვია. სიძულვილი ბოროტებას ქმნის, როცა იდეოლოგიად იქცევა, როცა იგი ხელისუფლების სავარძლებს იკავებს. რამხელა სიძულვილი უნდა ჰქონდეს თავისი თანამდებობისთვის შეუფერებელ თავდაცვის მინისტრს, რომ არათურად ჩააგდოს პასუხისმგებლობა, გადააბიჯოს უფლება-მოვალეობებს, სამხედრო ნაწილი მაჟორიტარული დეპუტატის ხმის მისაცემად გადაისროლოს დისლოკაციის ადგილიდან (სენაკისა თუ გორის სამხედრო ნაწილის ჯარისკაცს რა ესაქმება ლაგოდების მაჟორიტარული დეპუტატის არჩევნებში) და ამ ოპერაციისათვის საჭირო ხარჯები დააფინანსოს დამშეული ქვეყნის თავდაცვის ბიუჯეტიდან.

სიძულვილი სიყვარულის მტერია. სიძულვილი არ იცის შენდობა, შეცოდება, სიბრალული, სიმშვიდე, სირცხვილი, თავშეკავება, პატიება, თანაგრძობა, ზომიერება, სათნოება, თავგანწირვა და ღვთიური სამსახური. ყველაფერში პრეტენზიულია და უმადური. სიძულვილი სასტიკია და დაუნდობელი. მწუხარეა და მშიშარა. ცოდნა უნდა იმდენად, რამდენიც წასაგლეჯად სჭირდება, ამდენად უზნეო მშრომელია. ამის გამო

არის სულ დაბოლოებული და შეუბრალებელი. შორს ვერ იყურება, ახლომხედველია. როცა თავისი გაუდის, ვერ გრძნობს თუ როგორ ახლოს არის ტანჯვითი უსახელო აღსასრული. სიძულვილი ეპიდემიურია, ამდენად გადამდებია. „ოცნების“ ხელისუფლება თითებზე ითვლის თავისი ხანმოკლე საქმიანობის საშუალოსა და წვრილმანს, ოღონდ მთავარის რანგში. მშვივებს ანუგეშებს კიდევ მოითმინონ, როცა თვითონ აღვირს ვერ იჭერს. უმუშევრებისთვის გროშებიც არ ემეტება, ხოლო პენსიონერებს 10 ლარის წამატება მიამაძლავს. რა ჰქნან, თუკი წინა ხელისუფლების კაბინეტებისა და თანამდებობის სკამების ქიმიური დამუშავება დაავიწყდათ და სიძულვილის ვირუსი შეეყარათ. სიძულვილიდან სიყვარულამდე არანაირი გზა არ მიდის.

სიყვარული სათნოა და მიმტევებელი, მომსახურე და თავგანწირული. სიყვარული სუფთაა და ზნეობრივი. იმას ეპიდემია არ ემართება. თუ სიძულვილს შური, ბოღმა, ვერაგობა და მტრობა ამაგრებს, სიყვარული სულიერი სინმინდის პირამიდული კონსტრუქციაა, რომელიც ზნეობრივი ცოდნით შენდება, მალღღობა და იზრდება, რომელშიც გამოხატულებას პოულობს ადამიანის სრულყოფილების დაუსრულებლობა. სიყვარულიდან სიძულვილში გადავარდნა არ არის იშვიათი შემთხვევა, ვინაიდან ადამიანს უჭირს ცდუნებებისაგან თავის დაღწევა და ამიტომაც სიყვარულით მხოლოდ უმცირესობა ცხოვრობს და იღწვის. ისინი ღვთიური ადამიანები არიან. საპირისპიროდ ამისა კი, დაცემიდან, სიძულვილიდან სიყვარულში აღდგენა იშვიათი გამონაკლისია, ვინაიდან სიძულვილი ადამიანური შესაძლებლობების ეგოიზმზე, სიხარბეზე, შურზე, მომხვეჭელობაზე დანახარჯებია კრიტიკულ ზღვრამდე მისული, რომლის შევსების შიდა ადამიანური რესურსები მისი ენერგეტიკული პოტენციალის ინტენსიური ხარჯვის გამო დასუსტებულია. სიძულვილი სულის სიღარიბეა, სიყვარული სულის-სიმდიდრე. საქართველოში სიძულვილი ერთად აკრებილია და მთელია, ამიტომ ძლიერია და ხელისუფლება უპყრია. სიყვარული უმაღლესი ხელისუფლებიდან განდევნილია და გათითოებული, ამიტომ სუსტია. გათითოებული სიყვარულის გამთლიანება ღვთიური გამონათებაა, რომელიც მესიურ სულში გაცოცხლდება და სიძულვილის იმპერიას გოლგოთას მოუწყობს.



## სიყვარულის ეკონომიკისაკენ

ღმერთი იდეური ლოგიკური შემოქმედია-ჯერ ზეცა და ხმელეთი გააჩინა, ხოლო ბოლოს-ადამიანი, ხატად თავისა, რომელსაც ცხოვრების წესიც დაუმკვიდრა და მისი მზრუნველობაც თავის თავზე აიღო იმიტომ, რომ უზენაესმა ადამიანი სიყვარულით შექმნა. ამდენად, სიყვარული ღმერთშია და ადამიანსაც უნდა უყვარდეს ღმერთი, როგორც მამა და სიცოცხლის მიმნიჭებელი. ადამიანი კი, როგორც სიყვარულის ნაყოფი თვითონაც უნდა იყოს სიყვარულის მატარებელი-მოემსახუროს სხვებს და თვით სიცოცხლეს არ დაიშუროს თავისივე მსგავსი არსებებისათვის, ვინაიდან ყველა ადამიანი ღვთის შვილი არის და მათი ერთმანეთზე უპირატესობა ზეციერ მამას არ დაუდგენია. ხშირად გადავიდა ადამიანი თავის თავს, გაუჭირდა მას სიყვარულით ცხოვრება, და ზნედაცემულს ზეციერმა მამამ თავისი ძე მიუვლინა, რათა ეჩვენებინა დედამინაზე სათნოებითა და სიყვარულით ცხოვრებიდან ზეციურ მარადისობაში გადასვლა. ამდენად სიყვარული ღვთიური ვალდებულებაა. სიყვარულით ცხოვრება არის გზა სულის მარადისობისაკენ. ჩვენმა ღმერთმა წინაპრებმა ამ გზით მოგვიტანეს ეს ღვთის საუფლოც. ქვეყნისა და ხალხის სიკეთისათვის იბრძოდნენ მეფე მირიანი, მეფე დავითი, დიმიტრი თავდადებული, დედოფალი ქეთევანი, გორგი ბრწყინვალე, მეფე ლუარსაბ II, მეფე ვახტანგ VI, მეფე ერეკლე-პატარა კახი და სხვა. ამ და კიდევ სხვა ღვთისმოსავეებმა აჩვენეს, თუ როგორ უნდა იცხოვროს არა მხოლოდ მართლმადიდებელმა მორწმუნემ, არამედ ხელისუფალმა და რაში მდგომარეობს მისი ხალხისათვის სამსახური. მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთის იმპერიაში შევიდა და მერე მის ვასალად იქცა, თავისი ქვეყნისადმი სამსახური ეროვნულ აზროვნებას დამოუკიდებლობის მოპოვების ინტერესებით შეენაცვლა და 200 წელიწადი თავისუფლებისთვის ბრძოლაზე იყო გადაგებული. ისტორიის ამ მოკლე პერიოდში, ბუნებრივია, საზოგადოებამ მეტამორფოზა განიცადა, ნაწილი რუსული იმპერიის ერთგული გახდა, ნაწილი რუსულ ურთიერთობებში გაერკვია და თავისი „თბილი“ ადგილი იპოვა, ბევრმა კიდევ რუსებთან საერთო ენა გამონახა და მასთან თანასწორუფლებიანობაში იმყოფება ისე, როგორც რუსები არიან მათ მიმართ. ბევრი ევროპის ცხოვრებისეული სტანდარტებით მოხიბლულ არს და ქვეყანას თავისი ინიციატივით ევროკავშირში და ნატოში მიაღებინებს. ასეთი ჭრელია დღეს ქართული საზოგადოება. ამიტომ არის, რომ ზოგი რუსეთთან მდგომარეობის გაუმჯობესებას აშკარად ემხრობა, ზოგს ახლავს სამშობლოს გაევროპელება უნდა. აზროვნების ამ ამღვრეულ ვითარებაში ქართული მართლმადიდებლური ეკლესია მოსესავით ატარებს თავის ერს მოთმინების, სიღინჯის სამყაროში, რომ ერის დანაგვიანებული აზროვნება დაილექოს, გონიერებას მოუხმოს; ღვთის რწმენით და სიყვარულით დავბრუნდეთ ჩვენი ქვეყნის სამსახურში.

დაბადებიდანვე უჭირს ადამიანს სიყვარულით ცხოვრება. ღმერთისაგან ცენტრიდანულობას ირჩევს, რის გამოც ბევრჯერ დაისაჯა, მაგრამ რაკი ცოდვასა და

ღვთისმიერ სასჯელს შორის მათემატიკურად დიდი პერიოდია, მაინც ურჩობს და თავგასულია. უღმერთობმა ჯერ ქრისტიანობა შუაზე გაყვეს, მერე ეკლესია სახელმწიფოსაგან ჩამოაშორეს და ცალკეობა ურჩიეს. ბოლოს ყოფილი ქრისტიანი ადამიანები და სახელმწიფოები სრული გადაშენების პირას აღმოჩნდნენ, ვინაიდან სწორად ვერ გაიგეს სახელმწიფოსა და ეკლესიის განცალკევების პირობითობა. ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა რეალურად ქვეყნის მმართველობის დანაწილებას ნიშნავს ანუ ერთ ქვეყანაში ორი პირობითი ერთეულია. მაგრამ რაკი მთელში მისი ნახევრების ავტონომიურ ერთეულებად დაყოფა ერთად არათავსებადია, პრაქტიკულად მივიღეთ ორი გასხვავებული სტრუქტურა: 1) საერო სახელმწიფო, სადაც ეკლესია ტრადიციული რიტუალების ინსტიტუტია და არა ღვთიური ქადაგების, ადამიანის სულიერი ამაღლების ტაძარი; 2) სახელმწიფო, სადაც ეკლესიასა და ხელისუფლებას შორის მართველობის ფუნქციები გადანაწილებულია და ისინი ქვეყნის, როგორც მთელის მმართველობითი სტრუქტურის პირობითი ნახევარსფეროები არიან. პირველი ტიპის სტრუქტურა ევროპაში გვხვდება. მეორე ტიპის საუკეთესო მაგალითია საქართველო. მიუხედავად იმისა, რომ მკაცრად იკრძალებოდა საეკლესიო წეს-ჩვეულებები, ხალხი მაინც თავისას ახერხებდა: ილოცებოდა და ჩუმად პირჭვარს ინერდა, ახალ წელს ითენებდა ტრადიციულად, ქრისტეს დაბადებას ზეიმობდა, აღდგომას ხვდებოდა მარხულობდა და ლოცულობდა, ღვთის მოშიში იყო და სინდისი და სირცხვილი ჰქონდა, ოჯახი მისი ნავსაყუდელი იყო, ხოლო სამშობლო-სიცოცხლეზე ძვირფასი. პირველი საშინელი დარტყმა მაშინ მიიღო ქრისტიანობამ, როცა სიყვარული მხოლოდ ქალისა და კაცის დაწყვილებამდე დაიყვანა, ხოლო მეორე და მომაკვდინებელი დარტყმა მაშინ დაემჩნია, როცა ქალისა და კაცის სიყვარული სექსის გაგებამდე გაამარტივა. აღმოჩნდა, რომ ის, რაც ვერ მოახერხა ლენინური სოციალიზმის ეკლესიისადმი მტრობის სხვადასხვა სიმკაცრისა და მასშტაბების სადისტურმა შეტევებმა, ათასჯერ „უკეთესად“ მოაგვარა ლიბერალურმა იდეოლოგიამ.

ლენინურ-ტროცკისტული და მერე მესიმინდე ხრუმჩოვის საბჭოეთის მართლმადიდებლობაზე შეტევებმა ლიბერალისტების ტოლფასი გამარჯვებები იმიტომ ვერ მოიპოვა, რომ ბოლშევიკები ეკლესიას ებრძოდნენ, ხოლო ლიბერალისტები ქრისტიანებს კი არ ებრძვიან, აბრიყვებენ, ფულით იმორჩილებენ. სულს უმღვრევენ ფსევდო განათლებით და ფულის ღმერთის ძლევა მოსილებით. ლიბერალები ბოლშევიკებზე უფრო დახვეწილი სატანისტები არიან. როცა ადამიანს ტრადიციულს ართმევ, მის სულში ხელებს აფათურებ, გაგიძალიანდება, თავს შეგაკლავს, მტრად გექცევა. მისი სულიერი დაცემა ძნელია. კანტის სპეკულატიური აზროვნების კონცეფცია უფრო უმტკივნეული მჭრელია და სიამოვნებითი მათრობელია. უნდა გაუყალბო ადამიანს ტრადიციული მისთვის სასიცოცხლო ღირებულებები და მართო კი არ დაარწმუნო, რომ ეს ღირებულებები ყალბია და უსარგებლო, იმ სამყაროში უნდა

შეიყვანო, სადაც მისთვის ყველაფერი ახლო ხელმისაწვდომი და მაცდურია, აქ იგი ყველაფერზე წამსვლელია სულის სანაცვლოდ. ამ მდგომარეობამდე მასა რომ მიიყვანო, მანამდე იგი უნდა დაამშობო.

ადამიანთა უმრავლესობა სუსტია სულიერად და ამიტომ მათი აყოლიება არ არის ძნელი, მართალი გზიდან აცდენა იოლია. როცა ქვეყანას ღონიერი ეროვნული აზროვნება მართავს, მოსახლეობის უმრავლესობა მათ რეჟიმებს ემორჩილება, მითუმეტეს, თუკი სამშობლოს შრომისუნარიანი ადამიანების უმრავლესობა დასაქმებულია. თანამედროვე ლიბერალებმა ეს კარგად იციან და კიდევ ისიც, რომ მორალი და ზნეობა უნდა დასცე ფუნდამენტური, ტრადიციული ღირებულებების სუბსტანციითა გაყალბებით. ეროვნული ხელისუფლების პირობებში ეს პრაქტიკულად მოუხერხებელია. ამიტომ ჯერ პოლიტიკური ელიტა უნდა გაათახსირო, რელიგიას მოწყვიტო. ამისთვის ყველაზე კარგი მასალა დაბალი და საშუალო ნიჭის, უზნეო ადამიანები არიან, ისინი, რომელთაც შრომა ეზარებათ, მექთად ცხოვრება ურჩევნიათ, თავიანთ მომავალს მხოლოდ ჭამაში, ჩაცმასა და განცხრომაში ხედავენ. იოლად მართვადი ხდებიან. ნიჭიერი და უნიჭიერესი კაცი ამისთვის არ გამოდგება. ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლას დასავლეთი უჭერდა მხარს, დაათინანსა კიდევ, მაგრამ ჰიტლერი მართვადი არ აღმოჩნდა და ნებიერმა ხელიც კი შეჰკადრა სუროვატ „მშობლებს“. საჭირო გახდა ჰიტლერზე უფრო დიდი პიროვნებისადმი მხარდაჭერა მის დასამარცხებლად. სხვა ნებისმიერი დიდი ძალა მას ტახტიდან ვერ ჩამოაგდებდა.

თხუთმეტი საუკუნე ებრძოდნენ ქრისტიანებს, ახლაც ხომ ებრძვიან სულში ღვთის სიყვარულის ფულის რელიგიით ჩასანაცვლებლად. ძალიან ბევრს მიაღწიეს და ამჟამად იქამდეც მივდივით, რომ სიყვარულს სექსი ენაცვლება და თურმე 20-30 წლის შემდეგ სიყვარული გაქრება და ოჯახი აღარ იქნება ადამიანის გამრავლების საშუალებაც, აღარც აღზრდისა და განათლების კერა, აღარც სახელმწიფოს ფუნდამენტი და ურთიერთ თანადგომისა და მზრუნველობის მორალურ-ზნეობრივი ინსტიტუტი. ამისი წინაპირობები უკვე ხილვადი მოძრაობებია და მისი შემხედვარე ქვეყნის შვილებს სისხლი ეყინებათ. „ვეფხისტყაოსანზე“ გაზრდილ ერს, რომ ყველგან სექსის უხამსობას სჩრი ცხვირ-პირში, ყურებს უხედნი, იძულებულს ხდი ქვეყნიდან გაიქცეს პურის საშოვნელად, ქალს, რომლის წინაშე ქართველი ვაჟკაცი მუხლს იდრეკდა, ნამუსად იფიცებდა, სიცოცხლეს ერჩია, ახლა იმისი მემკვიდრეები მეძავთა რიგებს ქმნიან ქალაქებსა და სოფლად, სამშობლოს შიგნით და მის ფარგლებს გარეთ. ამ „სამუშაოში“ აღებული ფულით რომ პურს გაჭმევენ, ცოცხალი ლეში ხარ და დაუმარხავი მკვდარი. ამ გზებით ნაშოვნი ფულისაგან თაობები ვერ გაიზრდება, ისევე როგორც მამრად დაბადებულნი და ქალებად გადაკეთებული კაცები ოჯახებს ვერ შექმნიან.

სიყვარული რომ ვრცელია, ეს ყველამ იცის. ღმერთი სიყვარულია და ჩვენი სიყვარულიც იმისაგან იწყება და მასთან მთავრდება. ამდენად სიყვარული ადამიანების

ცოცხალი და წარსული თაობების სულიერი მთლიანობაა მინიერი და ზეციური სამყაროს პირობითი ფიზიკური ნახევარსხეულებრიობის მიუხედავად, ანუ მინიერი და ზეციური სამყარო მთლიანია და ადამიანი ამ სამყაროს ბინადარია. ამიტომ იგი ადამიანია მანამდე, ვიდრე სამყაროს არსებობის კანონებს იცავს, რომელსაც ღვთიური სიყვარული ჰქვია. მამაკაცი და ქალი ერთმანეთს ირჩევენ ღვთის სიყვარულით, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი შვილები უფრო მაღალი ხარისხის სიყვარულის გაგრძელებაა, რომელთაც ქვეყნისა და ხალხის სამსახურის ახალი საფეხური უნდა დაადგან ღმერთთან მიახლოებისათვის და გაიხარონ, რომ შვილნი სჯობნით მამათა. სწორია ფილმი „შერეკილების“ გმირი ქრისტეფორე: სიყვარული ვერტიკალურია და თანაც ბრუნვადი. ადამიანთა თაობების მიმდევრობის უწყვეტობა არის გზა ადამიანური სრულყოფისაკენ, ხოლო თაობათა შორის ჭიდილი ფრონტალური განშლადობაა, რომლის გამოხატულებაა ქვეყნის მოსახლეობის სულიერი და მატერიალური კეთილდღეობის სიმაღლე.

ქართული ოჯახი ტრადიციების ბაზაზე იდგა, საიდანაც ღებულობდა მისი განვითარების ენერგო იმპულსებს. მომავალი წყვილი სულიერად თავსებადი უნდა ყოფილიყო, როგორც რელიგიური აღმსარებლობით, ასევე მატერიალური მდგომარეობით, რადგან სულიერი და მატერიალური ადამიანის მთელი ცხოვრების ნახევარსხეულებია. ამ წმინდათა წმინდა აზრის მიმდევრობამ შექმნა სახელოვანი ქართული გვარები და ოჯახები, რომლებიც საფუძველში ედგნენ სამშობლოს ძლიერებას. ადამიანი რომ მხოლოდ მისი მეორე ნახევრის სიყვარულით შემოთვარგლულიყო, როგორც ეს ზოგიერთ ავტორს წარმოუდგენია, ქართველობა კაი ხნის გადაშენებული იქნებოდა. ოჯახი უფრო მეტია, ვიდრე წყვილის სიყვარული. ოჯახი მთელის სიცოცხლის გამრავლებაა, ადამიანის სრულყოფილების მკვებავი ენერგიაა. იქ სიყვარული მისი ჯანსაღი არსებობის პირობაა. ღმერთი იძლევა სიცოცხლის სიყვარულს დასაწყვილებლად, რომელიც მერე ნაწილდება შვილებზე, და საერთოდ მომავალ თაობებზე. მას აქვს აგრეთვე ჰორიზონტალური განშტოება: დედმამიშვილების, ნათესავების, მოყვრების, ახლობლებისა და ნაცნობების, ტრადიციების, ცხოვრების წესის, გვარისა და ქვეყნის სიყვარული. უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს ის, ვისაც ხალხისა და ქვეყნის დიდი სიყვარული გააჩნია. გამოდის, რომ ქვეყანა სიყვარულის სივრცეა. ახლა ეს სივრცე ორად გვაქვს გაყოფილი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. რელიგიიდან ამოვარდნილი ხელისუფლება თავგასულია და ქვეყანას საჭმელად წაეკიდა. ხალხი ეკლესიისაკენ ბრუნდება და მართლმადიდებლური რწმენა მატულობს, კოჰაბიტირებულ ხელისუფლებას ასპარეზიდან გადევნის დრო დაუდგა.

სიყვარული აღზრდის პროდუქტია. ახალშობილი დედისაგან და მამისაგან იწყებს სიყვარულს, იღებს მირონცხებას, მშობლების მეშვეობით აცნობიერებს ნათესავებსა და ახლობლებს, ნაცნობებს, ადგილის დედას, სწავლობს სამშობლოს წარსულსა და

ანმცოს, რომელიც მერე მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდება. ამით ის მინდა ვთქვა, რომ სიყვარულის ეკონომიკა აღმზრდელიობითი და საგანმათლებლო სისტემის სრულ გარდაქმნას საჭიროებს, რომლის მიზანი იქნება მორალურ-ზნეობრივი, პატრიოტი პროფესიონალის ჩამოყალიბება. ბიბლია სკოლებისა და პროფესიონალური დანესებულებების სასწავლო პროგრამების შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს.

სამშობლო სამგანზომილებიანი სივრცეა, წარსულის, ანმცოსა და მომავლის თანარსებობაა. ერის სულიერი და ფიზიკური მოღვაწეობის ერთობაა, რომელიც განსაზღვრავს მის ეროვნული იდენტურობას, და რომლის გამოხატულებაა, როგორც მისი ყოფა-ცხოვრების თავისებურებანი, ასევე მისი პიროვნული სპეციფიკურობა. ქართველი კაცის ისტორიული განსაზღვრულობაა მინათმოქმედება, მინაზე, მის ისტორიულ საცხოვრისზე მიმაგრებულობა. მილიონი წლებია ესაიდუმლოება ქართველი კაცი ღვთით ბოძებულ მინას, რომელიც არა მხოლოდ ნაყოფის წყაროა მისთვის, სიცოცხლის, ღონისა და გონის მიმცემია. მინაც დავალებულია ქართველი კაცისაგან, რომელიც მას თვისებებს უკეთილშობილებდა და მისი ბედის თანაზიარი გახდა. უამთა სიავემ შეასისხლობორცა ისინი ერთმანეთს და ამიტომ არ შეიძლება ქართული მინების ქართველებისაგან განცალკევება, უცხოელებზე გასხვისება. რაც უფრო გრძელია მინაზე ოჯახისა თუ გვარის მემკვიდრეობა, მით უფრო ძლიერია მინისადმი სიყვარული, მით უფრო მიმაგრებულია გვარი და ოჯახი მინას, მით უფრო ძნელია მათი ერთმანეთისაგან დაშორება. მინისგან მოწყვეტით იწყება ქართველი კაცის ეროვნულობის გადაგვარება. მინის სიყვარული უნდა დაუბრუნდეს ქართველ კაცს და იგი გაიხსენებს როგორ უნდა უსმინოს მას, მიეფეროს, ეჩურჩულოს და უმღეროს, როგორც მარჩინალსა და მის სამუდამო განსასვენებელს.

ის სიყვარული, რაც ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს, ვერ ითმენს ბილწსიტყვაობას, სასაუბრო ენის გათახსირებას, მასმედიის საშუალებების ენობრივ უხამსობებს, პორნოგრაფიას, სექსის პროპაგანდას, უკიდურეს ფამილიარობას, უგემოვნო შოუ პროგრამებს, ტრადიციებისადმი უპატივცემულობას, ოჯახის საფუძვლების მოშლას, უსირცხვილობის გამომზეურებას, დიდი ადამიანების სასაცლოდ ავდებას, წარსულის გამასხრებას და ა.შ. აქ მკაცრი ხელი არის საჭირო, თორემ ადამიანები ისე გადაგვარდებიან, რომ ცხოვრება საძულველი გახდება, ღვთის რისხვას გამოვიწვევთ.

სახელმწიფო თავუკულმა დგას-ხალხი ხელისუფლების მოსამსახურეა, ხოლო ხელისუფლება ხალხის ხარჯზე ცხოვრობს და იმდენად უტიფარია, რომ როცა პირადად თვითონ დღეში 200 ლარი საჭმელად არ ჰყოფნის, 200 ლარიან პენსიონერს დღიურ ულუფას 1, 18 ლარით უსაზღვრავს-საკმარისიაო.

შეძახილი, შეფხიზლება ხალხსაც უნდა, მან უნდა იცოდეს და გრძნობდეს, რომ ძალის პატრონია, რომ მისი უდიდესებულება ხალხია და ხელისუფლება მისგან დაქირავებული. ძალა თავისუფლებიდან მოდის, ხოლო თავისუფლება-ცოდნიდან. ეს

კარგად იციან იმათ ხელისუფლებაში რომ არიან და ამიტომ ყველაფერს აკეთებენ ცოდნის პროსტიტუციისათვის, საზოგადოების გამოსათყვანებლად („როცა შენი მოძმე გაღარიბდება შენს თვალწინ, და შენ მოგეყილება, მონურად ნუ ამუშავებ...ნუ იბატობენ მასზე ძალმომრეობით და შენი ღმერთის გემინოდეს“ (ლევეიანნი. 25. 39,43), მაგრამ ის კი არ იციან, რომ საქართველო განათლების უძველესი მიმდევარია და როგორადაც არ უნდა უცვალონ კურსი განათლების კონცეფციებს, იგი მაინც იმ მიმართულებაზე გავა, რომელიც ეროვნულად კოდირებულია და ხალხისა და ქვეყნის სამსახურში აღმოჩნდება. მიუხედავად იმისა, რომ პურის ფინჩხებზე დაგეშილი უგვარო ქართველები თუ ქართულად გვარგადაკეთებულები ყველაფერზე წამსვლელები არიან იმისათვის, რომ წამდვილი ქართული მსოფლიო ცივილიზაციის ანაქრონიზმად გადაღებონ. ეროვნული ენერგია ბობოქრობს და მთელ საქართველოს იმ სხივებს აფრქვევს, რომელიც მას თვითმყოფადობის შეგნებას უღვიძებს და შთააგონებს, რომ ის მარადიული სიცოცხლისუნარიანია. არ გაითავისა ქართულმა გენმა ლიბერალობის ფარისეული ღირებულებები და თავისუფლების მისი კაბინეტური კონსტრუქციის ინოვაციები და ეროვნული ენერგია წინა პლანზე გამოიტანა, რომელიც ამ არამართლმადიდებლურ და არაქართველურ უცხო ფასეულობებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაება. ეს არ არის თაობათა შორის ბრძოლა როგორც ხშირად ხატავენ ლიბერასტები და ჭამა-სმამზე დახარბებულები. ეს ტრადიციულ და ბრჭყვიალა სატანისტურ ღირებულებათა შორის არსებობისთვის დაპირისპირებაა, სულიერისა და მატერიალურის ძალმომრეობისთვის ჭიდილია.

ზემოთ აღვნიშნე, რომ სამშობლოს, როგორც მთელის სახელმწიფოდ და ეკლესიად დაყოფა პირობითია, ვინაიდან ერთ ქვეყანაში ორი ქვე სახელმწიფო ვერ იქნება. (ოსმალთა ნახევარსაუკუნოვანი ბატონობის შემდეგ ბერძენმა ხალხმა, პირველ ყოვლისა, ბერძნული ეკლესია და ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა.“სახელმწიფომ თავისთავზე აიღო ბერძნული ეკლესიის ყოველგვარი სოციალურ-ეკონომიკური საკითხის გადაჭრა, სამღვდლოებას დაენიშნა ხელფასი I კატეგორიის სახელმწიფო მოხელეთა თანაბრად. ბიუჯეტმა გაითვალისწინა სახსრები სამღვდლოების უზრუნველყოფის, ბინების, სხვა საჭიროებისათვის. მხოლოდ ერთი საქმე დაეკისრა სამღვდლოებას-ახალი თაობის აღზრდა, ერის ზნეობრივი გაჯასალება“<sup>11</sup>. ისინი მხოლოდ მთელის ნახევარსხეულები არიან და უზენაესთან ერთი მიმართება აქვთ. ადამიანი თავისუფალი მორალური არსებაა, რომლის შეგნება მას მხოლოდ შემეცნების გზით შეუძლია. ხელმძღვანელობა უნდა იცოდეს, რომ მის ზემოთ ღმერთია და თუ მას ღმერთი არ სწამს, წამდვილი ხელისუფალი ვერ იქნება. ხელმძღვანელობა სიბრძნეა, რომელიც ღმერთისგან მოდის. ბაბილონი იმიტომ დაეცა, რომ მისი მეფეები თავს ღმერთისგან დამოუკიდებლად გრძობდნენ („ალაჰარაკდა მეფე და თქვა: ეს ის დიდებული ბაბილონი არ არის, რომელიც მეფის სადიდებლად

<sup>11</sup>(მეტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. გვ 1133).

ავაშენე ჩემი ხელწიფების ძალით ჩემი სიდიადის საქებრად? მეფეს ჯერ სიტყვა არ გაეთავებინა, რომ ზეციდან ხმა გაისმა: შენ გეუბნებიან, მეფე ნაბუქოდონოსორ, ხელიდან გეცლება სამეფო. მოიკვეთები კაცთაგან, მინდვრის მხეცებთან იცხოვრებ, ხარების მსაფსად ბალახს გაჭმევინ და შვიდი წელიწადი გადივლის შენზე, ვიდრე გაიგებდე, რომ უზენაესი ხელმწიფობს კაცთა სამეფოზე და ვისაც უნდა იმას აძლევს“ (დანიელ წინასწარმეტყველი 4: 27,28). არ უსმინა მეფემ და ყველაფერი სრულად ისე აუხდა, როგორც ზეციდან დაარისხეს. საბჭოთა კავშირიც იმიტომ დაეცა, რომ ქვეყნის ელიტამ „კარგი საჩინო“ ვერ იგუა, „ავად მიიჩნიეს“. უტვინო თავებმა ქვეყნის პატრონობა მოინდომეს, სული ეშმაკს მიჰყიდეს და არ აცალეს უბადლო ხელოვანს იმ შენობის დასრულება, რომელსაც ცოტა დრო ჰყოფნდა. სანაცვლოდ რა მიიღეს: იუდასავით უსახელონი, უბადრუკნი, უპატივებლები, სასაცილოები დარჩნენ. ეს ხელისუფლებაც იმდენად უმეცარია, რომ ღვთის სიყვარულზე არც უფიქრია და ჰგონია დასავლეთის მხარდაჭერა საკუთარ ხალხზე გაბატონების საშუალებას აძლევს. „მეფის გული წყლის ნაკადებია უფლის ხელში, საითაც ინებებს, იქით გაუშვებს“ (იგავნი სოლომონისა. 21.1.). რომელი უღმრეთო ხელისუფალი გამორჩა ღმერთს ანგარიშიდან. განა ბრძენმა მეფემ სოლომონმა არ თქვა, უფლისა გეშინოდესო?

სიყვარულმა მოიყვანა ჩვენი სამშობლო აქამდე, ვინაიდან სიყვარულს ფესვები აქვს. ამიტომ არის, რომ აბობოქრდა ქართული სული, დადგა დრო, როცა მწინავე საზოგადოებრივი აზრი მომართულია თვითმყოფადობის შინაგანი ენერჯით, რომლის მანთებელა მუხტია ქრისტეს მცნებანი.

## საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის წინა პირობები

ხალხი მასაა, ხოლო მასა თავისთავად მხოლოდ უძრავია. მისი ამძრავია თავისივე სხეულებრივი მთლიანობის მაფორმირებელი გამოვლენა-პიროვნება მიმმართველი. ამდენად, ნებისმიერ კაცსა და ქალს პიროვნებას ვერ ვუნოდებთ, ვინაიდან ერის მომსახურე პიროვნება ქვეყნის კრიტიკული მდგომარეობისას სამშობლოს მდიდარი ტრადიციული ინტელექტის ისტორიული გამოძახებაა. ცნობილი სიტუაციაა-პიროვნება ხარისხით განისაზღვრება, რომლის მკვებავი ენერგიაა სამშობლოს სიყვარული. ადამიანი მისი ქვეყნის ვალდებულად იბადება და ეს ფუნქცია მან უნდა შეასრულოს: ისწავლოს სამშობლოს წარსული, მიიღოს ქვეყნის სამსახურის ტვირთი და პროფესიული ცოდნა ქვეყნის სამსახურისთვის. ქვეყნის უბედურება მაშინ იწყება, როცა ეს ბალანსი ირღვევა-სამშობლო ქვეყნად იქცევა და მისი უღირსი შვილები სხვა ქვეყნების სამსახურში დგებიან, ვინაიდან ყველაზე იოლი შენი ქვეყნის ღალატია, რადგან შენი ხალხის სისუსტე, შენზე მეტად, მტერმა არ იცის, არც არასდროს ცოდნია. ამის შეგნება თავიდან ფეხებზე დადგომას ჰგავს-ქვეყნის შენება მხოლოდ სიყვარულით შეიძლება. დაიღალა ქართული აზროვნება მოსესედროინდელი ებრაელებივით უდაბნოში ხეტიალით და დადგა დრო სახლში დაბრუნდეს. დაიწყო აზიიდან, გადავიდა ევროპაში, მეზობელი რუსეთიც მოსინჯა, შორეულ მატერიკსაც გადაწვდა, ამერიკა იყო ბოლო სადგური, რომელიც ქართულ ოცნებას აქამდე არ ენახა. პასუხი ყველგან ერთიდაიგივე დახვდა-მისი ძლიერება მისივე თვითმყოფადობაა. უხეირო ექსპერიმენტებს უამრავი დრო და ენერგია შეეწირა. ისევ სახლში ვართ და ვერ შევრიგებულვართ ერთმანეთთან.

პირველი, რაც უნდა გაკეთდეს ქვეყნის მოსახლეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, არის მინავლებული პატრიოტიზმის გაღვივება. ამ მოძრაობის ინიციატორები, როგორც წინა პრომაში მქონდა აღნიშნული, შეიძლება იყვნენ "პატრიოტული ალიანსი" და არასამთავრობო ორგანიზაცია "მოქალაქე", რომლებმაც მოსახლეობის ფართო მასებთან უნდა იმუშაონ და მჭიდრო კავშირი ჰქონდეთ ქართულ ეკლესიასთან. ლიბერალები და მასზე მითმასნილი ელემენტები შეტევამდე გადავლენ და ევროპასა და აშშ ცეცხლს აანთებენ-საქართველოში დიქტატურა მყარდება და რელიგიურ კონფესიებს ამცირებენო. ხალხს თუ შევამჭიდროვებთ ქვეყნის გარშემო, ფულზე დახარბებულ ნაციონალ-ლიბერალების კოსმოპოლიტიკურ ღირებულებებს დავძლევთ. ეს ბრძოლა იოლი როდი იქნება. მალე ისევ აბორგდება უცხოური ვალუტები ტალღებად, ფულზე დახარბებულებს მადა გაეზრდებათ და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას დაიწყებენ, მაგრამ ქართული ეროვნული აზროვნების მტკიცე წინააღმდეგობას წააწყდებიან. ქართველ პატრიოტთა არმიის შემადგენლობა საკმაოდ მრავალრიცხოვანია, რომლის მტკიცე ხასიათის შენაერთია ორ მილიონიანი ქართული ემიგრაცია. თუმცა მთავარი პრობლემა ნამდვილი პატრიოტული ფრონტის ამორჩევაა. პატრიოტიზმის წინა პლანზე წამოწევა დიდი



რაოდენობის თაღლითურ მასას გამოაღვიძებს, რომელიც ერთბაშად მოინდომებს თავით გადაეშვას სამშობლოს კეთილდღეობის ნამდვილ მებრძოლთა მასაში. ამის ცოცხალი მაგალითი ყველა ჩვენგანს თვალწინ გვიდგას: როგორ შემოეტმასნენ თავისუფალი საქართველოს მრგვალ მაგიდას ფსევდო ნაციონალები, გაძარცვეს ქვეყანა და დააქციეს საკუთარი სამშობლო, მერე ჯიბეგასქელებულები საზღვარგარეთ გადაბარგდნენ და ნაოხარზე ცხოვრობენ, ბევრი კიდევ ლილისფრად გადაიღება და კისერზე აზის ქვეყანას და ნაცარქექიასავით სადგისით კი არ ჩხვლეთს, მათრახით ცემით უჭრელებს ზურგს სირბილს რომ მოუმატოს. არ დადგა განკითხვის უამი, რომლის გარეშე პატრიოტიზმი არ იქნება, ვინაიდან იგი არა მარტო სამშობლოს სიყვარული და ხალხის სამსახურია, არამედ ავტორიტეტი, რომელსაც საზოგადოებრივი აღიარება აქვს. როგორ ამაცობდნენ მეორე მსოფლიო ომში დაღუპული მეომრების ოჯახები, როგორ უვლიდნენ დაღუპულთა საფლავებს, აწყობდნენ მემორიალურ დაფებს და პატივს მიაგებდნენ ხსოვნას ფაშიზმზე გამარჯვების ყოველ დღეს, ყვავილებით ამკობდნენ მოსწავლეები და სტუდენტები ძეგლებსა და ბიუსტებს. როგორ დაიმსხვრა რამდენიმე წელიწადში ჩვენს თვალწინ ეს ყველაფერი. პატრიოტიზმი ვალდებულება და პასუხისმგებლობაა შენი სამშობლოს მდიდარი ისტორიისადმი.

ადამიანი პატრიოტი არ იბადება. იგი უნდა გაიზარდოს ოჯახში, სკოლაში, საზოგადოებაში. მან უნდა იგრძნოს პატრიოტის აღმაფრენა თავისი ხალხისაგან. ჩვენთან კი პირიქით ხდება, პატრიოტობასაც ფულებში ახვევენ. ჯარისკაცი დაქირავებული უნდა იყოსო. დაქირავებული ჯარისკაცი ვერასდროს იქნება პატრიოტი, იგი მხოლოდ პროფესიონალი მებრძოლი შეიძლება გახდეს, რომელიც იმიტომ მსახურობს, რომ მასში ფულს უხდიან. ქვეყანას მისი შვილები უნდა იცავდნენ, სწავლობდნენ სამშობლოს დაცვის ხელოვნებას, როგორც ეს ჩვენისთანა პატარა ქვეყნებშია, სადაც სამხედრო ხელოვნებას კაცებთან ერთად, ქალებიც ეუფლებიან. არადა, რამდენი საუკუნის წინ ჰყავდა საქართველოს მებრძოლი ქალები. ქვეყანას დაცვა მარტო საზღვრებზე კი არ უნდა, ყოველდღე სჭირდება, სამოქალაქო ცხოვრება სავსეა გადაცმული თუ გადაუცმელი მტრებითა და ქვემძრომებით... ხანდაზმული მეზობელი მარტო ცხოვრობს და ეზო-კარის გაყიდვა უნდა, მერე თბილისში წავა ქალიშვილთან საცხოვრებლად. მაკლერმა მდიდარი არაბი მიუყვანა, რომელიც იმაზე მეტ ფულს აძლევდა, ვიდრე მანამდე შემოუთავაზებიათ. არ ჰქნა მოხუცმა, ჩემს მიწას უცხოელს როგორ მიყვდიო. აიჭრა მაკლერი, შენთვის რა მნიშვნელობა აქვს, ფულს ხომ გაძლევსო. დაიფრინა მოხუცმა, შენ ქართველი არ ყოფილხარო. არ გასჭრა მუდარამაც, ახლაც გაუყიდავია მამული, არ მისცა მოხუცმა გადამთიელს მისი ნაშრომი და ნაღვანი იმ ფასად, რომელიც მან შეიძლება ვერასდროს მიიღოს. აი, როგორი ძლიერია პატრიოტული გენი.

დიდი შიშის საფუძველი არსებობს იმისა, რომ ფულის რელიგიამ გადაგვაჯიშოს, გადაგვაფეთოს ან სამშობლოს სიყვარული ამოგვიშანთოს ისტორიული მესხიერებიდან. კარგად ატყვია ჩვენს საზოგადოებას დასავლური ღირებულებების წვიმები. ახალი ტიპის დამცველებიც გაჩნდნენ, რომლებიც იმას ამტკიცებენ, რომ ნაციონალები და ლიბერალები თვითინიციატივას იჩენენ, თორემ დასავლეთში ასე არ იქცევინან, მათი ღირებულებები უკეთესი ხარისხის არისო. ჯერ ერთი, რაში სჭირდება დასავლეთს უფრო უკეთესი საქართველო, ვიდრე დღეს არის. მეორე, თუ დასავლური ღირებულებები დამახინჯებულად მოგვწოდება, მაშინ რატომ არ დაარისხებენ პორტეტის ზარებს, რატომ გვაყენებ შეურაცხყოფასო. მესამე, რატომ იფარავენ ჩვენი ქვეყნის დამაქცევრებსა და მოლაღატეებს, რატომ უხსნიან კარებს ევროპისა და ამერიკის მაღალ სახელმწიფო ინსტანციებში, როცა მათ ქართული სამართალი დევნის. მეოთხე, როგორ, უღმერთობა, შობადობის ხელოვნური რეგულირება, ნარკომანია, ვასტრაცია, ევთანაზია დასავლური წარმოშობისა არ არის?

დასავლური ინდივიდუალიზმი, მერიზმი საქართველოს სიკეთის გზაზე ვერ გაიყვანს. სასწრაფოდ უნდა დავებრუნდეთ მშობლიურ კერას, ჩვენს დიდ სახლს, სადაც თვითოეული ჩვენთაგანი ერთმანეთზე იფიქრებს და თავის მიზნად სხვებისადმი ხელის შეშველება ექნება. რამდენიმე წუთის წინ ინტერნეტში დიდი მეცნიერის ჯონი გიგინეიშვილის ინტერვიუ ვნახე. იგი იმ ტექნოლოგიის გამომგონებელია, რომლითაც ბაზალტისაგან საწარმოო ტექნოლოგიური და საქსოვი ბოჭკოს მიღება და უნიკალური ძაფის დამზადება შეიძლება. თანაც ძირითადი მასალა ადგილზე მოიპოვება, რომელსაც უნიკალური თვისებები გააჩნია. ვის არ მიმართეს, მაგრამ ხელი არავინ გამოიღო, ხელისუფლებას ხომ ასეთი გამოგონებისთვის არ სცალია. ქვეყანა დაუძლურებულია, ხალხი მშიერია, უმუშევარია და იმის ნაცვლად, რომ ეკონომიკის განვითარებას ხელი შევუწყოთ, არაფერს ვაკეთებთ. მეცნიერი იძულებულია ქვეყანა დატოვოს და თავის გამოგონება სხვა ქვეყანაში აქციოს წარმოებად. მსოფლიო გამოხმაურება აქვს რამაზ გახოკიძის "ბიორაგს", მაგრამ დაყრუებულ ხელისუფლების არაფერი ესმის და ვერაფერს უყურებს ისე არის გამორჩენის სიხარბით დაავადებული. რამდენი ახალი სამუშაო ადგილის შექმნის პოტენციალური შესაძლებლობა არსებობს და ნაცვლად იმისა, რომ მისი რეალიზაციის პირობები შეიქმნას, პარლამენტი საღამო საათებში მოსახლეობის ხმაურის მინიმალურად დასაშვები ზღვრის კანონიერ განსაზღვრულობაზე იმტვრევს თავს. ეს იმ ანეკდოტს გვახსენებს თუ როგორ იყენებდა კაცი მახათს, ვინაიდან საქმე არ ჰქონდა.

პატრიოტიზმი განათლებისაგან განუყოფელია. განათლება ჩვენს ქვეყანაში მისი პირველი პირის ხუმტურზეა დამოკიდებული და იმაზე თუ რა რჩევას მისცემს დასავლელი ემისარი და ინვესტორი, რა ხიერი ექნება ფინანსური მაქინაციებისაგან. მეცნიერები კრიტიკის ცეცხლს არ აკლებენ განათლებისა და მეცნიერების ქალთა სამინისტროს, მაგრამ "რად გინდა, ვინ დაგიჯერა". გაჭირვისაგან გასაცოდავებული

ხალხი წლებზე ფეხს იდგამს და მისი სახლ-კარს სისხლისმწოველ ბანკებში გირაოდ სდებს და შვილებს ისე უხდის სწავლების თანხას იმ იმედით, რომ საერთაშორისო აღიარების დიპლომს აიღებს და აქ თუ არა, საზღვარგარეთ მაინც იპოვის სამუშაოს. ქალების განათლების სამინისტროც მოწვევაშია: დღითი-დღე "შტამპავს" ახლი ტიპის უმაღლეს სასწავლებლებს, იქედან კი ავტორიზაციის თანახმად იჯიბავს და საერთოდ არ აინტერესებს, რომ ქვეყანას ამდენი უმაღლესი სასწავლებლის პროფესურა არ თუ არ ჰყავს, არც არასდროს ეყოლება, ვინაიდან ჩვენში მოსახლეობის რაოდენობა ყოველწლიურად მცირდება, და კიდევ: მეცნიერები სწრაფად ვერ მრავლდებიან. პროფესიული კოლეჯები უმაღლეს სასწავლებლების რიცხოვნობას საკმოდ ჩამორჩებიან, რომელთაც არა მხოლოდ პროფესიული მომზადების პერსპექტიული პროგრამები არა აქვთ, არამედ კოლეჯში მიღებული ცოდნა მათ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებაში არაფერში არ არავიათ. პატრიოტული აღზრდა საერთოდ გამქრალია სასწავლებლებიდან, თითქოსდა იგი საერთოდ არც არსებულობს. დასავლური ანტიტადიციული წარღვნა გადაშენებას გვიპირებს მითუმეტეს, რომ ფულზე დახარბებული და გადაგვარებული ბევრი ქართველი ტრიბუნებიდან-პარლამენტიდან, ტელევიზიებიდან, ინტერნეტიდან, გაზეთებიდან-იმედიანად დაგვჩხავის, რომ საშინაო არაფერია, ჩვენ წარღვნაში ხელახლა ვინათლებით, რათა ქართველები დასავლეთში ქართული ტრადიციებისაგან განწმენდილები შევიდეთ. ოჯახი ტირანიაა, შვილებისადმი მკაცრი მითითება მათი უფლებების დარღვევაა, მართლმადიდებლობა ხალხის ოპიუმია, სიყვარული გართობაა, სექსი-თავისუფლება, ქორწინება-წყვილის მეგობრებთან წარღვენის ცერემონია, ქუჩაში სიმღერა-სიმშვიდის დარღვევა, რომელიც კანონით ისჯება და ა. შ. ჰოდა, მივუბრინდეთ ახლა ჩვენს მორალურ-ზნეობრივ ფასეულობებს, მატერიალურ და სულიერ კულტურას და მოვიქნით სანაგვეზე, ზოგი მინაში ჩავმარხოთ, ზოგს ცეცხლი წავუკიდოთ, ზოგში შეიძლება ფურცლები ამოვხიოთ, ზოგიც კიდევ ავაფეთქოთ, ზოგი გადავადნოთ, ზოგიც გავაჩუქოთ.

ამ შოთა რუსთაველს რაები დაუნერია: "სიყვარულსა მალვა უნდა, ვითა ცხენსა ნაქურდალსა", "მძულს უგულოდ სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლაშა-მტლუში", "სჯობს საყვარელსა უჩვენო, საქმენი საგმირონია". რა არის სიყვარული, ვის რაში სჭირდება იგი, ჩვენ გვინდა სექსი. აი, მასში არის ხვევნა-კოცნაც და მტლაშა-მტლუშიც. რა საგმირო საქმენი უნდა უჩვენო ქალს, რომელიც მოგწონს. გაუგზანი მესიჯს, დაუურეკავ მობილურზე და შეთავაზებ სექსს, ანდა თვითონ შემოგთავაზებს, რა მნიშვნელობა აქვს. თუ ვერ შევთანხმდებით, მერე რა, ქალი დაილია ქვეყანაზე? არა, ისე კაცი არ სჯობია? დაგჭირდება ქალად-გამოიყენებ, დაგჭირდება კაცად, შენ კიდევ გამოადგები ქალად. აქ ორმხრივი სარგებლიანობაა. კაცი სჯობია ქალს. თანაც არც შენ დაფეხმძიმდები და არც ის. ეს "კეთილი ადამიანები" კიდევ რა ფილმია. დილაადრიან, როცა ხალხს სძინავს, ეგენი თავღია მანქანით მოჰქრიან და ხმამაღლა მღერიან. არ უნდა

დაეჯარიმებინა იმას, მაშინ რომ მილიციელი ერქვა? რა უფლება ჰქონდა გაეშვა მომღერალი ბიჭები, აბა, ახლა გაბედოს, მაშინვე მოხსნიან, მშიერ ხალხს მშვიდად უნდა ეძინოს! აი, რა არის მთავარი. ეს საბუღალრო მემკვიდრე ხომ სულ თავგასულია-როგორ უყვირის ცოლს, ვინ მისცა ამისი უფლება, ამ მოძლადეს. თქვენ ოჯახური ძალადობის მომხრე ხართ? ვილაც ვეფხია მთიელი ხალიბაურის საცოლვე კიდევ დეგენერატია. სამი წელიწადი ელოდა რუსეთში გადაკარგულ კაცს! ისიც კი გამოშტერებულია, რუსეთში ქალები ამოწყდნენ თუ? მღვდლები ხომ მთლად თუ არა, ნახევრად გიჟები მაინც არიან. რა უნდოდა მამაო ილია კარტოზიას, ვინ ავალედა იმ ბერძნების გადარჩენას, რავა ამ ქვეყნად მეორედ მოვა თუ? აი, გურული ყაზილარი ხომ მთლად გამოტვინებულია, რავა გამოეკიდა გასალახად გურამს. ანდა ეს გურამიც რა შტერია, დაერეკა პოლიციაში და დაიჭერდნენ მამისს და გვარიანად დააჯარიმებდნენ კიდევ. ჰოდა, მოიშორეთ სასაცილო სიძველეები, გადახანით ტირანული წარსული, თქვენ ხომ ევროპელები ისე ვერ გახდებით.

გასაგებია ცხადად და ვრცლად, რომ შვილს უხეშად არ უნდა გაუნყრე, რომ ცოლი მონა არ არის, მას ხელით არ უნდა შეეხო, მეზობლებისა და ახლობლების მყუდროება არ უნდა დაარღვიო, მაგრამ ეს ხისტი, მყისიერი მოქმედების კანონის შემოღებით არ გადაწყდება. ამის საფუძველი არა მხოლოდ საზოგადოების არქაული მოტივაციური ქცევების კრიტიკული ანალიზია, არამედ, იმ პირობების კვლევა, რომლებიც ტრადიციებიდან მომდინარეობენ, რაც ცხოვრების მიძიმე სოციალურმა პირობებმა გააუკუღმართა, ეპოქის თავისებურებებმა გამოიწვია და სხვა. სწორედ ამის საფუძველზე უნდა შეიქმნას ქვეყნის პერსპექტიული განვითარების გეგმები, რომლის რეზულტატი იქნება საქართველოს მოსახლეობის საზოგადოებრივი აზროვნების ახალ საფეხურზე გადასვლა. ქვეყნის პარლამენტი ევროპული კანონების რეგისტრირების პროცესებს აფორმალებს და ჰგონია ამით საქართველოს ევროპიზაციას ემსახურება, რომელიც თურმე ჩვენს ხალხს იმათი კანონების საფუძველზე გაავროპელებს და კეთილდღეობას გაუუმჯობესებს. ამას კრეტინიზმი ეწოდება. განა ცოდნა იმას ჰქვია, რომ როცა ქვეყანას უჭირს, ხალხს სული ამოჰხადო. ჩვეულებები დროში ყალიბდება და ამიტომ მათ გადაჩვევას დიდი დრო სჭირდება, განა ამერიკელებს მოსახლეობის სიგარეტის გადაჩვევის 30 წლიანი პროგრამა არ ჰქონდათ? ჩვენ რა მცხეთობა გვემართება. კურიოზების კასკადია-სხვა ქვეყნების კანონების ასლებს საქართველოს პარლამენტში გვარიანი უხეში ქართულით თარგმნიან და მერე მოსახლეობას აყვედრიან: აი, ევროპული კანონები გაღირსეთ, თქვენ მათი გამოყენებაც არ შეგიძლიათო. რას იზამ, როცა ქვეყანა ნამცხვარი ჰგონიათ, მისი დიდი ნაჭერის მიტაცებაზე უჭირავთ თვალი.

განათლებული აზროვნება უკვე ხვდება, რომ ფინასურ იმპერიას მსოფლიო ბატონობა სურს, როცა მსოფლიო ერთიანი სახლია, საერთო ჯარი ჰყავს, წესრიგიც ერთიანია, საზღვრები ქვეყნებს შორის პირობითია, ხალხებს საერთო ენა აქვთ და

ყველა ადამიანი მსოფლიო მოქალაქეა. ფინანსური უმცირესობა უნიჭო უმრავლესობას თანტაზიების ფეირვერკში ახვევს და ეუბნება, რომ მსოფლიო სახლი ბედნიერებაა, ვინაიდან რომელ ქვეყანაშიც გინდა, იქეთ წახვალ, სადაც გინდა, იქ დასახლდები. ნამდვილად მართალია მსოფლიოს აღიარებული ეკონომისტი ვ. კატასონოვი-ეკონომიკა მართვის ხელოვნებაა და არა მეცნიერება. ხელოვნება კიდევ, ყველაფრისაგან მიუხედავად, მაინც საზოგადოებრივი აზროვნებაზე ზემოქმედებაა. მსოფლიო ერთიანი მეურნეობა ხალხებს სიკეთეს მოუტანს?

მიუხედავად ტოტალური შეტევისა ქართული ეროვნული ენერჯია მისი ღირსეული შვილების აზროვნებისა და მოქმედების მოძრაობად იქცევა. ეს ჩვენი საოცარი ფენომენია. რამდენჯერ იდგა ქვეყანა გადარჩენა-არგადარჩენის ზღვარზე, მაგრამ ყოველთვის ეროვნული ენერჯია მძლავრობდა ლალატსა და ზნედაცემულობაზე. ძალიან უჭირდა სამშობლოს მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ჩამორჩენილობისა და შინააშლილობის გამო, მაგრამ ერის მამებმა რკინის ქალამნები ჩაიცივეს და სამშობლოს სამსახურში ჩადგნენ. უკვე მეოცე საუკუნის დასაწყისს საქართველოს ღონიერი ინტელექტუალური ელიტა ჰყავდა. 1913-1914 წლებში ქვეყანა წელში გამართული იყო. იმ პერიოდთან შედარებით ადამიანისეული კაპიტალი რაოდენობრივი და ხარისხობრივი თვალსაზრისით გაცილებით დიდია, მაგრამ ისტორიულ წლებთან შედარებით მდგომარეობა დამძიმებულია იმიტომ, რომ უფრო ვერაგი და აზრობრივი დევრადაციის მტრების გარემოცვაში ვართ, რომლებსაც მოასწრო ოდესღაც ქართულსისხლიანი ჩვენი ნაშიერის დევრადაცია და მტრებად გვიქცია ფულზე დახარბებით. მწარე გამოცდილებიდან სიფხიზლე ემატება ქართველ ხალხს და ეროვნული და ანტიეროვნული დაპირისპირება დღითიდღე მძაფრდება, იზრდება რწმენა იმისა, რომ საქართველოს უკეთესი ცხოვრება მხოლოდ თავის იმედად შეუძლია და ამისთვის მას ყველანაირი რესურსი აქვს, რომლის ამოქმედება ქვეყნის საკეთილდღეოდ ერის გამთლიანებით არის შესაძლებელი.

## ლიტერატურა

1. ჯ. კაშია. ქართული კულტურის პარადიგმა და გამოწვევები. [strate.ge/index.php?option=com\\_content&view..](http://strate.ge/index.php?option=com_content&view..)
2. Причины бедности-Стратегии [www.bednost.fond-com.org/1456.html](http://www.bednost.fond-com.org/1456.html)
3. Обыкновенное кремлевское свинство. [subscribe.ru/group/rossiya-today/5262526](http://subscribe.ru/group/rossiya-today/5262526)

## საქართველოს ეკონომიკა პერსპექტივების სტარტზე

*ქვეყნის ეკონომიკური ტრაგედია მაშინ იწყება, როცა მისი ხელისუფლება მოსახლეობას შემოსავლის წყაროდ გაიხდის, ერის უმდიდრეს წარსულს არაფრად ჩააგდებს, სხვა ქვეყნების მიმზიდველობა თვალს მოსტაცებს და ქვეყნას თავის კერძო ინტერესების სფეროში მოაქცევს, დაივიწყებენ და არც იმის გარჩევა იციან, რომ ის, რაც მათ სხვაგან უნახავთ მშობლიური ტრადიციების ფერადი ასლებია. ეს საკითხები არის განხილული ამ შრომაში.*

გამსახურდიამ პატიაშვილის ხელისუფლება შეცვალა, მერე შევარდნაძემ-გამსახურდიასი, სააკაშვილმა-შევარდნაძისა, ივანიშვილმა-საკაშვილისა. ცუდად დაიწყო საქართველომ და ვერ გამოიყენა სსრ კავშირის მოსალოდნელი დაშლით გამოწვეული შესაძლებლობები. ქვეყანა იოლად მოქცა პროვოკაციის ხლართებში და მძლავრი ეკონომიკა სწრაფად გაჩანაგდა. კლანურმა ჯგუფებმა სწრაფად გადაინაწილეს საქართველო, მგლის მადით დაერივნენ ქვეყნის ყველა კუთხე-კუნჭულს. შევარდნაძის ავტორიტეტი და გამოცდილება არ აღმოჩნდა საკმარისი ქვეყანა წელში გამართულიყო, თუმცა ქვეყანას განვითარების მიზანი გარკვეული არ ჰქონდა. სააკაშვილმა მარტო მოინდომა ქვეყნის ნაწილის პირით ჩაყლაპვა, ხოლო დანარჩენისა-ჭიბებში ჩაჩურთვა. ღარიბაშვილის ხელისუფლება ჭრელია და ყველა თავის ჯუჯაზე კერავს. ხალხისთვის არავის სცალია, საღერღელი მისცეს-ილაპარაკე რამდენიც გინდაო. ხალხი ჰყეფს, ხელისუფლება შუა ჭამაშია. რა ჰქნას-რაც იცის, იმას აკეთებს. შეუძლებელია ქვეყანა წინ წავიდეს თუკი მას შორს მიმავალი, სტრატეგიული მიზანი არ გააჩნია. თუ ხალხს მთლიანობა არა აქვს. ამის გამო არის, რომ ქვეყნის ეკონომიკა გასული საუკუნის 80-იანი წლების დონეს სულ უფრო და უფრო შორდება. ლამის განახევრდა ქართველი მოსახლეობა, უმუშევრობამ უქცია მხარი ქვეყანაზე შეყვარებულ ერს.

ქვეყანას თავისი ისტორიული ავადმყოფობა-შინააშლილობა სჭირს. ზოგს ეს ქვეყანა თავისთვის უნდა, ზოგი კიდევ სხვებს ფულზე უცვლის, ზოგი ჯანდაბაში მიაქანებს. მართლა სასაცილო მდგომარეობაში ვართ, რომელიც იმავდრულად სატირალიცაა. ხელისუფლებას ვთხოვთ იმას, რისი გაკეთება მის ინტერესებში არ შედის და არც მისი შესაძლებლობა გააჩნია. ადამიანი, რომელიც მორალურ-ზნეობრივი დეფექტია, საქვეყნო საქმეს არ გააკეთებს, რატომ უნდა გააკეთოს, როცა შეუძლია სამშობლო თავისად გაიხადოს, როცა არ იცის რა არის ის, რომლის წინაშეც იგი უნდა იყოს პასუხისმგებელი.

აშშ ხელისუფლებას, მაგალითად, პრეზიდენტის ხელისუფლებას ფედერალური სარეზერვო სისტემა აკოტროლებს, ჩინეთისას-კომუნისტური პარტია. ამიტომ სტრატეგიული მიზნები აქვთ და ხელისუფლება მემკვიდრეობის პრინციპებს მიჰყვება.

ავადმყოფური ამოჩემება ვიცით ქართველებმა. ევროპისა და აშშ გარდა, სხვაგან გახედვა არ გვინდა, არადა ჩინეთმა უკვე მთლიანი ეროვნული პროდუქტის წარმოებით უკვე გაუსწრო აშშ. 2000 წელს ჩინეთის მთლიანი ნაცინალური პროდუქტი აშშ მხოლოდ მესამედს შეადგენდა. თუმცა ეს რაოდენ საკვირველიც არ უნდა გვეჩვენოს, მასში მოულოდნელი არაფერია. ჩინელებს აქვთ სტრატეგიული მიზანი, რომელიც მათი

ხალხის ტრადიციებზე არის მორგებული და აცხადებენ, რომ არ დაუშვებენ ევროპული წესრიგის შეჭრას თავიანთ ქვეყანაში, ისინი არ იზიარებენ ევროპულ და ამერიკულ ინდივიდუალიზმს და მთავარი ყურადღება კოლექტიურ წარმატებებზე აქვთ მიჰყობილი. ამბობენ, რომ ყველა ჩინელს თავისი სიზმარი აქვს, მთელ ჩინეთს კი ერთიანი-ოცნება, რომელიც ორი ასწლეულის ამოცანას აერთიანებს, და რომელიც ჩინეთის კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობის შემდგომ 2012 წლის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე წარმოადგინა პარტიის გენერალურმა მდივანმა სი ძიპინმა. პირველი ასწლეული ჩინეთის კომუნისტური პარტიის დაფუძნებას, 1921 წელს უკავშირდება და 2021 წელს მიღწეული უნდა იქნეს საზოგადოების საშუალო უზრუნველყოფის შესაძლებლობა-მშპ გაზრდა \$10000 სულ მოსახლეზე, ხოლო მეორე ასწლეული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაფუძნებას-1949 წელს. 2049 წელს ჩინეთი უნდა გახდეს მსოფლიოს მდიდარი, ძლიერი, დემოკრატიული, ცივილიზებული და ჰარმონიულად მოდერნიზებული სოციალისტური სახელმწიფო. ამ ოცნებაში მოქცეულია მათ ძედუნის იდეებისა და დენ სიოპინის თეორიის უწყვეტი კავშირი და პარტიული კურსის ერთ მთლიანობას წარმოადგენს, რომლის შინაარსში გამოკვეთილია შემდგომი სამი ორიენტირი: სოციალიზმის განვითარება ჩინური სპეციფიკით. ჩინელები კრეატიული ხალხია.

1. ჩინური სულისკვეთების ამაღლება, რომლის გამოხატულებაცაა პატრიოტიზმი. აგრეთვე ეპოქის შესაბამისი სულისკვეთებით გაზრდა, რომლის ენერგომუხტია რეფორმები და ნოვატორობა.
2. ჩინეთის ეროვნული შემჭიდროება, შეკავშირება. ჩინეთის ოცნება მთელი ერის ოცნება<sup>12</sup>.

ტერმინი "ჩინური სპეციფიკა" ეკონომიკურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, მითუმეტეს, როცა მისი შედარება ხდება საბჭოთა სოციალიზმთან, რაც შეგნებულად მოფიქრებული უზუსტო ტერმინია საზოგადოებრივი აზროვნების დამახინჯების მიზნით. სინამდვილეში არსებობს ერთადერთი სოციალიზმი, რომელიც სტალინიმა შექმნა და იგი მოიცავს მეოცე საუკუნის პერიოდს 1929 წლიდან 1953 წლამდე, ხოლო უნარ-ჩვევების ინერციის გათვალისწინებით 1960 წლამდემონაკვეთსაც.

მიმაჩნია, რომ ტერმინი "ჩინური სპეციფიკა" მართებულია იმდენად, რამდენადაც იგი ითვალისწინებს ქვეყნის ეროვნულ ტრადიციებსა და თავისებურებებს, ეპოქალურ და სახელმწიფოთა შორის წარმოქმნილ ცვლილებებს. გასული საუკუნის 30-იანი წლების საბჭოთა კავშირი იძულებული იყო სასწრაფოდ მოეხდინა ქვეყნის ინდუსტრალიზაცია, რათა მოსალოდნელი ომისთვის მომზადებული ყოფილიყო. დღევანდელი ჩინეთის წინაშე ასეთი პრობლემა არ დგას. სოციალიზმის "ჩინური სპეციფიკის" ჩინურ ვარიანტად გადაქცევა უაზრობამდე მიგვიყვანს და გაჩნდება კუბის, ვიეტნამის, ჩრდილოეთ კორეის სოციალისტური მოდელები. შევნიშნოთ ისიც, რომ სპეციფიკის გარეშე არანაირი ეკონომიკური მოდელი არ ყოფილა და ვერც იქნება.

საჭიროდ ვთვლი დავასრულო ზემოთ მოტანილი მსჯელობა "საბჭოთა სოციალიზმის" დამაბნეველ ტერმინზე. ბოლო პერიოდის ეკონომიკურ ლიტერატურაში დამკვიდრდა აზრი, რომლის თანახმად საბჭოთა კავშირის 1917-1925 წლების პერიოდს ეწოდება ლენინურ-ტროცკისტული სოციალიზმი, 1929-1960 წლების მონაკვეთს-

<sup>12</sup> Тарковский Ю. Китайская мечта Си Цзиньпина. [Nvdaiy.ru/info/39166.html](http://Nvdaiy.ru/info/39166.html).

სტალინური სოციალიზმი, ხოლო დანარჩენ სიდიდეს 1991 წლამდე-სახელმწიფო კაპიტალიზმი<sup>13</sup>. ამდენად მართებულია "ჩინური სპეციფიკის" სოციალიზმის სტალინურ სოციალიზმთან შედარება, რომლის პროცესებში გამოიკვეთება პრინციპული იდენტურობა და ეროვნული სპეციფიურობა.

შედარებისათვის განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი. სტალინური სოციალიზმი ეკონომიკას ხალხის სამსახურში აყენებს, და როგორც მეურნეობა იგი მთლიანია. აქედან გამომდინარეობს ქვეყნის სიყვარული და პატრიოტიზმიც, რომელიც მასების მიზანმიმართულ უზარმაზარ მოძრაობას ქმნის, რომელსაც მართლაც უპრეცედენტო სიძნელეების გადალახვა შეუძლია. პ. ბიუკენენი სსრ კავშირის მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების უმთავრეს ფაქტორად საბჭოთა ადამიანების უმაგალითო პატრიოტიზმს მიიჩნევს და მწარედ განიცდის აშშ ოდესღაც ქვეყნის მოსახლეობის შემაკავშირებელი პატრიოტული შემაერთების დაკნინებას. მეჩვენება, რომ ქართველებს პატრიოტიზმი ბოლომდე გააზრებული არა გვაქვს. პატრიოტიზმი ჰიტლერსაც გააღვივა, მაგრამ იმისი პატრიოტული შემაერთება გარე ქვეყნების დაპყრობაზე იყო მიმართული. სტალინის პატრიოტიზმი ქვეყნის მთლიანობის შენარჩუნებას იცავდა. ახლა ქართული ტრადიციული პატრიოტიზმი მიძინებულია და უცხოეთის ლაბორატორიებში გამოზრდილი უჯიშო ქართულენოვანი ეგზემპლარები ერის უძველესი ისტორიული მესხიერების პატრიოტიზმს სასაცილოდ იგდებენ და ქართული ეროვნულისადმი ინდიფერენტულობის პიარს ავრცელებენ. ამიტომ ჩაკეტეს გარე სამყაროდან შემომავალი ინფორმაციების ნაკადები და ცდილობენ საზოგადოებას მხედველობის შემზღუდავი ფარდა ჩამოაფარონ, რომლის იქით სამყაროს ისეთი ქვეყნების ცხოვრება იმალება, როგორებიცაა კუბა, ვიეტნამი, ჩინეთი და ჩრდილოეთ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელთა მოსახლეობის კეთილდღეობა დღითიდღე იზრდება და რომელთა ცხოვრებისეული ოპტიმიზმი წლითი წლობით მატულობს.

ჩინეთისა და სსრ კავშირის სოციალიზმის შედარება არც თუ ცოტა ეკონომისტის დაბნეულობას იწვევს და ჩინური სოციალისტური მოდელის რაღაც ახალ მიმართულებებზე მსჯელობენ, რომელსაც რამდენიმე ნიშნის მიხედვით განასხვავებენ.

პირველი, ჩინური მოდელი სოციალურ საბაზრო ეკონომიკად აღიქმება, ხოლო სოციალიზმის "საბჭოთა მოდელი" გეგმიურ ეკონომიკად, სადაც თითქოსდა გამორიცხულია კერძო საბაზრო სისტემის სუბიექტები. ამდენად სსრ კავშირის კერძო საბაზრო სტრუქტურები თურმე არ ჰქონდა.

მეორე, ჩინეთში დომინირებს საზოგადოებრივი საკუთრება, არსებობს სამართლიანი კონკურენცია და საკუთრების ყველა ფორმა თავისუფალია. საბჭოთა ქვეყნის საწარმოო ძალებს გავითარების დაბალი დონე ჰქონდა. იგი მხოლოდ საკუთრების საზოგადოებრივ ფორმას აღიარებდა და სხვა დანარჩენ ფორმებს ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა.

მესამე, ჩინური მოდელი რეფორმებსა და საჯარობას, ნაციონალურ განსაკუთრებულობებს ემყარება, რომ უცხური კაპიტალის, მონინავე ტექნიკისა და

<sup>13</sup> Катасонов В. Модель экономики Сталина. [www.youtube.com/watch?v=MUHj\\_Jt45U8](http://www.youtube.com/watch?v=MUHj_Jt45U8)



მმართველობითი გამოცდილების მოზიდვისა და გაზიარების გზით მოახერხა საწარმოო ძალებისა და ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცება.

მეოთხე, ჩინური მოდელის მთავარი პრინციპია საწარმოო ძალების განვითარება, ექსპლუატაციის, კლასობრივი დიფერენციაციის ლიკვიდაცია და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, მაშინ როცა "საბჭოთა მოდელი" ეკონომიკის მილიტარიზაციას ეყრდნობოდა და უპირატესად სამხედრო მრეწველობას აწვდიდა, რაც მას მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაში ხელს უშლიდა, რომ ამ ბრძოლაში გამოიფიტა ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები.

მეხუთე, განსხვავებულია სსრ კავშირისა და ჩინეთის თეორიული საფუძვლები, განვითარების სტრუქტურა, პოლიტიკური და კულტურული სისტემები<sup>14</sup>.

ზემოთ მოტანილი განმასხვავებელი მაჩვენებლების ჩინელი ავტორის კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს ის, რის შესახებაც ზემოთ უკვე აღვნიშნე: ავტორმა 1917-1991 წლების სსრ კავშირი ერთი სახელით აღიქვა და საბჭოთა სოციალიზმის ცნებაში მოაქცია, თანაც ყურადღება ტრაქტორისტ გორბაჩოვის სსრ კავშირზე გადაიტანა და სტალინის სოციალიზმიც იმაში შეიტანა.

სტალინის სსრ კავშირში კერძო საკუთრება დაშვებული იყო 1936 წლის სტალინური კონსტიტუციით, რომლის თანახმად კერძო სექტორი მოიცავდა არა მხოლოდ პირად დამხმარე მეურნეობას, არამედ კოოპერატივებს, არტელებსა და სარეწაოებს, რომლებიც ქვეყნის მშპ 6%-ს აწარმოებდა. მის წილად მოდიოდა ფართო ნომენკლატურის და ასორტიმენტის მეცნიერებატევად პროდუქციაც, როგორცაა რადიოაპარატურა, ტელევიზორები და ა.შ.<sup>15</sup> არ არის სწორი, ვითომცდა საბჭოთა კავშირი საწარმოო ძალების განვითარების დონით არ გამოირჩეოდა. როგორ, 1950 წელს ჩინეთი სსრ კავშირზე უფრო განვითარებული ქვეყანა იყო? ნუთუ ავტორს არ ნაუკითხავს, რომ 1947-1953 წლებში საბჭოთა კავშირში საცალო ფასები 6-ჯერ შემცირდა, მაშინ როცა აშშ, ინგლისში, საფრანგეთში ფასები პირველადი მოთხოვნილების ისეთ საგნებზე, როგორცაა პური, ხორცი, ზეთი და შაქარი ყველაზე მაღალი იყო მსოფლიოში. სასურსათო საქონელზე საბარათო სისტემა ყველაზე ადრე საბჭოთა კავშირში გაუქმდა, რაც დიდმა ბრიტანეთმა იმ საუკუნის 50-იან წლებამდე ვერ მოახერხა<sup>16</sup>.

სსრკ ინდუსტრიალიზაცია, რასაც სტალინმა უცხოური კაპიტალისა და სპეციალისტების დახმარებით მიაღწია, უპტეცედენტოა მსოფლიო ისტორიაში. აქაც დრო და პირობები აქვს არეული ჩინელ ავტორს. კლასობრივი დიფერენციაცია და ექსპლუატაცია 1936 წელს დასძლია საბჭოთა ქვეყანამ. სოციალიზმი სსრკ სტალინს არანაირი თეორიის საფუძველზე არ შეუქმნია, იგი სტალინის ცდებისა და სინჯვების პროდუქტი იყო. ჩინეთიც ამ მეთოდებით ვითარდება. გამოცდილება არ არის მომავლის თეორია რანაირი მეცნიერული ღირებულება არ უნდა ჰქონდეს მას.

უსაფუძვლო მცდელობა იქნება "ჩინური სოციალიზმის" სტალინური სოციალიზმისაგან მონყვეტა. რაც ჩინეთს აქვს ამჟამად, სტალინური სოციალიზმის

<sup>14</sup> Советская и Китайская модели социализма: взгляд из Китая. [rusrand.ru/.../sovetskaja-i-kitajskaja-modeli...](http://rusrand.ru/.../sovetskaja-i-kitajskaja-modeli...)

<sup>15</sup> ნამიჭეიშვილი რ. ტრადიციული სოციალისტური ეკონომიკის ქვეყნები. 6. მცირე და საშუალო ბიზნესიმეორე მსოფლიო ომის შემდგომ საბჭოთა კავშირში. ქუთაისი, 2013.

<sup>16</sup> ნამიჭეიშვილი რ. რას ვუნოდებთ სოციალისტურ ეკონომიკას. 2. სტალინური სოციალისტური ეკონომიკა 1930-1953 წწ. ქუთაისი, 2014.

მხოლოდ რეკონსტრუქციად, გაუმჯობესებად, განახლებად შეიძლება ჩაითვალოს. "ჩინური სოციალიზმი" ეყრდნობა კომუნისტური პარტიის წამყვან როლს სახალხო მეურნეობის განვითარებაში, პატრიოტიზმს, ქვეყნის მთლიანობას, ტრადიციებს, ეროვნულობას, ისტორიას, რაც სტალინური სოციალიზმის ასლებია. აქ უნდა შევჩრდეთ, ვინაიდან დანარჩენი ახლა ჩემს ინტერესს არ შეადგენს. რაც რუსებმა და ვერც ჩვენ გამოვიყენეთ, ჩინელებმა კრიტიკულად გადაარჩინეს, გაანალიზეს, დროსა და პირობებს მიუსადაგეს, ხალხის ზნე-ჩვეულებებთან შეანონასწორეს, და ახლაც შემოქმედებითად უდგებიან, იციან რომ ფესვები მართო ხეებს კი არა, მოვლენებსა და პროცესებსაც აქვს.

ჩინელები ეროვნული ხალხია, ყველაფერი ერის ინტერესებს ექვემდებარება. მსოფლიო ფინასურ იმპერიას თავიანთი იათი შრომითი ბაზარი შესთავაზეს, მაგრამ ეროვნული ინტერესები არ დავიწყებიათ. ხელისუფლება ყველგან ფიგურირებს, როგორც ქვეყნის პასუხისმგებლობის ინსტიტუტი. ყველაფერი მისი მხედველობის სივრცეშია მოქცეული. ჩინეთში არ არის კერძო ტელეარხები და გაზეთები. მასმედიას სახელმწიფო აკონტროლებს. ბევრი პროგრამა ეძღვნება ჩინეთის ისტორიას, მითებს, ზღაპრებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მეცნიერების განვითარების სახელმწიფო უზრუნველყოფას, რაკი იციან, რომ ეკონომიკურად ყველაზე ძლიერი კერძო ფირმაც კი უძლურია თუნდამენტური კვლევების დაფინანსებაში. ჩინეთის სტრატეგიული კურსის ზედამხედველი და მაკონტროლებელია კომუნისტური პარტია. ჩინეთში მრავალი კერძო ფირმა და კორპორაციაა. თითოეულ მათგანში არის პარტიული ორგანიზაცია, მცირე სანარმოებშიც კი არსებობს პარტიული უჯრედები. ყველა ტიპის სანარმოში პირველი პირი პარტკომის მდივანია, შერეულ სანარმოშიც კი. სწორედ პარტმდივანი განსაზღვრავს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო სანარმოების პოლიტიკას<sup>17</sup>.

უგუნერობაა, როცა შენი ქვეყნის მემკვიდრეობის ფასი არ უწყი და იგი სხვებმა შენზე უკეთესად იციან, მიიწერ-მოიწერენ და მერე ათეული და ასეული წლები დასჭირდება დაკარგულის დაბრუნებას. რუსები ახლა დაკარგული დიდების ფესვებს ხან ვიეტნამში ნახულობენ და ხან ჩინეთში, მერე იმისი მტკიცება უჭირთ, რომ ყველაფერი ეს მათი ყოფილა და უგუნურების გამო, სხვისი გამხდარა. სინამდვილე როგორი ეროვნული და მომხიბვლელი არ უნდა იყოს იგი, შეიძლება თეორიულად ისე შეიფუთოს, რომ პირიქითაც დაგაჯერონ- თურმე ყველაფერი უცხოური მოვლენადობა ყოფილა და შენ იქედან მიგისაკუთრებია.

სოციალიზმი როგორც პრაქტიკა მსოფლიო მოვლენადობის რუსული სინამდვილეა და უსათუძლო მტკიცება იქნება სოციალიზმის ჩინური ვარიანტის კონსტრუირება. ადამიანი ყველა ერთნაირია, როგორც მოაზროვნე არსება, ხოლო ეროვნული და ცხოვრებისეული თავისებურებები სპეციფიკური გამოვლინებებია. ისტორიკოსები უპრეცედენტოს უწოდებენ საბჭოთა ხალხის პატრიოტიზმს მეორე მსოფლიო ომში. მართალია, რომ საერთოდ პატრიოტიზმი ახალი მოვლენა არ არის, მაგრამ მრავალეროვანი ხალხის პატრიოტად გადაქცევა რაღაც მისტიურის შემცველია. ამდენად არც ჩინური პატრიოტიზმია ორიგინალობა. კომუნისტური პარტიის

<sup>17</sup> О Китае, Марксизме-Ленинизме и частной собственности. [www.eifgart.info/kravets.htm](http://www.eifgart.info/kravets.htm).

ხელმძღვანელი როლიც მრავალეროვან ქვეყანაში რუსული პრეცედენტია. ჩინელების დიდი ჭკუისა და ნიჭის გამოვლენა ის არის, რომ მათ სწორად გაიგეს სტალინური სოციალიზმის პრინციპები, მიუსადაგეს ისინი თანამედროვეობის მოთხოვნებს და ქვეყნის ტრადიციებს, რასაც ჩინურ სპეციფიკას ეძახიან. მსოფლიოში განსაცვიფრებელი წარმატებები აქვს და მომავალს მეტი პერსპექტივებით უყურებენ, ვინაიდან სოციალიზმში ეკონომიკა მთლიანია და ხალხის სამსახურშია ჩართული.

მეოთხედი საუკუნე თავდება, ხოლო ქვეყნის სახელისუფლო კარუსელი მერამდენედ ისე შემობრუნდა, რომ წარსულისაკენ კრიტიკულ მზერას ქვეყნის ყველა მაღალჩინოსანმა თვალი აარიდა. არც ჩინური მაგალითით დაინტერესებულან, არც ახლა აინტერესებთ.

საქართველოში უნდა შეიქმნას ავტორიტეტული პროფესიული ხელისუფლების მაკონტროლებელი პარტია ან რაიმე სახის საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელთაც ხალხის ნდობა და მასთან მჭიდრო თანამშრომლობა ექნება, განვითარების სტრატეგიას შექმნის და მკაცრ მეთვალყურეობას გაუწევს მისი განხორციელების შესაძლებლობობებს. ასეთი შინაარსის მატარებლად მიმაჩნია "პატრიოტული მოძრაობის ალიანსი" და ბიძინა ივანიშვილის არასამთავრობო ორგანიზაცია "მოქალაქე". მთვარია მოახერხონ ქვეყნის მორალურ-ზნეობრივი ინტელექტუალების გაერთიანება და ქვეყნის სამსახურში ჩაყენება, ასეთი რეზერვები ჩვენს სამშობლოს საკმარისზე მეტი აქვს და მაინც წინ დიდი ბარიერები დახვდებათ, ვინაიდან ადამიანების უმრავლესობა მიჩვეული არის პირადი ინტერესებით ცხოვრებას.

მაკონტროლებელი ინსტიტუტის საკადრო პრობლემის მეორე მომდევნო საფეხურიად მიმაჩნია მასმედიის საკუთარი საშუალებების ფორმირება, რომელიც ხალხის მასობრივ აუდიტორიას მიოპოვებს და პატრიოტულ მთლიანობას შექმნის. ნამდვილ საქვეყნო საქმეს და სამართლიანობის სამსახურს ფინანსური მხარდამჭრები აუცილებლად გამოუჩნდებიან.

## რეზიუმე

საქართველომ დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, მისი ხელისუფლების კონტროლის ინსტიტუტი ვერ შექმნა, გაჩნდა სახელისუფლო და ოპოზიციური პარტიების ინტერესების მწვავე კონფლიქტი ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის მიტაცებაში. დაძაბულობის კრიტიკული მდგომარეობის განმუხტვის ნაპერწკალი გახდა კოჰაბიტაციის მაგიური ვერსია, რომელმაც პოზიცია-ოპოზიცია თანამშრომლობის სივრცეში მოაქცია. სწარფად გაუგეს ერთმანეთს: ოპოზიცია თითქოსდა კრიჭაში უდგას პოზიციას, მაგრამ ინტერესების სფეროებს ინანილებენ, რაც, თავის მხრივ, კონფლიქტური სიტუაციაა, მაგრამ დაძლევადი იმ იმედით, რომ საარჩევნო პერიოდის ამონურვის შემდეგ, მომავალ არჩევნებში პოზიცია ოპოზიციას ადგილს გაუმზადებს და

მერე თვითონ დაიწყებს კოჰაბიტაციას ქვემოდან. ასე ყალიბდება ამ ორი სახელისუფლო და ოპოზიციური პარტიების რევერსირების მექანიზმი. ქვეყნის ხელისუფლების მაკოტროლებელი ეროვნული ინსტიტუტის შეგრძნებას იწვევს ეროვნული მოძრაობა "საქართველოს პატრიოტული ალიანსი" და არასამათავრობო ორგანიზაცია "მოქალაქე". ხელისუფლების მაკონტროლებელი ეროვნული ინსტიტუტის გარეშე ქვეყანას შეუძლებელია ჰქონდეს მისი მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესების სტრატეგიული მიმართულება და პერსპექტიული და მიმდინარე ამოცანების გადწყვეტის გეგმები.

### ეკლესია და სახელმწიფო

ეკლესიისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების თაობაზე მკლევართა შეხედულებები, თავისი სიმრავლის მიუხედავად, შეიძლება ორ საპირისპირო ჯგუფში გაავერთიანოთ. ერთის თანახმად ეკლესია სახელმწიფოსაგან უნდა გამოიყოს, მეორეს მიხედვით ქვეყნის წამყვანი რელიგია სახელმწიფო რელიგიად უნდა გამოცხადდეს. მგონია, რომ ასეთი თვალსაზრისის უკან დაინტერესებული პირები არიან და უნდათ საზოგადოებრივ ცნობიერებად აქციონ ის, რაც მოსახლეობის აზროვნებაზე შესამჩნევ ცვლილებას ვერ იწვევს (აქ მხოლოდ მართლმადიდებლურ ქართულ ეკლესიას ვიხილავ).

ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა არაზუსტი ტერმინია, რომელიც ლიტერატურულ ცხოვრებაში და ყოფით ურთიერთობებში 30-იანი წლების ლენინის ცნობილი დეკრეტის საფუძველზე დამკვიდრდა. იმ დეკრეტით ეკლესია და პირველ ყოვლისა, მართლმადიდებლობა, სახელმწიფოს მონყვიტეს და მერე გაძარცვეს, ქონება წაართვეს, ხოლო ღვთის მსახურებიდან ბევრი ამოჟლიტეს, ბევრი ციხეებში გამოამწყვდიეს. ლენინის გვარდიას არ დასცალდა, თორემ ღმერთმა უწყის, რა გადარჩებოდა მისგან (ლენინი ლამის ყველა რელიგიისადმი შემწყნარებელი იყო, გარდა მართლმადიდებლობისა).

თუ ცოტა გავცდებით კვლევის ფარგლებს და ალბათ ხანდახან ასეც მოგვიწევს, აღმოჩნდება, რომ ზოგ ქვეყანაში ეკლესია სახელმწიფოსაგან გამიჯნულია ამ სიტყვის არასრული გაგებით, ხოლო ზოგიერთში-სახელმწიფო სტატუსით არსებობს, ასევე ამ სიტყვის არასრული გაგებით

სახელმწიფოსაგან გამიჯნულ ეკლესიას ახასიათებს ის, რომ:

1. სახელმწიფო არეგულირებს რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობას, ახორციელებს მასზე კონტროლს, მაგრამ მის შიდა საეკლესიო საქმიანობაში არ ერევა;
2. სახელმწიფო არ უწევს ეკლესიას მატერიალურ და ფინანსურ დახმარებას;

3. ეკლესია არ ასრულებს სახელმწიფოებრივ ფუნქციებს და საერთოდ არ ერევა სახელმწიფოს საქმეში. მხოლოდ მოქალაქეთა რელიგიური მოთხოვნების დაკმაყოფილებას ემსახურება;
4. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობები ხორციელდება სინდისისა და სარწმუნოების თავისუფლების იურიდიულად განსაზღვრული პრინციპის საფუძველზე, რაც განაპირობებს რელიგიისა და რწმენის არჩევანის თავისუფლებას, სახელმწიფო უფლება არა აქვს აკონტროლებდეს მისი მოქალაქეების რელიგიისადმი დამოკიდებულებას და აღრიცხვას რელიგიური პრინციპის მიხედვით, ნებისმიერი რელიგიური გაერთიანება კანონის წინაშე თანაბარია.

### **სახელმწიფო ეკლესიის სტატუსი მდგომარეობს შემდეგში:**

1. აღიარებულია ეკლესიის საკუთრება ისეთ ობიექტებზე, როგორცაა მიწა, შენობები, ნაგებობები, საკულტო საგნები და სხვა.
2. ეკლესია სახელმწიფოსაგან ღებულობს სხვადასხვა სახის სუბსიდიებს და მატერიალურ დახმარებას.
3. ეკლესია აღჭურვილია რიგი იურიდიული უფლებამოსილებით.
4. უფლება აქვს მონაწილეობდეს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში სახელმწიფო ორგანოებში წარმომადგენლობის მეშვეობით.
5. სარგებლობს ფართო უფლებამოსილებით მოზარდი თაობის განათლებაში. როგორც წესი, საგანმანათლებლო დაწესებულებებში გათვალისწინებულია რელიგიის სწავლება.

ამ ჩარჩოებით სრულად მაინც არ განისაზღვრება რელიგიისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების ფორმები. მაგალითად, რუსეთში ეკლესია სახელმწიფოსაგან გამიჯნულია, მაგრამ ეკლესიას აქვს საკუთრება მიწაზე, შენობებზე, საკულტო ობიექტებზე; მონაწილეობს მოზარდი თაობის აღზრდაში; ეწევა სამეწარმეო და კომერციულ საქმიანობას და ა. შ.

საქართველოშიც განცალკევებულია ეკლესია სახელმწიფოსაგან ძირითადი კანონის-კონსტიტუციის მე-9 მუხლით, სადაც მითითებულია ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებული როლი ქვეყნისა და ხალხის ისტორიაში. ამ უკანასკნელის გათვალისწინებით საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობები განსაზღვრულია კონსტიტუციური შეთანხმებით. ეკლესია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც აქვს საკუთრება მიწაზე, შენობა-ნაგებობებზე, საკულტო საგნებზე, ტექნიკის სხვადასხვა სახეებზე, ეწევა მრავალნაირი სახის საქმიანობას, მაგრამ არა მოგების მიზნით, არამედ თავისი შიდა საეკლესიო საჭიროებისთვის.

ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ერის ცხოვრების განუყრელი ნაწილია და ამიტომ მისი სახელმწიფოსაგან განცალკევება ისეთივეა, როგორც ხორცისა და სულისა. უფრო მეტიც, ხელისუფალიც თავისი თანამდებობის მიუხედავად, ღვთის შვილია და ცოდვა მასაც ისევე მოეკითხება, როგორც ყველა ცოდვილს. და კიდევ:

თუკი პატრიარქი, ქვეყნის პრეზიდენტი და უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ხელშეუხებელი პირები არიან, მაშინ ქვეყნის პრეზიდენტსაც და უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარესაც აუცილებლად მართლმადიდებლური აღმსარებლობის რწმენა უნდა ჰქონდეთ, ვინაიდან მართლმადიდებლობა ჩვენს ქვეყანაში წამყვანი რელიგიაა და ამ თანამდებობის ადამიანები თავიანთი ხალხის სულიერი ცხოვრების მონაწილეები უნდა იყვნენ. ამას სხვა რელიგიებისადმი პატივისცემის ინტერესებიც მოითხოვს. დავით აღმაშენებელს არ უშლიდა ხელს მისი ქრისტიანობა სხვა ეკლესიებისადმი პატივისცემელი ყოფილიყო. ურწმუნოები ნაცები კი სულ ცდილობდნენ/ცდილობენ ეკლესიაში დაძაბულობა შეეტანათ, სასულიერო პირები გადმოებირებინათ, მოესყიდათ, სხვა აღმსარებლობის მრევლი მართლმადიდებლებისთვის დაეპირისპირებინათ, ხოლო თვითონ ქართველი ხალხის თვალში მართლწმორწმუნებლად წარმოჩენილიყვნენ.

ყოფილი ხელისუფლების უმრავლესობას და ალბათ, არც თუ ისე ცოტას ახალი ხელისუფლებიდან, არ ეტყობათ სერიოზული წარმოდგენა ჰქონდეთ იმაზე, რომ სახელმწიფოებრივი სტრუქტურა წმინდა პოლიტიკური წარმონაქმნი არ არის და ისიც ღმერთის ხელთქმნილია. მართალია, იგი ადამიანის თავდაპირველ ცხოვრებას არ დამგზავრებია, ვინაიდან ღმერთი მერე იძულებული შეიქმნა თვით ადამიანებსა და ხალხებს შორის მტრული და ბოხოქარი სულს დასამშვიდებლად ყველასთვის ხილული სიმკაცრის სახელისუფლო ტახტი დაედგა. "დაე, ყოველი სული უზენაეს ხელმწიფებას დაემორჩილოს, ვინაიდან არ არსებობს ხელმწიფება, თუ არა ღმერთისაგან; დიახ, ყოველი ხელმწიფება ღმერთის მიერ დადგენილია" (პავლე მოციქულის ქადაგება. რომაელთა მიმართ. 13. 1-2). პატივი ეცით ყველას; გიყვარდეთ ძმობა; გეშინოდეთ ღმერთის; პატივი მიაგეთ მეფეს." (პირველი პეტრესი. 2.17). ამას ზოგი ისე გეხულობს, როგორც თვითონ სურს. რომ ხელისუფლებას უზარმაზარი საქმეები აქვს და მისი აუგად ხსენება ადამიანებისაგან დაფიქრებას მოითხოვს. ბიბლიურად კი ხელისუფლება ხალხის სამსახურად მოვლინებაა. ადამიანი, რომელიც ხელისუფლებაში მოდის, ღმერთთან წილნაყარი უნდა იყოს, იცოდეს, რომ ხალხის სამსახურისთვის მოდის და არა პირადი კეთილდღეობისთვის. ამ გაგებით ხელისუფლება ღმერთთან მიახლოების საშუალება, ხალხთან გამოცხადებაა. მისი სიყვარულია. ამას მეორე მხარეც აქვს: თუ ღმერთს უღალატებ და ხალხს არ მოემსახურები, უფალი რისხვას დაგატეხს.

ამდენად, ხელისუფალი რჩეული ადამიანია, ღვთის მორწმუნე, ხალხის შვილი და მისი მომსახურე. "როცა მოხუცდა სამუელი, ისრაელის მსაჯულებად თავისი შვილები დაადგინა. არ გაყვედნენ შვილები მამის გზას, ანგარებას მისდევდნენ, ქრთამს იღებდნენ და სამართალს ამრუდებდნენ. შეიკრიბა ისრაელის უხუცესობა და მივიდა სამუელთან რამათს. უთხრეს: შენ მოხუცდი, შენი შვილები კი არ მიჰყვებიან შენს გზას. დაგვიდგინე ახლა მეფე, რომ სხვა ხალხების წესისამებრ განგვსჯიდეს. არ მოეწონა ეს ამბავი სამუელს, როცა თქვეს, მეფე მოგვეციო მსაჯულად. მაშინ შეევედრა სამუელი

უფალს. უთხრა უფალმა სამუელს: შეისმინე ხალხის ყოველი სიტყვა, რასაც გეტყვის, რადგან შენ კი არ უარგყვეს, არამედ მე უარმყვეს თავიანთ მეფედ. როგორც იქცეოდნენ იმ დღიდან, როცა ეგვიპტიდან გამოვიყვანე, დღემდე. როცა დამივიწყეს და უცხო ღმერთებს დაემონენ, ასევე გექცევით შენც. ახლა შეისმინე მათი სიტყვა, ოღონდ გაათრთხილე და აუხსენი უფლებები მეფისა, რომელმაც მათზე უნდა იმეფოს. უთხრა სამუელმა უფლის სიტყვები ხალხს, მეფეს რომ მოითხოვდნენ მისგან. უთხრა: აი, რა უფლებები ექნება მეფეს, რომელიც იმეფებს თქვენზე: წაიყვანს თქვენს შვილებს და თავის ეტლებთან და ცხენებთან დააყენებს და ირბენენ მისი ეტლის წინ, დანიშნავს მათ ასისთავებად და ორმოცდაათის თავებად, თავისი ყანის მხვენელებად და თავისი სამკალის მოსამკელად, თავისი საბრძოლო საჭურველისა და ეტლების მკეთებლებად. აიყვანს თქვენს ასულებს მენელსაცხებლებად, მზარეულებად და პურის მცხობლებად. წაგართმევთ საუკეთესო ყანებს, ვენახებსა და ზეთისხილის ბაღებს და ტავის მორჩილებს დაურგებს. მეათედს აიღებს თქვენი ნათესებიდან და ვენახებიდან და თავის ჯარისკაცებსა და მორჩილებს უწყალობებს. წაგართმევთ საუკეთესო ყმებს, მხევლებს, მსახურ ბიჭებს, სახედრებს და თავის საქმეზე ამსახურებს. წაიღებს მეათედს თქვენი ფარიდან და თქვენს მისი ყმები გახდებით. მაშინ მოჰყვებით წუნუნს თქვენს არჩეულ მეფეზე, მაგრამ არ მოგისმენთ უფალი" ( პირველი მეფეთა. 8. 4-22).

დიდი ფილოსოფოსისა არ იყოს, რაკი თვალეები ღია გვაქვს, გვგონია ყველაფერს ვხედავთ. ბიბლია ამბობს-მსაჯული ანგარებიანი, მექრთამე და უსამართლო არ უნდა იყოს, ხოლო ხელისუფალი-უცხო ქვეყნისა. უცხო კიდეც, მარტო სხვა ენაზე მოსაუბრეს კი არ ნიშნავს, უცხოა კაცი, რომელიც სხვა აღმსარებლობისა ან საერთოდ არა აქვს რწმენა. ეს ისეთი ადამიანები არიან, რომლებიც ამოეფარენ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას და სამშობლო წაგვართვეს, მონებად გვაქციეს, ამოგვხოცეს, დაგვამშიეს, თუძიდან აგვყარეს, სული აგვიმღვრიეს, სწავლას გადაგვაჩვიეს, სირცხვილი გააუპატიურეს, უტიფრობა დაამკვიდრეს. პრეზიდენტმა სააკაშვილმა სასამართლოს არ აცალა მსჯავრის გამოტანა და პატიმარი გაათავისუფლა შეწყალებით, ვინაიდან ასე ისურვა: "სამართალი-ეს მე ვარ". ამის მერე სადამო სატელევიზიო დიალოგში იმაზე იმტვრევდნენ თავს იურისტები და კიდეც ვიღაცები, იყო თუ არა სააკაშვილის მოქმედება კანონიერი. ის კი არავის გახსენებია, რომ პრეზიდენტს ქვეყნის სასამართლო ინსტიტუტისადმი პატივისცემა ჰმართებს. რატომ გამოგვლიჯეთ ხელიდან სასამართლო ინსტიტუტს შემდგომი საფეხურების პროცესუალური უფლებები. ინაუგურაციისას პრეზიდენტმა ბიბლიაზე რა დაიფიცა! მას სახალხო რისხვა აქვს, ღვთის რისხვისა უნდა ეშინოდეს.

"დაისვი მეფედ ის კაცი, ვისაც უფალი, შენი ღმერთი, ამოირჩევს; შენი მოძმეების წიაღიდან დაისვი მეფე. უფლება არ გაქვს დაისვა უცხო კაცი, რომელიც არ არის შენი მოძმე. არ იყოლიოს ბევრი ცოლი, რომ არ შეცდეს მისი გული, არ იქონიოს უზომოდ

ბევრი ოქრო-ვერცხლი. როცა დაჯდება თავის სამეფო ტახტზე, წიგნში ჩაწეროს ეს მეორე რჯული ლევიათი მღვდლებისაგან. თავისთან ჰქონდეს და იკითხოს მთელი სიცოცხლე, რათა ისწავლოს უფლის, თავისი ღმერთის შიში და იცავდეს ამ რჯულის ყოველ სიტყვას და ამ წესებს ასრულებდეს” (მეორე რჯული.17. 15,17-19).

საკმაოდ მკაცრია შეგონება იმაზე, რომ ქვეყანას თავისი ხორცი-ხორცთაგანი და სისხლი-სისხლთაგანი უნდა მართავდეს, რომლისთვისაც ქვეყანა სამშობლო სახლია და არა მისი სასახლე. რომ ხელისუფალი ზნეობრივი უნდა იყოს და გარყვნილ ცხოვრებას არ ეწეოდეს. არ იყოს ფულის მოყვარული და სიმდიდრეზე დახარბებული, რომელიც ქვეყანას სტომაქში ჩაითქამს, ხალხს ულუკმაპუროდ დასტოვებს. ხელისუფალი წიგნიერი უნდა იყოს, გონებას იმდიდრებდეს და ცოდნით მართავდეს ქვეყანას, ზნეობრივი და მორალური კანონებით ხელმძღვანელობდეს, სიყვარულით ცხოვრობდეს. არანაირი შეგონება ყურად არ უღიათ ნაციონალებს. ცხოვრებით ნოდარ ღუმბაძისა არ იყოს-ნაციონალებმა სულ დედა უტირეს ამ ბიბლიურ სიბრძნეს და ჰომოსექსუალიზმსა და პედარასატობას შორის რომ ღობეა, იმაში არიან თავით გაკვახებულები, რომლებიც მონები არიან არა მარტო სიმდიდრისა, არამედ იმდენად გაუნათლებელი, რომ ფილოსოფიას რომ თავი დავანებოთ, ქვეყანამ რომ იცის, იმ ლექსებიდან ფრთიანი სტრიქონის ზეპირად წარმოთქმაც არ შეუძლიათ. ახლა ნამეტანი უკვირთ განათლების მესვეურთ, თუ რატომ ვერ გადალახა მასწავლებელთა უმრავლესობამ სასერტიფიკაციო გამოცდების ბარიერი. ამაზე იტყვიან: რანაირი მღვდელია, დიაკვანიც ისეთი უნდა იყოს. “ვაი, შენ ქვეყანავ, ბავშვი რომ გიზის მეფედ და შენი დიდებულები დილიდანვე რომ იწყებენ ჭამას” (ეკლესიასტე. 3.16). მკითხელი იოლად გაიხსენებს, რომ ეს ის ხელისუფლებაა პარლამენტში რომ შევავდეთ ტრიბუნაზე ჩაის დასალევად და ღმერთს სანთლებით ვევედრებოდით მეფედ დაესვა. “აჰა, მეფე, რომელიც აირჩიეთ, რომელსაც მოთხოვდით, აჰა, დაგისვით უფალმა მეფე. თუ გექნებათ უფლის შიში, თუ ემსახურებით მას, თუ შეისმენთ მის სიტყვას და წინ არ აღუდგებით მის ნაბრძანებს, მაშინ დაგიფარავთ უფალი, თქვენი ღმერთი, თქვენსა და მეფესაც თქვენზე რომ მეფობს. თუ ბოროტად მოიქცევით, თქვენც დაიღუპებით და თქვენი მეფეც” (პირველი მეფეთა. 12.13-14. 25). შედეგი სახეზეა-ნაბიჯით თუ გვაკლია უფსკრულის ნაპირამდე.

ბიბლიის მკლევარებს, ზემოთ მოტანილ ამონარიდებზე დაყრდნობით, ერთიანი აზრი აქვთ იმასთან დაკავშირებით, რომ ხელისუფლება ღვთაებრივი ქმნილებაა. ისრაელს თავდაპირველად მეფე არ ჰყოლიათ, უფალი იყო მეფე. ხალხი ბრძენკაცებს ირჩევდნენ მსაჯულებად და იგი წყვეტდა სამართლის საკითხებს. გამრავლდა ერი და “ვისაც რა უნდოდა, იმას სჩადიოდა”(მსაჯულნი 17.6., 18.1.,19.1). ერთმანეთს აღარ ინდობდნენ, კლავდნენ, მტრობდნენ, ქონებას ართმევდნენ, აუპატიურებდნენ. ხალხი იძულებული გახდა ღმერთისთვის მეფე ეთხოვათ. უფალი გაჯავრდა, მაგრამ მეფე მაინც მოუვლინა, ვინაიდან ღმერთს უყვარს ხალხი და



თხოვნა შეუსრულა. ამდენად არის ხელისუფალი ღმერთის მინიერი წარმომადგენელი ხალხის მმართველობისთვის. ღმერთმა ოჯახის იერარქიაც შექმნა. მისი მეთაურია კაცი, რომელსაც ემორჩილება ცოლი და შვილები და რომლის მიმართ ცოლსა და ქმარს მზრუნველობის ფუნქციები აკისრია. თავის მხრივ, შვილებიც პასუხისმგებლები არიან მშობლებზე ზრუნვაში. ასეთივეა ხელისუფლება-მას უნდა მორჩილებდნენ ადამიანები, მაგრამ იგი ვალდებული არის იზრუნოს ადამიანებზე.

ხელისუფალი, როგორი თანამდებობისა არ უნდა იყოს იგი, ყველაზე ახლოს უნდა იყოს ღმერთთან და არა მარტო იცოდეს, თუ რისი ვალდებულება აკისრია, არამედ "თავისთან ჰქონდეს და იკითხოს მთელი სიცოცხლე, რათა ისწავლოს უფლის, თავისი ღმერთის შიში და იცავდეს რჯულის ყოველ სიტყვას და იმ წესებს ასრულებდეს, რომ არ გაუმედიდურდეს თავის მოძმეებს, არ გადაუხვიოს ანდერძს არც მარჯვნივ და არც მარცხნივ, რათა მრავალი ხანი იმეფოს მან და მისმა შვილებმა ისრაელის წიაღიდან" (მეორე რჯული. 17.19-20). აქედან ძალიან ნათლად ჩანს, რომ რაც უფრო მაღალი და ვრცელია შემოქმედი, მით უფროა ახლოა ღმერთთან და მით უფრო მასშტაბური და გლობალურია მისი შრომის შედეგების გავლენა საზოგადოების, ხალხისა და ქვეყნის ცხოვრების მდგომარეობაზე. ადამიანთა მცირე ჯგუფის მცდელობებმა ააშორეს ხალხს ბიბლიური განათლება და ახლა ფაქტია ის, რომ მსოფლიო ცივილიზაციას ფსიქიური აშლილობა სჭირს და დღე და ღამე თავისთავზე ფიქრს ვერ გასცდენია. ნაციონალობას ამოფარებულმა ქართველთმოძულეებმა ქვეყანას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ობიექტები წაართვეს და ათეული მლნ. დოლარი ჩაიჭიბეს.

ჩვენი დღევანდელი სინამდვილიდან განსაკუთრებულ ყურადღებას ბიბლიის ის გადმოცემები იწვევს, სადაც ხელისუფლის ღვთიურ მოვლინებაზე, პასუხისმგებლობასა და სასჯელზეა საუბარი. ხელისუფალი ხალხის გამოცხადებითი მოვლენაა. ხალხმა ითხოვა ღმერთისგან მეფე, ღმერთმა აუხსნა მას მეფის უფლებები, მაგრამ ხალხმა მაინც მეფე ითხოვა. უსმინა ღმერთმა და მას შემდეგ ხელისუფალი, ხალხის თხოვნით, ღმერთის მოვლინებაა. ღმერთმა თავისი მინიერი ცხოვრება დაამკვიდრა, მაგრამ ხელისუფლის მოვლინების ნება თვითონ დაიტოვა. ღმერთი თავის არჩევანს აცნობებს წინასწარმეტყველს. "საულის მოსვლამდე ერთი დღით ადრე გამოეცხადებინა უფალს საულისათვის. ხვალ ამ დროს კაცს გამოვგზავნი ბენიამინის მხრიდან და სცხებ მას ჩემი ერის, ისრაელის მეფედ; იგი იხსნის ჩემს ერს ფილისტიმელთაგან, რადგან მივხედე მე ჩემს ერს, როცა მისმა ღალატისმა ჩემამდე მოაღწია" (პირველი მეფეთა 9. 15-16).

დაინახა სამუელმა საული და უფალმაც დაუდასტურა, რომ მას უნდა ემეფა ისრაელზე. გაეცნენ ერთმანეთს, გული გადაიხსნეს. სამუელმა სუფრა გაუშალა, დააპურა. სახლიდან გააცილა, დაიმარტოხელა. უთხრა, რომ მისთვის ღვთის სიტყვა უნდა გამოეცხადებინა. "აილო სამუელმა ზეთით სავსე ქილა, თავზე დაასხა, აკოცა და

უთხრა: აჰა, გცხო უფალმა თავისი სამკვიდროს მთავრად" (პირველი მეფეთა. 10. 1). ეს მხოლოდ მეფობის დასაწყისია. ამის შემდეგ იწყება მთავარი-საულმა პირადი საქმეები უნდა დაასრულოს, ხალხში გამოვიდეს, პური მიიღოს, ქადაგი მოისმინოს, თვითონაც იქადაგოს. მოინანიოს, როგორც ზემოთ აღვნიშნე, იფიქროს, სულიერად განიწმინდოს, თავისთავი შეიყნოს, მოემზადოს ახალი საქმეებისათვის, მისი ცხოვრების წესის შესაცვლელად, საზოგადოებრივი-პირადულზე მალლა დააყენოს.

სამუელმა შეკრიბა ხალხი, რადგან ხალხს უნდოდა მეფე ამოერჩიათ თავისი ტომისა და გვარეულობის მიხედვით. საულს დაუსწრებლად ხვდა მეფობის წილი. უფალმა მოაყვანინა იგი და წარუდგინა ხალხს, რომელიც ერთი თავით ყველაზე მაღალი გამოჩნდა. "უთხრა სამუელმა მთელს ხალხს: ხომ ხედავთ, ვინ აირჩია უფალმა? რადგან მთელს ხალხში არავინაა მისი მსგავსი. იხუვლა ხალხმა და თქვა: დღევრძელი იყოს მეფე! გამოუცხადა სამუელმა ერს მეფობის უფლებანი, წიგნში ჩაწერა და უფლის წინაშე დადო" (იქვე. 10. 24-25). ხელისუფალი ღმერთის მოვლინება და ხალხისაგან ყველანაირად გამორჩეული პიროვნებაა, ღმერთისა და ხალხის არჩევანის თანხმობაა. პასუხისმგებლობაა ღმერთისა და ხალხის წინაშე. ამიტომ არ უნდა გვეჩვენოს ზედმეტ სიმკაცრედ ღმერთის მოთხოვნები ხელისუფლებისადმი მორჩილებისა. მაგრამ ეს ბიბლიურად სრულებით არ ნიშნავს ხელისუფლების აბსოლუტიზაციას. ღმერთი ადამიანებს ერთმანეთზე უპირატესობის უფლებას არ აძლევს. ღმერთი თანაბრად მკაცრია ყველას მიმართ, ვინც მას იფიქნებს. დაივიწყა საულმა ღმერთი. სამუელი წუხდა საულის გამო. ღმერთმა უთხრა მას, როგორ უნდა მოქცეულიყო. წავიდა საული იესესთან. ჩამოატარა მან თავისი შვილები. სამუელს ერთი მოეწონა გარეგნობითა და მაღალი ტანით. ღმერთმა უთხრა: "მე დავიწუნე იგი, რადგან ისე არ არის, როგორც კაცი ხედავს. რადგან კაცი მხოლოდ იმას ხედავს, რაც თვალში ხვდება, ხოლო უფალი გულს ხედავს"<sup>1</sup> (პირველი მეფეთა 17.7). შვიდი შვილი ჰყავდა იესეს. უფალს არცერთი აურჩევია. იესემ იკითხა ჰყავდა თუ არა კიდევ შვილი. მან უპასუხა, რომ არის კიდევ უმცროსი, რომელიც ცხვარშია. მოაყვანინა, ლამაზი იყო და შესახედი. "თქვა უფალმა: ადექი, სცხე მას, რადგან სწორედ ეს არის ის. აიღო სამუელმა ზეთიანი რქა და სცხო მას მისი ძმების თანდასწრებით. ამ დღიდან და მერე უფლის სული წარმართავდა დავითს" (იქვე. 12-13). ხალხის თხოვნით, ღმერთი ხალხიდან ირჩევს ხელისუფალს და წარუდგენს მას. თვითონ ხალხი ვერ აკეთებს სწორ არჩევანს და თავისთავს სჯის. რამდენი ხანია მოვწყდით უფალს და ხელისუფლად ვირჩევთ მას, რომელსაც ხალხის წინაშე არანაირი პასუხისმგებლობა არა აქვს. შარმანდელი ოქტომბრის არჩევნებში უფლის ხელი ერია. მაშინ თქვა პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა: აცალეთ პატრიარქს, მას ხილვები, გამოცხადებები აქვსო. ილოცა ეკლესიამ და შეგვიცოდა უფალმა, რადგან ღმერთს უყვარს ხალხი.

მოხუცდა დავით მეფე. მეტი აღარ შეეძლო. დაუძახა მღვდელსა და წინასწარმეტყველს და უთხრა მისი შვილი სოლომონი გიხონში ჩაეყვანათ, რათა "იქ სცხონ იგი ისრაელის მეფედ ცალოკ მღვდელმა და ნათან წინასწარმეტყველმა. მერე ჰკარით ბუკს და გამოაცხადეთ: იცოცხლოს მეფე სოლომონმა!...გამოიტანა ცალოკ მღვდელმა კარვიდან რქით ზეთი და სცხო სოლომონს. ჰკრეს ბუკს და და დაიძახა მთელმა ხალხმა: იცოცხლოს მეფე სოლომონმა" (მესამე მეფეთა 1.34, 39). როგორც წინა შემთხვევაში, აქაც, მეფის დანიშვნაში, ღვთის მოვლინებაა. მერე ეკლესია აძლევს კურთხევას და ამის შემდეგ იკავებს სამეფო ტახტს. დავითი ანდერძს უტოვებს თავის მემკვიდრეს, რომ ვალი აღუსრულოს უფალს, დაიცვას მისი წესები, მცნებანი, სამართალი და მონშობანი. ბრძნულად მოიქცეს, წყალობა ჰყოს. ტახტის მემკვიდრე სოლომონი სრულად ითავისებს მეფის პასუხისმგებლობას უფლისა და ხალხის წინაშე. უფალს მადლობას უხდის, რომ სიტყვა შეუნახა მამისს დავითს და აღასრულა უფალმა თავისი ხელით. შეჰღალადებს მას, როცა შესცოდავს ვინმე თავის მოძმეს და ფიცით დააფიცებენ მას, მოუსმინოს ციდან, მტყუანი გაამტყუნოს და მართალი გაამართლოს. როცა შესცოდავს ერი, მიუტევოს შეცოდება მას. როცა ცა დაიკეტება და რა ინვიმებს, მიუტევოს ცოდვები და აწვიმოს მინაზე. შიმშილობა იქნება ქვეყანაზე, შავი ჭირი, მწველი ხორმაკი, სიყვითლე, კალია თუ მატლი, ან მტერი მოადგება ქვეყანას, უბედურება იქნება თუ სნეულება, როცა იგრძნობს თითოეული გასაჭირს, მოუსმინოს ციდან და მიუტევოს. უცხოელსაც, რომელიც არ არის შენი ერისაგანი მოუსმინე ციდან და აღუსრულე ყველაფერი, რასაც შემოგღალადებს. როცა საბრძოლველად გავა მტერთან და დაიწყებს ლოცვას უფლისადმი, მოუსმინოს ციდან და სამართალი გაუჩინოს. ტყვედ თუ ჩავარდებიან და დაიწყებენ ლოცვას შენდამი მოისმინე ციდან მათი ლოცვა-ვედრება და სამართალი გაუჩინე. მიუტევე შენს ერს შეცოდება და დანაშაული, რაც კი შეცოდავს შენთვის და სიბრალულს აღუძრავ მათ დამტყვევებლებს, რათა შეიბრალონ ისინი. ჩვენი ქვეყნის რა ცოტა ხელისუფალი გრძნობს, ისიც თუ გრძნობს, პასუხისმგებლობას ღმერთისა და ხალხის წინაშე. ახლა როგორ უჭირს ხალხს და თვითონ, ხალხის ხარჯზე, თუთუნებაში ცხოვრობენ.

რამდენი ხანია, რომ ვერ მოვახერხეთ ხელისუფლებრივი მემკვიდრეობის გადაცემა. ყოველი მომდევნო ხელისუფლება მისი წინამორბედის საფლავის მომთხრელი და მაგინებელია. ასეთ პირობებში ქვეყანა წინ ვერ წავიდა და ვერც წავიდოდა. ხელისუფლებრივი მოღვაწეობა ტრადიციებისა და კულტურის სფეროს ნაწილია. ნაცვლად იმისა, რომ მაქსიმალურად ვინარჩუნებდეთ წინა ხელისუფლების გამოცდილ კადრებს, განგაშს სტეხენ, თუკი რომელიმე სპეციალისტი ახალი ხელისუფლების სტრუქტურაში აღმოჩნდება. ნაციონალებმა ისედაც პოლიტიზებული ქართველობა ავადმყოფურ მდგომარეობამდე მიიყვანეს. ჩვენი საგანმათლებლო სისტემის პოლიტიზაციის შედეგია ის, რომ სასწავლო პროცესს ხარისხიანი კადრების უზრუნველყოფა არა აქვს. ზედაპირული კრიტიკოსები ამას მასწავლებელთა

გადამზადების ინსტიტუტის ნაკლოვანებით ხსნიან და ყურადღების მიღმა რჩებათ ის, რომ უმაღლესი განათლება პოლიტიკანების და საზღვარგარეთელი მრჩევლების საჯიჯნად იყო ქცეული და დღემდე კერძო სოციალური ჯგუფების ხელშია. ასეთ პირობებში უმაღლესი განათლების საბიუჯეტო თუ ინვესტიციური ემელონირება მნიშვნელოვან წარმატებებს ვერ მოიტანს იმის გათვალისწინებითაც, რომ განათლების სისტემა ბიზნესის სფეროდ მიაჩნიათ. და კიდევ: სხვადასხვა რანგის საარჩევნო კამპანიებში განათლების სექტორის პირველ პირებს სახელისუფლო დავალებებით ტვირთავდნენ. ყოველივე ამის გათვალისწინებით გასაგებია ისიც, რომ განათლების სისტემაში, უახლოეს პერიოდში, მნიშვნელოვანი წარმატებები არ იქნება. აი, სანამდე მიჰყავს ღვთის რჩეულ თანამდებობაზე ვილაყების ინიციატივით ნათესავეებისა და ახლობლების წამოჭიმვას. აქედან მოდის ღვთის რისხვა ხელისუფლებაზე და ხალხზე.

ხელისუფლება ნარკოტიკივითაა-გაბრუება იცის მით უფრო, თუ მას უგვანო იკავებს. ვერ ხედავს ხელის განვდენის იქით, ვერც იმას ამნევს, რომ ღმერთი განსჯის. სამუელმა უთხრა საულს, რომ უფალმა მოავლინა იგი ისრაელის მეფედ, რომელსაც ახსოვს, როგორ ექცეოდა ისრაელს ყამალეკი, როგორ აბრკოლებდა გზაზე ეგვიპტიდან გამომავალს. "ახლა წადი და სძლიე ყამალეკს და გაუნადგურე მთელი საბადებელი. ნუ დაინდობ, განყვიტე კაცი და ქალი, ყრმა და ძუძუთა ბავშვი, ხარი და ცხვარი, აქლემი და სახეღარი" (პირველ მეფეთა. 15. 4). შეჰყარა საულმა ხალხი, შემუსრა ყამალეკი, ცოცხლად შეიპყრო მისი მეფე ავაგი, ხალხი ამოხოცა. "დაინდეს საულმა და ლაშქარმა ავაგი და საუკეთესო ცხვარ-ძროხა, საკვები, ბალ-ვენახები და ყველაფერი, რაც საუკეთესო იყო და რისი განადგურებაც არ მოინდომეს" (იქვე.9). უფალი გამოეცხადა სამუელს: "ვნანობ, რომ გავამეფე საული, რადგან განმიდგა მე და აღარ ასრულებს ჩემს სიტყვებს" (იქვე 11). მივიდა სამუელი საულთან და ჰკითხა ცხვარ-ძროხის ბლავილი საიდან ესმის. უპასუხა, რომ ყამალეკი გაანადგურა და საუკეთესო ცხვარ-ძროხა წამოასხეს. სამუელმა უთხრა: "რატომ არ ისმინე უფლის სიტყვა, რატომ დახარბდი ნადავლს და ჩაიღინე ბოროტება უფლის თვალში?" (იქვე19). "განემორა საულს უფლის სული და დაუნყო მას წვალება ბოროტმა სულმა უფლისაგან" (იქვე16.14). ხელისუფალში სიხარბემ რომ არ დაისადგუროს, იგი არ უნდა მოსწყდეს ხალხს, ხშირად მიმართოს მრჩევლებს, მოუსმინის. იცოდეს სიკეთისა და ბოროტების გარჩევა. არ წასძლიოს სიხარბემ, ამჰარტავნობამ, ქედმაღლობამ. მოუძებნეს საულს დავითი სულის განსამტკიცებლად და მეგობრად, რომელიც მას ყველგან მხარს უმაგრებდა და ბრძოლებში წარმატებების მეთაური იყო, მაგრამ ვინაიდან იგი ხალხს უყვარდა, მის გამო შურისა და ამჰარტავნობისაგან ვერ გათავისუფლდა. თავისთავსაც ებრძვის საული-დავითი სიძეთაც მოიკიდა, მაგრამ მაინც სამუდამოდ მისი მტერი გახდა. რამდენჯერმე მოინდომა მისი მოკვლა, გზირები დაუყენა, შუბიც ესროლა, ვერ მოკლა. ვერ მოინანია, ვერ შეცვალა ცხოვრების წესი.

ბევრჯერ აღუთქვა, რომ არ უბოროტებდა. ვინაიდან პირადად არ სძულდა, სახელი და დიდება შურდა მისი. პირიქით, დავითს ყოველთვის შეეძლო მისი მოკვლა, მაგრამ არ ჰკადრა მეფეს უფლისგან მოვლენილს. თქვა დავითმა: "ერთ დღეს მაინც დავიღუპები საულის ხელით; ამიტომ მიჯობს, თავი შევაფარო ფილისტიმელთა ქვეყანას, მომეშვება საული და აღარ დამიწყებს ძებნას ისრაელში" (იქვე 27.). გაიგო საულმა და აღარ უძებნია იგი. როცა ფილისტიმელები შემოესია, შეშინდა და შეუკრთა გული. სამუელს მოუხმო ზეციური სამყაროდან. "რადგან არ ისმინე უფლის ხმა და არ აღასრულე უფლის რისხვა ყამალეკზე. ამიტომ აღასრულებს დღეს უფალი შენზე თავის სიტყვას. ისრაელსაც შენთან ერთად ჩაუვდებს ხელში ფილისტიმელებს. ხვალვე ჩემთან იქნებით შენ და შენი შვილები; ისრაელის ბანაკსაც ჩაუვდებს უფალი ხელში ფილისტიმელებს" (იქვე 28). აღსრულდა უფლის ნება. ფილისტიმელებმა სძლიეს ისრაელს. ერთ დღეს დაოხოცნენ საული და მისი სამი ვაჟიშვილი, მისი საჭურველთმტვირთველი და ყველა მისი თანამებრძოლი.

ხელისუფალი როგორც ღვთის მოვლინება, ზნეობრივი სუბიექტია ანუ მის მოქმედებაში ვლინდება ქვეყნის საზოგადოებრივი წესრიგი. წესრიგი მთელის არსებობის წესია. ამიტომ წესის, კანონების, მორალურ-ზნეობრივი ნორმების დარღვევა უპატიებელია ხელისუფლისთვის.

"ადგა დავითი სადამო უამს თავისი საწოლიდან და სამეფო სახლის ბანზე იწყო სიარული. ბანიდან მობანავე ქალი დაინახა; ქალი ლამაზი იყო სახით. გააგზავნა დავითმა ქალის ამბის გასაგებად. უთხრს: ეს ხომ ბარშებაა, ელიყამის ასული, ურია ხეთელის ცოლი. გაგზავნა დავითმა მოციქულები ქალის მოსაყვანად. მოვიდა ქალი და დაწვა მასთან დავითი" (მეორე მეფეთა 11. 2-3-4). როცა ქალი დაორსულდა დავითს შეატყობინა. დავითმა მისი ქმარი ომიდან გამოიძახა, ვითომ და საომარო მოქმედებების უკანასკნელი ამბების გასაცნობად. მოვიდა ურია, დავითმა ომის ამბები გამოკითხა და სახლში გაუშვა. სინამდვილეში დავითმა ეშმაკობას მიმართა-ურია იქვე ცხოვრობდა და სახლში რომ მივიდოდა, მერე უკანონო ბავშვის დაბადება ეჭვს არ გამოიწვევდა. ურია სახლში არ წასულა და ის ღამე მეფის სასახლის წინ გაათია. უთხრეს მეფეს, რომ ურია სახლში არ წასულა. დაუძახა დილით ურიას, რომელმაც უთხრა, რომ როცა მისი ბატონი და მისი ბატონის ხალხი ომშია, სახლში როგორ წავიდოდა, რა აჭმევდა და ასმევდა, ცოლთან როგორ დაწვებოდა, ვერ იზამდა ამას. (ურია ძალიან პატიოსანი კაცი ყოფილა). დავითმა ახალ ხრიკს მიმართა-ურია ისეთ ადგილზე გააგზავნინა, მტრის რიცხვი რომ ძალიან დიდი იყო და ცოცხალი ვერ გადარჩებოდა. ურია მოკლეს. დავითმა ურიას ცოლი მოაყვანინა და ცოლად შეირთო. ეს ყველაფერი სხვების დაუნახავად მოხდა და თითქოს სასჯელის საშიშროებაც არსაიდან იყო, მაგრამ ხელისუფალთ ხშირად ავიწყდებათ, რომ არსთა გამრიგე გულით ხედავს.

მიუგზავნა უფალმა ნათანი, რომელმაც უფლის სახელით უთხრა: "მე გცხე მეფედ ისრაელზე. მე დაგიხსენი საულის ხელიდან. მე მოგეცი შენი ბატონის სასახლე და მოგიწვინე შენი ბატონის ცოლები, მოგეცი ისრაელისა და იუდას სახლი, და თუ ეს არ კმარა, კიდევ დაგიმატებ. რატომ დაივიწყე უფლის სიტყვა და ბოროტება ჩაიდინე მის თვალში? მახვილით მოჰკალი ურია ხეთელი და ცოლად მოიყვანე მისი ცოლი? ყამონიანთა მახვილით მოჰკალი იგი. ამიერიდან მახვილი არ მოსცილდება შენს სახლს სამარადისოდ, რადგან უგულვებელმყავი და ურია ხეთელის ცოლი მოიყვანე, რომ ცოლად დაგესვა. აჰა, უბედურებას დაგათევ შენივე სახლიდან, ავიყვან შენს თვალწინ შენს ცოლებს და შენს მოყვასებს მივცემ; მზისით დაწვებიან შენს ცოლებთან, თუმც შენ ჩუმად გააკეთე, მე მთელი ისრაელის წინ და მზის წინაშე გავაკეთებ ამ საქმეს" (მეორე მეფეთა 12-8-9-10-11-12). დავითმა აღიარა, რომ შესცოდა უფალს. ნათანმა უთხრა, რომ აპატია უფალმა, მაგრამ შვილი მოუკვდება, ურიას ქალთან რომ შეეძინა. წავიდა დავითი და ნახა, რომ ბავშვი დასნეულებულიყო. ევედრებოდა დავითი ღმერთს ბავშვის გამო, მარხულობდა და მიწაზე ათევდა ღამეს. მეშვიდე დღეს მოკვდა ბავშვი.

ჩვენ ზემო ვნახეთ, რომ რჯულის კანონით მეფეს ეკრძალება მრავალი ცოლის ყოლა. დავითმა ეს სიბრძნე დაარღვია. მისი ცოდვების გამო არ ასვენებდა ქვეყანას ბუნტი და აჯანყება.

დავითის შვილს აბესალომს ჰყავდა და თამარი, რომელიც შეუყვარდა დავითის მეორე შვილს ამნონს. ამან გააუპატიურა თამარი. უზომოდ შეიძულა და მერე სახლიდან გაავდო. გაიგო ეს ამბავი დავითმა და დიდად შეწუხდა. აბესალომს არათფერი უთქვამს. ორი წლის მერე მოახერხა აბესალომმა ამნონის მონვევა და მოაკვლევინა იგი. დავითი განრისხდა, მაგრამ აბესალომი არ დაუსჯია, აპატია და მონანიებისაკენ მოუწოდა მას. აბესალომი მეფესთან დაბრუნდა და ყველაფერს აკეთებდა მამისთვის ტახტი წაერთმია. მან მთელი ისრაელი მიიმხრო. აუჯანყდა მამას, დავითი იძულებული გახდა იერუსალიმიდან წასულიყო. ღვთით ბოძებული ტახტის წართმევა მოინდომა შვილმა. დავითმა დაარჩა თავისი ხალხი არ მოეკლათ აბესალომი, მაგრამ მშვიდობის ამრევი, ძმის მკვლელი, მეამბოხე აბესალომი უსახელო სიკვდილით დაიღუპა. აბესალომს სხვა ნაკლიც ჰქონდა-პატივმოყვარეობა სჭირდა. სიცოცხლეშივე აღმართა სვეტი მეფის მინდორზე-შვილი არ მყავს, რომ ჩემი სახელი იხსენიებოდესო. არა და" შეეძინა აბესალომს სამი ვაჟი-შვილი და ერთი ქალი სახელად, თამარი. ძალიან ლამაზი შესახედავი ქალი იყო იგი" (მეორე მეფეთა 14. 27). იცრუა კიდევ.

დიდი სამეფო შექმნა დავითმა. იგი ლიბანის ქელიდან სინაის ნახევარ კუნძულის, ეგვიპტისა და და შუამდინარეთის ჩათვლით სირიის საზღვრამდე ვრცელდებოდა. ეპატარავა მეფეს ის, რაც უფლისგან ჰქონდა მინიჭებული. "უთხრა მეფემ იოაბს, თვისი ჯარის სარდალს: შემოიარე ისრაელის ყველა შტო დანიდან ბერშებამდე და აღრიცხე

ხალხი, რომ ვიცოდე ხალხის რიცხვი. უთხრა იოაბმა მეფეს: უფალმა, შენმა ღმერთმა შეჰმატოს შენს ერს ამდენი და კიდევ ასჯერ მეტი, და ამის მომსწრე გახადოს მეფე-ბატონი. მაგრამ რად ინება მეფე-ბატონმა ეს საქმე?" (მეორე მეფეთა 24. 2-3). მეფის სიტყვას ვინ გადავიდოდა და გავიდნენ ჯარის სარდლები ხალხის, ისრაელის, აღსარიცხად. "მთავარი იოაბმა მეფეს ხალხის აღრიცხვის წიგნი და აღმოჩნდა ისრაელში რვაასი ათასი მებრძოლი, მახვილის მაშიშველებელი, და იუდაში ხუთასი ათასი კაცი. გულმა დაჰკრა დავითს მას შემდეგ, რაც აღრიცხა ერი. უთხრა დავითმა უფალს: დიდად შევცოდე, ეს რომ გავაკეთე. ახლა მიუტევე, უფალო, შეცოდება შენს მორჩილს, რადგან უგუნურად მოვიქეცი" (იქვე 24. 9-10). ღმერთმა სამი სასჯელიდან ერთის ამორჩევის უფლება მისცა დავითს: "რა გიჯობს, შვიდწლიანი შიმშილი შენს ქვეყანაში, სამი თვის ლტოლვილება შენი მტრებისგან და მათგან შენი დევნა, თუ შავი ჭირი სამ დღეს შენს ქვეყანაში? (იქვე 24. 13). დავითმა უთხრა, რომ უჯობს უფლის ხელში ჩავარდეს, ვიდრე კაცის ხელში.

მოავლინა უფალმა შავი ჭირი ისრაელში და განყდა დანიდან ბერშებამდე სამოცდაათი ათასი კაცი. მხოლოდ ისრაელი გადარჩა უვნებლად, ვინაიდან ისმინა უფალმა დავითის თხოვნა: "აჰა, მე კი შევცოდე და დავაშავე, მაგრამ ამ ცხვრებმა რა გააკეთეს? ჩემზე და მამაჩემის სახლზე იყოს შენი ხელი!" (იქვე 24. 17).

დავითის დასჯა უფლისაგან ხალხის აღრიცხვის გამო ბევრ მკლევარში გაუგებრობას იწვევს, ვინაიდან მოსახლეობის აღწერა ჩვეულებრივი სახელმწიფოებრივი კამპანიაა და ხელისუფალს ცოდვაში არ ეთვლება. მაგრამ აქ მოსახლეობის აღწერას ის დანიშნულება აქვს, რაც მანამდე ჰქონდა ისრაელში. ელაჰარაკა უფალი მოსეს ეგვიპტიდან გამოსვლის მეორე წელს და უთხრა: "აღწერე ისრაელიანთა საზოგადოება სავარეულოებად და მამის სახლებად, სახელის რიცხვის მიხედვით, ყოველი მათგანი სათითაოდ. აღრიცხეთ შენ და აარონმა ყველა ისრაელიანი ოცი წლიდან მოყოლებული, ლაშქარში გამსვლელი, თავთავისი ლაშქრის და მიხედვით" (რიცხვნი 1.2-3). "აღრიცხე ისრაელიანთა მთელი საზოგადოება ოცი წლიდან მოყოლებული გვარეულობათა მიხედვით, ყველა, ვისაც ლაშქრად გასვლა შეუძლია ისრაელში" (იქვე 26. 2). "იძიე ისრაელიანთა შური მიდიანელებისაგან, მერე კი შეერთე შენს ხალხს. ასე ელაჰარაკა მოსე ხალხს: საბრძოლოდ დარაზმეთ თქვენი ხალხი და დაესხან მიდიას, რომ უფლის შური მიაგონ მიდიას" (იქვე 31. 2-3). ახლა ჩავუღრმავდეთ ბიბლიის მეორე მეფეთა 24-ე თავს. მხედველობაში მაქვს რამდენიმე მომენტი. პირველი, სასჯელს უფალი დავითს წინასწარმეტყველის პირით აცნობებდა ან თვითონ გამოეცხადებოდა. მეორე, უფალი განურისხდა დავითს და მიზეზი არ უთქვამს, არც დავითს უთხოვია აეხსნა უფლისთვის, რატომ სჯიდა, ღმერთი ხომ გულით ხედავს. მესამე, მიმანიშნებელია იოაბის სიტყვა მეფისადმი: "უფალმა, შენმა ღმერთმა შეჰმატოს შენს ერს ამდენი და კიდევ ასჯერ მეტი, და ამის მომსწრე გახადოს მეფე-ბატონი. მაგრამ რად ინება მეფე-ბატონმა ეს

საქმე?". აქ ნათლად ჩანს, რომ ქვეყნის საზღვრების გაფართოების ქვეშეცნეული აზრია გადმოცემული და არანაირად არ ესადაგება მოსახლეობის აღწერას გადასახდის გაზრდის ან სულადობრივი აღრიცხვის მიზნით. მეოთხე, აღრიცხვის წიგნის მიხედვით "აღმოჩნდა ისრაელში რვაასი ათასი მებრძოლი, მახვილის მაშიშველებელი, და იუდაში ხუთასი ათასი კაცი" (იქვე 10) ანუ დადგენილია მხოლოდ მეომართა რიცხვი. მეხუთე, თუკი მანამდე ცოდვის გამო უფალმა დავითს მძიმე სულიერი ტანჯვა მიაყენა, შვილები დაუხოცა, ახლა მას ფიზიკურად სჯის-ძალას ართმევს-უამრავი მებრძოლი გაუნყვითა. დავითს უკვე საოკუპაციო ომების წარმოება არ შეუძლია. მონანიება ითხოვა დავითმა და შეუნდო უფალმა. აქაც ჩნდება კითხვა იმის თაობაზე, თუ რას ერჩოდა ღმერთი ადამიანებს დავითის გამო. ხალხი და მეფე ერთიანია და ისინი პასუხისმგებლობასაც ერთნაირად იწილებენ. დავითზე ნაკლები არ დაუშავებია ხალხს ისრაელისას, ადამიანები ცუდად იქცეოდნენ: კლავდნენ, ქურდობდნენ, ერთმანეთს არ ინდობდნენ, არ იცავდნენ საღვთო წესებსა და კანონებს, ფულის გამო ყველაფერს კადრულობდნენ, მართალს იჭერდნენ, მტყუანს ამართლებდნენ, ძალდობდნენ, მრუშობდნენ, ერთმანეთს არ ინდობდნენ, ღმერთი არ ახსოვდათ (უფრო ვრცლად ცოტა ქვემოთ)

ზემოთ მოტანილი მსჯელობების საფუძველზე შემოძლია ვთქვა, რომ დავითი უფალმა დასაჯა არა მოსახლეობის აღწერის, არამედ სხვა ქვეყნებზე ღვთისგან დამოუკიდებლად, თვითგადანყვეტილებით თავდასხმის განზრახვის გამო (ომები ხომ ღმერთები საქმეა), რომლის წინა პირობა იყო მისი სამეფოს მეომართა აღწერა. დავითი თავისი სამეფოს სამხედრო წარმატებებმა პატივმოყვარედ აქცია და უფალი დაავინცა. ომების წინ დავითი რჩევას ყოველთვის ეკითხებოდა უფალს. "თუ წავედი, დავამარცხებ ამ ფილისტიმელებს"? (პირველ მეფეთა 23.2,4). "დავედევნო იმ ურდოს? მივეწევი?" (იქვე 23.8). "გავილაშქრო ფილისტიმელებზე? ჩამიგდებ ხელში მათ?" (მეორე მეფეთა 5. 19,23). "შევიდე თუ არა იუდას რომელიმე ქალაქში"(იქვე 2.1). უფლის შეწევნა გადაავინცდა და პატივმოყვარეობამ დასძლია დავითი, რითაც უფლის რისხვა დაიმსახურა.

ხელისუფალს არა აქვს უფლება მოწყდეს უფლის პასუხისმგებლობას, გააკეთოს ის, რაც მას სურს თავისი თავის განდიდებისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში მკაცრ სასჯელს ვერ ასცდება არა მხოლოდ თვითონ, არამედ მისი შთამომავლობა და ქვეყანაც კი, რომელსაც ცოდვა ასეული წლების მანძილზე მიჰყვება. როგორც არ უნდა ამტკიცოს სააკაშვილმა და მისმა ნაციონალურმა მოძრაობამ, ვინ დაინყო ომი ცხინვალსა და კოდორის ხეობაში, შეფასება ერთია-დავმარცხდით, დამნაშავეა ხელისუფლება და მას სასჯელი ვერ ასცდება, საშუალო დონის ქართველი პოლიტიკოსისათვის ანბანური ჭეშმარიტებაა-რუსეთთან ჩვენი ომი დანყვამდე წაგებულია. განა საქართველო ომს რუსეთს მოუგებს? მაგრამ აქ სხვის მიერ შეკვეთილი მუსიკის დაკრულზე ცეკვავდნენ და საზოგადოებასთან მიამიტობენ. რაც



უფრო მეტი დრო გავა, სააკაშვილისა და მისი გუნდის ღვთიური სასჯელი დროდადრო უფრო აზვირთდება და დამძიმდება. უღმერთო ხელისუფლება და ისიც ბიბლიურად გაუნათლებელი, საქართველოს ტრაგედიაა.

გამოეცხადა სოლომონს სიზმარში ღმერთი, რომელმაც ყველაფერში დახმარება დაჰპირდა მას, თუკი მის წესებსა და ბრძანებებს დაიცავდა. სოლომონი მივიდა იერუსალიმში და უფლის წინაშე წარდგა. ყველაფერი კარგად უწყობდა. მოსეს რჯულის მიხედვით ეკრძალებოდა მრავალცოლიანობა, უცხოელზე დაქორწინება, გარყვნილება, ოქროსა და ვერცხლის სიყვარული...სოლომონს შვიდასი ცოლი და 300 ხარჭა ჰყავდა, ბევრი მათგანი უცხოელი ქვეყნიდან იყო, რომლებმაც სოლომონზე იმითაც იმოქმედეს, რომ რამდენიმე ღმერთს წყალობდა. რაც უფლის წინაშე მისი აღქმის უხეში დარღვევა იყო. განურისხდა უფალი მას ამის გამო. ორჯერ გამოეცხადა სოლომონს უფალი და უბრძანა არ დასდგომოდა უცხო ღმერთების კვალს. ვერ დასძლია სოლომონმა პირადი სიამოვნებისა და ფუფუნებითი ცხოვრების ცდუნება. უთხრა უფალმა: "იმის გამო, რომ ასე იქცევი, არ ასრულებ ჩემს აღქმასა და წესებს, რომლებიც დამინებს შენთვის, გამოგლეჯ სამეფოს და მივცემ შენს მორჩილს. ოღონდ სიცოცხლეში არ გავაკეთებ ამას მამაშენის, დავითის გულისთვის. შენს შვილს კი გამოვგლეჯ ხელიდან. მაგრამ მთელს სამეფოს არ გამოვგლეჯ; ერთ შტოს შენს შვილს დაუტოვებ დავითის, ჩემი მორჩილის გულისთვის და იერუსალიმის გულისთვის, რომელიც მე ავირჩიე" (მესამე მეფეთა 11. 3,10,11,12,13). გაუჩინა მტერი სოლომონს ედომელი ჰადადის სახით, რომელიც ეგვიპტეში გადასახლდა იქედან ებრძოდა სოლომონს. ქვეყნის შიდა მტრებიც მოეძალა დავითის ძეს. გარდაიცვალა სოლომონი და სამეფო ტახტი მისმა ძემ-რობოამმა დაიკავა, რომელიც დედით ებრაელი არ იყო. რობოამი უხუცესთა რჩევებს ყურად არ იღებდა და თავის მოყმეებს უსმენდა. არ შეინწყნარა ხალხის სათხოვარი და იძულებული გახდა იერუსალიმში გაქცეულიყო. სამეფო ორად გაიყო: ისრაელი და იუდეა. იერუსალიმში რობოამმა მეომრები შეკრიბა, რათა ისრაელი დაებრუნებინა, მაგრამ უფლის გამოცხადებით განათლდნენ, რომ თავიანთ ძმებთან არ უნდა ეომათ და სახლებში გაბრუნდნენ.

ღმერთი სამართლიანია და უზენაესი მსაჯულიც, რომელიც ყველაფერს ხედავს. სოლომონი ბრძენის სახელით არის ცნობილი, რომელიც მას ხელს არ უშლიდა განცხრომაში ყოფილიყო და დიდი სახელმწიფო მოღვაწე გამხდარიყო. სოლომონს ხვდა წილად აეგო ღმერთისთვის უზარმაზარი ტაძარი იერუსალიმში, რომელიც ისრაელის ეროვნული სიამაყე გახდა. სოლომონის დროს განვითარდა ისრაელში ვაჭრობა, არქიტექტურა, განათლება, მეცნიერება, ხელოვნება. ბიბლიის საგანძურში შეტანილია სოლომონის წიგნები: "იგავნი სოლომონისა", "ეკლესიასტე", ქებათა ქება სოლომონისა". ის, რითაც გამორჩეული იყო მისი სამეფო მოღვაწეობა, დაუფასა უფალმა. იმისთვის, რაც ქვეყნისა და ხალხისთვის ზიანის მომტანი იყო, დასაჯა უფალმა.

ულმერთობის, დექრისტეიანობის მოძრაობა დასავლეთიდან და ამერიკიდან უტევს საქართველოს. ჩვენშიც უკვე იმდენად გამრავლდნენ მათი მომხრეები, რომ აღარავის ერიდებიან და ტრიბუნებიდან უტიფრად გვილანძღავენ ეროვნულ ტრადიციებს. სულაც არ რცხვენიათ იმის გამო, რომ ქვეყანა მათი უვიცობით დანაწევრებულია, საქართველოს ლამის ნახევარი მოსახლეობა იმიგრანტებად იქცა, ხალხი უმძიმეს გაჭირვებაშია, სოფლები იცლებს, უცხოელები გვისახლდებიან. ამ თონზე პირზე დორბლმორეულნი გვიმტკიცებდნენ, რომ ქვეყანა ააშენეს და ახლა მათ გარეშე-იგი დაქცევისაკენ მიექანება. ღვთის შიში არა აქვთ, ვინაიდან, ურჯულოდ გაზრდილები არიან, არაფერი ჰყოფნით, ყველაფერი უნდათ მუცელში ჩაინთქან. "შეჭამენ და ვერ გაიგებენ გაძლომას, იბოზებენ და ვერ გამრავლდებიან, რადგან დაივიწყეს უფლის სამსახური. ბოზობამ, ღვინომ და მაჭარმა დაიპყრო მათი გული. გამოუნელდებათ სიმთვრალე და ბოზობას იწყებენ, შეეჩვიენ სირცხვილს მისი მთავრები." (ისაია წინასწარმეტყველი 5.10-11,19). მათში მაღალ ადამიანურ ღირებულებებს ძალიან იშვიათად თუ იპოვის კაცი. პიროვნული უბედურება ადამიანს ეკუთვნის, უბედური ხელისუფლება-ხალხსა და ქვეყანას. ჰოდა, ამ ერთ მუჭა უბედურ ნაციონალურ ხელისუფლებას როგორმე აიტანს ქვეყანა, მაგრამ რა მოვუხერხოთ იმ ათეულობით და ასეულობით ადამიანს ნაციონალურ მოძრაობას რომ ამოთარებიან ფულის გულისთვის! რამხელა უბედურებაა პირადი ინტერესებით ცხოვრება. ულმერთო ადამიანი ზომიერების საზღვრებს ვერ ხედავს, თავისუფლება არ იცის, მატერიალურის მონაა, ხალხის სიყვარული არ ესმის. "ცხოველები სჯობნიან მათ, რადგან ისინი თავიანთ ბუნაგს მაინც მიაშურებენ და თავს უშველიან" (ეპიტოლე იერემიასი 67). საოცარია ადამიანის ბუნება, რამდენი დასჯილა უფლისაგან კაცის და ქალის, ქვეყნები და ხალხებიც, ხელისუფალიცა და დიდებულებიც, მაგრამ ცოდვები კი არ შემცირდა, გაიზარდა. რას ეძებს კაცი და ჩვენ ქართველები, უფალზე დიადს. მძიმე სასჯელის მოწმენი გავხდებით, ვინაიდან ძალზე დიდი ცოდვები გვაქვს უფლის წინაშე-ტრადიციული წესებისა და კანონების უგულებელყოფა, რომლის გარეშე ადამიანი თავისი ბუნებრივი სამყაროს მიღმა რჩება ანუ მორალურ-ზნეობრივი ნორმებისაგან იცლებს. მარტო ამ ბოლო 20-25 წლის განმავლობაში რამდენი ამპარტავანი წაეტანა ხელისუფლებას. ქართულ ეკლესიასაც ამოეთარა თვალთმაქცურად ხალხის თვალში რომ ჩვენი ქვეყნის აღმშენებლებად წარმოჩენილიყვნენ, რომლებიც მერე იმავე ხალხის სისხლისმსენებლად იქცნენ. უფალმა მაინც მისცა დრო დაფიქრებისა, მონანიებისა საშუალება ოქტომბრის არჩევნების სახით, მაგრამ უფლისა არა გაეგებათ რა. "ვისაც ბევრი მიეცა, ბევრი მოეთხოვება, და ვისაც მეტი მიენიჭა, მეტი მოეთხოვება" (სახარება ლუკასი 12.48). ახლა პირისპირ დგას ულმერთო, ქვეყნისა და ქართველო მოძულე, უზნეო და პატივმოყვარე ნაციონალური ხელისუფლება, რომელიც ცდილობს ხალხში უნაყოფო აზრი დათესოს-სანატრელ ცხოვრებას დაგიმკვიდრებთო! "(სისხლით ჭამთ და თვალებს კერპებისკენ აპყრობთ? სისხლს

ღვრით და ქვეყნის დამკვიდრება გსურთ? თქვენს მახვილზე დგახარ, სისაძაგლეს სწადიხარო, ერთმანეთის ცოლებს ბილწავთ და კიდევ ქვეყნის დამკვიდრება გსურთ?- ებეკიელ წინასწარმეტყველი 23:25-26). წინააღმდეგია ეკლესიური საზოგადოება, რომელიც ამას არ დაუშვებს. ლალი მოროშკინა წერდა "ასავალ-დასავალში" თუ როგორ გარყვნილ და უსინდისო ცხოვრებას ეწეოდა ყოფილი ნაციონალური ხელისუფლება-ერთმანეთის ცოლებთან მრუშობდნენ, სააკაშვილი მის ხელქვეითებს პირველი ლამის უფლებას ართმევდა, სკოლის ასაკის ბავშვებს რყვნიდა და ა.შ. ცნობილია, რომ ხალხი იმსახურებს იმ ხელისუფლებას, რომელიც მას ჰყავს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი ხელისუფლების ხუმტურს უნდა შეეგუოს იმ მოტივით, რომ, ბიბლიის ფურცლებზე სხვადასხვა ადგილზე წერია ხელისუფლებისადმი ხალხის მორჩილება.

როცა ქრისტიანი ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდის, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ღმერთის შემოქმედი ხელისუფლების გაუკუღმართებისადმი ზნეობრივი მებრძოლია. ქართული ეკლესიის მეთაური, წმინდანი ამბროსი ხელაია ხელისუფლების ღვთიურ ინსტიტუტს კი არ ებრძოდა, ხელისუფლების გათახსირებისა და გადაგვარების წინააღმდეგი იყო. ჩვენ, ქართველებს ბევრი ღვთისმოსავი, ქვეყნისა და ხალხის მოყვარული საკმაოდ ბევრი მეფე და ხელისუფალი გვყოლია, რომელთაც პირადი, კერძო ცხოვრება არ ჰქონიათ, უფლის კარნახით მოქმედებდნენ. ამან შექმნა ხალხში ხელისუფლებისადმი მაღალი ნდობა, რასაც უკანასკნელი რამდენიმე წელიწადი ბოროტად იყენებენ ხელისუფლებას დახარბებული ადამიანები. ღმერთმა მოუვლინა ხალხს ხელისუფლება პატრონად და მოსამსახურედ, მაგრამ ძალიან ბევრი ხელისუფალი ხშირად ივიწყებს თუ ავიწყდება, რომ მისი თანამდებობა ხალხისადმი სამსახურია. ძალიან ბევრი კიდევ უხეირო და პატივმოყვარე გამოდგა. ისრაელს ოცი მეფე ჰყავდა და არც ერთმა არ ივარგა. ოცი მეფე ჰყავდა იუდიასაც, მაგრამ მხოლოდ შვიდი გამოდგა ნამდვილი. რამდენი უხეირო მეფე ჰყოლია საქართველოს, მაგრამ უფრო მეტი საუკეთესო იყო. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ღმერთი მეფობას იმას აძლევს, ვისაც საჭიროდ ჩათვლის, მეფობა გამოცდაა, ბევრი წრფელი გულით იკავებს სავარძელს, მაგრამ მერე ცდუნებას ვერ უძლებს. ბოლოს ღმერთთან მიდის და პატიებას სთხოვს, რომლის პატიება შეუძლებელია ("თქვენი ახალმთავრობები და ზემოეტი შეიძულა ჩემმა სულმა, ტვირთად დამანვა, დავიღალე მათი ზიდვით. ხელებს რომ აღაპყრობთ, თვალს გარიდებთ; ლოცვებსაც რომ მიმრავლებთ, არ ვისმენ; ხელები სისხლით გაქვთ სავსე! განიბანეთ, განიწმინდეთ, ავი საქმეები თვალთაგან განმარიდეთ, შეწყვიტეთ ბოროტის ქმნა". (ისაია წინასწარმეტყველი 1. 14-16) და რომლის გამო, მარტო მას კი არა და მის თაობებსა და ქვეყანას მოეკითხება.

ხალხი იყო. არის და იქნება ძალა. ღარიბ გონებას ეჩვენება, რომ ხალხი ყველანაირი ხელისუფლების ამტანია. უბრალოდ ხალხს მოთმინების დიდი ენერჯია აქვს, რომელიც წაყრუების შთაბეჭდილებას ქმნის. ფილისტიმელებს და მნიგნობრებს

რამდენჯერმე უნდოდა მაცხოვრის მოკვლა, მაგრამ ხალხის შეშინდათ, ქვებით ჩაქოლავდნენ. ხელისუფალს ხალხის შიში თან უნდა სდევდეს.

მსოფლიოში საერთოდ და კერძოდ საქართველოს ახლანდელი სახელისუფლო სტრუქტურა, მეფობის ინსტიტუტზე გაცილებით უფრო ნაკლოვანია. სტალინიც, სიცოცხლის ბოლო წლებში, მონარქიას სახელმწიფოს მართვის ყველაზე საუკეთესო ფორმად თვლიდა, ვინაიდან მონარქიაში პერსონალური პასუხისმგებლობა ცხადია. იგი ცდილობდა სსრ კავშირის მართვის სტრუქტურა მონარქიის პრინციპზე მოეწყო (მონარქია პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. იგი მასში თეოკრატიულ შინაარსს გულისხმობდა ანუ სამღვდელოების კი არა-ღმერთის ხელისუფლებას). ბევრი მკვლევარი ახლა ხვდება ამის მნიშვნელობას. მსოფლიოს ინტელექტუალური საზოგადოება ქვეყნის მმართველობის უკეთესი მოდელის შექმნაზე ფიქრობს, რომლის ფუძემდებლური პრინციპი სწორედ თეოკრატია, ბიბლიური ცოდნისა და ეკონომიკის სტალინური მოდელის შერწყმა იქნება. გამოდის, რომ რაც ცოტა ხნის წინ დავიფიქსეთ, ახლა იმას უნდა ვუბრუნდებით. ამის შესახებ შემდგომ.

ბიბლიის უნიკალობა იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი ადამიანთა შორის ურთიერთპასუხისმგებლობათა სრულყოფილი ინსტიტუტია. ადამიანი ხელისუფალის მორჩილია, მაგრამ ამით არ თავისუფლდება იგი ქვეყნის წინაშე უფლის პასუხისმგებლობისაგან. ჩვენ ზემოთ ვნახეთ, როგორ დაისაჯა ხალხი უზნეობის გამო, როცა მას ღმერთი დაავინწყდა, თავისი ცხოვრების წესი შეცვალა. ბიბლიის სიბრძნე მრავალმხრივია და ერთი განსაკუთრებულობა ისიც არის, რომ ადამიანი, როგორც კი ღმერთს დაივინწყებს, ჭამად გადაიქცევა და ფუფუნებას მალე აღწევს, ყველაფერს წაეტანება, არაფერი ეზოგება, ყველანაირ სისაძაგლეს სჩადის, და იწყება მისი ზნედაცემულობა. მაშინ მოიკითხავს უფალი. "ზოგი თავის მოყვასის ცოლთან სისაძაგლეს სჩადის და ზოგი თავის რძალს აუპატიურებს გარყვნილებით, ზოგიც თავის დასთან, თავისი მამის ასულთან, ძალადობს თქვენში. ქრთამებს იღებენ თქვენში, რომ სისხლი დაღვარონ; ვახშს და სარგებელს იღებ და ძალმომრეობით ყვლეფ შენს მოყვასს, მე კი დამივინწყე, ამბობს უფალი ღმერთი. აჰა, ხელი ხელს შემოვკარი შენი სიხარბის გამო, რასაც სჩადიხარ, და სისხლის გამო, რომელიც იღვრება თქვენს შორის. თუ გაგიძლებს გული ან თუ შერჩება ძალა შენს ხელებს იმ დღეებში, როცა აღვიძრები შენს წინააღმდეგ? მე, უფალმა, ვთქვი და გავაკეთებ. გაგფანტავ ხალხთა შორის და გაგაბნევ ქვეყნებში, რომ უწმინდურობა წაგიშალო" (ებეკიელ წინასწარმეტყველი 22.11-15). უფლის მიზანი არ არის დასჯა. "თუ კაცი მართალია და სამართლიანად და სიმართლით იქცევა, არ ჭამს მთებზე შეწირულს და ისრაელის კერპებს თვალს არ აპყრობს, მოყვასის ცოლს არ უპატიოჰყოფს და თავის მირეულ ცოლს არ ეკარება; არავის ჩავრავს, მევალეს ვალს უბრუნებს, არ მტაცებლობს, მშიერს თავის პურს უყოფს და შიშველს სამოსელით მოსავს; სარგებელს არ გასცემს და ვახშამს არ იღებს, ხელს არიდებს უკეთურებას და მართალ

სამართალს აჩენს კაცსა და კაცს შორის, ჩემი წესებით იქცევა, ჩემს სამართალს იცავს და მტკიცედ ასრულებს, ის არის მართალი კაცი და ჭეშმარიტად იცოცხლებს, ამბობს უფალი ღმერთი" (იქვე 5-9).

ღმერთს უყვარს ადამიანი, როგორც მისი ქმნილება და ხატი თავისა, როგორც შემოქმედი, რომელსაც უყურადღებოდ არ ტოვებს. ღმერთის ამაგი მართო ადამიანის შექმნით არ გამოიხატება. მან ადამიანს ჯერ ცხოვრების პირობები შეუქმნა და დაასახლა სამყაროში. ცხოვრების კანონები და წესები დაუდგინა, რის შესრულებას მოითხოვს მისგან და რომლის შესრულებაში იგი მის გვერდით დგას. ამდენად, ადამიანს სიყვარული დასაბამიდან მოსდევს, "ვინაიდან სიყვარული ღმერთისაგან არის, და ყველა, ვისაც უყვარს, ღმერთისაგან შობილია, იცნობს ღმერთს. ვისაც არ უყვარს, მან ვერ შეიცნო ღმერთი, იმიტომ, რომ ღმერთი სიყვარულია. ამით გამოცხადდა სიყვარული ჩვენში, რომ თვისი ძე მხოლოდშობილი ღმერთმა მოაწვინა ქვეყნად, რათა მის მიერ ვცხოვრებოდეთ. სიყვარული ისაა, რომ ჩვენ კი არ შევიყვარეთ ღმერთი, არამედ მან შეგვიყვარა ჩვენ, და მოაწვინა თავისი ძე ჩვენი ცოდვების მალხინებლად. საყვარელნო, თუკი ასე შეგვიყვარა ღმერთმა, ჩვენც უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი" (პირველი იოანესი 4. 7-11). სიყვარული სულის ნაყოფია და სულიერების ამაღლება სიყვარულის სრულყოფის მიმართულებას. სიყვარული პასუხისმგებლობას უფლის წინაშე. უსიყვარულოდ დიდი საქმეები არ კეთდება, ვინაიდან სიყვარული სხვისთვის განუელი სამსახურია, სიკეთეა, ღმერთთან მიმართებაა. სიყვარული უზარმაზარი სითბო, წესრიგი, ვალდებულება, თავისუფლება, მორჩილებაა და სიმაღლეა. მაცხოვარი სიყვარულის მიწერი სრულყოფილებაა. ასწავლიდა, ემსახურებოდა ხალხს, უამბობდა მას მამამისის ენით, რისთვის იყო მოვლინებული, შეახსენებდა ცოდვებს, ქადაგებდა და ლოცულობდა სულის უკვდავებისთვის, ცოდვების მონანიებისთვის, ვინაიდან ადამიანი ცოდვილია და თუ ნამდვილი ცხოვრება სურს, უნდა იბრძოლოს შეცოდებათა დასაძლევად. ჭეშმარიტებასაც სიყვარული უნდა და დაცვა. მაცხოვარი სიმბოლოა ჭეშმარიტებისათვის მებრძოლისა, სიყვარულის დამსახურებისა. იესომ აჩვენა, რომ დიდი სიყვარული ღვთიური სიმაღლეა და ხალხში შურსა და მტრობას ინვესს, რომელსაც უშიშრად უნდა შეხვდე, ვინაიდან "სიყვარული სულგრძელია და ტკბილი; სიყვარულს არ შურს; სიყვარული არ ქედმაღლობს, არ ზვაობს; არ უკეთურობს, არ ეძებს თავისას, არ მრისხანებს, არ განიზრახავს ბოროტს; არ შეჰხარის უსამართლობას, არამედ ჭეშმარიტებით ხარობს; ყველაფერს იფარავს, ყველაფერი სწამს, ყველაფერის იმედი აქვს, ყველაფერს ითმენს" (პირველ კორინთელთა მიმართ. 13.4-7).

ბერძნულად, რომელ ენაზეც დანერვილია ძველი აღქმა, სიყვარულს რამდენიმე დასახელება აქვს:

აგაპე (αγαπη)-სიყვარული ამ სიტყვის ფართო გაგებით მისი შინაარსისაგან დამოუკიდებლად;

სტორგე (στοργή)-კოლექტიური, სოციალური სიყვარული, ოჯახისადმი, სამშობლოსადმი, ხალხისადმი დამოკიდებულება;

ფილე (φιλη)-მეგობრული სიყვარული;

ეროსი (έρως)-ვნებიანი სიყვარული ან ძლიერი გატაცება<sup>1</sup>.

ბერძნული ენის სილიადე აქაც ჩანს. შინაარსობრივად ქართველებიც ასე ვიცნობთ სიყვარულს. ღვთიური სიყვარული ანუ ბერძნულად აგაპე უზენაესი სიყვარულია, აქ აღწევს ადამიანი თავის უმაღლეს დანიშნულებას-მას ღმერთი უყვარს და ამიტომ ყველაფერს სიყვარულით აკეთებს. მეორე და მესამე ფორმის სიყვარულიც აქ იყრის თავს. ვისაც ოჯახი და ქვეყანა, ხალხი და მეგობრები არ უყვარს, უფალს როგორ შეიყვარებს და პირიქით, უფალი თუ გიყვარს, როგორ შეიძლება შენი ოჯახი, ხალხი, ქვეყანა, მეგობრები არ გიყვარდეს. ვნებიანი სიყვარული და ძლიერი გატაცება სხვა საკითხია. აქ ადამიანი პიროვნულობამდე მიდის და სხვას ვერაფერს ამჩნევს, ვნება სადღაც მთავრდება ან შეიძლება დაცხრეს და ღვთიურ სიყვარულად გარდაიქმნას. ლიბერალები ვნებიან სიყვარულს წაეტანენ და გაათახსირეს იგი. ღმერთის, ოჯახის, მეგობრების სიყვარული ანაქრონიზმად ჩათვალეს. დაინყო საზოგადოების, ოჯახის ინსტიტუტების დაშლა. ვერანაირი ოჯახი ვერ ივარგებს ღმერთის სიყვარულის გარეშე. დასავლეთი და ცივილიზებული სამყარო დასასრულის გზას დაადგა. უნდათ ამ გზაზე დაგვაყენონ ჩვენც, მაგრამ ღვთისშობლის წილხვედრი ერთგულია თავისი რწმენისა.

ზემოთ მოტანილი მსჯელობებიდან ჩანს, რომ სიყვარული შემოქმედებიდან იბადება. ღმერთს ადამიანი მის შექმნამდე კი არ ჰყვარებია, რომ შექმნა მერე შეუყვარდა. ღერი ბალახიც არ იყო აღმოცენებული, რადგან ღმერთს წვიმა არ მოუვლენია და კაცი არ იყო, რომ მინა დაემუშავებინა. გამოსახა ღმერთმა ადამი მინის მტვერისაგან და ცოცხალ არსებად აქცია. მოაწყო ღმერთმა ბალი ედემში და დაასახლა შიგ ადამი. მერე თქვა უფალმა, რომ არ ვარგა ადამის მართო დასახლებაო და მისი შესაფერი შემწე გაუჩინა თავისივე ნეკნიდან. ადამი და ევა კი არ შეუქმნია, ადამი შექმნა და ევა გაუჩინა თავისივე ძვალთაგან და ხორცთაგან. დედაკაციც ამიტომ ეწოდა. ორივე ერთდ ერთ სულხორცად იქცნენ. "შიატოვებს კაცი დედ-მამას და მიეწებება თავის დედაკაცს, რათა ერთხორცად იქცნენ" დაბადება 2.24). ადამი და ევა იყვნენ პირველები, საიდანაც დაინყო ოჯახის ათვლა დედამიწაზე. კაცობრიობა იწყება ოჯახიდან. იქედან აშენდა სახელმწიფო, რომელიც ოჯახის თუნდამენტზე დგას. აქედან ის მზაკვრული აზრიც გამომდინარეობს, რომ თუკი სახელმწიფოს დაშლა გვინდა, ოჯახის ინსტიტუტი უნდა მოანგრიო, მაგრამ რომ მოანგრიო, მისი საფუძვლები უნდა იცოდე და ისიც, რომელი უნდა გამოაცალო. ამისთვის მართო ოჯახის შექმნის პირველი პრეცედენტის ცოდნა ვერაფერს მოგვცემს, ოჯახის შექმნის სულიერ საწყისებს უნდა მიაკვლიო. ოჯახის წინ ღმერთი დგას, მაგრამ ღმერთი

უხილავია და ამიტომ ადამიანების მისგან დაშორება სატანისათვის უფრო იოლია. ოჯახი ადამიანების ფიზიკური, ხილვადი შემოქმედებითი მთლიანობაა უამრავი კავშირურთერთობებით გადასკვნილი. საიდან იხსნება ოჯახზე შემოხვეული არიადნას ძაფი? დავინყოთ იმით, რომ ადამს ევა არც აუჩემებია და არც მონატრებია, ვინაიდან არ ენახა. ღმერთმა მოუვლინა, რომ მარტოობის გამო არ მოსწყენოდა. მაშასადამე, ოჯახის შექმნა უფლის კარნახით ხდება. ცოტა უხეში შედარებით, ეს ხელისუფლის არჩევის მსგავსია. ჩვენ მას რაღაც ნიშნების-სიტყვის, გარეგნობის, ნაცნობობის, ნათესაური კავშირის, საგვარეულო ავტორიტეტის, ვილაცების რჩევის, სიმპატიის და სხვათა მიხედვით ვირჩევთ. ოჯახის სიყვარულით შექმნის თვალსაზრისი ასეთი რიგის მახასიათებლებს ეყრდნობა. მესმის, რომ ხორციელი ვნებანი ჩვენი არჩევანის მიმართ ამ ნიშნებში არ შედის და იგი უდიდესი ადამიანური განცდების, ზემთავონების წყარო იყო და იქნება, მაგრამ ოჯახი ასეთი სიყვარულის მიზანი არა არის, ხორციელია, პიროვნულია.

ქალსა და კაცს თხოვება-გათხოვებაში ბიბლია ერთნაირ უფლებას უწესებს-თავისუფალ არჩევანს. "უქორწინებელი უფლისას ზრუნავს, თუ როგორ აამოს უფალს; დაქორწინებული კი ქვეყნისას ზრუნავს, თუ როგორ აამოს ცოლს. განსხვავებაა გათხოვილსა და ქალწულს შორისაც. გაუთხოვარი უფლისას ზრუნავს, რათა წმიდა იყოს ხორციტაც და სულითაც; გათხოვილი კი ქვეყნისასს ზრუნავს, რათა აამოს ქმარს. ხოლო თუ ვინმეს თავისი ქალწულობისთვის საძრახისად მიაჩნია, რომ გასათხოვარ ასაკში გაუთხოვარი დარჩეს, ისე მოიქცეს, როგორცა სურს: არა სცოდავს; დაე გათხოვდეს. ხოლო თუ ვინმე ურყევად ღვას და მტკიცედ გადაწყვეტს გულში, მაგრამ არა როგორც აუცილებლობით იძულებული, არამედ როგორც თავისი ნების ბატონ-პატრონი,-დაიცვას თავისი ქალწული, კარგად იქცევა. ქალი სჯულითაა შეკრული, სანამ ცოცხალია იმისი ქმარი; ხოლო თუ ქმარი მოუკვდა, თავისუფალია, ვისაც უნდა, იმას გაჰყვეს, მხოლოდ უფლის მიერ" (პირველ კორინთელთა 7. 32-34, 36-37, 39). უფალი ოჯახის შექმნას უმაღლეს პასუხისმგებლობად თვლის და ქალსა და კაცს თავისუფლებას ანიჭებს ერთად ცხოვრების არჩევანში. საოცარი ჰარონია: ნაწილები მთელს-ოჯახს ისე ვერ შექმნიან თუ თავიანთ ფუნციებს არ გადაინაწილებენ და თავსებადობაში არ მოვლენ. ბიბლია უმდიდრესი სიბრძნეა-ქალისა და კაცის დაწყვილების ინტერესები და მოტივები საკმაოდ მრავალგვარია, ოჯახის სიყვარული მერენდელია, ვინაიდან შეუძლებელია გიყვარდეს ის, რაც არ გინახავს, არ შეგიქმნია. ვნება ყოველთვის ცივდება, ცხრება ან ჭკნება (გამონაკლისებს არ ვგულისხმობ), ხოლო ოჯახი სოცოცხლის ხეა მარადისობისა.

ოჯახი შექმნის მიზანი ბიბლიაში გარკვევით არის გაცხადებული დაბადებაში და წმინდათა წერილებში. "აკურთხა ღმერთმა ნოე და მის შვილები და უთხრა: ინაყოფიერეთ, იმრავლეთ და აავსეთ ქვეყანა. ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, მოეფინეთ ქვეყანას და გამრავლდით მასზე" (დაბადება 9. 1,7). ოჯახი იქმნება

შვილების გაჩენის მიზნით, გაჩენა სიყვარულია, ცხოვრება სიყვარულია. ერთობლივ შრომაში იბადება ღვთიური სიყვარული. "ცოლებო, დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს, როგორც უფალს; ვინაიდან ქმარია ცოლის თავი, ისევე როგორც ქრისტე თავია ეკლესიისა, და თავითვეა სხეულის მხსნელი. მაგრამ როგორც ეკლესია ემორჩილება ქრისტეს, ასევე ცოლებიც თავიანთ ქმრებს ყველაფერში. ქმრებო, გიყვარდეთ თქვენი ცოლები, როგორც ქრისტემ შეიყვარა ეკლესია, და მისცა თავისი თავი მისთვის, რათა წმიდა ეყო იგი, განწმენდილი წყლის საბანელით და სიტყვით...ქმრებს ისე უნდა უყვარდეთ თავიანთი ცოლები, როგორც საკუთარი სხეული; ცოლის მოყვარეს თავისი თავი უყვარს" (ეფესელთა მიმართ 5. 22-26, 28). "ცოლებო, დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს, როგორც ჯერ-არს, უფალში. ქმრებო, გიყვარდეთ თქვენი ცოლები, და ნუ იქნებით მკაცრნი მათ მიმართ" (კოლოსელთა მიმართ 3.18-19). აქედან არის, რომ ოჯახურ ურთიერთობებში შესვლა პიროვნებისაგან წინასწარ მომზადდებას საჭიროებს.

ოჯახი უძველესი ინსტიტუტია თავისი მრავალგვარი ურთიერთობებით. ტრადიციული ქართული ოჯახი თაობათა ერთობლიობაა (რაც ლიბერალებს ჩამორჩენილობად მიაჩნიათ): შვილთაშვილი-->შვილიშვილი-->დედ-მამა>---->ბებია-ბაბუა. აი, ამ სისტემაში შედის წყვილი და როგორც ყველა მთელს, სისტემას, ოჯახსაც ფუნქციონალური რეზულტატის ზეციური დავალება აქვს. ამიტომ ოჯახის წევრები სისტემის მომსახურენი არიან ანუ სისტემა მათი არსებობის წესია. ოჯახი კვლავწარმოებითი უჯრედია, სადაც ადამიანი პოულობს ღვთისნიერ სიყვარულს-აგაპეს. ამიტომ ამ სისტემაში შესვლა მის ცოდნას მოითხოვს და გასათხოვარი თუ ცოლსათხოვარი პირი თავისუფლების ახალ სამყაროში ექცევა. გამოდის, რომ ოჯახი კონფლიქტური სისტემაა, რომელშიც ნებისმიერი წევრის შესვლა და გამოსვლა ადაპტაციის ახალ პირობებს ქმნის. სისტემური შეუთავსებლობა ოჯახში მისი სტრუქტურული ცვლილების მიზეზია. ოჯახი ან იყოფა, ან ერთეულს იშორებს, ან თვითონ წყვილი გადის სისტემიდან. ზოგად ტრადიციულ და განსაკუთრებით, ქართულ ტრადიციულ ოჯახში, ცოლ-ქმრის დაშორება სუბიექტური მიზეზების გამო, იშვიათი შემთხვევა იყო. ამას თვითონ დამოყვრებული ოჯახები და მათი სანათესაო არ დაუშვებდა, რამდენადაც შესაძლებელი იყო მისი შენარჩუნება. ტრადიციული ოჯახები ქმნიან ტრადიციულ სახლმწიფოს. აქედან მოდის პატრიოტიზმიც. მკითხველს ახსოვს წინა თავებიდან, რომ პატრიოტიზმი არის ერის შემაკავშირებელი ძალა, რომ ბიუკენენმა საბჭოთა პატრიოტიზმი მეორე მსოფლიო ომში სსრ კავშირის გამარჯვების მთავარ ფაქტორად მიიჩნია. ამისი საპირისპირო გაგება ასეთია: თუ გინდა ხალხი მართვადი იყოს, პატრიოტობის გრძნობა უნდა გაუქარვო. პატრიოტობის წინ ოჯახი დგას, ამიტომ ოჯახი უნდა დაუნგრეო. მეც ახლავე შემოვაცლი ოჯახს არიადნას ძაფს. ღმერთი არ არსებობს, ვინაიდან არავის უნახავს. თუ ღმერთი არარსებითია, მაშინ ოჯახი ტვირთია და მძიმე ვალდებულება, რომელიც ინსტიტუტებს ზღუდავს. ოჯახი



იერარქიული წყობა, მორჩილებითია, რადგან სისტემაა. ოჯახის დამაქცევარ ლიბერალებს იოლი გამოსავალი აქვთ-ოჯახი მონობაა და მისგან უნდა გათავისუფლდე. იცხოვრე ისე, როგორც გსურს. შვილებს იმდენს გააჩენ, რამდენიც გინდა, ვინაიდან ქირურგიული ჩარევა ცოდვა არ არის, ანდა საერთოდ რა არის ცოდვა! თავისუფალი ვარ, მე ვარ მე. მკითხელი მიხვდება, რომ ასე შეიძლება იფანტაზიოს ურწმუნო ადამიანმა, მაგრამ პრაქტიკულად ვერ მოიმოქმედოს, თუკი მოტივაცია არ ექნება. მოტივაციას ქმნის ის, ვინც ადამიანებზე ბატონობს, ვისაც ინდივიდუალური თავისუფლება ხელს აძლევს-ფინანსური მაგნატები. ფული ღმერთად აქციეს და ახლა ფულს მინიერი ღმერთის ფუნქცია აქვს. ფული ყველანაირი სურვილისა და ხუმტურის აღსრულების ინსტრუმენტი. ლიბერალური მისწრაფების ადამიანი ღმერთს დაუპირისპირდა და დაიფიქსა, რომ ფულს კი არა "უფალ ღმერთს შენსას თაყვანი ეცი და მხოლოდ მას ემსახურე" (სახარება მათესი 4. 10). გადაუარა თავის წარსულს და სულის ამაღლებასა და განწმენდას კი არ ცდილობს, ხორციელ ნეტარებას ეძლევა<sup>1</sup>. ფორმები ხიბლავს და მკერდის, ცხვირის, სახის, თვალის ფერის შეცვლის, სქესის შეცვლის, კლონირებისა და კანის ქირურგიულ ოპერაციებს მიეცანა. "დაე, თქვენი სამშვენიისი იყოს არა გარეგნული თმანწელობა, არა ოქროს სამკაული, არა სამოსის მორთულობა და მოკაზმულობა, არამედ დაფარული გულის კაცი, თვინიერი და მშვიდი სულის უხრწნელი მშვენიებით, რაც ყველაზე ძვირფასია ღმერთის წინაშე" (პირველი პეტრესი 3.3-4). ადამიანმა თავისი თავი კერპად აქცია, ფორმის მიმზიდველობა სულის ამაღლებას არჩია. არც ფიქრობს მასზე. მისი ცხოვრების კრედიო მარტივია: სიცოცხლე ინსტიქტების დასახარჯად გეძლევა, შენ მოხვედი და ვიდრე ნახვილოდე, მოასწარ ყველაფერი, რაც გესიამოვნება. "მრავალი ცრუ წინასწარმეტყველი აღდგება და, აცდუნებს მრავალთ. და ურჯულოების მომრავლების გამო მრავალში განელდება სიყვარული" (მათე 24.11-12). "შეუძლებელია არ მოვიდეს ცდუნებები, მაგრამ ვაი მას, ვისი მესეობითაც მოვა" (სახარება ლუკასი 17.1). სწორედ აქა ვართ. სიყვარულის ადგილი სექსმა დაიჭირა. ოჯახი ინგრევა.

როგორ ჰგავს დღევანდელი ჩვენი ცხოვრება ქრისტეს პერიოდის ისრაელსა და იუდეას. პალესტინა რომის მსოფლიო იმპერიის ნაწილი იყო. იუდეა ქრისტეს დაბადებამდე პომპეიმ დაიპყრო და რომის სირიის პროვინციას მიუერთა. ადგილობრივი მოსახლეობა აუტანელი გადასახადების გამო სულს დათავდა.

იუდეას უსასტიკესი მეფე ჰეროდე სტანჯავდა. მისთვის მიუღებელი იყო რელიგიური პრობლემები. ამაყი და პატივმოყვარე გარყვნილებაში, ომებსა და პოლიტიკურ ინტრიგებში იყო გადავარდნილი. პატივმოყვარე სოლომონის დიდების გადაფარვას ცდილობდა და ძალას არ ზოგავდა მშენებლობებზე. ერთნაირი უნით აწვებოდა იპოდრომის, თეატრისა და ტაძრების მშენებლობას, იერუსალიმის ტაძრის გადაკეთებას, რათა იმპერატორ ავგუსტინესთვის ესიამოვნებინა.

თავისიანების მიმართ ჰეროდე დესპოტი, უხეში და სისხლისმსმელი ტირანი იყო. მან თავისი მრავალთავანი ცოლებიდან ერთი შვილებიანად ამოწყვიტა. გარდაცვალებამდე ხუთი დღით ადრე თავისი შვილი სიკვდილით დასაჯა. კეისარმა ავგუსტინემ, ამის შესახებ რომ გაიგო, თქვა: მის შვილობას მე მის ღორად ყოფნას ვამჯობინებდიო. ჰეროდემ "წარგზავნა ხალხი და ამოაწყვეტინა ყოველი ყრმა ბეთლემსა და მთელს მის შემოგარენში, ორ-ორი წლისა და უმრწემესი, თანახმად ასაკისა, რომელიც გამოიკითხა მოგვებისაგან" (სახარება მათესი. 2.16). მისი სიცოცხლის უკანასკნელი დღეები საშინელი მტანჯველი იყო. თვითმკვლელობაც სცადა. თავის დისთვის უბრძანებია იერიქონში 15 000 წარჩინებული იუდეველის შეკრება და მისი სიკვდილის მომენტში ამოხოცვა, რომ ამით მაინც აეძულებინა ხალხი ატირებელიყო. მისი გარდაცვალების დღე შემდგომში ებრაელი ხალხის ნაციონალური დღესასწაული გახდა.

ჰეროდეს სიკვდილის შემდეგ იმპერატორმა ავგუსტინემ სამეფო სამად გაჰყო და სათავეში ჰეროდეს შვილები ჩაუყენა. იუდეა არქიელს შეხვდა. მამისივით უხეში, სასტიკი და დაუნდობელი იყო. პასექის დღესასწაულზე სამი ათასი იუდეველის გალახვისა და სხვა დანაშაულის გამო ავგუსტინემ გალილეაში გაასახლა, სადაც გარდაიცვალა. ამის შემდეგ იუდეასა და სხვა სამთავროებს რომაელი ჩინოვნიკები მართავდნენ, რომლებსაც პროკურატურები ეწოდებოდათ. იუდეას პირველი პროკურორი გახდა პილატე პონტოელი, რომლის ხელისუფლებისას ჯვარს აცვეს იესო ქრისტე.

ჰეროდეს პერიოდში ისრაელის საზოგადოება საკმაოდ ჭრელი და ერთმანეთთან დაპირისპირებულ მასობრიობას წარმოადგენდა. ქვეყანას რომაული გადასახადები აღრჩობდა. ბერძნულ, რომაულ და ებრაულ ენაზე მეტყველებდნენ. სინაგოგებში, რომელიც მაშინ ბაშვთა აღზრდის კერაც იყო. მწიგნობრები და თარისეველები იკავებდნენ უფროსობის სავარძლებს. მწიგნობარნი რჯულის კანონს ასწავლიდნენ და საეკლესიო წიგნების გადანერას ახორციელებდნენ. აგრეთვე იურისტებისა და მოსამართლეების თუნქციებს ასრულებდნენ. რელიგიურ ცხოვრებაში რაიმე განსაკუთრებულ საქმეს არ აკეთებდნენ და წმინდა ფორმალისტები იყვნენ. ანალოგიურ როლს ასრულებდნენ თარისეველები, რომლებიც რელიგიურ პარტიას წარმოადგენდნენ. ისინი თითქოსდა სულიერი მამების ადგილს იჩემებდნენ, მაგრამ ნამდვილი რელიგიური ცხოვრებისაგან შორს იდგნენ.

უძველესი ისტორიის საქართველო დაპყრობილი და დანაწევრებულია ტერიტორიებად. რომაელებივით ჩამოგვისახლდნენ ამერიკელი და დასავლელი ემისრები, ბატონებად გვექცნენ და ყველაფერში ჯკუას გვარიგებენ, და საოჯახო საქმეებსაც იმათ ვეკითხებით და საქვეყნო ანგარიშებს ვაბარებთ, სამართლიანობას, ავსა და კარგს მასთან ვარკვევთ. ინგლისური ლამის ღმერთის ენად ვაქციეთ. ხალხი ცხოვრების საშუალებად გახადეს. გაჩნდა უტიფარი ნაციონალური ელიტა, რომელიც

იმ ბიბლიურ მნიშვნელობებსა და ფარისევლებზე მეტია; სადუკვევლები სად მიუვლენ პრეზიდენტობის მაძიებელ პარტიებს<sup>1</sup>. იუდეას ჰეროდემე ნაკლები სისხლიანი და სასტიკი, გარყვნილი და სხვა ქვეყნების-ამერიკისა და ევროპის ქვეყნების მამებელი როდია სააკაშვილი და მისი გაუნათლებელი ქალ-კაცები, გაურკვეველი სქესის გვამები და ქართველი ხალხის სისხლისმწოველი ნაციონალები. ისრაელისა და იუდეა ხალხებზე ნაკლებად როდი იტანება თავისი ქვეყნიდან გაქცეული და მსოფლიოს ლამის ყველა ქვეყანაში ლუკმა-პურის საშოვნელად გაფანტული ქართველი კაცი და ქალი. ბევრჯერ შევცოდეთ ღმერთის წინაშე. მაგრამ რაკი ღვთის მშობელს ეს ქვეყანა უყვარს, არ მიგვატოვა და სული გადავირჩინეთ. განკითხვის დღეები დგას. საღვთო კანონები უგულებელყავით, ჩვენი კანონები უზენაესი-აყხადებენ ჰეროდესავით მტანჯველი და საშინელი ტკივილებით სიკვდილის პირას მისული ნაციონალები.

ქვეყნის ძირითადი კანონი და საერთოდ კანონები მისი ერის სულიერი კულტურის და მორალურ-ზნეობრივი ტრადიციების მაჩვენებელია. საქართველო, ამ მხრივ, მართლაც გამორჩეული ქვეყანაა, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი ყოფილ ნაციონალურ ხელისუფლებას დრაკონული კანონები მიეღო და ისიც თავისი სურვილისამებრ აღესრულებინა. კანონმემოქმედმა პიროვნებამ თუ პარლამენტის უმრავლესობამ ბიბლია რომ კარგად იცოდეს და ღვთისმოსავი იყოს, ასე არ იქნებოდა. ბიბლისტები ამტკიცებენ, რომ ბიბლია ღმერთის კარნახით დაინერა წინასწარმეტყველების მიერ, რათა ადამიანების ცხოვრებაში წესრიგი დაემყარებინა. მოსეს პირით გამოუცხადა ხალხს, რომ არ გაიკეთოს კერპები, არ იწამოს სხვა ღმერთები, პატივი სცეს დედასა და მამას, არა ვაც ჰკლა, არ იმრუშო, არ იქურდო, არ გამოხვიდე ცრუ მოწმედ შენი თვისტომის წინააღმდეგ, არ ინდომო შენი თვისტომის სახლი; არ ინდომო შენი თვისტომის ცოლი, არც მისი ყმა, არც მისი მხევალი, არც არაფერი მისი ქონებიდან. როცა მაცხოვარს მუხლი მოუყარა ვიდაცამ და თხოვა როგორ დაემკვიდრებინა საუკუნო სიცოცხლე, უპასუხა, რომ დაეცვა ათი მცნებანი: არ იმრუშო, არა ვაც-ჰკლა; არ იპარო; არა ცილისწამო; არ შეურაცხყო; პატივი ეცი მამას შენსას და დედას. სწორედ ურთიერთსამსახურში ჰპოვებენ ადამიანები თავიანთ ბედნიერებას. სულით მდაბალნი იხილავენ ზეცას, ცოდვის მომნანიებლები ნუგეშს იპოვიან ცათა სასუფეველში, ნუგეშისმცემელნი მინიერ კეთილდღეობას მიიღებენ და ცათა სასუფეველსაც დაიმკვიდრებენ, კეთილის მქმნელს შეინყალებს უფალი, წმინდა გულის ადამიანები იხილავენ ღმერთს, ნეტარ არიან მშიდობის მყოფელნი და ღმერთის ძეებად იწოდებიან, ნეტარ არიან სამართლისთვის დევნილი, ვინაიდან მათია ცათა სასუფეველი, ნეტარნი ხართ თქვენ, როცა დაგინყებენ გმობას ჩემი გულისთვის, გიხაროდეთ და ილხინეთ, ვინაიდან დიდია თქვენი საზღაური ცაში<sup>1</sup>.

ღმერთი სამართლიანია, ჩვენ წინა ფურცლებიდან ვიცით, როგორ იქცევა ღმერთი, როცა კაცი ივინყებს ღმერთს და არ იცავს მის კანონებსა და წესებს. რამხელა ბოროტი უნდა იყოს სამართლის მცოდნე თუ კანონმემოქმედი, რომელმაც წვრილმანი

ქერდობის გამო სიცოცხლე გაუმწარა თავის თვისტომს. მშიერმა ბავშვმა ოთხი ცალი საბურავი მოიპარა და შეკრებითობის პრინციპით თავისუფლების აღკვეთა 16 წლით შეეფარდა. მეორე მშიერმა ერთი პური მოიპარა მალაზიიდან და ხუთი წლის ციხე "დაიმსახურა". კერძო პირადი ინტერესებისთვის რამდენი დაიჭირეს ტყუილ-უბრალოდ გაზეთებიდან რაც ვიცით, საკმარისზე მეტია იმისთვის, რომ მას ბოროტება ვუნოდოთ. ღმერთმა ადამიანი თავის ხატად შექმნა და მისი არსებობის წესები და კანონები დაწერა და გვიკარნახა, ჩვენ მის შესრულებასაც არ ვკადრულობთ. ამას ორი რამ განაპირობებს: საკუთარი ხალხის მტრად დაგვიქირავეს, ზომბირებულები ვართ ან არ ვიცით, რას ვაკეთებთ. ორივე შემთხვევაში ერთი რამ ცხადია-თუ ვსიხდით. არადა გაგვაფრთხილა უფალმა, რომ უცხოელების ჭკუაზე არ უნდა მოვიქცეთ. მაგრამ ვიქცევით. აბა, რას ნიშნავს მინის გადამთიელებზე მიყიდვის უფლება, რომელიც მერე ახალმა ხელისუფლებამ შეაჩერა. მინა რომ ღმერთს ეკუთვნის, ეს უკვე ჩვენ ბიბლიიდან ვიცით, რომელიც ზემოთ რამდენჯერმე დავიმონმეთ. ღმერთმა ადამი და ევა დაასახლა ედემში და მინაც და მისი შექმნილი სამყარო დაუმკვიდრა გასამრავლებლად და საცხოვრისად. ესაუბრა უფალი მოსეს სინაის მთაზე: "მინა სამუდამოდ არ უნდა გაიყიდოს, რადგან ჩემია მინა, რადგან თქვენ მდგმურები და ხიზნები ხართ ჩემთან. მთელ თქვენს სამკვიდრებელ მინაზე მიეცით მინის გამოსყიდვის ნება"(ლევიაანი 25. 23-24). აქ საუბარია იმაზე, რომ ხელისუფალმა მინა თავის ხალხს არენდით უნდა მისცეს. თუკი არენდას ვერ გადაიხდის, შეუძლია თავისმა ნათესავმა გამოისყიდოს, თუ ნათესავი არა ჰყავს, გამოისყიდოს იმდენი, რამდენიც შეუძლია. თუ გამოსასყიდს ვერ იპოვნის, გაყიდული მინა მის მიყიდველს დარჩება და მხოლოდ ზეიმის წელს ჩამოერთმევა. მინა ღმერთისაა, როგორც აღვნიშნეთ, ქვეყნის ხელისუფლებას მისი არენდით გაცემა შეუძლია. მინა ყველას ეკუთვნის და იგი მან უნდა მიიღოს. ეს საკითხი ახალი არ არის და რამდენიმე საუკუნის წინ ასეთივე პრეტენზიით განიხილებოდა, მაგრამ გაბატონებულმა კლასებმა ამისი საშუალება არ შეაქმნევინეს და მინა მსოფლიოს სახელმწიფოთა აბსოლუტურ უმრავლესობაში უმცირესი სოციალური ჯგუფების საკუთრებითი უპირატესობაა.

ქვეყნისა და ხალხის სიმდიდრეა წიაღისეულიც, რომელიც ბევრი აზიური სახელმწიფოს მოსახლეობის ცხოვრების კეთილდღეობის წყაროდ იქცა. საქართველოში უკვე გახმაურებული მოვლენაა, რომ სასმელი წყლის მსოფლიო მარაგები გაგვაჩნია, რომელიც ჩვენი მოსახლეობის სიკეთედ შეიძლება იქცეს, მაგრამ ისე ბარბაროსულად ვექცევით ბუნებრივ რესურსებს და ისე ვართ დახარბებული სიმდიდრეს, არსებობს პირადი გამორჩენის მიზნით წყლის პოტენციური სიკეთის ხალხიდან ასიმეტრიის ეჭვების საფუძველი და იმისი ალბათობა, რომ კერძო პირების ინტერესების კონფლიქტმა წყლის რესურსების პრობლემის გადაჭრა ხანგრძლივი კამათის საგნად აქციოს, როგორც ეს აქამდე ხდება. საერთოდ და კერძოდ, ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული რესურსების საერთაშორისო ბრუნვაში მოქცევა პრაქტიკულად

შეუძლებელია მსოფლიოს უძლიერესი საფინანსო ინსტიტუტების გარეშე, რომლებიც ეკონომიკური თავისუფლების სივრცეს ფლობენ და აკონტროლებენ. ამას მხოლოდ ერის სულიერი შემჭიდროება შეგვიძლია დაუპირისპიროდ. თუ ხალხი მთლიანია, როგორც ეს წინა თავებიდან ვნახეთ, მას ვერაფერს მოერევა. უფლის კანონს არ უნდა გავცდეთ, მინა და წიაღისეული, წყალი და მწვანე საფარი ქვეყნისა და ხალხისაა. ღმერთი თავისი კანონების დარღვევას არავის ჰპატიობს. მერე კიდევ ხალხსაც აქვს მოთმინების ზღვარი. თუმცა აქამდე მისი თავშეკავება და ლოღინი საზოგადოებრივი აზროვნების სისუსტეზე მეტყველებს. მიუტევებელია, რომ ქვეყნის სახელოვანი შვილები მის სამსახურს ჯეროვნად ვერ ასრულებენ. ფულით ძალაუფლება ნაყიდი და სკამებიც, რომელზეც ყურმოჭრილ მონებს სვამენ.

ახლა საკითხიდან უნდა გადავუხვიო. დავიღალეთ ამ მომახებრებელი და უღმერთო ევროპული ღირებულებების ქადაგებით: ევროპელები ვართ, ევროპულად უნდა ვიცხოვროთ, ევროპული დემოკრატია და გზა ჯანდაბისაკენ. საქართველოს ევროპულ ღირებულებებზე სწორება დაქირავებული, ჩვენი ქვეყნის მოღალატის ან გაუნათლებელი პოლიტიკოსების ლობუნგია. საქართველოში შეუძლებელია ევროე ნოდებული ევროპული ღირებულებების ექსპორტი, ვინაიდან ქართული ეროვნული ღირებულებები ევროპულზე მაღალია. პირველ ყოვლისა, აქ მხედველობაში მაქვს ჩვენი ცხოვრების ტრადიციული ფასეულობებისა და ღირებულებების უფლისეული ფუნდამენტი-თავისუფლება, რომელიც ამ ყბადაღებულ ევროპულ ინდივიდუალურ თავისუფლებასთან პრინციპულად შეუთავსებელია (მკითხველმა მაჰატიოს, რომ მას კიდევ ერთხელ მივუბრუნდი).

ქართულმა ცხოვრებამ თავისუფლება ბიბლიიდან აიღო და იგი ტრადიციად ჩამოუყალიბდა. თავისუფლება მთელის არსებობის წესია, ვინაიდან მთელი სისტემაა, რომლის ელემენტები სტრუქტურას ქმნიან და ერთმანეთის არსებობას განაპირობებენ ანუ ოჯახი, საზოგადოება, სახელმწიფო მთელია, რომლის სივრცეში არსებითია თავისუფლება. ოჯახის წევრებს აქვთ შრომითი საქმიანობის არჩევანის თავისუფლება, აზრის გამოთქმის, დასვენების, სწავლის არჩევანის და ა.შ. მაგრამ ისინი ვალდებულები არიან მხარში დაუდგნენ და პატივი სცენ ერთმანეთს, გაუფრთხილდნენ ოჯახის ტრადიციებს, მოუსმინონ ერთმანეთს, გაიზიარონ ერთმანეთის გაჭირვება და ა.შ. ასევე საზოგადოებაც, რომლის წევრები საქვეყნო კეთილდღეობისთვის იღწვიან. საბოლოოდ ეს ქმნის სახელმწიფოებრივ სისტემას, რომლის სისხლძარღვოვანი სისტემაა რელიგია, მორალი, ჩვეულება და ტრადიცი-კანონზე მაღალი და მისი მაკონტროლებელი ინსტიტუტები. ღმერთი აქ ადამიანებთან ცოცხალი მიმართებაა. ევროპული ინდივიდუალური თავისუფლება შემოსაზღვრულია პიროვნებით და ამიტომ მთელი ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოს სახით პირობითია. საზოგადოება აქ იძულებითი მდგომარეობაა, რომელსაც დაკარგული აქვს შიდა საზოგადოებრივი ურთიერთობების ზნეობრივი

რეგულატორები. რაკი ადამიანებს ერთმანეთისადმი ვალდებულება და პასუხისმგებლობა არ აკისრიათ, პიროვნული ფაქტორების დონეზე რჩებიან და ამიტომ კანონს ზნეობაზე უზენაესობის ფუნქცია აქვს. კარგად უთქვამს ფრანგ მორალისტს ვოვენერს: ვისაც ადამიანების ემინია, კანონი უყვარს. ქართველისთვის კანონი სინდისისა და სირცხვილის სუბსტიტუტაც არ არის. ლიბერალთა მცდელობა, დაშალოს ქართული ოჯახი და კანონი მორალზე უზენაესად აქციოს, უშედეგო ჯახირია. ევროპა 1054 წელს ჯერ ქრისტიანულ სამყაროს გაემიჯნა კათოლიციზმის სახით, დაუპირისპირდა მართლმადიდებლობას, ჯვაროსნული ომები მოაწყო, საეკლესიო რეფორმები წამოიწყო (ლუთერიანობა, რეფორმაცია, პროტესტანტიზმი, კალვინიზმი, იეზუიტთა ორდენი და სხვა) და პაპი მიწიერ ღმერთად წარმოაჩინა, მერე მე-15 საუკუნიდან საერთოდ მოიშორა ღმერთი და სამოქალაქო საზოგადოება გამოიწვია. ყველაფერ ამას ლამის ათი საუკუნე მოანდომა. ახლა დალუპვის პირას რომ არის და ჩვენი საფლავში უნდა ჩავვიყოლიოს. ცოცხლები მკვდრებს საფლავამდე აცილებენ მხოლოდ.

საქართველოსა და დასავლეთ ევროპის ცხოვრებას შორის პრინციპული სხვაობაა.

1. საქართველო მართლმადიდებლური ქვეყანაა, რომლის მოსახლეობის უმრავლესობა ეკლესიურად ცხოვრობს, მაშინ როცა ევროპის მოსახლეობის ეკლესიური ცხოვრება გამონაკლისი შემთხვევებია.
2. საქართველო უძველესი ტრადიციების ქვეყანაა, სადაც ოჯახი ღვთიური სინმინდია, განათლებისა და აღზრდის ავტორიტეტული ინსტიტუტია.
3. მართლმადიდებლობის ტრადიციული ფასეულობები სამოქალაქო საზოგადოების ნორმებთან შეუთავსებელია.
4. დასავლეთ ევროპაში ქრისტიანულ მორწმუნეთა რიცხვი კატასტროფულად მცირდება, საქართველოში კი სწრაფად იზრდება. აღორძინდა დაზინყებული რელიგიური დღესასწაულები.
5. ძალზე დიდია საქართველოში პატრიარქისა და ეკლესიის ავტორიტეტი.

ეს ყველაფერი კარგად უწყიან ლიბერალებმა და ამიტომ არაფერს ზოგავენ იმისთვის, რომ შავი თეთრად მოაჩვენონ საზოგადოებას, შერყვნან ეკლესია, შეუგზავნონ ურჯულოები, დაამდაბლონ ცამდე ამაღლებული ქართული სინმინდევები, გააუპატიურონ განათლება, დასცინონ უნიკალურ ოჯახურ ტრადიციებს, ეძებონ ოჯახური კონფლიქტის შემთხვევები და ძალადობის პრეცედენტების სარეკლამო ბანერები გამოჰკიდონ, ააფრილონ აღვირახსნილობის თეთრი დროშა ქალიშვილობის ინსტიტუტის დასაცინად. თავიანთი ისტორიისთვის არ უღალატიათ ძმათამკვლელ ქართველებს: ზოგ ფულდახარბებულს, ზოგ ავადმყოფურად პატივმოყვარეს, ზოგ კიდევ ქსენოფილს ენა არ ეგვალება ყველაფერი ქართული დასავლეთ ევროპისა და ამერიკის სამოქალაქო საზოგადოების ნორმებზე დაბლა დააყენოს და ერის ტრადიციული ფასეულობები მავნე გადმონაშთების მასაში შეახვიოს. ეს ადამიანები მასმედიის საშუალებებიდან თავისუფლად ახერხებენ

მოსახლეობის ზომბირებას და ცდილობენ შესაბამისი საზოგადოებრივი აზროვნების დამკვიდრებას...რაც მართალია, მართალია-აქვთ ახლა მათ წარმატებები თავიანთ ანტიქართულ საქმეში, მაგრამ ეს შემოდგომის მზიან ამინდებში ტყემლის ყვავილობას ჰგავს ნაყოფს რომ გამოიღებს და სიმწიფემდე ვერ აღწევს. ეჭვი არა მაქვს იმისა, რომ მკითხველი სწორად გამიგებს. ქართული ტრადიციების სამოქალაქო საზოგადოებაზე გამარჯვების ფატალური რწმენა არა მაქვს მხედველობაში. ევროპული დემოკრატია, მისი ლიბერალიზმი და სამოქალაქო საზოგადოება უკვე იმდენად უძლეურია, რომ დასასრულის დღეებს ითვლის. ხუთასი წელიწადია ევროპელი და არა მარტო ევროპელი ლიბერალები მიწიერ ღმერთს ამონტაჟებენ, უფლის წესებსა და კანონებს არაფრად ავადებენ. "თუ არად ჩააგდებთ ჩემს წესებს, თუ ისე შეიძულებთ ჩემს სამართალს, რომ არ შეასრულებთ არც ერთ ჩემს მცნებას და დამირღვევთ აღქმას, მაშინ ამგვარად მოგექცევით: მოგივლენთ შიშისზარს, ჭლექსა და ცხოვრებას, თვალის დამავსებელს და სულის შემალონებელს. ფუჭი იქნება თქვენი დათესილი, რადგან მტრები შევიჭამენ" (ლევიაინი 26. 15-16). ღმერთის სამართლიანობაზე, რომ ვსაუბრობდი ვილაცამ შემომჩივლა: ეს ღმერთმა გამოუცხადა ისრაელს და ჩვენ რა შუაში ვართო. ტვინის საჭყლეტი პრიმიტივია: განა ღმერთი ყველა ერსა და ერისკაცს უნდა გამოეცხადოს. იმისი შეკითხვა შემთხვევითი კითხვა როდია, ძალიან ბევრს ჰგონია, რომ ღმერთი ყველას ცალკ-ცალკე უნდა გამოეცხადოს და ეროვნების მიხედვით აუხსნას სიყვარული, და წესები და კანონები დაუმკვიდროს პერსონალურად. ბიბლია ყველა ერისა და ხალხის სიყვარულის მემკვიდრეობით-მეთოდური სისტემაა, სადაც ყველაფერი აღმატებითი ხარისხის რანგით არის მოცემული. "ნუთუ ღმერთი მხოლოდ იუდეველებისაა, და არა წარმართებისაც? რა თქმა უნდა წარმართებისაც. ვინაიდან ერთია ღმერთი, რომელიც რწმენით გაამართლებს წინადაცვეთილთ, და წინადაუჩვეთელთ-რწმენის მიერ (რომაელთა მიმართ 3.29-30). რა ჰქნას ღმერთმა, თუ არ უსმენ, თუკი მის წიგნებს არ სცნობ და არასდროს წავიკითხავს. უღმერთოებს საშუელი არა აქვთ. უსულო ხორცი ლეშია.

ზემოთ ჩვენ კანონები ვახსენეთ. იურისტები წერენ, რომ ყველა კანონი ბიბლიიდან არის გადაწერილი ანუ ღმერთმა წინანწარმეტყველებს ადამიანთა შორის ურთიერთობების მოსაგვარებლად კანონები უკარნახა, რომელსაც ისინი ისე ასრულებდნენ, როგორადაც ხელს აძლევდათ. ახლა ლიბერალებმა ღვთიური კანონები თავიანთ სასარგებლოდ გადააკეთეს და ადამიანების დამონებისთვის იყენებენ. ღვთიური კანონების ხელყოფა, მაღალი სიჩქარით, კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება. ცივილიზებულ სამყაროს არა მარტო ხალხის გამრავლება მოხებრდა, მორალურ-ზნეობრივი ფასეულობები გაათახსირა და სასაცილოდ გაიხადა. ფული სატანისტური ღმერთია. ქართულმა ცხოვრებამაც დაეტყო აღვირახსნილობის თავისუფლება. სიხარბე ამჩნევია ყოველდღიურ საქმიანობას, აღვირახსნილი ცხენივით დანავარდობს უსირცხვილობა: ფულსა და სექსს. სექსსა და ფულს ეძებს. ეს

არ არს მხოლოდ გატაცება, დიდი ფული მოაგორებს მეძაობას, ტრეფიკინგს, ბავშვებით ვაჭრობას, ევთანაზიას, ნარკოტიკებს, სამოქალაქო საზოგადოებას, კლონირებას, პედარასტიას, პედოფილიას, ზოოფილიას, ჰომოსექსუალიზმს. ყველაფერი ეს სათავეს იღებს აბორტის კანონმდებლური აღიარებიდან: ქვეყნებმა გზა მისცეს სიცოცხლის ხელყოფას ჩანასახის ასაკში. ეს იყო ოჯახის საკრალურ ინსტიტუტზე პირველი სატანისტური შეტევა. მერე მას მოჰყვა ბავშვების შობადობის ხელოვნური რეგულირება, ქალთა დასაქმების მაქსიმიზაცია საოჯახო საქმეებიდან გამოთავისუფლების ხარჯზე, ქალისა და კაცის უფლებების გათანაბრება, მარტოხელა დედების რიცხვობრივი ზრდა განქორწინებათა საფუძველზე და ა.შ. ბოზობა ჩრდილიდან გამოვიდა, ოდესღაც მორცხვი და ავადყოფი ჰომოსექსუალიზმი რეფორმას იწყებს-ჰომოსექსუალებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით. იმართება უზარმაზარი გვი-აღლუმები, "ქორწინდებიან" თავისევე სქესის წარმომადგენელზე, შვილობენ პატარებს, იბრაღიან მშობლობას ნომრების მიხედვით, ითხოვენ თავიანთი უფლებების დაცვას, აწყობენ დემონსტრაციებს; გერმანელებს მიაღებინეს კანონო უსქესობის შესახებ. ახალშობილი, როცა გაიზრდება, სქესს მერე აირჩევს სურვილის მიხედვით. "არ დაწვე მამაკაცთან დედაკაცური წოლით. ეს სისაძაგლეა". ვინც მამაკაცთან დაწვება, როგორც ქალთან წვებიან, სიბილწეს ჩაიდენენ ორივენი. უნდა მიკვდნენ. მათზე მათი სისხლი. არანაირ ცხოველთან არ იქონიო კავშირი, რათა არ გაუნმინდურდე მისგან. არც ქალი უნდა დადგეს ცხოველის წინ სამაკინტლოდ; ეს სიბილწეა. დაიცავით ჩემი წესები და სამართალი, არ ჩაიდინოთ ეს სისაძაგლეები, არც მკვიდრმა და არც მდგმურმა, თქვენს შორის რომ მდგმურობს. რადგან ყველა ამ სისაძაგლეს სჩადის იმ ქვეყნის ხალხი, რომელიც თქვენს წინაშეა; და გააუნმინდურეს მინა. რომ არ ამოგანთხიოს მინამ, როცა გააუნმინდურებთ მას, როგორც ამოანთხია ის ხალხები, რომლებიც თქვენამდე იყვნენ (ლევიაინი 18. 22-23, 27-28).

ღმერთი არასდროს სჯის ადამიანს გაფრთხილების გარეშე. მაგრამ ადამიანები ხშირად თავს არიდებენ ღვთიურ კანონებს, არ სცნობენ ღმერთს, სულიერს მატერიალურს ამჯობინებენ და ნივთების მონები ხდებიან. ეწვეიან აღვირახსნილ ცხოვრებას, ღრეობენ, აღარ ახსოვთ გაჭირვებულები და მათხოვრები, ღმერთის არა სწამთ და კულტებს ემორჩილებიან, გაუკუღმართებულ ცხოვრებას ელტვიან, გარყვნილება ცხოვრების წესად მიაჩნიათ. ამას ღვთის რისხვა ახლავს. ისრაელის ქალაქები სოდომი, გომორი, ადმა და ცებოიმი იორდანის დაბლობზე მდებარეობდა და ულამაზესი, აყვავებული, უმდიდრესი ქალაქები იყო, სადაც უმაღლეს დონეზე იყო მატერიალური ცხოვრება, მაგრამ ხალხს მასობრივი უზნეობა სჭირდა: ჰომოსექსუალიზმი, პედოფილია, ზოოფილია, ტყუილი და უსამართლობა. ჰომოსექსუალიზმი უდიდეს ცოდვა ითვლება და როგორც წმინდა პეტრეს ეპისტოლეშია ნათქვამი, ეწინააღმდეგება ღმერთის ჩანაფიქრს ადამიანზე, რომელმაც უნდა ინაყოფიეროს და იმრავლოს. ღმერთისგან მოწყვეტა მის სულიერ დაღუპვას



ინვეს. სოდომსა და გომორს, მათი ცოდვების გამო, განურისხდა უფალი და მოსპობა განიზრახა. მოსემ შეჰლაღადა უფალს გადაერჩინა ქალაქები თუ მათში 50 მართალი აღმოჩნდებოდა. ასეთი 5 ადამიანიც კი ვერ იპოვეს. "ანვიმა უფალმა სოდომსა და გომორს გოგირდი და ცეცხლი უფლისაგან. დაემხო ეს ქალაქები და მთელი მხარე, ამ ქალაქების მთელი მოსახლეობა და დედამიწის აღმონაცენი" (დაბადება 19. 24-25). მხოლოდ მართალი ლოტი და მისი ქალიშვილები დაიხსნა უფალმა იმ ქალაქებიდან. მეცნიერთა აზრით სოდომი და გომორი, რომელიც წალკოტს წარმოადგენდა დღეს ყველაზე ცხელი უდაბნოა, რომელიც ზღვის დონიდან ყველაზე დაბლა მდებარეობს და მკვდარი ზღვის სირცემია ჩაძირული. უფალი მისი კანონებისა და წესების დარღვევას არ ჰპატიობს მის გაჩენილს, რომელიც ვალდებულია მშობლის დარიგებებს ისმენდეს და მოიქცეს ისე, რომ ადამიანური ცხოვრების ფარგლებს არ გასცდეს. თანამედროვე ცივილიზებული სამყარო იმეორებს იმ ცხოვრებას, სადაც მატერიალური სიხარბე სულიერებას აძაბუნებს და ადამიანს თავის თავის მონად ხდის, სადაც სამართალი დაჩაგრულია და უმცირესობა უმრავლესობის ხარჯზე ცხოვრობს.

სოდომისა და გომორის დაქცევა არ არის მხოლოდ ამ ქალაქების მოსახლეობის დასჯა. "რადგან თუ ღმერთმა არ დაინდო შემცოდე ანგელოზები, არამედ ბნელეთის ბორკილებით შეკრა და ჯოჯოხეთში ჩაყარა ისინი განკითხვამდე დასამარხავად; და თუ არ დაინდო ძველი ქვეყანა, არამედ დაიხსნა ნოე, სიმართლის ქადაგი, რვა რჯულთან ერთად, როცა წარღვნა მოუვლინა უკუღმართთა ქვეყანას; და თუ გასწირა სოდომისა და გომორის ქალაქები, ფერფლად აქცია და მომავალ უღმერთოთა ნიმუშად დადო ისინი, მაშასადამე, იცის უფალმა როგორ დაიხსნას ღვთისმოსავნი ცდუნებისაგან, ხოლო უკეთურნი განკითხვის დღისთვის შემოინახოს განსასჯელად, უპირატესად კი ისინი, რომლებიც მისდევნენ ბილწ ხორციელ ვნებებს, შეურაცხყოფენ უფლებას, თავხედნი არიან, კადნიერნი და დიდებათა უშიშრად მგმობნი" (მეორე პეტრესი 2. 4-6,9-10). ბიბლია ღვთიური წიგნია და ძველისძველი, უჭირს მეცნიერებას მისი ბოლომდე გაგება. არ არის ერთმნიშვნელოვნად გარკვეული, როდის იქნება ქრისტეს მეორედ მოსვლა, მითუმეტეს, რომ უკეთურობა და სიბილწეები, რომლის გამოც უფალი დაარისხდება უღმერთოებს, ცივილიზებულ სამყაროში მოჭარბებულია და სიკეთის და სიმართლის გზებს ახშობს. ზოგიერთებს თუ ვენდობით, შეიძლება დავიჯეროთ, რომ არის მეორედ მოსვლა, ოღონდ იესოს გარეშე. ცივილიზებული სამყარო თავისი ბოროტებითა და უღმერთობის გამო თვითლიკვიდაცამდე მიდის. ნუთუ ბიბლიაზე ხელი არ წაუცდებათ, ან ცალი ყურით არ გაუგონიათ ღმერთის არსებობის მათემატიკური დასაბუთება ან ფიზიკოსების ხმამაღალი მტკიცებები ღმერთის არსებობის თაობაზე, ან ის, რომ ფიზიკის არც ერთი დიდი პრობლემა ღმერთის თანხმობის გარეშე არ წყდება. ჩვენს ამ უბედურ ნაციონალებს რა ასწავლეს ისეთი, რომ ეკლესიურობა სძულთ და სამასხარაოდ არ ჰყოფნიან. ქუჩები სავსეა მათხოვრებით, ქალები და კაცები გადაკარგულები არიან საზღვარგარეთ ლუკმა-

პურის საშოვნელად, ბავშვები წლების მანძილზე მშობლების გარეშე იზრდებიან, მოსახლეობის დიდი მასა უმუშევარია ან ნაწილობრივ, დროებით დასაქმებული. ახალი სამუშაო ადგილები უცხოელი ინვესტორების ინტრესებზეა დამოკიდებული. ამ დროს საქართველოს მილიარდერებიცა ჰყავს და მილიონერებიც. ქვეყნის მოსახლეობის ტკივილი გულთან არ მიაქვთ. რამდენი ხანია საშუელი არ ადგას ქვეყნას სასმელი წყლის უმდიდრესი რეზერვები გარდაქმნან ხალხის სიკეთედ. ვინ იცის, კიდევ რამდენი დრო დასჭირდება, ვიდრე გაუმაძღარნი მდიდრები და მათეობები ღვთისგან ბოძებულ წყლის რესურსების რეზერვებს თავიანთ სასარგებლოდ გადაინაწილებენ. მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების სიხარბე იმდენად დიდია, რომ ეროვნული თვითმყოფადობის პრობლემა ყურადღების მიღმა რჩება. მოსახლეობის დეპოპულაციის გაუარესების ტენდენცია სახელმწიფოს მხრიდან პრობლემად არ აღიქმება და პრაქტიკულად ეკლესიის იმედად რჩება. სწორია თანამედროვე სოციალისტური ქვეყნების ხელფასების პოლიტიკა-ხელისუფლების წარმომადგენლები ისე ცხოვრობენ, როგორც მათი მოსახლეობის საშუალო ფენა. როცა ხელისუფლებაში ყოფნა ფუფუნებას ქმნის ხალხისგან ორმაგი გაუცხოება იქმნება. პირველი, ელიტარული კლანების ცხოვრების მაღალი დონით და, მეორე, ხალხის ცხოვრების პრობლემებისაგან მოწყვეტით. მაღალი ჩინის ქალაქის ხელისუფლებს გაშინაურებული შეხვედრისას ვუთხარი: დავამკვიდროთ საკვირაო სატელევიზიო გადაცემები რუბრიკით "რატომ ვცხოვრობთ ცუდად". არც დაფიქრებულა: სადღაა ეკონომიკა, არაფერი იყიდება, მიწა ვერ გაგვიყიდია, სკვერი რამდენჯერმე გავიტანეთ აუქციონზე და არავინ იყიდა. უცხოელები ხომ აღარ გვეკარებიან. კაი, თუ კაცი ხარ!... აი, როგორ აზროვნების არიან ჩვენი ხელისუფლები. რა შორს არიან ხალხის ცხოვრებისაგან. რა უნდა იყიდოს უმუშევარმა, მცირეხელფასიანმა კაცმა ანდა, რომ იყიდოს, რისთვის? რაში გამოიყენებს? თუ საბაკო სესხს აიღებს და იხიერებს. ცხრაფა კანს გააძრობენ და რაც აბადია, იმასაც გაუყიდიან, და ოჯახიანად ქუჩაში დარჩება.

ხალხის უბედურებაა ელიტარული სახელმწიფო კლანების წარმოქმნა. ჩაკეტილები არიან, მოსახლეობას გაურბიან. ხალხში პირადი დაცვის გარეშე გამოჩენა არ შეუძლიან, იციან რა კითხვებსაც დაუსვამენ და რის გამოც მკაცრად მოკითხავენ. სულის შემძვრელი კონტრასტია-200 ათას კაციან ქუთაისში სახელისუფლო სამსახურებში მოქალაქეები ყოველგვარი ფორმალობების გარეშე შედიოდნენ, ვინც უნდოდა, იმას ნახავდა. ახლა განახევრებული მოსახლეობის ქუთაისში მერიის შესასვლელს შეიარაღებული დაცვა პატრონობს. საშვები უნდა ამოაწერიო, მაგრამ მანამდე უნდა გაარკვიო რომელ სამსახურს, რომელი საშვების ოთახი ემსახურება. მერე რიგში დაგაყენებენ და შეიძლება ჩინოვნიკი ადგილზე არ იყოს. პასუხს ვინ გაგცემს. ხალხი იმ ხელისუფლებას ირჩევს, რომელიც მას მედიდურად უყურებს.

P.S. ეს შრომა წლის გამოქვეყნებული იყო, როცა ვ. კატასონოვის შესანიშნავი შრომა: «Экономика Сталина» დაიბეჭდა. გამეხარდა, რომ ჩემი მოკრძალებული მიგნებებით მსოფლიოში აღიარებულ დიდ მეცნიერთან თანხმობაში აღმოვჩნდი. არა მარტო ხალხის, ხელისუფლების მართლმადიდებლური რწმენის გარეშე ქვეყანას ხეირიანი მომავალი არასდროს ექნება."სტალინის ეკონომიკური მოდელი თავის პოტენციალს სრულყოფილად იმ საზოგადოებაში გამოავლენს, სადაც პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების მიზანი და ფასეულობები ქრისტიანობით არის განსაზღვრული"<sup>18</sup>.

## საქართველოს ეკონომიკის ლანდები

წმინდა ეკონომიკური რეფორმები წარმოსახვადაც ძნელია, მითუმეტეს დღევანდელ მსოფლიოში, სადაც განვითარებული ქვეყნებს ცისქვეშეთი უპყრიათ და ზეციურ სამყაროსაც ეპოტინებიან. თული ეკონომიკის მომსახურებიდან მის მმართველ ძალად იქცა. მასზეა დამოკიდებული ეკონომიკის ახალი დარგების შექმნა და ეკონომიკური სისტემების ფუნქციონირება, გაფართოება, ეკონომიკური კრიზისები და ექსპანსიები. განვითარებული ეკონომიკური ქვეყნები დანარჩენებს მსოფლიო ერთიან სივრცეში აქცევენ ფინანსური მექანიზმებით, რასაც ხშირად ახლავს უხეში ძალის დემონსტრირებაც და იმასაც ფინანსური მოტივაციები აქვს საფუძვლად. მოკლედ ეს ასე გამოითქმის: თავიდან ეკონომიკამ განვითარებისათვის პოლიტიკური ხელისუფლება დაისაჭიროა, მაგრამ მერე ფინანსურად გაძლიერებულმა პოლიტიკურმა სტრუქტურებმა ეკონომიკა თავისი გავლენის ტყვეობაში მოაქციეს. ასე აღმოჩნდა ეკონომიკა დამოკიდებული ფინანსებზე, რომელიც თანამედროვე მსოფლიოს ერთი ცენტრიდან იმართება.

ეკონომიკურად ძლიერამოსილი სახელმწიფოები სხვა ქვეყნებს თავიანთი გავლენის სფეროებში აქცევენ/ექცევიან-ზოგი ცეცხლითა და მახვილით, ზოგი ნამცხვრის ნაჭრების სიხარბით. ამ ორივე პრეცედენტს ის საერთო აქვს, რომ საკმაოდ დიდია იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც სამშობლოს ნიახურის ფასადაც ჰყიდიან და არც თავდაგაკლული პატრიოტის ნიღბის მორგებასაც სირცხვილობენ, რათა თავისი ხალხი უცხო კაპიტალის სამსახურში ჩააყენონ. საქართველოში შიდა კლანური ომი და მტრობა უწყვეტი ისტორიული სერიალებია და დასასრული არ უჩანს. კეთილდღეობის ძიებამ გადაუსწრო საქვეყნო საქმეებზე ზრუნვასა და მშობლიური ხალხის უკეთესი მომავლის ბატალიებს. დიდ სახელმწიფოებთან ფორმალური და არაფორმალური გაერთიანება არა საქვეყნო სამომავლო თვალსაზრისით, არამედ კლანური ჯგუფების მეტოქეობის ჯიბრზე წყდება.

1918 წელს საქართველო რუსეთის იმპერიას გამოეყო ინგლისისა და გერმანიის ხელშეწყობითა და წაქეზებით და მათი გავლენის სფეროში იყო მანამ, ვიდრე ისინი რუსებთან დამარცხდებოდნენ, მერე ბედის ანაბრად მიგვატოვეს. რუსეთ-თურქეთს შორის

<sup>18</sup> Катасонов В. Экономика Сталина. С. 116

გასაყოფად დარჩენილი საქართველო საბჭოთა კავშირის სივრცეში აღმოჩნდა. მეოცე საუკუნის 90-იან წლებში ამერიკის აგიტაციამ აგვიყოლია და საბჭოთა იმპერიის დაშლის საჯილდო ქვად გამოგვიყენეს, რასაც ქვეყნის განვითარებული ეკონომიკის ძირფესვიანი რღვევა მოჰყვა, დაიკარგა ტრადიციული ეკონომიკური კავშირები, დაემხო ხელისუფლება, სამოქალაქო ომმა უამრავი ადამიანი იმსხვერპლა, სეპარატისტებმა თავი აიშვეს. ქვეყანა სოციალური და ეკონომიკური კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. შვედრენადის ხელისუფლებამ სახლმწიფოებრიობას შეაშველა ხელი, იხსნებოდა რუსეთთან ახალი სახის ეკონომიკური კავშირების შესაძლებლობები, მაგრამ ამერიკულმა კლანმა იმძლავრა.

ქვეყნის სათავეში მოიყვანეს სააკაშვილის ხელისუფლება, რომელმაც ცხრა წელიწადში ქვეყნას იმდენი უბედურება მოუტანა, რომელსაც სხვები ათეული წლები ვერ შესძლებდნენ. არასდროს მდგარა ჩვენი სამშობლო ასე ახლოს გადაშენების უფსკრულის პირას. ქართველთ მოძულე სააკაშვილმა იმდენი და ისეთი გავეროპელებულ-გაამერიკელებული ნამდვილ ქართულგვარიანი და ქართულად გვარგადაკეთებული "მამალი" გვამები იპოვა, რომელთაც სურდათ ქვეყანა ლუკმა-ლუკმად გადაეყლაპათ. ეს იყო უპრეცედენტო ფრონტალური შეტევა ეროვნულობაზე იმიგრაციის გაძლიერებით, მასობრივი ტერორით, და კიდევ: მასობრივი დაპატიმრებებით, აბუჩად ავდებით, ტრადიციების შებლაღვით, უცხო ტომელთა შემოსევით, განათლებისა და მეცნიერების დაკნინებით, რომლის საბოლოო მიზანი იყო ჩვენი ქვეყნის გადაქცევა ნაქართველარ ტერიტორიად... ჩვენ ახლა სინამდვილესთა ძალიან ახლოს ვდგავართ და ცოტას ვხედავთ, რაც მეტი დრო გავა, უფრო დავინახავთ თუ რა ახლოს ვყოფილვართ ერის დასასრულთან.

მკითხველმა არ უნდა იჩქაროს და ბრალი დამდოს იმაში, თუ რატომ არ ვუპასუხე კითხვას, რომელიც გაუჩნდებოდა მას ქვეყნის ტრადიციული კლანური დაპირისპირების გახსენებისას: როგორ გადავრჩით? ორიგინალური ვერ ვიქნები. გადავრჩით იმიტომ, რომ ნამდვილი ქართველი ყოველთვის ჭკვიანი და ძლიერი იყო შინა თუ გარეულ მტერზე, ბოროტმზრახველსა და გადაგვარებულ მისივე სისხლსა და ხორცზე. ახლაც ამან გვიშველა. აბა, ნახეთ, რა უტიფრები და უსირცხვილოები არიან ნაციონალური მოძრაობის მას-მედიის საშუალებებით ცნობადი სახეები. ისინი საკმაოდ ბევრი არის. ამას მიუმატეთ დამალული ნაციონალები საამკარაოდ გამოსვლას რომ ვერ ბედავენ. ორივე ერთად კი რიცხვობრივად იმდენია, რომელიც პატარა ქვეყნისთვის მეტისმეტად დიდია. თქვენთან ერთად მეც კარგად მესმის, რომ ყველა ქვეყანას ჰყავს თავისი გამყიდველი და დამაქცევარი, მაგრამ ჩვენში ჩვენი სისხლის დამლევის მსურველები იმდენად ბევრი და ვერაგები არიან, რომ დასანანი იმათი ნამოქმედარის დაძლევაზე ასეთი ხარისხიანი ძალისხმევის მიმართვა. ახალ ხელისუფლებას უზარმაზარი ენერჯის ხარჯვა უხდება, ერთის მხრივ, ძველი ხელისუფლების მრუდად ქმნილის გასწორებაზე და მეორეს მხრივ, საქვეყნო სასიკეთო საქმეების წამოწყებაზე, რაშიც ოპოზიციად წოდებული ბოროტები

ხელს გამძრევის საშუალებას არ იძლევიან. ვაი, რა უკვალოდ იკარგება ნიჭიერი ჯგუფების დიდი სოციალური ეროვნული ენერჯია. ასე დასუსტებულები, ძალაგამოცლილები მერე იძულებული ვხდებით ქვეშევრდომობა ვითხოვოთ...ფეოდალურ ერთეულებად დაქუცმაცებულმა საქართველოს ბედილბალმა აიძულა მეფე ერეკლე რუსეთის იმპერიისათვის ქვეშევრდომობა ეთხოვა. უცხო სახელმწიფოში აიკრიბა ნაჭრებად ქცეული ქვეყანა ტერიტორიულ მთლიანობად. ახლაც ხომ ისეთივე სახელმწიფოებრივი უბედურება გვჭირს: მოშლილია ეკონომიკა, ტერიტორიები მიტაცებულ-მითვისებულია. მართლაც ისეთ მდგომარეობაში ვართ, მტრებს რომ უნდათ. იმათ კიდევ ძვლები არ უთავდებათ, რომ მშვიდრებს სახრავად შემოგვიგდოს და ერთმანეთს წავეტანოთ. ძვალი კი მართლაც გვარიან-ბარაქიანი ჰქონიათ-კოჭაბიტაცია. ეს ისეთი ძვალია, საიდანაც არ უნდა მიუდგეს "ოცნება" უფრო მსუყე ბოლო მაინც ნაციონალების მხარეს რჩება. ძვლის შემომგდები ერთმანეთზე წაკიდებულებს სეირით გვიყურებს და სიცილით იგუდება. მექიშპეობას იმდენი დრო მიაქვს, რომ საქვეყნო საქმის გაკეთებისთვის ვერ მოგვიცლია. ნაციონალებთან თანამშრომლობა შეუძლებელია. ისინი უნდა მოიკვეთონ...ამოიღე და განაგდე იგი. ზედმეტ სიმკაცრედ არ გეჩვენოთ. ამ პრომას კოლეჯში, ჩემს კაბინეტში ვწერ."სიცილით იგუდება" რომ დავწერე ახლობელი შემოვიდა და შევისვენე. წერტილი დავსვი. ქუთაისი პატარა ქალაქია და დილის ამბავი საღამოს იციან, საღამოსა-დილით. ეს ისე ჩქარა ვრცელდება, რომ კომპიუტერშიც ვერ ასწრებენ ატვირთვას.

სამეგრელოში მიწის საფარიდან ამოღებული იარაღების, ნამებისა და გაუპატიურების მასალების ხილვა და მონაცოლი ერთწვეთისისხლიან უბირებსაც ცეცხლს უკიდებს. ახლა ის ახლობელი რომ შემოვიდა, მიყვება იმ ამბებიდან და ერთმა მონათხრობმა სისხლი ამიმღვრია-აგერ ხელის განვდენაზე ვილაცაზე წართმეულ ადმინისტრაციულ შენობაში არაკაც პოლიციელებს 45 წლის კაცი ფანჯარასთან გათბობის ბატარეაზე მიუბიათ, მისი თხუთმეტი წლის ქალიშვილი იმ ოთახის ცენტრში მაგიდაზე შიშვლად გადანვნილი თოკებით დაუმაგრებიათ...მამამისის თვალებში აუპატიურებდნენ და ხორხოცობდნენ თურმე. საიდან გაჩნდა ასეთი სადიზმი, ვისი ჯიშისა და გვარის არიან ესენი...ვილაცები კიდევ ტელევიზიით ენაგადმოგდებულები იმას ბოდიხლობენ, რომ მოსახლეობამ არ ნახოს ეს კადრები, ვითომ ხალხს უფრთხილდებიან, უფრო მოსალოდნელი რისხვისა ეშინიათ. რომელსაც ვერ ასცდებიან. უნდა დაისაჯონ მთელი სიმკაცრით. ეს შურისძიება არ არის. ხორცის ჯვარცმაა, რომელმაც იქნებ სულიწმინდასთან დაგვაბრუნოს. მორწმუნეს ღვთის შიში აქვს, სისხლის მსმელები დილეგში უნდა მოამწყვდიო და ისე დალიოს წუთისოფელი მზის ხილვა ენატრებოდეს.

ჭკუის სასწავლად საკმარისზე მეტი დრო გავიდა. ნაციონალები არა მარტო უნდა დამარცხდეს და აღიკვეთოს, არამედ ქვეყნის სიყვარულის იმხელა სიმალლის ცეცხლი დაინთოს კაცს რომ თვალი სიგლახისაკენ არ გაექცეს. ამას შეიძლება კათარზისი დაერქვას. საერო საქმისაკენ მობრუნებას ადეკვატური პრინციპების შექმნა სჭირდება.

პირველ ყოვლისა, ქვეყნისადმი დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს. რანაირი სახელიც არ უნდა ჰქონდეს, ყველა პარტია ქართული სულისა უნდა იყოს. ეს მაშინ იქნება შესაძლებელი სამშობლოს სიყვარულის იმხელა ცეცხლს თუ დავანთებთ, ზემოთ რომ ვახსენე. სხვანაირად ამას ახალი ადამიანის აღზრდა ჰქვია. ასეთ ადამიანებს ქართული ეკლესია ამზადებს. ეს ნაპერწკლები არა, კოცონზე მეტია, რომელსაც სახელოვანი ტრადიციის ისტორიული ქარი უბერავს. პატრიარქს უნდა ვუსმინოთ და მივყვეთ. ვისწავლოთ პატრიარქისაგან შორს ხედვა, რუდუნებითი შრომა, სამშობლოს სიყვარული, ცოდნისადმი მიდრეკილება, მტრის დამარცხება, თავდადება, კაცის სიყვარული, ხალხის სამსახური, ქვეყნის შენება, შვილებისადმი ზრუნვა, სიბრძნის მოხმარება, პატიება, შურზე ამალღება, მადლის გაცემა, ღვთის სიყვარული, ჭირთათმენა.

ივანიშვილის ხელისუფლების წარმატების ქვაკუთხედი იქნება ქვეყნის მოსახლეობის სოციალური აქტივიზაცია, პატრიოტული თვითშეგნების გამოღვიძება, ტრადიციებისადმი პატივისცემა, ეროვნული თავმოყვარეობის გაცოცხლება, ემიგრანტების მასობრივად დაბრუნება სამშობლოში, ოჯახის ინსტიტუტის განმტკიცება, დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესება. ამ სიმრავლიდან მთავარი ხალხთან მუშაობაა, ხალხის გააქტიურებაა, თვითრეალიზაციის უნარის ფართო გაშლაა. მივეჩვიეთ ხალხის სისუსტესა და ნაკლებ ვაი-ვიშიშსა და ქილიკს. ადამიანის დამონება რომ ადვილია, ამის ახსნას ფილოსოფიური განათლება არ სჭირდება. ფილოსოფია გჭირდება იმისთვის, რომ შენი ხალხი მძიმე მდგომარეობიდან გამოიყვანო, აკი იმ ახლხის შვილი ხარ შენ. იმ ხალხმა გაზარდა შენი წინაპრები და მის წინაშე ვალდებული ხარ მთელი ცხოვრება. ხალხმა არ მოგიყვანა ხელისუფლებაში? ხალხმა გაგულისება იცის, მტრისას ხალხის რისხვა... მაინც წამძლია სულმა-მორალზე მიმენიშნებინა. არადა, სახალხო რისხვა ნელნელა მატულობს. ქვეყანა დალაგება-დამშვიდების პროცესებშია. აქამდე ვერ მივედით ხალხთან, პირდაპირ შეხებაში არ ვართ მასთან, თუ ადგილობრივ თვითმმართველობას არ ვიგულისხმებთ, რომელიც, უმრავლეს შემთხვევაში, ძველი ხელისუფლების ფარისევლური ნარჩენია და ხალხში თავის ხალხს ეძებს.

მოსახლეობის აქტივიზაციის ეფექტიანი ფორმები, საბიუჯეტო მექანიზმები და თვითშემოქმედებითი უნარების ფორმირების პროცესები განხილული მაქვს ჩემს წიგნში, რომელიც ჩვენდა საუბედუროდ პრობლემური რჩება ახლაც<sup>1</sup>. ჩვენი საზოგადოება ინერტიულია იმის გამო, რომ მას საკაშვილის ხელისუფლება სასტიკად მოქცა, ძალადობრივ მექანიზმებში მოაქცია და ტოტალური შიშის სივრცე შექმნა. დამარცხებული ხელისუფლება დანებებას არ აპირებს, რაც მოსახლეობის ფართო ფენებს ახალი ხელისუფლებისადმი ორჭოფულ მდგომარეობას უქმნის. ექსპერტთა და სპეციალისტთა შენიშვნები სწორია-ყოფილი სახელისუფლო რეჟიმი უნდა გასამართლდეს და მისი პოლიტიკური პარტია აიკრძალოს, თორემ ისევ ფართო გასაქანი შეექმნება ავანტურისტულ პოლიტიკურ ჯგუფებს და ქვეყანას ისევ უფსკრულის პირას დააყენებენ.

აქტივიზაციის მაღალი მუხტის შემცველია ქართული ოცნების ლიდერის მასობრივი შეხვედრები მოსახლეობასთან, რაც მოლოდინის სფეროს ვერ გასცდა. პირადი კონტაქტების ეფექტი ძალიან მაღალია. ხალხის ნდობაც მოიმატებს და ინფორმაციული სივრცე უფრო ფართო და გამჭვირვალე იქნება. ხალხს ლოდინის განწყობა შეექმნა და თვითინიციატივას მოთმენა ურჩევნია. ასეთი განწყობა ხელისუფლებიდან მოდის: დამნაშავე დაისჯება, საბინაო შეღავათები დაწესდება, მინდორს მოუხნავენ, დაუთესავენ, დემოკრატია იზიჟებს. ყველაფერი კარგად იქნება. შეღავათების სივრცე გაფართოვდება, მაგრამ შეღავათები ხომ მეორე რანგის პრობლემაა, მოსახლეობის თვითრეალიზაცია მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებშია შესაძლებელი. საბანკო სისტემები ჯერ მოსახლეობის სასარგებლოდ არ მოქმედებენ, პირად გამორჩენას ემსახურებიან. მოსახლეობის ფინანსური და ეკონომიკური განათლების დეფიციტს თავის სასარგებლოდ იყენებენ. მე-19 და მე-20 საუკუნეების კაპიტალისტური საქართველოს საბანკო ისტორია გამეორდა და გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელთან შედარებით ახლა ჩვენს სამშობლოს გაცილებით უკეთესი შესაძლებლობები აქვს, რათა თავის ხალხს ბიზნესისა და მენარმეობის ფართო გასაქანი მისცეს. ჩვენ კუბის, ვიეტნამის, ჩრდილოეთ კორეისა და ჩინეთის ქვეყნების მაგალითზე ვნახეთ, თუ როგორ დაათინანსა საზღვარგარეთ მცხოვრებმა პატრიოტებმა თავიანთი ისტორიული ქვეყანა, როგორ ჩადგინენ სამშობლოს სამსახურში, შეუქმნეს შეღავათიანი კრედიტები, ასწავლეს მოსახლეობას საფინანსო საფუძვლები, მასობრივად შექმნეს სამუშაო ადგილები იმ ბაზრებიდან გამომდინარე, რომლის ათვისებაც მათ შეეძლოთ. ქვეყანა წელში ვერ გაიმართება ხელისუფლების მაღალი ეროვნული თვითშეგნებისა და მორალურ-ზნეობრივი პასუხისმგებლობის გარეშე.

მას-მედიის ტელემიმართულებას შემთხვევით როდი უწოდებენ ტელეკრატისა. ტელევიზია ყველა ქვეყანაში უსაზღვროდ დიდ როლს თამაშობს მოსახლეობის არა მხოლოდ ინფორმაციულობაში. ჩვენი სატელევიზიო სისტემა პოლიტიკური თემების სფეროს იშვიათად სცდება. ქვეყანა უმძიმეს დღეშია და ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებზე, ტრადიციული და პროგრესული წარმოებების ამოქმედების პრობლემებს უმნიშვნელო დრო ეთმობა და ისიც ექსპერტებს უკავიათ, მაღალი და ნანო ტექნოლოგიების სპეციალისტებს, ეკონომისტებს ტელე ეკრანებთან ვერ ვხედავთ. ქვეყანა ყოველთვის სავსე იყო არა თუ ნიჭიერი, უნიჭიერესი ადამიანებით. ქართული სინამდვილის ადამიანისეულ მაღალი რანგის კაპიტალს არ ვიყენებთ. ადამიანური რესურსი საქართველოს ყველაზე დიდი სიმდიდრეა. მისი საშუალებით ყველაფრის გაკეთება შეიძლება.

ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესების რესურსები ჩვენ საკმარისი გაგვაჩნია, რაზეც წინა თავებსა და პარაგრაფებში უკვე აღვნიშნეთ. თავისუფლება გარეშე ფაქტორებზეა დამოკიდებული. ქვეყნის შიგნით კი საზოგადოების სახელმწიფოებრივი აზროვნება იმ დონემდე არ არის განვითარებული, რომ ყველას სამშობლოს

კეთილდღეობის ინტერესი აერთიანებდეს, როგორც ეს ჩვენ ჩრდილოეთ კორეის მაგალითზე ვნახეთ. ქვეყანა პროამერიკული, პროდასავლური, პრორუსული, პროკავკასიური და ქართველური ორიენტაციების წინააღმდეგობრივი სტრუქტურაა. მსოფლიო ფინანსური სისტემების ხელში ვართ და დამოუკიდებლობას ვერ ვფლობთ. ქვეყნის დამოუკიდებლობა ფულის ფუნქციაა. ეს ეპოქალური განსაზღვრულობაა. ამ ეპოქას ფულის ეპოქა უნდა ვუწოდოთ.

ეპოქას სხვადასხვა ნაირად განმარტავენ. ზოგი განმარტების მიხედვით ეპოქა რაიმე განვითარების დასაწყისია, ათვლის წერტილია. გრანდიოზული გარდაქმნის სათავეა. ასეთი განმარტებები საკმაოდ გავრცელებულია ეკონომიკურ ლიტერატურაში, რამაც ბევრ გაუგებრობას შეუქმნა საფუძველი. ამის მაგალითია სათაური: "21-ე საუკუნე ახალი ეპოქის დასაწყისი". განა შეიძლება იმისი მტკიცება, რომ 2000 წლის პირველი იანვარი გრანდიოზული წარმატებების დასაწყისია? რაიმე წარმატებათა ათვლის წერტილია? ეს ხომ უბრალოდ საუკუნის დასაწყისია. განა ვინმე იტყვის, რომ რაკი 25 წლის გახდა, ახალ ცხოვრებას იწყებს და ხვალიდან წარმატებული იქნება? უფრო ვრცელი გაგებით, ეპოქალური პერიოდი უკვე გავლილი დროა. მაგალითად, იტალიური რენესანსის ეპოქა. ეს არის ის, რაც ისტორიამ გამორჩევით შექმნა და სახელიც გაუჩნდა, მაგრამ შეუძლებელია ეს ვინმეს წინასწარ სცოდნოდა. თუკი ეკონომიკას დაუბრუნდებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ როგორი შეიძლება იყოს ცხოვრების დონე 21-ე საუკუნის 30-იან თუ 50-იან წლებში, მაგრამ ეს არანაირად არ უკავშირდება არც საუკუნის დასაწყისსა და არც მის დასასრულს.

დ. კონდრატიევს ეკუთვნის ეკონომიკის ციკლური განვითარების თეორია, რომლის თანახმად ეკონომიკის განვითარება დიდი და პატარა ციკლების მონაცვლეობაა. ყოველი 50-60 წლის შემდეგ იცვლება ტექნოლოგია და ეკონომიკის განვითარება პრინციპულად ახალ ტექნოლოგიაზე გადადის. კონდრატიევმა ეკონომიკის გრძელვადიანი პრაქტიკული მონაცემები მათემატიკურად დაამუშავა და გრაფიკული ინტერპრეტაცია მისცა. მის მონაცემებზე დაყრდნობით ი. შუმპეტერმა ჩამოაყალიბა ტექნოლოგიური განვითარების კლასიფიკაცია, რომლის ათვლის წერტილად ჩათვალა 1790 წელი, როცა ორთქლის ძრავა გამოიგონეს, რომელმაც დასაბამი მისცა მექანიკურ მოძრაობას ცოცხალი ძალის მონაწილეობის გარეშე. ეს არის პირველი ტექნოლოგიური ტალღა, რომლის მომდევნო ტრანსპორტის და პირველ ყოვლისა, სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარება. იგი ელექტროენერჯის ეპოქამ შეცვალა. 50 წლის შემდეგ მას შეენაცვლა ელექტრონიკის ეპოქა. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დასაბამი მიეცა ინფორმატიკის, ბიოტექნოლოგიის, კომპიუტერიზაციისა და ახალ მასალების ეპოქას. აქედან მკითხველი იოლად მიხვდება იმას, რომ ეკონომიკის წარმატებები და განვითარების დონე ტექნოლოგიურ ტალღაზე არის დამოკიდებული. ამ განმარტებაში ისიც არის ნათქვამი, რომ განვითარებული ეკონომიკა ქმნის ტექნოლოგიებს და იგი მასზე მონოპოლიას ახორციელებს.



ზემოთ აღნიშნული ტერმინი "ტექნოლოგიური ციკლი" სხვანაირად ტექნოლოგიის სიცოცხლის ხანგრძლივობაა. 50-60 წელიწადი ეს ის დროა, რომლის განმავლობაში ტექნოლოგია სრულყოფილებას განიცდის, მისი მოქმედების პრინციპი თანდათან კარგავს სიახლეს და ტრადიციულ სახედ იქცევა, რომელსაც მოქმედების ახალი პრინციპის ტექნოლოგია ენაცვლება. თანამედროვე კომპიუტერები შეუძლებელი იქნებოდა ნახევარგამტარების გარეშე, რომელსაც ელექტრონიკის ეპოქა არ იცნობდა. ჩვენ ახლა იმ ეპოქაში ვართ, სადაც ყველაფერს წყვეტს ინფორმაციული ტექნოლოგიები, ხელოვნური მასალები, რომელიც ბუნებაში არ არსებობს და ადამიანის შემოქმედების ნაყოფია. კომპიუტერულმა ტექნოლოგიამ მსოფლიო ერთ საინფორმაციო სისტემად აქცია.

მაშასადამე, 21-ე საუკუნე ჩვენი ცხოვრების ასტრონომიული აღრიცხვაა, ინფორმაციული ეპოქა, რომელიც მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო, შუმპეტერის კლასიფიკაციით, ჯერ არ დასრულებულა და მიმდინარე საუკუნის 40-50-იან წლებამდე გაგრძელდება. აქედან გამომდინარე ჩვენთვის მთავარია იმ მაჩვენებლების დადგენა, რომელიც საინფორმაციო ეპოქას ახასიათებს, რაც საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ ჩვენი ქვეყნის ადგილი და როლი თანამედროვე მსოფლიოს განვითარებაში.

ძალიან მომრავლდა ისეთი შრომები, რომელთა ავტორები მიმდინარე ცხოვრებას მხოლოდ უარყოფითად ასახავენ. ამას შეცდომა არ ჰქვია, ეს მიუტევებელი უცოდინარობაა, ვინაიდან ყველა მოვლენა ურთიერთდაპირისპირებულობებისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირურთიერთობების ფორმაა. ამისი სხვანაირი ახსნა ის, რომ სადაც დადებითია, უარყოფითიც იქ არის. მოვლენის მთლიანობაში წარმოსახვა ერთის მეორეზე მეტობის პრინციპიდან გამომდინარეობს. დადებითია მოვლენა, ვინაიდან მასში დადებითი მეტია უარყოფითზე. განა შეიძლება თანამედროვე ეპოქა მხოლოდ უარყოფითად წარმოვიდგინოთ? სიახლეები კარგია თავისთავად, მაგრამ ზნეობრივ მოთხოვნებს არ უნდა გასცდეს.

საინფორმაციო ეპოქა ადამიანური შესაძლებლობების განუსაზღვრელობის სივრცეა. ეს ეხება არა მარტო სწავლისა და პროფესიული არჩევანის თავისუფლებას. ადამიანს შეუძლია შექმნას წესრიგი ბუნებრივი რესურსების გამოყენებაში, უზრუნველყოს ეთნიკური უმცირესობების თვითმყოფადობა, გაზარდოს სიცოცხლის ხანგრძლივობა, აღმოფხვრას სიღარიბე. მაგრამ ჩვენ სინამდვილის სულ სხვა გარემოში ვცხოვრობთ. ეკონომიკა მცირე ჯგუფის ადამიანების ხელშია და მათი პირადი ინტერესების სფეროს არ ცდება.

საინფორმაციო ეპოქას თავისი უარყოფითი გამოვლინებებიც აქვს. პირველ ყოვლისა, ეს არის მსოფლიო მოსახლეობის მასობრივი უღმერთობა, მაშინ როცა თანამედროვე მსოფლმხედველობა ღმერთის რწმენას საჭიროებს<sup>1</sup>. საქართველო ამ მხრივ უკეთეს მდგომარეობაშია, მაგრამ ცხადზე ხომ ცხადია ისიც, თუ როგორ თვალთმაქცობდა და ახლაც ასე იქცევა ნაციონალური მოძრაობა და მისი ლიდერები. მართლმადიდებლურ ეკლესიას თავისი ისტორიული მტრები ჰყავს, რომლებიც არაფერს თაკილობენ ჩვენი

რწმენის შესაბამისად. პატრიარქი ბრძენკაცია და მისი ღვთიური გონის წყალობით ქვეყანა ასცდა უფსკრულს. საშიშროებას ბოლომდე ჯერ არ ჩაუვლია. რამდენად წაადგება ჩვენი ხალხის მიწიერ და სულიერ ცხოვრებას ბიბლიის სწავლების შემოღება სკოლებში. უნივერსიტეტებსაც უნდა ჰქონდეთ ინტერესი ასწავლონ ბიბლია თუნდაც არჩევითი საგნის სტატუსით.

ტელევიზიამ დაიწყო და ახლა კომპიუტერი აგრძელებს ადამიანების ინფორმაციულ დამუშავებას. ამჟამად ატყვია ჩვენს ხალხს უხამსობა, მოურიდებლობა, თავხედობა, უპატივცემულობა, უყურადღებობა, უსირცხვილობა, უსინდისობა, უზრდელობა, თავკერძობა, უნდობლობა. ინფორმაციის თავისუფლება და ხელმისაწვდომობა არ ნიშნავს აკრძალვისა და შეზღუდვის რეჟიმების გაქრობას ისევე, როგორც ცეცხლსასროლი იარაღის შექმნა სურვილისამებრ მისი გამოყენების თავისუფლებას.

ინფორმაცია საქართველოში პრაქტიკულად მოკლებულია სახელმწიფოებრივ ზედამხედველობას დემოკრატიის შიშით-აქაოდა ყველანაირი ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს, ევროპაში რას იტყვიანო. თვალხილული შედეგი ისაა, რომ ინფორმაციული მასალები მისი ადამიანური აღქმადობის შესაძლებლობებს რამდენჯერმე აღემატება, საკმაოდ მაღალია ინფორმაციის შეგნებული დამახინჯების, უზუსტობების ალბათობები, აქვს მასობრივი ზომბირების დატვირთვები; აუტანელია უხამსობები, ბილწიერება, უკულტურო და გაუაზრებელი მიმართვები. ინტერნეტმა წაგვართვა პატარები და მოზარდებიც. სწავლაზე მეტი დრო თამაშს მიაქვს. რა თქმა უნდა აქ უწყინარი და ზნეობრივად შემაქცევარი თამაშები არ იგულისხმება. აგრესიისა და საშინელებათა გარდა ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია ვულგარული და აღვირახსნილობათა სანახაობები. გარყვნილება არასდროს ყოფილა ქვეყნისთვის სასიკეთო, მაგრამ როცა იგი უმცროსი ასაკის ბავშვებსაც წაეტანება და ლამის მათი ცხოვრების ნორმად იქცევა, უბედურებაში ჩაიქცევა. მითუმეტეს თუკი ამას ხელისუფლების ზედა ფენებში პიროვნულად გახრწნილი ადამიანები აქეზებენ. ტრაგიკომიკურია იმ ქვეყნის ბედი, რომლის პრეზიდენტი სტუდენტ ახალგაზრდებს მოუწოდებს ბურჟუაზიაში გაერთობაზე. საქვეყნო აღიარებას ითხოვენ გეები, რომელთაც საკმაო რაოდენობის მხარდამჭერები ჰყავთ ქვეყნის შიგნით და გაცილებით მეტი-ქვეყნის გარეთ. იმათ ადრე რომ ავადმყოფებს ეძახდნენ, ახლა განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანებად მოიხსენებიან. ორი დაწყვილებული გეი, რომ გასაზრდელად ბავშვს აიყვანს, რანაირი გაიზრდება იგი ან რანაირი იქნება ქვეყანა, სადაც ტრადიციული ოჯახები უმცირესობაში აღმოჩნდებიან. ამ გეებს რა ეშველებათ მაშინ, როცა ბავშვს არავინ მიაშვილებს და თვითონ უმრავლესობაში აღმოჩნდებიან. ვაი, იმ დღეს, ღმერთმა დაგვიფაროს! აი, სად გაგვახსენა თავი ბიბლიურმა სიბრძნემ: ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია. რაც მეტი დრო გადის, მით უფრო შორდება ღმერთს ცივილიზებული სამყარო და მით უფრო შესამჩნევი ხდება თუ რა საცოდავია უღმერთო ადამიანი. თითქოსდა ჩვენს დღევანდელ ცხოვრებაზე წერდა ნ. ბერდიაევი: ჩვენი შეგნება მიმართულია ელემენტალურ

მოთხოვნებზე, რომელთა გამო ველარ ვამჩნევთ შორეულ პერსპექტივებს. უნდა გარდავეყმნათ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება და ამისთვის იდეურად მზად უნდა ვიყოთ. ჩვენი საზოგადოებრივი მოძრაობა ღარიბია იდეებით...დემოკრატიის იდეა არასდროს წარმოგვისახავს მთელი თავისი სირთულეებით, არასდროს მიგვიღია კრიტიკულად<sup>1</sup>. დემოკრატია ჩვენში იმ ფორმით შემოვიდა, რომელიც ვილაცების ინტერესებში შედიოდა. ამ ყოფითი გაგებით დემოკრატია ადამიანის უფლებების დაცვაა, უმცირესობების, ინდივიდების თანასწორობა, სახალხო მმართველობაა. ჩვენს ტყავზე ვინვნიეთ ამ პრიმიტიული, სწორხაზოვანი დემოკრატიის მთელი სიმწვავე სახელმწიფო აბსოლუტიზმის ფორმით, როცა ფეხქვეშ გაითელა ადამიანის ინდივიდუალური ხარისხობრიობა. ამ საშიშროებას ხედავდა დიდი ფილოსოფოსი, საუკუნის წინ, აღნიშნულ შრომაში და მიუთითებდა, რომ პიროვნების უფლებები სულიერად და მორალურად დაკავშირებული უნდა იყოს პიროვნების ვალდებულებებთან და პასუხისმგებლობასთან. მხოლოდ პასუხისმგებელი არის თავისუფალი და მხოლოდ თავისუფალი არის პასუხისმგებელი. სოციალური შემოქმედება, წერდა იგი, გულისხმობს შემოქმედის სულს, იგი შეუძლებელია შემოქმედი სუბიექტის გარეშე. ჭეშმარიტი სახალხო თვითმმართველობა პასუხისმგებლობას აკისრებს საზოგადოებას ადამიანების, ხალხის ბედის გამო. ბერდიაევის აზრით ხალხი არის ორგანიზმი, რომელსაც აქვს ხასიათი, შემეცნების დისციპლინა, ნების დისციპლინა, იცის, რაც უნდა. დემოკრატია, როგორც ფასეულობა, არის წარმოქმნილი სახალხო ხასიათი, ჩამოყალიბებული პიროვნება, რომელსაც თავისი ადგილი აქვს ნაციონალურ ცხოვრებაში. დემოკრატია არის ორგანიზებული და ხალხის ადამიანური ბუნების გამოვლენილი შინაგანი პოტენცია, თვითმმართველობის, ბრძანებადობის უნარი. ბრძანებადობა შეუძლია მხოლოდ მას, ვინც თავის თავზე ბრძანებლობს. პიროვნული და ნაციონალური თავდაჭერილობის დაკარგვა, ქაოსის განვითარება შეუძლებელს ქმნის დემოკრატიას,-ეს ყოველთვის არის გზა დესპოტიზმისაკენ. დემოკრატიის წარმოქმნის ამოცანა არის ნაციონალური ხასიათის წარმოქმნის ამოცანა. ნაციონალური ხასიათის წარმოქმნა გულისხმობს პიროვნული ხასიათის წარმოქმნას. საზოგადოებრივი ცნობიერება, საზოგადოებრივი ნება მიმართული უნდა იყოს პიროვნების გამონართობაზე<sup>1</sup>. ბერდიაევის არც ის გამორჩენია მხედველობიდან, რომ ერის სულიერება დემოკრატიამდე უფრო სიღრმისეულია და მისგან იმპულსირდება. აქედან ისიც ჩანს, რომ ხელისუფლება მექანიკურად თანაბარწილებადია ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქისთვის. ხელისუფლება გამორჩეულ საუკეთესო ადამიანებს, პიროვნებებს ეკუთვნის, რომელთაც ამის გამო დიდი პასუხისმგებლობაც ეკისრებათ და თვითონაც ითავისებენ უდიდეს ვალდებულებებს. ჩვენ ამისი მაგალითები უკვე ვიცით 30-50-იანი წლების საბჭოთა კავშირისა და XXI საუკუნის სოციალისტური ქვეყნების ისტორიიდან.

ბერდიაევის ზემოთმოტანილი ციტატებიდან ირკვევა, რომ დემოკრატია უძველეს დროიდან განვითარებადი ინტეგრალური ინსტიტუტია, რომელშიც თავს იყრის

საზოგადოების განვითარების, პიროვნული სრულყოფის, მოსახლეობის ნაციონალური თვითმყოფადობის, ტრადიციის, ქვეყნის სახელმწიფოებრივი მონყოფის და მართვის კულტურის ფენომენები, ინტეგრაციის მასშტაბები, მსოფლიო ეკონომიკაში მონაწილეობის ფაქტორები. ამ ფაქტორებისა და ფენომენების სიმრავლითა და დინამიკური ცვლილებებით განისაზღვრება დემოკრატიის ხარისხობრივი სრულყოფილება. ამიტომ დემოკრატია, როგორც სახალხო მმართველობა, განსაზღვრულია არა მხოლოდ ქვეყნების მიხედვით, არამედ იმისდა მიხედვითაც თუ როგორია ქვეყნებს შორის დამოკიდებულება. უკადრისია დემოკრატიული უნოდო სახელმწიფოს, რომელიც სხვა სახელმწიფოს/სახელმწიფოების შინაურ საქმეებში ერევა და თავის სტრატეგიულ პარტნიორად თვლის იმ ქვეყანას, რომელსაც აიძულებს შექმნას სახელმწიფო მონყოფის ისეთივე სტრუქტურა, რომელიც მას აქვს და თავს მოახვიოს მისი ქვეყნის ცხოვრების წესები და ნორმები, ჩამორჩენილად ჩაუთვალოს ერს მისი ცხოვრების ნაციონალური ტრადიციები და ადათ-წესები. აქ ზესახელმწიფოება დემოკრატიის ნიღაბს იკეთებს და თავის სამხედრო უპირატესობას სახალხო მმართველობას აბრალის. სინამდვილეში დემოკრატიას ვერ იტანს, ვინაიდან დემოკრატია არ აძლევს გზას სახელმწიფოებრივ აბსოლუტიზმს და ტირანიას. ამიტომ უნდა ითამაშოს დემოკრატიულობანა. ამნაირმა დემოკრატიულობანამ მოყვანა სისხლის წვიმები ერაყში, სირიაში, ეგვიპტეში და სხვ. ასეთ მოსალოდნელობებს ხედავდა ბერდიაევი და მკითხველს დემოკრატიის ჩრდილებს უნათებდა. ჩვენი ინტერესების სფეროდან გამომდინარე, მხოლოდ სამ მომენტზე შევჩერდები.

პირველი, საზოგადოებრივი ცნობიერება პიროვნების აღზრდაზე უნდა იყოს მიმართული. დემოკრატია თვითმმართველობის შინაგანი უნარიანობა და მოთხოვნილებაა, ხალხისა და პიროვნების ხასიათიდან გამომდინარეობს. მეორე, ანგარებიან და ბოროტი ინსტიქტების მასას არც თავისი და არც სხვების მართვა შეუძლია. მასა, ბრბო არ არის დემოკრატია. ხალხი თვითდისციპლინირებული მასაა. მესამე, ხელისუფლება ერის ცხოვრების სიღრმისეული პლასტებიდან უნდა მომდინარეობდეს, მისი პოტენცია, მისი იმანენტი იყოს.

უბედურება მართო ის კი არ არის, შენ რომ არ იცი, ყველაზე დიდი უბედურებაა შენმა მტერმა, რომ შენზე უკეთ იცის ის, რაც შენ უნდა იცოდე. ეს ჩვენ არ ვიყავით შევარდნაძე რომ ყიჟინით ჩამოვაგდეთ და ტაშის გრიალით შევხვდით სააკაშვილსა და მის გუნდს? იკითხა ვინმემ საიდან მოვიდნენ და ვინ იყვნენ ისინი? გარეშე ძალებმა იცოდნენ როგორ უნდა მოგვეცოდნენ-ხეირიანად არ უნდა გვეცოდნოდა რას აკეთებდა შევარდნაძე, ხოლო საერთოდ არ უნდა გვეცოდნოდა რისი გამკეთებელი იქნებოდა სააკაშვილი. ბუტაფორია მზად იყო: აღიზარდა ძალიან ცნობილი ადამიანების ოჯახში, სწავლობდა კიევში, აშშ, იცის ენები, ჰყავს ჰოლანდიელი მეუღლე, რომელიც ქართულ ენასაც ფლობს. ბერდიაევიც არ იცოდა რა უზომო ანგარებიანი და ბოროტი ინსტიქტების ციკლოში იქნებოდა სააკაშვილი და არც ის, რომ სააკაშვილი ხალხის მდიდარი ისტორიული პლასტებიდან კი

არა, ჭაობში მენურბლეს ფეხზე აღოდებული ვამპირია, რომელსაც ზურგზე თუ მოგასვამენ სისხლს მისხალ-მისხალ გამოგნოვს, ვიდრე ბოლომდე არ გამოგაცლის მას. მერე სხვებმა თუ შეისვენს, წურბელა ამას მისით ვერ ახერხებს, იმასაც იგივე დღე გაუთენდება. მეურვის ხელით სატარებელი რომ არის, ეს მან კარგად იცის და ისიც, რომ ვისაც სისხლს სწოვს, იმან თუ ხელი მოჰკიდა, ფეხით გასრესს. ჰოდა, ახლა ამის შიშის მოლოდინშია-ვიღაც ჩამოიღებს ქართველის სისხლიანი ზურგიდან და ჯანდაბას, გასრესას სჯობია თუნდაც კოლბაში ჩასვან და რომელიმე ლაბორატორიაში შეიტანონ შესანახად. გამორიცხული არ არის სანაგვეზე მოისროლონ კოლბიანად, მაგრამ არავინ უწყის რომელი ფრინველი წაანყდება დასაკენკად და სისხლს ისევე დაანთხევიებს, როგორც გამოწოვა.

საქართველოს ახალ ხელისუფლებას საყვედურობენ, რატომ არ აძლევენ სამართალში სააკაშვილს და მის ხროვას. წურბელა ადამიანს თავისით ვერ აალოდდება ზურგზე, ვიღაცამ უნდა დაასვას, მაგრამ სისხლით არ გაძლება და ვერც თავისით ჩამოვარდება, ვინაიდან ამერიკული ჯიშისაა. ამიტომ ზუსტად ამერიკელმა უნდა ჩამოხსნას საქართველოს მძიმე სხეულიდან და დაგვაყვედროს-დალეკერტებული სისხლი ამოგაცალა და ფეხზე დაგაყენაო. ისე ახია ჩვენზე, ვის მივუშვირეთ ზურგი, არ უნდა გვეცოდნოდა? ზღაპრებიდან ვერ გამოვდივართ, კეთილი ბიძის ძიებაში ვართ, ნატვრის თვალს ვეძებთ.

ქართველებმა ისტორიის გრძელი გზა და მძიმე პერიოდები გამოიარეს, ღვთის მოშიშნი იყვნენ და ღმერთი სწამდათ, ქვეყანა სიცოცხლეს ერჩიათ, ტრადიციებს არ ღალატობდნენ. ახალი განსაცდელის წინაშე ვართ-ღმერთს, მართლმადიდებლურ რწმენას გვიჩუნიებენ, ქვეყანას გვილანძღავენ და ტრადიციებს გვიგინებენ, პირში გვახლიან-დემოკრატები არა ხართო. თავიანთი ღმერთი ჯიბეში უდევთ, წამდაუნუმ თვალწინ გვიფრიალებენ-აი, ეს არის ღმერთიო.

ფული თავისთავად უბედურება არ არის, კაცობრიობის ერთ-ერთ უდიდეს გამოგონებადაც უნდა ჩაითვალოს. სულში ჩამძვრალი, გაფეტქებული ფულია საშიში, ვინაიდან სული ღმერთს ეკუთვნის, სულში ღმერთია. ღმერთი სულგრძელია და ადამიანს არჩევანის უფლებას უტოვებს, ცოდვის შეგნებისა და მონანიებისას ჰპატიობს. იგი ერთია და მის გვერდით არავის ჰგუობს. ღმერთისგან მიტოვებული ადამიანი ფეხზე მოსიარულე გვამია, რომლის სამყარო საკუთარი ინტერესების ფარგლებს ვერ გასცილდება. ასეთი უღმერთო ადამიანების გამრავლება ცალკე სამყაროს კონსტრუირების პრეტენზიას ქმნის. ამას ღმერთის განრისხება ახლავს.

ფულის ღმერთი ცილიზებული ქვეყნების უღმერთობმა შექმნეს და ახლა საქართველოს მოადგა დასაჩოქებლად. სწრაფად აიშალა სირცხვილი, ყველაფერს მიეწერა ფასი და ყველაფერი იყიდება. წაიშალა ქონებრივი სიმაღლისა და სიღარიბის ქვედა ზღვარი და სიმაღლისა და დაქანების ხაზების მიმართულებები შეექმნა. 30, 40, 50 და 60-იანი წლების თაობები ფულის ღმერთს მედგრად დახვდნენ. თითქმის არ

დარჩენილა სოფელი და ქალაქის დიდი თუ პატარა დასახლება ჯვრების ტყე რომ არ აღმართულა, ეკლესიები არ აგებულა. ჯვრის აგება და აღმართვა ღვთისკენ მობრუნების სიმბოლოდ იქცა. ემცხეთად ფულღმერთიანებს და ფარისევლებად იქცნენ-ეკლესიებშიც შედიან, პირჯვარს იწერენ, წირვა-ლოცვას ესწრებიან, სანთლებს ანთებენ. იქედან გამოსულები ჩუმად იკრიბებიან, ყველაფერს ჰყიდიან, ყველაფერს ითვისებენ, აჩუქებენ, ორგიებს აწყობენ, იჭერენ, ვინც უნდათ. ციხეებში სვამენ, აწამებენ, შიშს თესავენ და ქვეყნის ამონყვეტა უნდათ, რომ მათ ადგილზე უცხოტომელები დასახლონ და ხელისუფლების საფეხურებზე დაამთავრონ სიცოცხლე. სისასტიკით ხელისუფლება ბოლომდე ვის შერჩენია. მაგრამ ასე არ თიქრობდნენ და მოქმედებდნენ ისინი. ახლა ზოგიერთი მათგანი არც იმის თქმას თაკილობს, რომ ადამიანთა უკანონო დაპატიმრებებისა და ადამიანთა წამების შესახებ აქამდე არაფერი იცოდნენ. ესენი რანაირი სინდისიანები არიან, ეს ჩვენ უკვე კარგად ვიცით, მაგრამ სხვებსაც რომ ამაში უნდა დაგვარწმუნონ, ეს უკვე, მართლაც, ტალეირანის კარგად ცნობილი უტიფარი უსირცხვილობაა. ჯერ ერთი, რანაირი გამართლება აქვს იმას, რომ ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სამსახურების პირებმა არ იციან, რომ მათ სამსახურებში ხალხს აწამებენ ან მის სახელმწიფოში რომ თავდაცვითი მნიშვნელობის კერძო საცავებს აგებენ, რომელზეც საბიუჯეტო თანხები იხარჯება. ეს ხომ არცოდნა არცოდვა კი არა, სახელმწიფო დანაშაულია. მეორე, ისინი მთელ ქვეყანას აყურადღებდნენ და საპყრობელები გამორჩათ? ეს, ნამდვილად, უნიჭო ტყუილია.

დასავლელ ლიბერალებს, რომლის ქართულ ფრთას ნაციონალები წარმოადგენენ, საოცარი ავადმყოფობა აქვთ: იციან, რომ მოუსაფლეთში მიდიან, მაგრამ უკან ვერ ბრუნდებიან, ვინაიდან ასეთი გზა არ არსებობს. მათ არ იციან სირცხვილი, ზნეობა, მორალი; ფეხებში ებორკებათ ტრადიცია. ოჯახი ტვირთად მიაჩნიათ; ქორწინება-ფორმალობაა, სიყვარული-სექსი, სული ჰაერის-ნაკადი, სულიერება-სიამოვნებისაგან მოკვეთა, ღმერთი-ჩლუნგი გონების ფანტაზია, ქვეყანა-სახრავი, მსოფლიო-საცირკო არენა, სიცოცხლე-მასხარაობა, სანახაობა, ღრეობა და გართობა, სტომაქის ამოყორვა, ადამიანები-საექსპერიმენტო ეგზემპლარები, მათი თავშესაქცევი არსებები, სათადარიგო ცოცხალი ორგანოების მატარებლები, გარდაცვალება-სიკვდილი სიცოცხლის მობეზრების გამო, სიკვდილი-დაუხარჯავი ინსტიქტების უსიამოვნო გახსენება. ამ ჩამონათვალთან ისიც ჩანს, რომ მათ არა აქვთ ზომა-წონა, ამიტომ არაფერი ჰყოფნიან. ცხრა წელიწადში არა მარტო ააოხრეს ქვეყანა, ყველაფერ საუკეთესოს ტალახი შეახოცეს, ქვეყანას დღემდე სასაცილოდ იგდებენ საზღვარგარეთ, სადაც ხელი მიუწვდებათ. იმ ქვეყნებს კიდევ, კრილოვის ცნობილი არაკისა არ იყოს, რა ენაღვლებათ, რომელ ჯიბეში ჩაუდებენ ფულს მათი ჯიბის მიმბაძველი და მიმგვანებული ადამიანის მსგავსი ორფეხები<sup>1</sup>. მათი სახელისუფლო იერარქიის უმაღლეს საფეხურებზე იბუიტიური ინტერვენცია ისეთი სიბინძურე და ბოროტებაა, რომელსაც ქვეყნის ისტორიაში ანალოგი არა ააქვს. არ დარჩენილა უმაღლესი ეროვნული ღირსებები და ფასეულობები მაგათი მსახვრალი ხელი არ შეხებოდა და ნეხვი არ მიეყარა. ამდენ არაქართველურს და

არაქრისტიანულს ვინ გაბედავდა გარედან, რომ მხარდამჭერები არ ჰყოლოდათ და ახლაც რომ მათ იმედად არ იყვნენ.

ნაციონალების ანტიქართული მოქმედების სქემა მარტივია: ქვეყნის მოსახლეობის მასობრივი გათახსირება, მშობლიური ფუძეებიდან აყრა, შობადობის ბუნებრივი მატების დემოგრაფიული დეფიციტის კულტივირება, უღმერთო ცხოვრების სტილიზაცია, ცხოვრების ლიბერალიზაცია. ამ მიმართულებებით დაგეშეს ისინი ოკეანისგალმელებმა, ფულიც გამოაყოლის და ტროცკივით მოავლინეს რევოლუციის რაინდად. ტროცკივითა და ლენინივით ერთგულები კი გამოდგნენ, მაგრამ იმ გზაზე შედგომა მოუწიათ, საიდანაც მათი სულიერი წინაპრები გაისტუმრეს. ნაციონალები საბედისწერო 37 წლის ორბიტაზე გადიან. თვითონ ამ საშიშროებას ვერ ხედავენ, ვინაიდან პატრონაჟების იმედი აქვთ. ამ უბედურმა ლიბერალებმა არ უწყიან, რომ დამარცხებულებს არაბიოლოგიური პატრონები არ იცავენ მითუმეტეს, თუკი დამარცხებული გაშიშვლებულია. მიცვალებულზე ბინძური ხელი იოლი შესახოცია.

რაც უფრო სააშკარაოზე გამოდის ნაციონალების, სინამდვილეში ანტინაციონალების, ქართველი ერის ფიზიკური და სულიერი განადგურების ცხრანლიანი ომი, მით უფრო მოსვენებას არ იძლევა კითხვა: როგორ გადავავადეთ ის ხელისუფლება, რომლის ვერაგობის ზომა და მასშტაბები, ქვეყნის სიძულვილი, ჩვენი ისტორიული სინამდვილის სივრცეში არ იძებნება. ყურადღება მივაქციე ერთ ფაქტსაც-ნაციონალები ტელევიზიით სხვა პარტიელებს უპრეცედენტოდ უსაფუძვლო უტიფარი ტყუილებით უპირისპირდებიან და არაფრად აინტერესებთ ის თუ როგორი შთაბეჭდილება შეექმნება ხალხს. მათი მოქმედებიდან გამოდის, რომ ხალხს ბრბოსთან აიგივებენ. არა მარტო ბრბოს, მასის ხალხად გადაქცევაა რთული და გრძელი პერიოდი, არამედ ხალხის მასობრივად ბრბოდ გადაქცევაა ძნელი. ქვეყნის მოსახლეობის თუნდაც უმრავლესობის მასად ქცევა ნამცხვრებითა და მათრახით, მაინც არ ნიშნავს ხალხის დასუსტებას. დემოკრატიის ერთი პრინციპი ისიც არის, რომ უმცირესობა, როცა იგი ხარისხობრივად უკეთესია, უმრავლესობას სჯობნის. თვით ნაციონალებშიც სანთლით საძებარია ინტელექტუალი, გულანთებული ქართველი, ქვეყნის პატრიოტი. მხედველობიდან არ მრჩება ის, რომ მამალი ნაციონალების გვერდით არიან ნიჭიერი გაიძვერები, ფულის მოყვარულები, ფარისევლები, ორდენების, ჩინებისა და წოდებების, პატივმოყვარულები, მედროვეები, მაგრამ ისინი ნაციონალების პოლიტიკურ ამინდს ვერ ქმნიან.

ზემოთაღნიშნული არ ნიშნავს მოსახლეობის დაყოფას ხარისხობრივ უმცირესობად და მასად. ეს მათი ბუნებრივი თანარსებობაა. აქ იმის აღნიშვნა მინდა, რომ ნაციონალებისნაირი ეგზემპლარები ხალხის ხარისხობრივ უმცირესობში არ იპოვებიან. ასეთებს მსოფლიოს ლიბერალიზაციის აქტივისტები ირჩევენ მოსახლეობის უმრავლესობიდან.

ნაციონალები, როგორც ხელისუფლება, მოერია ინდივიდებს, მაგრამ ვერას გახდა იმ ისტორიულ უმცირესობასთან, რომელიც ხალხის წიაღიდან მოდის, როგორც მისი

ცნობიერების შინაარსი, მისი პოტენცია<sup>1</sup>, ნაციონალური გონი, რომელიც საუკუნეების მანძილზე კრისტალდებოდა, როგორც მისი არსებობის სუბსტანცია.

ნაციონალებს ჰქონდათ ძალიან დიდი ადმინისტრაციული რესურსი, მათ ხელში იყო საკმაო დიდი მოცულობის ოფიციალური და არაოფიციალური ფინანსები, მაგრამ სასტიკად დამაცხდნენ. დარჩა მოსახლეობაზე ტოტალური ზემოქმედების სახელმწიფო მანქანა თავისი პერსონალით, რომელიც ქვეყნისა და ხალხის წინაშე მეტ-ნაკლებად დამნაშავეები არიან. ახალი ხელისუფლება ურთულესი პრობლემების წინაშეა. ერთი მხარეა სახელმწიფო სისტემის სტრუქტურული გარდაქმნები საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესების ინტერესებიდან გამომდინარე, მეორე-ელიტარული კორუფციის სახელმწიფო მოხელეთა გამოვლენა და დასჯა, მესამე-ადამიანთა უკანონო დაჭერებისა და წამების ინსტიტუტის კონსტრუქტორებსა და აქტივისტებზე პასუხისმგებლობის დაკისრება, მეოთხე ქონებრივი ექსპროპრიაციის რეციდივების სამართლებრივი უზრუნველყოფა, მეხუთე-ეკონომიკის სწრაფი ფრონტალური აღორძინება, მეექვსე-საერთაშორისო არენაზე ქვეყნის პოზიციების რეინტერპრეტაცია. მკითხველთან კამათი არ დაგვჭირდება იმაზე, რომ ეს უზარმაზარი მოცულობისა და წინააღმდეგობით სავსე სამუშაოებია. მითუმეტეს, რომ ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლა ჯერ არ დასრულებულა-ძველი ხელისუფლება პოზიციებს არ თმობს და ახალს მუშაობაში ხელს უშლის შინ და გარეთ. ქვეყანის დამნაშავე ხელისუფლება გარიგების გზებს ეძებს თავის გადასარჩენად. ძველ პროტეჟეებსაც არ ასვენებს. ნაპერწკალს ეძებს ასანთებად. სრულად მუღავნდება, რომ მოლაღატე ხელისუფლება იყო. ფრთხილობს ახალი ხელისუფლება, პარლამენტგარე ოპოზიციები საქვეყნო სამსახურს ვერ უწევენ. ხელისუფლებასთან თანამშრომლობა პოლიტიკური პარტიების კულტურის მანიშნებელია. ნაციონალების ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა ბოლომდე ჯერ შესწავლილი არ არის და ამდენად არც ბოლომდეა დამარცხებული.

საქართველოში პროამერიკული განწყობა ჯერ კიდევ სსრ კავშირის დაშლის პერიოდში იყო შექმნილი, რომლის დაშლის შემდეგ იგი მთლიანად ამერიკის გავლენაშია მოქცეული და მსოფლიო საბანკო სისტემაზეა მიჯაჭვული. საკმარისია ხელისუფლებას პროამერიკული განწყობის საწინააღმდეგო ცვლილება დაეტყოს, რომ ფინანსური პრობლემები მაშინვე გაჩნდება. მითუმეტეს, რომ ქვეყანას ეკონომიკა აქამდე ვერ მოუწყვია. ამას ეძახიან ზოგიერთები ქვეყნის დამოუკიდებლობას! ფინანსურზე უარესად სულიერად გვიჭირს. ამერიკული ცხოვრების წესი ჩვენსას არა მარტო არ ესადაგება, დამოუკიდებელი და ეროვნული ქართული სახელმწიფო მათი ინტერესების სფეროში არ შედის, ნატოსა და ევროპას, ჩვენს გამო, ძილი უფროთხებათ და გვარიგებენ: სააკაშვილი დემოკრატიის შუქურაა კავკასიაში, ქვეყანა ეკონომიკურად დაწინაურდა, ადამიანთა უფლებები არ ირღვევა, გეების დემონსტრაცია არ უნდა დაარბიო და ა.შ. ზნეობრივად ძალიან დაგზარალებული.



ჩვენი პროამერიკულობა აღმფოთებს რუსებს. ისინი ამას აშკარად გამოხატავენ და არც მალავენ: თუ საქართველოში ამერიკული ბაზების აგება დაიწყება, ძალას გამოიყენებენ. ამ ორ ცეცხლს შუაა ქვეყანა მოქცეული, რომელსაც ჯერ თავისი საზღვრები ვერ დაუდგენია და ვერ დაუცავს, საიდანაც მან გამოსავალი უნდა ნახოს. ზოგიერთებს ასეთ გამოსავლად ნეიტრალიტეტი მიაჩნია, რომლის გაგება დეკლარაციის ფარგლებს ვერ სცდება. ნეიტრალური ქვეყანა ეკონომიკურად დამოუკიდებელი უნდა იყოს. ამის მიღწევას წლები უნდა, რომელიც ქვეყნის განვითარების სტრატეგიაზე არის დამოკიდებული. ჩვენი ჩამორჩენილობის ნიშანიც სწორედ ეს არის-ასეთი სტრატეგია აქამდე ვერ შექმნილა, მაშინ როცა ქვეყანას საამისოდ ყველანაირი რესურსი გააჩნია. მთავარი კიდევ იმის განსაზღვრაა, თუ როგორ შეიძლება ხალხის ცნობიერების პატრიოტულ თვითშეგნებად გარდაქმნა. ახლა ქვეყანა ჭრელია: ერთი ქართველი ამერიკაში გარბის, მეორე-რუსეთში. ყველანი რომ ადგილზე დავრჩეთ და ერთმანეთს მივხედოთ ნეიტრალური ქვეყანა ვიქნებით, მაგრამ ასეთები უნდა გაიზარდოს. ამის შემოქმედი ხელისუფლება უნდა მოიძებნოს, რომელიც მეცნიერებთან იმუშავებს, ხალხთან ერთად იმუშავებს და იცხოვრებს ხალხის ცხოვრებით, როგორც ფიდელო კასტრო ცხოვრობს. ქვეყნის მაშენებელი მდიდარი ვერ გახდება, ფიქრადაც არ მოუვა მილიარდერობა. რომელი მილიარდი გადასწონის იმ სიმდიდრეს, რასაც ხალხის სიყვარული ჰქვია. როგორ გლოვობდნენ ჩრდილოელი კორეელები თავიანი ქვეყნის პრეზიდენტის გამო.

საუკუნები გავიდა და აქამდე ვერ ვიყენებთ სახელმწიფოებრივი მწყობის ისეთ რესურსს, როგორცაა კავკასიური სახლი. ტერიტორიულად, ცხოვრების წესებით, გარეგნობითაც რამდენი საერთო და მსგავსება გავვაჩნია. ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით და თითქოსდა ვგრძნობთ კიდევაც ამას, მაგრამ საქმედ ვერ გვიქცევია. სახლიდან გაქცეულებს ვგავართ, კონფედერაციულ სახლში უნდა ვიცხოვროთ. ამით ყველანი ერთად გადავარჩინოთ ჩვენს ეროვნულობას, რომლის საფრთხის წინაშე ახლა ვდგავართ.

საინფორმაციო ეპოქაში ცხოვრება ნიშნავს იმასაც, რომ ხელისუფლებას ქვეყნის მდგომარეობის შესახებ ამომწურავი და ზუსტი ინფორმაცია ჰქონდეს, რაც თავისებური საშენი მასალაა საქართველოს უკეთესი მომავლის მოსაწყობად, მისი ეროვნული თვითმყოფადობის განვითარებისთვის. ვერ იქნება პიროვნება თავისუფალი თუ ქვეყანა არ არის თავისუფალი. ქვეყნის თავისუფლება პიროვნების თავისუფლებაზე მეტია, ვინაიდან იგი მთელია. სახელმწიფოს მიიჩნევდა ჰეგელი თავისუფლების პირობად. აქედან გამომდინარეობს ისიც, რომ თავისუფლებას ნაციონალური ხასიათიც აქვს, რისი გაგებაც არ უნდათ ლიბერალებს.

სოციალური და ეკონომიკური განვითარების პროცესები ქვეყნებს შორის კავშირურთიერთობების გაძლიერებას იწვევს, რომელიც არ ნიშნავს ეროვნული თავისებურებების მოშლას, ტრადიციებისა და მორალურ-ზნეობრივი ინსტიტუტების გაუქმებას. ფორმალური ლოგიკით ქვეყნებს შორის ასეთ კავშირებს მხარს უნდა

უჭერდნენ, მაგრამ კორპორაციული აზროვნება საპირისპირო მხარესაა- ცდილობს ამ პროცესების თავის სასარგებლოდ გამოყენებას. მათთვის ეროვნული წეს-ჩვეულებები, ტრადიციები ხელის შემშლელი ფაქტორებია. საქართველოში ქორწილისა და დაკრძალვის, რელიგიური რიტუალების კანონიკური აღსრულება ლიბერალისთვის თანამშრომლის სამსახურიდან დროებითი მონყვეტაა, მრავალშვილიანი დედა-დამატებითი ხარჯები და ა.შ. მას რაში აინტერესებს შენი ეროვნული გმირები, მდიდარი ისტორია, ოჯახური სინძინდე, ცოლქმრული ერთგულება. მას ამ ფენომენებისაგან გამოფიტული ორფეხი სჭირდება, რომელსაც დღე და ღამე ერთი საფიქრალი ექნება-ფული იშოვნოს და ისე მოიხმაროს, როგორც ეპრიანება. ეს ახლა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ქრონიკაა. ქვეყანა ეროვნული და ლიბერალური ღირებულებების მწვავე კონფლიქტების პროცესებშია. ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებას მძიმე ისტორიული ხვედრი ერგო-კოლოსალურად ძნელია ქვეყნის მონესრიგება ეროვნულ ნიადაგზე, რამეთუ ყოველ მეორე-მესამეს თუ არა, მეხუთეს მაინც ლიბერალი ჰყავს გვერდით ამოტუზული. ცოტა ეშინიათ ჩვენი ეკლესიისა და ხანდახან გააპარებენ ხოლმე თავიანთ მზერას, იქმნებ თვალი ეცესო. მაგრამ ჯვარი ეკლესიისა მჭრელი თვალის მცხეთობაა. ერის იდეური სიღარიბე ეკლესიიდან ელოდება გაძლიერებას, პატრიარქის წერილები იდეურობის მანათებელია. ეკლესიურია ახალი ხელისუფლებაც. ეს ძლიერი ერთიანობაა.

რანაირი მიდგომებით არ უნდა დავინწყოთ ქვეყნის აღმშენებლობა, ყველა ერთ სანყისთთან მიგვიყვანს, რასაც განათლება და მეცნიერება ჰქვია. საქართველოს ეს უძველესი ინსტიტუტი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. მტერს გაუჭირდებოდა მოქცეულიყო ისე ბარბაროსულად, როგორც მას მოქცნენ მისთვის შეუფერებელი პირები. განათლებისა და მეცნიერების ტრადიციულ სისტემას, რომ რეფორმა სჭირდებოდა, ამას ყველა ამჩნევდა, მაგრამ ხელისუფლების პროფანმა რეფორმატორებმა სრულიად დაანგრიეს იგი. იმდენი ელემენტალური ცოდნაც არ ჰქონდათ გაეგოთ, რომ რეფორმა არსებული სისტემის სტრუქტურული განახლებაა და არა მისი მოსუფთავება საფუძვლებამდე და მის ადგილზე რომელიმე უცხო ქვეყნის ინსტიტუტის ანალოგიების კონსტრუირება. აურაცხელია ზარალი, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სისტემამ განიცადა. საბედნიეროდ, ჯერ კიდევ, შემოგვრჩნენ ძველი თაობის მეცნიერები, რომელთაც შეუძლიათ უზარმაზარი სამსახური გაუწიონ ქვეყანას და ფეხზე წამოაყენონ განათლებისა და მეცნიერების დასუსტებული და განადგურებამდე მიყვანილი დარგები.

განათლებისა და მეცნიერების ახალმა ხელისუფლებამ მაღლიანი საქმე გააღვიძა-მონავლევებს უფასოდ დაურიგდება წიგნები, რომლის უმეტესი ნაწილი უკვე დაბეჭდილია. ახლა საჭიროა სკოლების ტექნიკური, პროგრამული და ადამიანისეული რესურსებით უზრუნველყოფა. პირველი ორი შედარებით იოლი დასაძლევია, ხოლო მაღალხარისხოვანი პედაგოგიური კადრები კი პრობლემა იქნება, ძალიან ცუდად მუშაობდნენ უმაღლესი სასწავლებლები. ნაციონალურმა მოძრაობამ დაღი დაასვა მათ, რომელიც მეტნაკლებ მოურჩენელ იარაღ დარჩება ბევრ მათგანს. ყველა უმაღლესი

სასწავლებლის უნივერსიტეტიზაციამ და ლექტორთა პროფესორიზაციამ დიდი ასაკის ადამიანები ბავშვობანაში ჩართო: იწერება აკადემიური პერსონალის ხარისხის მინიჭების საკონკურსო სცენარები, რომელსაც ეს დიდი ასაკის ბავშვები თავისთვის იქმნიან და სათამაშოდ ნაცნობებს იწვევენ. იწყება მზადება საკონკურსო მართონისთვის: ითვისებენ სხვის ამრებს, რაღაც ნაწერების ლიტერატურის სიაში უთითებენ თავიანთი მეგობრების "შრომებს", აწყობენ კონფერენციებს და აცხობენ სტატიებს, მეგობრებისაგან ქმნიან სამეცნიერო კრებულების სარედაქციო კოლეგიებს, ზრდილობიანად უვლიან გვერდს არასასურველი ავტორების შრომების დაბეჭვდას, ერთმანეთს უწერენ რეცენზიებს რეფერირებად ჟურნალებში და ა.შ. ამის დაძლევა ადვილია, ვინაიდან თუკი რაიმე შედარებით იოლად შესაფასებელია, ეს სამეცნიერო შრომაა. მხედველობაში არ მაქვს მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენები და გამოგონებები. ვგულისხმობ ისეთ მომენტებს, როგორცაა პრობლემის დასმა, ავტორის ერუდიცია, განსწავლულობა, მეცნიერული აპარატი, ამროვნების მასშტაბი, მეცნიერული კვლევის ორიგინალობა და მიმართულება. სწორია, ბატონი გია დვალი, ლექცია უნდა წაიკითხოს იმან, ვინც მეცნიერებას ქმნის. უნივერსიტეტი პროფესორის სახლია და იქ მას თავისი ადგილი აქვს. ასეთი პროფესურა უნდა ქმნიდეს სამეცნიერო საბჭოს, რომელიც იმავდრულად იქნება მისი ავტორიტეტი და სინდისიც. საქართველო განათლებისა და მეცნიერების ისტორიული ქვეყანაა და სხვა ქვეყნების ანალოგიური ინსტიტუტების რეფორმატორული წარმატებების მშობლიურ საქართველოში დანერგვის მცდელობისას, მხედველობიდან არ გამოგვრჩეს ის თავისებურებანი, რომელიც საუკუნეების მანძილზე გამოცდილების სახით დაგროვდა. ქვეყნის ეროვნული საგანმანათლებლო პროგრამების მსოფლიო სტანდარტებთან მიახლოება აუცილებელი მოთხოვნა უნდა იყოს, მაგრამ არა წმინდა კალკი. არ ვარგა, როცა კოლეჯებისა თუ უმაღლესი სასწავლებლების პროგრამები არ ითვალისწინებს ისეთი საგნების სწავლებას, რომელიც მას თავის იდენტურობას შეახსენებდა, ხოლო უცხოელ სტუდენტებს ღრმად ჩაახედებდა იმ ქვეყნის ცხოვრებაში, სადაც იგი სწავლობს. მხედველობაშია ისეთი დისციპლინები, როგორცაა საქართველოს ისტორია, ქართული ენა და ლიტერატურა, გეოგრაფია, ქართული კულტურა და ტრადიციები. რატომ ჰქვია სასწავლო პროგრამას ეროვნული? ნუთუ იმიტომ, რომ ქართულად დაწერილია და მეცადინეობები ქართულად ტარდება? ეროვნული თვითმყოფადობის არც ერთი დისციპლინა რა ისწავლება. ვიცი ზოგიერთი კრიტიკოსს რანაირი პასუხი ექნება, მაგრამ მან უნდა იცოდეს, რომ ეროვნული იდენტურობა არც სკოლაში და არც უმაღლეს სასწავლებელში აღწევს სრულყოფილებას. იგი უსასრულოა, როგორც სიცოცხლე და საფეხურიდან საფეხურამდე ისეთივე რაოდენობრივი და ხარისხობრივი დატვირთვა უნდა ჰქონდეს, როგორც სიცოცხლის მოძრაობას. არ მოგვცა შედეგი 90-იან წლებში უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტატური კურსის შემოღებამ სასკოლო განათლების არასაკმარისი დონის კომპენსაციის მიზნით. ბავშვობაში შეიძლება ვიღაცა დაბრუნდეს, მაგრამ ბავშვობას ძალით თაობას ვერ

დაუბრუნებ. კოლეჯსა და უნივერსიტეტს თავისი დონის ქართული ენისა და ლიტერატურის შესაფერისი წიგნები სჭირდება. იგივე ითქმის ქართული იდენტურობის სხვა ლიტერატურაზე.

განათლება ფულის ღმერთისაგან ისე უნდა იყოს გარიყული, როგორც უწმინდური ეკლესიისაგან. ამ შრომის წინა თავებიდან უკვე ვიცით, თუ რა სასწავლების მოხდენა შეუძლია განათლებას და მის ბაზაზე მეცნიერებას, როცა იგი სახელმწიფოსაგან ფინანსდება და ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქისთვის ხელმისაწვდომია<sup>1</sup>. სასწავლებლების ავტორიზაციის, პროგრამული აკრედიტაციის პროცედურები ფულის გამოძალვის ოფიციალური მექანიზმებია. სადავო არ არის ის, რომ სწავლების პროგრამები სახელმწიფოებრივი თუ ეროვნული სტანდარტები უნდა იყოს, ვინაიდან სხვანაირად შეუძლებელია. აქ იგულისხმება აგრეთვე ისეთი სასწავლო პროგრამა, რომელსაც რომელიმე სასწავლებელი ქმნის და მერე ზემდგომი სამსახური ამტკიცებს სტანდარტის ფორმით. სასწავლებლის ტექნიკური დონისა და კვალიფიციური პერსონალის შესაბამისობა პროგრამებთან განსაზღვრული უნდა იყოს ნორმატივებით. სამინისტროს პრეროგატივა სასწავლებლის საქმიანობაზე ზედამხედველობის საკითხებში უცვლელი უნდა დარჩეს და იგი ახორციელებდეს მას პერიოდულად არა ნაკლოვანებების გამოვლენის, არამედ სასწავლებლის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით. ხარვეზების გამოვლენისას შემოწმების ობიექტს უნდა განესაზღვროს ვადა მის გასასწორებად, ხოლო ნორმატიული აქტების გამოვლენისას მიეცეს პასუხისმგებლობაში. გასაუქმებელია ავტორიზაციის ხუთწლიანი ვადა, რომელიც განათლების ხარისხის მართვის სამსახურის ბიუჯეტის შევსების წყაროა. განსაკუთრებით კერძო სასწავლებლები ისჯებიან ფინანსურად-რამდენიმე სერიალ უწევთ "ხალიჩაზე წარდგენა" და თავის დაცვა. კოლეჯებს თითოეული ასეთი პრეზენტაცია 7500 ლარი უჯდებათ, ხოლო პროგრამული ავტორიზაცია 800 ლარი თითოეულ პროგრამაზე. სასწავლებელმა ამის რისკი უნდა გასწიოს, მან ხომ არ იცის რომელი პროგრამა გახდება სტუდენტთა არჩევანი. არაფრად ვარგია სასწავლებლის ფულზე ორიენტაცია. მას თავისი ბუნებრივი ორიენტაცია აქვს-სპეციალისტთა აღზრდა.

ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის მახინჯი ფორმებია ის, რომ ერთი სასწავლებლის ფარგლებში ხშირად მოქცეულია ერთმანეთისაგან დიამეტრალურად განსხვავებული სპეციალობების სწავლება. მაგალითად, ფარმაციის თანაშემწის, მცირე ბიზნისის მწარმოებლის, ხარატის, მშენებლის, ბებიაქალის, ბუღალტრის და სხვ. პროფესიების მომზადება. შეიქმნა რაღაც კოლოსალური უნივერსალური სპეციალიზაციის კონგლომერატი. აქედან ცხადია იმისი აუცილებლობა, რომ კოლეჯები და უმაღლესი სასწავლებლები პროფილური მიმართულებებით დაფუძნდეს. ეს კი სწავლების ხარისხის ამაღლებაზე დადებითად იმოქმედებს. რამდენი ხანია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პენიტენციალური სისტემიდან დაწინაურებული პირები მართავდნენ, რაც დღემდე მოურჩენელ იარაღ ატყვია სამინისტროს.

ფულის ინტერესებზე ნამონაზარდი ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრი, რომელიც თურმე იმ მიზნით შექნილა, რომ კორუფცია აღმოეფხვრათ განათლების სისტემაში. ასეთი ახსნა არა მარტო მიზანს ამორეზულია, არამედ ეროვნული სირცხვილის შემცველია. მოვლენას აქვს თავისი არსებობის სუბსტანცია, რომელიც მას სახეს უქმნის. გამოცდა, ეროვნულია იგი თუ საინსტიტუტო, თავისთავად არანაირი კორუფციის შემცველი არ არის. კორუფცია მოვლენაზე სტრუქტურული მინაშენია. ვილაყამ ვილაყას გამოცდაზე დაუმსახურებლად ნიშანი რომ დაუნეროს, მოვლენის შიგნით უნდა შევიდეს და მისი წესრიგი დააზიანოს, რითაც სინამდვილე სიმახინჯის ფორმას ღებულობს. ამდენად, გამოცდა კი არ არის კორუფციული, გარემოთი იქმნება კორუფციის პირობები, რომლის მოშლა (ავტომატური მოშლა არ იგულისხმება) მოვლენის გათავისუფლებას ნიშნავს. ამით ისიც არის ნათქვამი, რომ მანამდე ყველა სასწავლებლის გამოცდა არ შეიძლება კორუფციული ყოფილიყო ანუ კორუფცია განათლების ტოტალური მომცველობა კი არა, მისი რამდენიმე სტრუქტურის დაავადმყოფება იქნებოდა, რომლის აღმოფხვრის შემთხვევაში მოვლენა თავისუფლებას შეიძენდა. მგლის შიშით ცხვარი განყვითეს და ის გამოცდებიც გამოიწვიეს, რომელიც კორუფციის გავლენაში არ იყო. გამოდის, რომ კორუფციის პირობები ვილაყამ უნდა შექმნას, ვინაიდან კორუფცია პირობებია, პირობები კი კონსტრუირებადია ანუ კორუფცია საქმიანობა და გამოცდილებაა, რომელიც თანამდებობის პირის ცოდნას წარმოადგენს<sup>1</sup>. ცოდნა კი ძალაა. მაშასადამე, კორუფცია ვერ გაქრებოდა. იგი უბრალოდ უფრო მაღალი თანამდებობების პირებმა აითვისეს.

ეროვნული გამოცდებისა და ავტორიზაციის ერთიანი ცენტრის პირობებში გაჩნდა უმაღლესი სასწავლებლების ტოტალური, უმკაცრესი კონტროლის შესაძლებლობა ხელისუფლების ზედა ეშელონებიდან. რექტორებად მათი ნდობით აღჭურვილი პირები დანიშნეს. იმათ კიდევ პროფესორის თანამდებობებზე ისეთები აირჩიეს, რომლებიც სამინისტროს ხელდასმულ რექტორს ყველაფერში მხარს დაუჭერდნენ ან სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობაზე რაიმე პრეტენზია არ ექნებოდათ. ასე აღმოჩნდა შემოსავლებზე კონტროლი რექტორების ხელში, რომლებიც მალე ბიზნესის სფეროში გადაინაცვლეს. ისინი აფინანსებდნენ ხელისუფლების მაღალი საფეხურების პერსონებს, იხდიდნენ მათი ღრეობისა და გართობის ხარჯებს რესტორნებში, ფულს უხდიდნენ "ვილაყის-ვილაყებს" საზღვარგარეთ მივლინებებზე, აფულიანებდნენ ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო კომპანიებს, ეწეოდნენ "ქველმოქმედებას", თანხებს არ ზოგავდნენ პიარტექნოლოგიებზე. ასე ჩამოყალიბდა ელიტარული კორუფციის საუნივერსიტეტო ფრთა. ამან განათლება და მეცნიერება ხარისხობრივად დააუძლურა. განა გონებრივი სიღარიბის ნიშანი არ არის ის, რომ ჩვენს დედა უნივერსიტეტში რექტორს მეცნიერული ავტორიტეტი კი არა, უმაღლესი სამეცნიერო ხარისხიც არა აქვს და რექტორობისთვის ხმალამოღებული იბრძვის. ზოგიერთები იძახიან რექტორის თანამდებობისთვის სამეცნიერო ხარისხი აუცილებელი არ არისო. ღმერთო ჩემო, მეცნიერს არამეცნიერი რა პრობლემაზე უნდა ელაპარაკოს.

სამეცნიერო საბჭოს სხდომებს როგორ გაუძღვება. ყველამ თავის შესაფერ ადგილზე იმუშაოს. სირცხვილი მაშინაც მწველი იქნება, როცა მომავალი თაობა ამ კურიოზს წაიკითხავს. ახლა კი ამ დაცემული სტრუქტურების ფეხზე წამოდგომა ისევ მეცნიერების დახმარებით შეიძლება.

მიმაჩნია სწორად-უნივერსიტეტის ყველა რექტორი უნდა გათავისუფლდეს თანამდებობიდან, ხოლო რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, რომელსაც დაინიშნავს პრემიერ-მინისტრი ორი-სამი თვის ვადით, უნდა იყოს ცნობილი მეცნიერი. მან უნდა უზრუნველყოს სამეცნიერო საბჭოს არჩევა, რომელიც შემდგომ აირჩევს რექტორს. სამეცნიერო საბჭოების ავტორიტეტული სტატუსის აღდგენა საჭიროა სასწრაფოდ.

უნივერსიტეტები იყვნენ და ყოველთვის არიან რეფორმების იდეური ინიციატორები და მისი თეორიული საფუძვლების ავტორები, კონსულტაციებით ეხმარებიან ხელისუფლებას, რომელიც თავის საქმიანობას მჭიდროდ უკავშირებს მეცნიერებთან თანამშრომლობას. საქართველოში ახლა 60-მდე ავტორიზებული უნივერსიტეტია, რომელსაც ქვეყნის ტერიტორია ლამის მთლიანად უკავია. ამას მივამატოთ 100-მდე ასევე ავტორიზებული კოლეჯი. ამდენი დანესებულებების პატრონ ქვეყანას არ უნდა უჭირდეს, მაგრამ უჭირს და თუ რატომ, ამის შესახებ ჩვენ უკვე ვიცით. მისი მეორე მხარეა უფრო საინტერესო-ჩვენ სამშობლოს ეკონომიკის აღმავლობის ინტელექტუალური პოტენციალი გვაქვს, მაგრამ მას ვერ ვიყენებთ.

უნივერსიტეტები სახელმწიფო შეკვეთებზე უნდა მუშაობდნენ. ნაკლებ მნიშვნელოვანია ის, თუ როგორი ფორმები ექნება მას-საკონკურსო თუ თვითინიციატიანი, მთავარია მეცნიერება ახალი ცოდნის წარმოებისა და მოხმარების ინსტიტუტი იყოს, მოახერხოს მაღალი და ნანო ტექნოლოგიების, ეკონომიკური ინოვაციების დანერგვა, რათა მოსახლეობის დასაქმება მაქსიმალურად შესაძლო ზღვარს მიუახლოვდეს.

პრობლემა, როგორი რთულიც არ უნდა იყოს იგი, გადანწყვეტაღია თუ ხელისუფლებას მაღალი დონის პროფესიული ცოდნა, მორალურ-ზნეობრივი პასუხისმგებლობა და ტრადიციული შინაარსის პატრიოტული შეგნება ექნება, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე პერმანენტულად იზრუნვებს, ეკონომიკური აქტივობას ზრდის პირობებს თანმიმდევრობით გააუმჯობესებს. ეს, რომ ასეა ამ წიგნიდან ვიცით უკვე. რეფორმებით წარმატებებს მიაღწიეს იმ ქვეყნებმა, სადაც ხელისუფლებას ჰქონდა სწორი მიზანი, სტრატეგიული ხედვა, ხალხის ნდობა, ქვეყნის სიყვარული, ხასიათის სიმტკიცე. მტრებს და ქვეყნის მოღალატეებს დემოკრატიის შიშით ვერ მოიშორებ. ამას ჩვენ ყოველდღიურად ვხედავთ. ფაშისტური ნაციონალები სულ მცირე შემთხვევასაც არ უშვებენ ხელიდან და სახელისუფლო უმრავლესობას კარებს უმტვრევინ, თუკი რაიმეს ორაზროვნად გაგება შეიძლება, თუკი სადმე ისე ასე არ თუ ვერ გაკეთდა, როგორც ადრე იყო ნათქვამი. არც ვიზიტორობისას ენანებათ ქვეყანა სალანძღავად: კუდით ქვებს, ხოლო ქედებს ჭერში ისვრიან-დაგვჩაგრეს, გვიშველეთო: გვცემენ, უკანონოდ გვიჭერენ, ციხეებში გვყრიანო.

ამათ სამარე თუ გაასწორებს, თორემ სირცხვილი არ გააჩნიათ და ნამუსი კიდევ "გობს ქვეშ აქვთ ამოდებული". ამ ჩვენს სამშობლოს საშუელი მაშინ გაუჩნდება, როცა ამ ფაშისტებს თავის ნიურბერგს მოვუწყობთ არა მარტო იმის გამო, რომ დამნაშავეები არიან, იმიტომაც, რომ საკაშილის ნაციონალური მოძრაობა ქვეყნის გადაშენების იდეოლოგიაა.

ხელისუფლების პრაქტიკული მოღვაწეობის მეორე მხარეა იმის თეორიული გარკვევა, თუ როგორი უნდა იყოს ხელისუფლებისა და ეკონომიკის დამოკიდებულება. ერთი მოსაზრების თანახმად სახელმწიფო მმართველობითი სტრუქტურაა, რომლის აუცილებლობა მეურნეობის განვითარებამ განაპირობა და ეკონომიკურ საქმიანობაში მისი მონაწილეობა აუცილებლობაა. მეორე მოსაზრების თანახმად, ეკონომიკა სახელმწიფო ჩარევას ვერ იტანს და იგი თვითმმართველია. ცალკე-ცალკე ისინი არა არსებობენ და ასეთი განცალკევებითი განხილვა მართებულია მხოლოდ კერძო შემთხვევისათვის. არ არსებობს ქვეყანა, რომელიც ეკონომიკის საქმიანობაში მეტ-ნაკლებად არ ერეოდეს. პირიქით, წინა თავებში განხილული მასალები გვიჩვენებს, რომ ეკონომიკის წარმატებები სწორედ სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის წყალობით იქმნა მიღწეული. ბუნებრივია, რომ აქ სჯობს-არსჯობის საკითხი არ დგას, კიდევ უფრო მეტიც-უადგილოა. მაგრამ თუ მათი უპირატესობის გასარკვევად სტატისტიკას მივმართავთ, მაშინ გავიგებთ, რომ სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩაურევლობის თეორიის ავტორებს უფრო მეტი მომხრე ჰყავს. გამოდის, რომ ერთი და იგივე მოვლენის პრაქტიკულ და თეორიულ ასპექტებს განსხვავებული მომხრეები ჰყავს, თანაც თეორიული ასპექტის მომხრეები სინამდვილეში პრაქტიკული ხაზის გამტარებლები არიან ანუ ამ უკანაქნელებს კარგად ესმით, რომ ყველაზე კარგი პრაქტიკა თეორიაა, მაგრამ სახალხოდ ცრუობენ, ვინაიდან მდგომარეობა აიძულებთ. სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი საკუთრების მოხვეჭისა და მითვისებისთვის ხალხის ორიენტირებული ხედვა უნდა შეიცვალოს სხვა მოვლენაზე ყურადღების გადატანით. ამაში ჩართულია ანტიმეცნიერება, როგორც სპეკულატური აზროვნების მეთოდოლოგია, როგორც გაბატონებული სოციალური ჯგუფების თეორიული იარაღი. მისი მტკიცებულებებით საზოგადოებრივად ცნობიერი გახდა, რომ ეკონომიკა უფრო ეფექტიანად ვითარდება სახელმწიფო ჩარევის გარეშე, სახელმწიფო საკუთრება მთლიანად უნდა გადავიდეს კერძო სტრუქტურების ხელში პრივატიზების გზით, რაც სამუშაო ადგილების გაზრდას გამოიწვევს, გაიყიდოს ყველაფერი სინდისის გარდა, მინის ყიდვა ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს და საზღვარგარეთიდან ინვესტიციები შემოვა, ფასიანი სწავლება, ფასიანი ჯანდაცვა და მედიცინა ხალხს უკეთ მოემსახურება, სწავლა-განათლება და მედიცინა-ჯანდაცვა ბიზნესია და ა.შ. საილუსტრაციოდ განვითარებული ქვეყნების მაგალითები მოჰქონდათ. დაიჯერა მოსახლეობის უმრავლესობამ, და სამუშაო ადგილების მომლოდინეთა გრძელი რიგები შეიქმნა. მშვიერი მასის ყველას ეშინია აქაც არ დააყენეს და საზღვარგარეთისაკენ უქნეს პირი. იხუვლა მასამ და მსოფლიოს

მუშახელად გაეფინა. კატასტროფული სიტუაციაა-მოსახლეობის 30-40% ქვეყნიდან გაქცეულია ლუკმა-პურის საშოვნელად. დაცარიელებულ სახლებსა და მიწებს უხოვლები იკავებენ. ასეთ დღეში რომ ქვეყანას ხელისუფლება ჩააყენებს იგი მტერია, ან შტერია, ან ორივეა ერთად. არც ის არის რაიმე შეღავათი, რომ გველის უბეშია გაზრდილი და აკეთებს იმას, რაც ასწავლეს. კი, ლიბერალებმა ასწავლეს. ლიბერალისთვის კი სამშობლო არ არსებობს, ადგილის დედა არ იცის, რა არის, იცის ის, რომ სადაც იგი ცხოვრობს ქვეყანას იმას ეძახიან, რომელსაც კიდევ მეორე სახელი-სამშობლო ჰქვია. რაკი ადამიანი ყველა ქვეყანაში იბადება, სამშობლო ქვეყნის შემთხვევაა, სადაც შენ დაიბადე. აი, ასეთია ლიბერალური ცნობიერება, ასეთი შეგნებით ცხოვრობს ლიბერალური საზოგადოება, რომელსაც არ აინტერესებს ადამიანის სულიერი მოთხოვნები, მისი ბედნიერებისა და მარადისობის, სიკეთისა და კეთილდღეობის პრობლემები.

მსოფლიოს განათლებული საზოგადოება შეშფოთებულია იმით, რომ დედამიწის მოსახლეობა სწრაფად იზრდება და სურსათით უზრუნველყოფის პრობლემა კატასტროფულად მწვავდება, რადგან ნიადაგი შეზღუდული რესურსების კატეგორიას ეკუთვნის და მისი ზრდის რეზერვები ნულოვანი სიდიდეა. საქართველოს ყოფილმა ნაციონალურმა ხელისუფლებამ ქართული მიწები მათი პირადი გამდიდრების წყაროდ აქცია. ზოგს სიმბოლურ ფასად-ერთ ლარად მიყიდა, ზოგს უნდოდა და აჩუქა. უპირატესობა უცხოელებს მისცა ინვესტიციების მოზიდვისა და მიწის უკეთესად მოვლის მოტივაციებით. მიწის მესაიდუმლე ხალხს პრომისნაყოფიერება დაუწუნა და ბურებს გაურიგდა-ესენი გჯობნიანო. ჩინელები შემოუშვა, ინდოელებიც მოგვადგნენ-ჩვენ ვისზე ნაკლები ვართო. საკუთარ ქვეყანაში ლამის მონებად ვიქეციო. ნაცვლად იმისა, რომ ტექნიკითა და სასუქებით მიხმარებოდა გლეხებს, სიღატაკემდე მიიყვანა და სოფლებიდან გააქცია ისინი. რამდენი მიტოვებული და გავერანებული ეზო და სოფელია ღვთისგან ნაჩუქარ ამ მზისქვეშეთში. ამას საუკუნის ბოროტება ჰქვია. ჩაიბუხლა სოფელმა, რა ქნას თოხითა და ბარით ვაცმა, თუკი რაიმე შესძლო, ვის მიყიდოს-ბაზარზე იაფფასიანი ეკოლოგიურად დაბინძურებული პროდუქტები ყრია ჩალის ფასად კი არა, კონა ჩალა ახლა კვ პურის ფასია, კოლოფი ასანთის ფასად.

ქვეყანა სოფლიდან იწყება. რამდენი ხანია სოფლების დაცლაზე იწერება, მაგრამ მიხმარების ნაცვლად უარესი დავმართეთ. საერთოდ კი სოფლის პრობლემას, აბსოლუტურად, უმრავლეს შემთხვევაში, მხოლოდ სურსათის წარმოების თვალსაზრისით, დასახლების ადგილად აღვიქვამთ და მხედველობის გარეთ რჩება მთავარი. სოფელი ადამიანში განსაკუთრებულ ფენომენს აყალიბებს. ჯერ ერთი, ეს არის მიწასთან, ბუნებასთან ერთიანობა, აქ იგი თავის სტიქიაშია, ბუნებას კი არ ებრძვის წასართმევად, არამედ მასთან თანამშრომლობს. სოფლის კაცი სულით გრძნობს მიწის, ტყის, წყლის, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს სიკეთესა და მადლს, ღმერთთან უფრო ახლოსაა. ყველა ერთად კი თავს იყრის ისეთ ფენომენში, როგორცაა



ერთობლივი საქმიანობა. ოჯახი, სოფელი ადამიანების ორგანული ერთიანობაა. ისინი შრომის ერთ ფერხულში არიან ჩაბმულები. თუ ოჯახი შრომის შიდა დანაწილებაა, სოფელი ოჯახების შრომითი საქმიანობის ერთიანობაა, ბუნებრივი კოოპერაციაა. მათ არა მარტო საერთო საზრუნავი აქვთ დასახლების ადგილის გამო, არამედ ერთმანეთი სჭირდებათ ყოველდღიურ ცხოვრებაში, რომელსაც მრავალგვარი საქმიანობა იწვევს. ეს ეხება არა მარტო მიწის დამუშავებას, მოსავლის მოყვანასა და დაბინავებას, სტიქიურ მოვლენებთან ბრძოლასაც. ამიტომ არის ქართული სოფელი ძლიერი, როგორც ერთიანობა, როგორც საზოგადოება, რომელსაც ჭირი და ლხინი საერთო აქვს. სოფლის შვილია ქალაქი. სოფელმა შვა იგი მისი სრულყოფის მიზნით. შეცდომაა ქალაქისა და სოფლის დაპირისპირება. სადაც კი დიდი რეფორმა დაწყებულა, ყველამ სოფელზე გადაიარა. სადაც არ უნდა ცხოვრობდეს ქართველი კაცი, სოფელთან კავშირს არ უნდა მოწყდეს, მითუმეტეს, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორია თავისი სიმცირის გამო, მშობლიურ ადგილებთან მჭიდრო კონტაქტის საშუალებას იძლევა. საშუალება კი არის, მაგრამ ნაციონალურმა ხელისუფლებამ წაართვა იგი ხალხს და კიდევ რომ დასცლოდა, მომავალ თაობებს მშობლიური მიწის გარეშე დატოვებდა.

მიწა ღვთისგან ბოძებული სიმდიდრეა და იგი ხალხის საკუთრებაა, მიწის უცხოელებზე გაყიდვა საერთოდ უნდა აიკრძალოს. ახალმა ხელისუფლებამ შეაჩერა მიწების გაყიდვა, რაც უმნიშვნელოვანესი ეროვნული საქმეა, რომლის გაგრძელებაა მიწების კლასიფიკაცია და კუთვნილების დადგენა, რათა ვერცერთმა ხელისუფალმა ვერსდროს შესძლოს მიწაზე ხელის შეხება. ჩვენდა საბედნიეროდ სოფლად მოსახლეობის ნახევარზე მეტი ცხოვრობს. მაშასადამე, სასურსათო პრობლემის მოგვარება სწრაფად შეიძლება, მაგრამ ამისთვის რამდენიმე პრობლემის გადაჭრაა აუცილებელი. მაგალითად, გზების მოწესრიგება, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა ან ლიზინგის ფორმის გამოყენება, მცირე მექანიზაციის საშუალებების შეძენა ან წარმოების ორგანიზაცია, სასუქებისა და ჰერბიციდების წარმოება, აგროინჟინერიის სპეციალისტების მომზადება სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის, მისი ტრადიციული კონკურენტუნარიანი დარგების აღდგენა და გაფართოება. მაგალითად, ვაზის სანერგე მეურნეობა, სიმინდის ქართული ჯიშები, თუთის ჯიშების სანერგე მეურნეობა. ვხედავ და ალბათ მკითხველიც წინა თავებიდან გარკვეულია იმაში, რომ ამ საქმეების გაკეთებას გარედან არ დაგვანებებენ, მაგრამ თუკი მოსახლეობის ეროვნული თვითმყოფადობის შეგნება ამაღლდება, მაშინ ხალხს წინ ვერაფერი დაუდგება. აქაც დიდი პრობლემის წინაშე ვართ. დღევანდელი განათლების სისტემა ეროვნული თვითმყოფადობის საკითხებს გვერდს უვლის, ხოლო ტელევიზია და პოლიტიკოსები სიტყვას არ მოიბრუნებენ საამისოდ. პირიქით, ევროპისა და ამერიკის ცხოვრებისეულ სტანდარტებზე ეროვნული არასრულფასოვნების ფონებს ქმნიან. ამაზე მეტი გადაგვარება იქნება? ეროვნული ლამის სამარცხვინო გახდეს. რამდენი ხანია ატრიალებენ კანონს არათუხიზელ მდგომარეობაში მანქანის მართვასთან დაკავშირებით. არის საქართველოში სიმთვრალის პრობლემა? ანდა, შიმშილის პრობლემა რამდენად

გვანუხებს? უპატრონო და ულუკმაპურო რამდენი ბავშვი და მოხუცია, იცის ვინმემ? სამაგიეროდ იმის გარვევას ცდილობენ პარლამენტის სხდომებზე, რომელ დღეს რანაირი ფერის ეროვნული ტანსაცმლით შეიძლება მოვიდნენ. ქართულგვარიანი ვილაცები ეროვნული გადაგვარების სხვის დაკვეთებს ყველანაირი გზებით ცდილობენ. მცირე შემთხვევასაც ხელიდან არ უშვებენ, ვინაიდან კარგად უწყიან, რომ ქვეყნის გადაგვარება კანონებითაც შეიძლება. კანონი უზენაესიაო-ამბობენ და მათი ყალიბით მოჭრილი ან საიდანღაც გადმონეროლი კანონი შენი ბედილბლის გამგები ხდება. ამიტომ კანონის უზენაესობაში მართო ის კი არ იგულისხმება, რომ კანონის წინაშე ყველა თანაბარია, არამედ ისიც, რომ კანონი ქვეყნის მორალისა და ტრადიციების, რელიგიური ნორმების, წესებისა და ჩვეულებების გარეშე უზენაესი ვერ იქნება<sup>1</sup>.

დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმას, როგორი ხისტი და გონებისამამღვრეველია ისეთი კანონი, რომელიც დაცლილია შენი ქვეყნის მორალისა და ტრადიციებისაგან. ჩემი სოფლის ჩასახვევთან ხშირად დამინახავს საგზაო პატრული, რომელიც მანქანების გამოჩენას ელოდება. მაშინვე მივარდება და ნასვამობაზე ამოწმებს. ერთს სახლის წინ დახვდნენ, ღვედი არ გიკეთიაო. უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფა ქვეყნის ბედნიერებაა, მის ტრადიციებსა და მორალზე ფეხის გადადგმა კი-უბედურება, ვინაიდან კანონი ფეტიშად იქცევა და ღმერთის ჩანაცვლებამდე მივა. მიანიჭა ევროპამ ადამიანს ინდივიდუალური თავისუფლება კანონის ფარგლებში, ჩამოაშორა იგი ღმერთს და მეცნიერებისა და ტექნიკის ასპარეზზე გაუშვა შემოქმედებისთვის. გაირკვა, რომ მეცნიერება და ტექნიკა რელიგიის გარეშე ვერ იძლევა თანამედროვე პრობლემების გადაჭრის საშუალებას და კაცობრიობა თვითგადაშენების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა<sup>1</sup>. ჩვენი ქვეყნის მომავალიც იმაზე არის დამოკიდებული თუ როგორი იქნება ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დამოკიდებულება არა მხოლოდ ხალხთან, არამედ ისტორიულ სოციალურ ინსტიტუტთან-ხელისუფლებასთან, რათა სამივე ერთად სამებასავით მთლიანი იყოს. წინსვლა დიდია. რა მალე გაახალგაზრდავდა მრევლი. როგორი ეკლესიურები გახდნენ. ეს საქვეყნო ბედნიერებაა. ნაციონალების ყოფილი ხელისუფლება აშკარად გრძნობდა ქართული ეკლესიის ძალას და ხალხის მოსაჩვენებლად ფარისევლობდა მასთან. ზურგს უკან ყველაფერს აკეთებდა მასში წინააღმდეგობის შესატანად. ხალხი პატრიარქის მონოღების სტარტზე იდგა. პატრიარქის სიბრძნე კონფლიქტს არ ითვალისწინებდა. ქვეყანამ ისევ ბენჯის ხიდზე გაიარა პატრიარქის ლოცვითა და კურთხევით, ბოროტებმა ვერ გაბედეს აღემართათ მახვილი.

მართლმადიდებლობა უძველესი რელიგიაა, რომელსაც უდიდესი გამოცდილება აქვს. ამასთან ერთად, უნდა მიუთითოთ ისიც, რომ მას თავისი არსებობის მანძილზე ქრისტეს მოძღვრებიდან არ გადაუხვევია და ადამიანის სულიერი აღზრდის უცვლელი ტაძარია. ქართველი მართლმადიდებელი უფლის მადლიერია, რომელმაც მოიყვანა იგი აქამდე იდენტურობის შენარჩუნებით. მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმის საშინელ ბოროტებას მართლმადიდებლობის მადლი უღობავდა გზებს. ადამიანებს მატერიალური

ინსტიტუტებზე გამოდევნება ხშირად უმღვრევს გზას და ღმერთს ივინყებს, პატრიარქს არ უსმენს. არ ვუსმინეთ პატრიარქს 9 აპრილს და დავისაჯეთ ურჩობისთვის. დარჩა თაობებს სამარადისო მონანიებისთვის 9 აპრილის ტრაგედია. ვუსმინეთ პატრიარქს და პირველ ოქტომბერს იხსნა ქვეყანა სისხლისმსმელი ურჩხულისაგან. ჯერ კიდევ ბევრ რაიმეს ვერ ვხედავთ, გავა დრო და მივხვდებით, რომ პირველი ოქტომბერი ქართველი ხალხის ხელმეორე დაბადების დღეა. ქართველი, ვიდრე ქართველია, უეკლესიოდ ვერ იცხოვრებს ისე, რომლითაც ცნობილია მსოფლიოში. ჯერ საკუთარ ქვეყანაში არ მოვბრუნებულვართ. ევროპა და ამერიკა გვაკერია პირზე, რომელთა ემისრები თითის ქნევით გვესაუბრებიან და ჭკუას გვასწავლიან, როგორ მოვიქცეთ, თუ არა და მაშინ ნატოში არ მიგიღებთო. რა გვინდა უღმერთო ნატოში, მაგრამ თავაშვებულება, მაძღრობა, განცხრომა მოგვენატრა. თურმე შენს ახირებით, თავკერძა და ავხორცულ ცხოვრებას თავისუფლება ჰქვია. როდის არ იყო მართლმადიდებელი ქართველი თავისუფალი. შეგნებულად ერთმანეთთან ვაიგივებთ სულსა და სხეულს, ტკივილსა და სიხარულს. თავისუფალია ყველა, ვინც თავისთავში ბოროტი დაამარცხა და კეთილი განზრახვებით ცხოვრობს. რაიმეს კეთება თავისთავად არც სიკეთეა და არც ბოროტება, განზრახვასა და მისი გამოყენების შედეგი არის სიკეთისა და ბოროტების გამოვლინება. საქართველოში მართლაც იყო სამასალე მერქნის რესურსების გამოყენების შესაძლებლობა ხე-ტყის მასივებისთვის ზიანს მიყენების გარეშე, მაგრამ მაშინდელმა ხელისუფლებამ ბორჯომ-ბაკურიანის ნაკრძალიც არ დაინდო და კვალის დაფარვის მიზნით დარჩენილი ნაწილი გადაწვა. ადამიანის დასჯა დანაშაულის გამო ბიბლიურად ცნობილი მოვლენაა. მაგრამ დაპატიმრებული ადამიანის წამება და გაუპატიურება ბოროტებაა და ცოდვაა ღვთის წინაშე მარადიული საქვეყნო და საგვარეულო.

ყველა ქართველი ეკლესიურად უნდა გაიზარდოს. ამას ორი მომენტი განაპირობებს. პირველი, საქართველო ღვთის სიყვარულით არის მონწყობილი, ყველა კუთხე, ყველა სოფელი ქრისტიანული წესებით ცხოვრობს. ესაა ოჯახის უფროსის კულტი, უფროსებისადმი პატივისცემა, შვილებისადმი ზრუნვა, მოყვასის სიყვარული, ნათვლა, ჯვრისწერა, ქორწინება, მეზობლური ახლობლობა, რომელიც ნათესაურ ახლობლობამდე მიდის. ყველაფერი ეს მასში ყოფითი კულტურიდან შემავალია, რომლის გარეთ იგი იდენტურობას კარგავს. მეორე, მართლმადიდებლური რელიგიის საფუძვლების შესწავლა, როგორც მისი აზროვნების კულტურის გამდიდრება, რის საფუძველზე იზრდება მისი თავისუფლების ხარისხი და ღმერთთან მიახლოება. საბედნიეროდ ამგვარი განათლებისთვის ყველა პირობა არსებობს. ბიბლიის შემსწავლელი საკვირაო სკოლების ამოქმედება რამდენადმე წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა ქრისტიანული ზნეობრიობის გაფართოებაში.

დღევანდელ ცხოვრებას ნათლად ატყვია რწმენის დეფიციტი. ინსტიტუტები მძლავრობს ადამიანზე, ვინაიდან საბაზრო ეკონომიკა მოულოდნელობითაა სავსე. სამუშაოს მოძებნა ძნელია იმდენად, რამდენადაც: წარმოებისა და ინფრასტრუქტურის ობიექტები

მეტისმეტად მცირეა, რაც, ბუნებრივია, ჭარბი მუშახელის წარმოქმნას იწვევს; კომერციისა და ბიზნისის წამოწყებას მაღალი საბანკო პროცენტები აფერხებს; დაქირავებული პერსონალის დასაქმების ხანგრძლივობა დამსაქმებელზე არის დამოკიდებული და შეიძლება ნებისმიერ მომენტში შეიცვალოს; ადგილობრივი ბაზარი იაფფასიან იმპორტულ საქონელს უპყრია. ასეთ პირობებში სჭირდება ადამიანს რწმენა არა იმისა, რომ გაიღვიძებს და დილით ნატვრას აისრულებს, არამედ იმისა, რომ იცოდეს რისი გაკეთება უნდა და რა უნდა მოითხოვოს. ცოდნა ორგვარია: რომელიც ბაზარს სჭირდება და რომელიც ბაზარს შექმნის ანუ ახალი ცოდნა. ორივეს ის საერთო აქვს, რომ ზნეობრივი უნდა იყოს. აქ ბევრნაირი დეფექტები შეიმჩნევა. ერთი ის, რომ ბაზარს არ ვსწავლობთ და მოსახლეობას ვერ ვვხმარებით; მეორე, ცოდნის განახლება დაბალია და ბაზარს ვერ ვქმნით; მესამე, არ ვიცით რა მოვითხოვთ ხელისუფლებისაგან; მეოთხე, არც ის ვიცით, როგორ მოვითხოვთ.

შრომის ბირჟაზე თავსაყრელია მლესავეები, მეკაფელეები, სანტექნიკოსები, ხელით მტვირთავეები, სატვირთო ტრანსპორტით მომსახურება და ა.შ. შევამჩნიე, რომ მახლობელ სოფელში ვეტერინარი არ ჰყოლიათ და მეზობელი სოფლიდან მოჰყავდათ. თურმე მარტო ამ სოფელში კი არაა, რამდენიმესაც არ ჰყოლია ვეტერინარი და იმ ერთად-ერთი ქალბატონის იმედზე ყოფილა ყველანაირი ცხოველი. არსად ამის შესახებ არც გამოცხადებულა და არც ახლა იცნან. უფრო უარესი გამომჩნა: სანთლით თუ ნახავ სოფელს, სადაც მედპუნქტი იყოს. სოფელ ყუმურში შემთხვევით ვიყავი და როცა მედპუნქტი ვახსენე, გაეცინათ. ეს ის სოფელია, სადაც მედპუნქტიც იყო და საავადმყოფოც. წარმოიდგინეთ იქვე არსებული მაღალი სოფლის დუცხუნში რომ ვინმე შენუხდეს, როგორ დაუკავშირდებიან 112 და მერე როდის ააღწევს სასწრაფო დახმარების მანქანა, რომელიც არც თუ იშვიათად გამოძახებაზეა სხვა სოფელში ანდა პირიქით. სამართლიანი სახელმწიფოს მიხედვით ყველაფერი კანონიერია-გამოძახებაზე გიპასუხებენ, როცა გათავისუფლდება-მოგაკითხავენ.

მოსახლეობამ უნდა მოითხოვოს ის, რაც სახელმწიფო ფუნქციასა და ვალდებულებას შეადგენს. მოითხოვოს მკაცრად, მოითხოვოს მისგან არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით ან გადაირჩიოს იგი თუკი თავს ვერ ართმევს მიდობილ საქმეს. ამ პატარა მაგალითებიდან ჩანს, რომ ადამიანს მარტო ცოდნა ვერ აქცევს ნამდვილ ადამიანად, რომ საქმის კეთება პასუხისმგებლური უნდა იყოს, რომ რელიგია და ხელისუფლება არ განიყოფება, ისინი ერთ მთლიანობას ქმნიან. ერთია სამსახურებრივი ვალდებულებით საქმის შესრულება, მეორე-ზნეობრივი პასუხისმგებლობა. ამდენად, რწმენა ლოდინი და პასიური მოთმინება კი არ არის, მოთმინება და აქტიური მოქმედებაა სიკეთის განზრახვით.

დღევანდელ ცხოვრებას უბრალო დაკვირვებით ემჩნევა რაღაც არაადამიანური უსულგულობა, უპასუხისმგებლობა, უსირცხვილობა, გულგრილობა, სიძულვილი, უზრდელობა, განსაკუთრებით ხელისუფლებისა და მას-მედის წარმომადგენლებს. ეს ადამიანები დაქირავებული მოსამსახურეების შთაბეჭდილებას ქმნიან, ეტყობათ, რომ

რასაც ამბობენ, სწორი არ არის, მაგრამ აკეთებს ისე, როგორც დაავალეს, რის გამოც ფულს უხდინან. ფულში კი, ნაღდად, გამოჭერილები ვყავართ. დახარბებულები ვართ ფულზე, "ნამეტნავად". შეჭამა ფულმა სულიერება. ადამიანი თავის სრულყოფილებას სულიერ ცხოვრებაში პოულობს.

სულიერ ცხოვრებას აქვს ყოფითი და მართლმადიდებლური გაგება. ყოველდღიური ცხოვრებიდან სულიერებაში ვგულისხმობთ განათლების დონეს, გამჭრიახ გონებას, ესთეტიკურ გემოვნებას, ჩაცმის კულტურას, მუსიკის, ლიტერატურის, ისტორიის ცოდნას და ა.შ. რაც მართლაც და ამშვენებს ადამიანს ერთი შეხედვით, მაგრამ ამ თვისებებითა და ცოდნით ადამიანის მორალურ-ზნეობრივი პოზიციები, ხალხისა და ქვეყნის სიყვარულის პრაქტიკული ასპექტები არ განისაზღვრება. სულიერი ცხოვრება ადამიანის შიდა სამყაროა, რომელიც ღმერთის სიყვარულის გარეშე არ არსებობს. ღმერთი თვითონ არის სიყვარული. მან ქვეყანას მისცა თავისი ძე, რათა მორწმუნეს მარადისი სიცოცხლე ჰქონოდა. მისი ძე მოავლინა არა მეფობისთვის, არამედ ხალხთა მოსამსახურედ. ღმერთის ასეთი სიყვარული არ იცის მსოფლიოს არც ერთმა რელიგიამ<sup>1</sup>. მართლმადიდებლური რელიგია ამკვიდრებს ადამიანის სულიერი ცხოვრების უმაღლეს მოდელს. სულიერი ცხოვრებაა ადამიანის ბრძოლა თავისთავთან, ღმერთთან მიახლოება.

ღმერთს უყვარს ადამიანი და მისი სულიერი ცხოვრების შესაცვლელად თავისი ძე მოუვლინა ანუ ადამიანისთვის განკაცდა, რომ ადამიანში მერე ღმერთი ყოფილიყო. ღმერთმა მაცხოვარი მოავლინა იმისათვის, რომ ხალხს ენახა, როგორ უნდა იცხოვროს მან, რომ მისი საქმიანობა სიკეთისთვის უნდა იყოს მიმართული არა სხვების დასანახად, არამედ თავისთავთან მიმართებაში, როცა მან იცის, რომ ცოდვილია და უნდა აღმოაჩინოს თავისი თავი ყოველდღიურ საქმიანობაში. ცოდვილია არა იმიტომ, რომ საქმიანობს, შრომობს (შრომა არც ცოდვა და არც სიკეთე), მთავარია, რა განზრახვით იქმნება და როგორი იქნება სხვებისთვის მისი შრომის შედეგები. ამის შეგნებით სავსე მართლმადიდებელი ქრისტიანი შრომას სიყვარულით იწყებს. რაც კეთდება ადამიანისთვის კეთდება იმ გაგებით, რომ ადამიანები ერთმანეთს ემსახურებიან. საქმის გაუკუღმართება სხვებისთვის ზიანის მიყენებაა, ხშირ შემთხვევაში გამოუსწორებელი და მომაკვდინებელი. ერთმა ავნო მეორეს ანუ იგივე ღვთისშვილს, ანუ თავისთავს. ამაში მდგომარეობს ადამიანის ცოდვა და ამიტომ არის იგი ცოდვილი. უდანაშაულო ხალხი დაიჭირეს, აწამეს, მოკლეს, ვიღაცებს ქონება წაართვეს, პატივი აჰყარეს და რა ვიცი, კიდევ რა უბედურებები იჩენს თავს, როცა გამჟღავნდება. ცოდვილები თავს უდანაშაულოდ ასაღებენ, უნდათ ხალხს თვალები აუხვიონ, რომ ისევ ხელისუფლებაში დაბრუნდნენ და უარესი დამართონ, რაც უკვე დამართეს. ზოგიერთებს უკვირთ მათი უტიფრობა, ბოდიში გადაიხადონ, მონანიონ მაინცო. ბოდიში და განსაკუთრებით, მონანიება ადამიანის სულიერების უმაღლესი მდგომარეობაა, რომელსაც მართლმადიდებელი ქრისტიანი აღწევს თავისთავთან მუდმივ ჭიდილში. მონანიება არ

არის საიდუმლოს გაცხადება და აღსარება არის პატიების ნიშნით, არც წუხილის განცდა ცოდვების გამო. მონანიებისას ქრისტიანი მართლმადიდებელი ემიჯნება ცოდვას ზიზღის განცდით, როგორც მისთვის მიუღებელს, აუტანელს, ანუ როგორც ოსიპოვი წერს, მონანიებისას მორწმუნე იცვლის დამოკიდებულებას, პოზიციას, აზროვნებისა და საქმიანობის წესს და რწმენით მაცხოვართან მიდის, მას უხმობს. ამას მაძღრობაზე, კომფორტზე და თავაშვებულ ცხოვრებაზე დახარბებული ლიბერალი იდეურად ვერ იტანს მას, მისთვის მიუღებელია მეცნიერებისა და კულტურის გამოყენება ეკლესიის ინტერესებისთვის, ვერ გებულობს, ჩამორჩენილობადაც კი მიაჩნია. ამიტომ ვერ იტანს მას და ყველაფერს აკეთებს სულიერი ცხოვრების გადაგვარებისთვის. მას არ აინტერესებს საიდან მოვიდა და არც ის, რა იქნება მას შემდეგ.

ჩვენ აქ ყურადღება მორწმუნე მართლმადიდებლის სულიერ ცხოვრებაზე გადავიტანეთ, ღმერთის წინაშე ყველა ერთნაირია, მაგრამ ხომ ცხადია ისიც, რომ რაც უფრო მაღალია ხელისუფლების საფეხური და საქმის მასშტაბები, მით უფრო მეტი უბედურების მოტანა შეუძლია ხალხისთვის პირს, რომელსაც თანამდებობა უკავია და სულიერ ცხოვრებას მონწყვეტილია. "ასერგასის დღის" მერე თუ რაიმე უფრო მძიმე განცდებს გამოიწვევდა, ვერ წარმოვიდგენდი. საკუთარ ქვეყანას რომ მტრად ექცე, ღმერთისგან იმდენად სულგამოცლილი უნდა იყო, რომ ბოროტი გიყვარდეს. რელიგია თავისუფლად თვლის ისეთ ადამიანს, რომელმაც თავისთავში ბოროტებას სძლია, მოინანია. ქართული სახელმწიფოს სათავეში ყოველთვის მორწმუნე მართლმადიდებელი უნდა იდგეს, რადგან ხელისუფლება ღვთიური წარმონაქმნია. ამ აზრის შემდგომ განვითარებას მიყვავართ იქამდე, რომ მართლმადიდებლობა ჩვენს სამშობლოში სახელმწიფოებრივი რელიგია უნდა იყოს. ასეთ პირობებში იქნება დაცული ერის რწმენა და ზნეობრივი სინძინდე.

საქართველოში ხელისუფლებისადმი მართლმადიდებლური რელიგიის დომინანტი ადვილად შეცნობადია მიუხედავად იმისა, რომ იგი სახელმწიფოსაგან გამოყოფილია. ეკლესია ისეთი გავლენით, როგორც საქართველოში, დასავლეთის ქვეყნებში არ სარგებლობს. მოსახლეობისა და რელიგიის ურთიერთობებში სახელმწიფო არ ერევა. იგივეს გვთავაზობენ ჩვენც-არ ჩაერიოთო. საეკლესიო საქმეებში ჩარევა თუ ჩაურევლობის საკითხი დამოკიდებულია საზოგადოების ლიბერალიზაციის ხარისხზე და საშუალო ფენის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. დასავლეთ ევროპის ლიბერალური ცხოვრება ეკლესიას დაშორებულია<sup>1</sup>. ინგლისში ეკლესიაში მოსახლეობის მხოლოდ 2% დადის.

საშუალო ფენის ცხოვრების დონე მთელ ევროპაში საკმაოდ მაღალია, მაგრამ ეს დემოგრაფიულ სიტუაციაზე და მოსახლეობის სულიერ ცხოვრებაზე დადებითად არ მოქმედებს. საკმაოდ მაღალია სიცოცხლის ნებაყოფლობითი უარყოფის (სიუციდი), თვითმკვლელობის შემთხვევები ევროპაში. ევთანაზია კანონმდებლობით დამტკიცდა ბელგიაში 2000 წელს, რაც შემდგომ გავრცელდა დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში, აშშ

რამდენიმე შტატში, ავსტრალიასა და ისრაელში. სამწუხაროდ, ევთანაზიის ლეგალიზაცია სულ უფრო ვრცელდება დასავლეთ ევროპაში. ეს ხდება იმიტომ, რომ რელიგიური სანქსი და პრინციპები თანდათან იღვევება ევროპის საზოგადოებრივი ცხოვრებიდან<sup>1</sup>. ღვთის მორწმუნე თავს არ მოიკლავს, რადგან მას ამისი უფლება არა აქვს. მუსულმანური სამყარო უფრო რელიგიურია, ამიტომ თვითმკვლელობის შემთხვევები იმ ქვეყნებში ძალიან მცირეა. აბორტი, ევთანაზია, სტერილიზაცია ერთი მოვლენის ელემენტებია, რომელსაც უბედური სახელი სიკვდილის კულტურა უწოდეს. ადამიანს მობეზრდა სიცოცხლე ან მოურჩენელი ავადმყოფობა სჭირს, ან ტკივილებს ვერ უძლებს, მიმართავს ექიმს დახმარებისათვის და სასიამოვნო განწყობით მოკვდება. ვილაცას კიდევ შვილების გაჩენა არ უნდა და სტერილური გახდება. ყველაფერი ეს ფულია თანაც და დიდი ფული-ჩასახულის მოკვლა, სამედიცინო დაზღვევის მითვისება, მზრუნველობისაგან თავის არიდება. ამას ლამაზი სახელიც შეურჩიეს-თავისუფლება, როცა უფლება გაქვს გააკეთო ის, რაც შენ გინდა. არადა თავისუფლება იმ ადამიანის შემოქმედებაა, რომელმაც ცოდვები მოინანი და ახლა თავისუფალია ისევე ემსახუროს თავის ხალხსა და ქვეყანას. თავისუფლება, რომელსაც ლიბერალები ქადაგებენ, სინამდვილეში ფულის მონობაა. რაც უფრო ნაკლებ შრომას დახარჯავს სახლში, მით მეტი ენერჯია დარჩება სამსახურისთვის, რაც მეტი თანხა ექნება, მით მეტს გადაიხდის, რაც უფრო მალე გახდება ავად, მით უფრო მეტი თანხა დარჩება სამედიცინო დაზღვევაზე. რაც მისი ჰგონია, კაი ხანია, რაც სხვისია. რუსი პენსიონერის 10 წლით სიცოცხლის შემცირება მლნ. მანეთის ეკონომიას იძლევა. ღმერთს სულსაც ვერ აბარებს, რადგან მღვდლისთვის აღსარება არ უთქვამს. მორწმუნეს კი სიკვდილის არ ეშინია და მის შესახვედრად ემზადება. ეს რაღაც საშინელი, არაადამიანური აზროვნების ტიპია. ასეთი ტიპის აზროვნების ადამიანებისთვის ევთანაზია შორეული ხედვაა. ევროპის ხალხები ძალიან სწრაფად ბერდება, რაც ამ სახელმწიფოების მომავალს დემოგრაფიულ საფრთხეს უქმნის<sup>1</sup>. ევთანაზია თავისი კულტურული შეფუთვებით შეიძლება დასავლეთ ევროპის ქვეყნების ძველი თაობების მასობრივი მოშორების მეთოდი გახდეს, მითუმეტეს კაცობრიობის არსებობის ველური პერიოდი სავსეა მსგავსი პრეცედენტებით.

სიკვდილის კულტურის სივრცის კიდევ ერთი შემავსებელია ერთნაირსქესიანთა ქორწინების კანონმდებლური აღიარება. აქ რაღაც უფრო ახალი უბედურების მოლოდინი იხსნება. ქორწინება კაცისა და ქალის შეერთების რიტუალია, რომლის ორგანიზაციული ფორმაა ოჯახი, სადაც ერთმანეთს უწყვილდება ორი საპირისპირო სქესი ადამიანთა მიდგმის გამრავლების მიზნით. ღმერთმა ჯერ ადამი გააჩინა და მერე შეეცოდა-მარტოს მოწყინდებოდა და ევა მისთვის შექმნა და დაუწყვილა მას, სიხარული მიანიჭა. ამ წინადადებიდან მარტივი ჭეშმარიტებანი ლაღადებენ. ოჯახი ქალისა და კაცის შეერთებაა, რომელიც ჯვრისწერის საიდუმლო სერობით მთავრდება. მათი მთავარი მიზანი შვილების გაჩენა, სწავლა და აღზრდაა. კაცის კაცთან დაწყვილებას ქორწინება არ ჰქვია, ისინი შვილებს არა თუ ვერ გააჩენენ, ვერც გაზრდიან, ხოლო მათ თანაცხოვრებას ოჯახს ვერ

უნოდებ. გამოდის, რომ ერთნაირსქესიანთა ქორწინება სპეკულატური ტერმინია და სრულიად გაუგებარია ტერმინი ერთნაირსქესიანთა ოჯახი. მაგრამ რაც უფრო დრო გადის დრო, მით უფრო ხშირად გვესმის ამ სპეკულატური ტერმინების "მოქალაქეობა" და გვერდს ვერ ვუქცევთ ერთნაირსქესიანების ხვევნა-კოცნის პროპაგანდას. აი, სანამდე შეიძლება მივიდეს უღმერთო ადამიანი, აი, რა შეიძლება იკადრონ სიყვარულისა და ოჯახის დასანგრევად. აი, რა დონეზე შეიძლება დაუპირისპირდნენ ლიბერალები მართლმადიდებლობას, რელიგიას.

ზემოთ ნახსენები სპეკულატური ტერმინები ოჯახის სინმინდის შებლაღვას ემსახურება და უფრო მეტიც, ადამიანების მასობრივად დამონებას. მკითხველო, თქვენ ალბათ გახსოვთ ამ სიგნის წინა თავებიდან, როგორ დაამკვიდრა პირველმა როტშილდმა ოჯახის წევრებს შორის ქორწინება, რათა მათი სიმდიდრე სხვებს ხელში არ ჩავარდნოდათ. ეს მაშინ მათი ოჯახური საიდუმლოება იყო, ამისი გამხელის სირცხვილს ეშინოდათ. ამის მერე, როგორც იტყვიან, რამდენმა წყალმა ჩაიარა, ამრავლეს როტშილდებმა კაპიტალი და მსოფლიო ფინანსურ მაგნატებად იქცენენ. სიხარბის გამო იქცნენ ფულის მონებად და ახლა მსოფლიო მოსახლეობის სულიერი დამონება უნდათ სხვა თავისნაირ ფულის რელიგიის მსახურებთან. ინკვიზიცია არ ყოფილი ისეთი საშიში, როგორც ესენი არიან, ვინაიდან მათ უკვე საკუთარი გამოცდილებით იციან თუ რა იოლად მართვადია ადამიანი, რომელიც სიმდიდრეს დახარბებულია და სულიერი ცხოვრება არა აქვს, ვინაიდან სულში ფული სანთლად უნთია.

ქართულ ეკლესიას მტრებთან და ურწმუნოებთან ბრძოლის დიდი გამოცდილება აქვს და აქ იგი მენინავე პოზიციაზეა. ლიბერალობაა მისი ყველაზე სასტიკი მტერი, რომელიც ფულით სულში მოუძვრება ადამიანებს. მას ახალი, სრულიად განსხვავებული ეპოქის შექმნა უნდა, სადაც არ იქნება მართლმადიდებლური რწმენა, ქართული ეკლესია, ვალდებულებები, პასუხისმგებლობა, ოჯახური სინმინდის ტრადიცია, საქვეყნო საზოგადოება და ადამიანის ქცევა დამოკიდებული იქნება კანონის უზენაესობაზე, რომელსაც უმცირესობა (მსხვილი მესაკუთრეები მათი მომსახურე პოლიტიკური კლასი) შეიმუშავებს დემოკრატიული შეფუთვებით ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით. თუკი ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოება განვითარდება, მაშინ ქართული ეკლესია მრევლის გარეშე დარჩება, ვინაიდან სამოქალაქო საზოგადოებას არა აქვს მთლიანობა და იმ ადამიანებისაგან იქმნება, რომელთაც ერთმანეთთან კერძო პიროვნული ან სამსახურებრივი ინტერესები აკავშირებთ. ადამიანი ღირებულია იმდენად, რამდენადაც კანონს იცავს და კანონი იცავს.

ქართული ეკლესია ღმერთს უსმენს და მაცხოვრის მცნებებით ცხოვრობს. მან იცის, რომ ღვთიური მადლი კურთხეულ შრომას მოჰყვება და ლოცულობს და დაულაღვად შრომობს თავისი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. მართლმადიდებლობა ერთიანია და არ არის უფლება ღვთისაგან, არ ესაუბრო რუსულ ეკლესიას, რუს ხალხს. ეს



ძილს უფრო ხობს ლიბერალებს და რუსებთან ნებისმიერ მოსაუბრეს მტრის ხატად აჩვენებს.

## დასკვნა

განათლებას თავიდანვე კეთილშობილიური მიზნები ჰქონდა და ამიტომ იყო, რომ კაცობრიობამ მოკლე დროში არნახულ წარმატებებს მიაღწია. ბოროტი აზროვნება მაშინვე მიხვდა განათლებისა და მეცნიერების ძლევამოსილებას და მას ზნეობრივი ჩარჩოები მოუშალა. მეცნიერება ხალხების დაშინებისა და განადგურების იარაღი გახდა. მეოცე საუკუნის მცირე ომები და კონფლიქტები, კაცობრიობის ყველაზე სისხლიანი და უბოროტესი მეორე მსოფლიო ომი ამისი ფაქტურაა. როგორც ჩანს, ბოროტი გონი უფრო აქტიურია. მარცხი ხშირად ნაქცეულს უძლურებაში კი არ აგდებს, აგრესიულს ხდის და დასუსტებული ენერგომარაგის შევსების ახალ იმპულსებს პოულობს. გამარჯვებულს სიდიადე ათრობს, დამარცხებულს დაცემა ძილს უთეთრებს და სწრაფად ფეხზე წამოდგომა სწადია. ნაქცეული მასონური თუ ბოროტი გონი არ დაეცა სულიერად, არც იმის შეგნება დაუკარგავს, რომ განათლებისა და მეცნიერების მიღწევების საფუძველზე ყველა წარმატების მიღწევა შეიძლება ანუ განათლება და მეცნიერება საკუთარი მარცხის თვითმემცველია. ეს არის ანტიმეცნიერება, მაგრამ არა ტრადიციული გაგებით, როცა გულუბრყვილოდ სჯერათ, რომ რასაც ემნიან, მეცნიერება ჰგონიათ. აქ მხედველობაშია სრულიად საწინააღმდეგო მოვლენა, როცა ყველაფერი კარგად უწყიან, კერძოდ ის, რომ რასაც გვთავაზობენ იციან, რომ არ არის მეცნიერება, მაგრამ იმდენი ავტორიტეტი და გავლენიანი ინსტიტუტი ავრცელებს მას, რომ მოსახლეობის მასას მის ჭეშმარიტებაში ეჭვის შეტანა არ შეუძლია. ასეთია, მაგალითად, პროლეტარული რევოლუციის, საზოგადოების ინდივიდუალიზაციის ანუ მერიზმის, საყოველთაო კეთილდღეობის, კონვერგენციის, ვაჭრობის თავისუფლების, სოციალიზმისა და კომუნიზმის, მსოფლიო სოციალიზმის, ეკონომიკური ლიბერალიზმის თეორიები, გლობალიზაციისა და დემოკრატიზაციის სპეკულატური კონსპირაციები. დღევანდელი საზოგადოება ფსევდომეცნიერული ცოდნისა და ყალბი ინფორმაციების ტყვეობაშია. ე.წ. თავისუფალი ბაზრის ეკონომიკა ძარცვის ინსტიტუტია უმსხვილესი ტრანსნაციონალური კორპორაციების ხელში სხვა ქვეყნების ბუნებრივი რესურსების მისატაცებლად. ნაკითხულიდან, გაგონილიდან გულუბრყვილოდ გვჯერა, რომ უცხოური ინვესტიციები ქვეყანას ააშენებენ. უცხოელების ხელშია ენერგეტიკა, წყალი, გაზი. ეშველა ქვეყანას? პირიქით ხდება. ტარიფების გაზრდას გვპირდებიან და შეგვისრულებენ კიდევ. სულს გვხვდის დოლარი. გამოსწორდა რაიმე? ფულის კურსების გაზრდის მიზნებსაც ვერ ვაგნებთ, ვერ დაგვიდგენია. ყველა თავისებურად სჯის და არაფრად აინტერესებს, რამდენად მართალია იგი. არც იმისი დარდი აქვს, რომ შეიძლება სისულელეს ამბობს და სირცხვილია. რა დროს სირცხვილია, ის ახლა ცნობადი სახეა, ექსპერტია; ფულს იხდიან. ესეც დღევანდელი ნოვაციაა. რაც უფრო მეტ ფსევდომცოდნეს მიეცემა ტრიბუნა, როგორც ვირს კრიალოსანი, მით უფრო ღარიბი იქნება საზოგადოებრივი აზროვნება, და მით მეტი პრეტენზიები გაჩნდება მოსახლეობაში და ადამიანები უფრო ღრმა გაუგებრობაში იქნებიან. ფაქტები სახეზეა. ამოგვიჩვენებია: რუსეთი დაგვესხა თავს 1921

წელს, რუსებმა დაგვიპყრეს და ა.შ. 1917-1929 წწ. რუსეთს ჰყავდა თავისი ეროვნული ხელისუფლება? განა ამ პერიოდში თვითონ რუსეთი არ იყო უზურპირებული მასონთა მიერ? განა ეს პერიოდი ტრაგედია არ იყო რუსეთისათვის? ლენინი, ტროცკი, სვერდლოვი, რიკოვი რუსეთის ინტერესებს გამოხატავდნენ? ჩვენ ვქმნით ფსევდო ცოდნას, რომელსაც მერე საზოგადოების გაუცნობიერებელი ნაწილი არგუმენტებად იყენებს და ქვეყანას მძიმე კრიტიკულ ვითარებას უქმნის. მართლაც რომ დაიშალოს რუსეთი, როგორც ამას გაუნათლებელი მასა გაჰყვირის და რასაც დასავლეთი დიდი ხანია ცდილობს, წარმოუდგენიათ კი საქართველო რა დღეში აღმოჩნდება? ან იარსებებს კი იგი საერთოდ? ჩვენ კიდევ უარესობა გვინდა?

რა ტრაგიკული ყოფილა მატერიალურის სულზე გამარჯვება. ადამიანს ახლა არ აინტერესებს არაფერი, პირადი კეთილდღეობის გარდა. იგი საზოგადოებას გამოეყცა და ინდივიდუალურ არსებად იქცა, რომელსაც განუკურნებელი ავადმყოფობა-ჰედონიზმი სჭირს, მოხმარება სიამოვნებას ჰგვრის. უნდა ჰქონდეს ნაირგვარი ჩასაცმელი, დასახური, სჭამდეს, რაც მოსურვება, მაგრამ არ გასუქდეს, გაიკეთოს პლასტიკური ოპერაციები, რათა უფრო თვალის მიმტაცე გახდეს, იგორაოს იმასთან, ვინც თვალში მოვუა, იცხოვროს იქ, სადაც მოეწონება. ასაკი არ მოსწონს, მარადიული ახალგაზრდობა სწადია, ოჯახი მისთვის ტვირთია, მშობლები-საპალნე ტანჯვა, ცნობადი სახე უნდა იყოს, სადღაც იბეჭდებოდეს, ტელევიზიით უნდა რომ სჩანდეს, რათა სხვებს შურდეთ. შვილი, იშვიათად შვილები მისთვის ხელსაყრელია იმდენად, რამდენადაც ეს მის ინტერესებს აკმაყოფილებს. ფიქრადაც არ მოუვა თუ რა ღარჩება მისი სიკვდილის შემდეგ. გარდაცვალება არ ესმის რა არის და არც აინტერესებს სიკვდილზე მისი უპირატესობა. მას მხოლოდ სამყაროს ჩაყლაპვა სურს. ამნაირ ორთვეს კონსტრუქციებს ადამიანური არაფერი შემორჩათ ფიზიონომიის გარდა. ასეთი გადაგვარებული ადამიანები სიცოცხლის გასაგრძელებლად გამოუსადეგარი არიან. იმათი მომავალი დღითიდღე მოკლდება. შეუძლებელია მათი შემობრუნება პირით ნამდვილი ცხოვრებისაკენ. მეორე უბედურება კიდევ ის არის, რომ უმწიფარი აზროვნების აყოლიება შეუძლიათ.

ადამიანის მარადიულობა არ გამოიხატება მხოლოდ საიქიო ცხოვრების უსასრულობით. მარადისია იგი როგორც ცოცხალი შემოქმედი. ბორბლის გამოგონებამ კაცობრიობას აჩქარება მისცა. კომპიუტერი ადამიანის ბუნებრივ შეზღუდულობას ხსნის და მის კრეატიულობას გასაქანს უზრდის. მომავალი არა აქვს იმ ხალხს, იმ თაობას, რომელიც სიცოცხლის მარადისობის ფუნქციონალურ დატვირთვას გაურბის და შემოქმედის ნაცვლად მომხმარებლად იქცევა. ქართველ კაცს დღეს ისე სჭირდება ეროვნული ხელისუფლება, როგორც არასდროს. დასაცავია იგი არა მხოლოდ გარედან მტრის შემოსევისაგან, არამედ ცრუ ინფორმაციებისაგან და ყალბი, ფსევდო ცოდნისაგან. 30 წელიწადია უპატრონობა სტანჯავს ქვეყანას, შინააშლილობის ეპიდემია დროდადრო იღვიძებს და მუსრს ავლებს მას.

ნუთუ სულ დაიცალა ქართული ეროვნული ენერჯია! არ ივარგებს უარყოფითი პასუხის გაცემა. ბევრი შეშინებულია და ქვეყნის მომავალს ვერ ხედავს. ერთი ხელის მოსმით მათი გამეტება ღირსების საქმედ არ გამოდგება. ვინაიდან ზედაპირული თვალსაზრისით, ისინი ნაწილობრივ მართლები არიან. მეორეს მხრივ, აჩქარებულები სჩანან, ვინაიდან ჯერ ის მიზეზები ვერ გაგვირკვევია, რის გამოც ამ ვითარებაში ვართ. ქართული აზროვნება შეშინებულია და გაბედულად ვერ გამოუთქვამს, რომ ახლა იმაზე უარეს

მდგომარეობაშია, ვიდრე ის საბჭოთა ხელისუფლების რომელიმე პერიოდში იყო. ახლა თავისუფლები ვართო-იხტიბარს არ იტყვენ გასული საუკუნის 90-იანი წლების რევოლუციონერები. ჰო, ამას უორდანიას მთავრობაც იბრალიდა. არადა მაშინდელი უდღეური მთავრობა გერმანიისა, საფრანგეთისა და ინგლისის პოლიტიკის ნაწილი იყო, ისევე როგორც მეოცე საუკუნის 90-იანი წლების დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ხელსუფლება ამერიკის პროტექტორატი. პიროვნების თავისუფლება ადამიანის უფლებების სახელმწიფოებრივი დეკლარაციის ნორმატიული დოკუმენტებით არ განისაზღვრება. თავისუფლების მატარებელია ხალხი, რომლის ნორმატიული სივრცეა სახელმწიფოს კანონმდებლური ნორმატივები. ისინი ყველა შემთხვევაში თავისუფლების შემზღუდველებია, ვინაიდან თავისუფლება დინამიკურია, მაგრამ როგორც შინაარსის ფორმა უფლებები თავისუფლების გაშლას უნდა ემახურებოდეს. ადამიანის ნამდვილი თავისუფლება მხოლოდ ნაციონალურ ქვეყანას სჭირდება, როგორც პიროვნული ინტელექტუალური შესაძლებლობების რეალიზაციის ფორმა და პირობა ანუ თავისუფლება გენეტიკურად ეროვნულია. ფინანსური იმპერიის სივრცეში თავისუფლება ეროვნულობას ჰკარგავს და უფლებების ზონაში შედის. ადამიანის სახმარი ღირებულება იზრდება ზნეობისა და ეროვნული ფასეულობების გარეშე.

ნაცვლად იმისა, რომ წარსული კრიტიკულად შევისწავლოთ, ხელაღებით ვინუნებთ მას ან მიბრუნება გვინდა მასთან. ამ ორი უკიდურესობიდან თავი ვერ დაგვიღწევია. მოსახლეობას უახლოესი წარსულის ჭეშმარიტ შეფასებაზე ხელი არ მიუწვდება. ამიტომ ვინც რა ინფორმაციას მიწვდა, იმის მიხედვით აღიქვამს წარსულს, ბევრი კიდევ იმ წარსულის შემოქმედია და რაც თვალით უნახავს, რაზეც ხელი მიწვდომია, რა დაავინწყებს. მოსახლეობის ნაწილს ევროპისაკენ უჭირავს თვალი, ხოლო ნაწილს-რუსეთი ესიზმრება და ენატრება. უიმედობა უცოდინარობის შობილია. რატომ ვუვლით გვერდს იმის ფაქტურას, რომ სსრკ დაანგრის მისმა საზღვარგარეთელმა მოწინააღმდეგეებმა კომპარტოკრატის ხელით. ეს იყო წლების მანძილზე უმაღლესი ინტელექტების მიერ დამუშავებული პროგრამა, რომელიც ნახევარი საუკუნე ეტაპობრივად ხორციელდებოდა. საქართველო აქ დასავლეთმა ჯერ დროშად გამოიყენა, მერე ეკონომიკურად დააუძღურა და არასრულფასოვანი ქართველობა ხელისუფლებაში ჩააყენა, რომელიც ახლა საკუთარ ხალხს კუდის რიკამდე ატყავებს და თან აყვედრის: სოციალიზმში მონა იყავი და ახლა თავისუფლი ხარ. არასდროს 1921-1991წწ. რომელიმე პერიოდში ქართველ ხალხს ამნაირი მძიმე ეკონომიკური ხვედრი არ ჰქონია. ამას საიდუმლო სტატისტიკური მასალების მოძებნა არ სჭირდება, ეს თვალხილული სინამდვილეა ისევე, როგორც ის აზრი, რომ საქართველო სოციალიზმში ვერ დაბრუნდება და ვერც თავიდან მართო ააშენებს მას. ქვეყნის გადარჩენის გზებს არავინ ეძებს, ყველა თავისთავზე არის შეყვარებული, არც მენშევიკურ მთავრობას დაღამებია სამშობლოზე ფიქრში-ხან გერმანელების, ხან ფრანგების, ხან კიდევ ინგლისელების იმედზე იყო. დაბოლოს ყველამ მიატოვა უპატრონოდ, მერე თვითონ ქვეყანაც მიატოვეს, რომელიც რუსეთისა და ოსმალეთის გასაყოფი ნადავლი შეიქმნა. აკი გაინანილეს კიდევ. არ აღმოაჩნდა საქართველოს მენშევიკურ მთავრობას ქვეყნის ხელმძღვანელობისთვის საკადრისი პოლიტიკური ნიჭი და პროფესიული ცოდნა. ვერც იმის შეგნებამდე ავმაღლდით, რომ საკუთარი უსუსურობა ვალიართ, ჩვენთან ყოველთვის სხვები არიან დამნაშავენი, ვინაიდან მოგვატყუეს, გვიღალატეს, შეგვაყდინეს, სიმრავლით გვაჭობეს, დაგვეხსნენ

თავს მოულოდნელად. ანდა ეს ბოლო 25 წელიწადი გადავფურცლოთ დღეიდან წინისაკენ. რა გამოვიდა, ქვეყანა დავაგლახავეთ და სულის ამოხდამდე მიგვყავს. ქართული ნაციონალური ენერჯია არსებობს, მაგრამ იგი სუსტია და ფინანსურ იმპერიას კლანჭებში ჰყავს მოქცეული. დაარბია ნაციონალებმა ქვეყნის ეროვნული სიამაყე-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაგრამ აღმოაჩნდა კი დიდ მეცნიერებს მხარდამჭერები? ბევრი ნერვიულობისაგან გარდაიცვალა, საზღვარგარეთ იპოვა თავშესაფარი რამდენიმემ, ბევრი კიდევ ხელისუფლებას გაურიგდა და თავი „გადაირჩინა“. დარჩა მაინც ნაწილი ეროვნული ენერჯისა, რომელსაც ერის ხსნა შეუძლია, მაგრამ როგორც უკვე ვთქვი, ისინი ფინანსურად იმდენად უძლურები არიან, რომ ერის წინამძღოლობას ვერ შეძლებენ. ერთადერთი ძალა, რომელსაც ნაციონალური ენერჯის შეკრება და გაძლიერება შეუძლია მხოლოდ ჩვენი მართლმადიდებლური ეკლესიაა. საეკლესიო პირი ქვეყანას ვერ მიატოვებს, ვინაიდან იგი მრევლის გარეშე არ არსებობს, მას სხვა დასაყრდენი არ გააჩნია. მოსახლეობა ეკლესიის მორჩილი და მოიმედება. ხელისუფლებისადმი მისი ნდობა სწრაფად დაეცა და ახლაც ინავლება. ამიტომ ეკლესიას ყოველმხრივ უტევვენ. ცალკე პატრიარქს ლანძღავენ, ცალკე მართლმადიდებლობას, მასმედია ერთხმად აღვირახსნილობას ქადაგებს და ახალგაზრდობის დიდი ნაწილიც გადაიბირა. პარტიულ ჯგუფებს თავიანთი მრავალსახეობის მიუხედავად სახელმწიფო მართვის სტრატეგიული კურსის გამომუშავება და მისი ეტაპობრივი რეალიზაცია არ შეუძლიათ, ვინაიდან ყოველთვის ნახავენ ერთმანეთს შორის საერთო ინტერესებს და კოჰაბიტაციზმზე შეჭერდებიან ან ერთმანეთს გადაემტერებიან და ისევ ქვეყანა და ხალხი დაზარალდება. სამშობლოს წინსვლისა და განვითარების ინტერესებს ელიტარული საზოგადოება უნდა აკონტროლებდეს, რომელიც ჩვენში არსებითია და განცალკევებული.

ეროვნული ინტელექტუალური ენერჯია დანაწევრებულობიდან, გაფანტულობიდან ერთ მთლიან ძალად უნდა შეიკრიბოს. ასეთი განცალკევებული ეროვნული კლასტერებია ქვეყნის უმაღლესი ავტორიტეტის ინტელექტუალები, მართლმადიდებლური რელიგიის წარმომადგენლები, ომის ვეტერანები, პენსიონერები. ამის გათვალისწინებით სწორად მიმაჩნია თვითოეული ჯგუფიდან, წარმომადგენლობის საფუძველზე, დარბაზის ან ეროვნული სათათბიროს შექმნა, რომელიც ხელისუფლებასთან ითანამშრომლებს და ქვეყნის სტრატეგიული კურსიდან გადახვევის ან ვიწრო კლანური ინტერესებზე ორიენტაციის შემთხვევაში თავის ავტორიტეტს გამოიყენებს და ხელისუფლების უმაღლესი ემელონების ცალკეული ჯგუფების პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებს ან მათი სრული შემადგენლობის გადარჩევის მიზნით ხალხს მიმართავს.

## მტანჯველი აზრები

ჭამის მოყვარული ადამიანი, ღორზე უფრო გაუმადლარია.

ვინც მიწიდან არ მიდის, ყოველთვის ღრუბლებში დარჩება.

არ გინდა ხალხმა შეგიყვაროს? ამას ვერ ჩააწყობ, ფულიც ვერ დაგეხმარება. ქვეყნისა და ხალხის მსახურება უნდა შესძლო. ღმერთთან საუბარი შეგიძლია?

უფერულ სიცოცხლეს მხოლოდ მსხვერპლის ფასი დარჩა.

ახლა რომ აქ შენი სახელი დავწერო, გმირი გახდები, მაგრამ, რა თქმა უნდა, ყალბი. ნამდვილი კრეტინი ხარ, ვინაიდან შენი ბიოგრაფიიდან ბინძური, უსახელო წარსული გინდა ამოხაზო და ანგელოზად იქცე. დამპალი ჯიშის ხარ, უსახელო, არაფრისმეტყველი, უმადური. დაგჭირდება და ისევ იმისი სახელი გიხსნის, ვისი გვერდის ავლა გინდა შენი უჯიშო საგვარეულოდან, შენი შეგინებული ცხოვრებიდან. ბიოგრაფიას ჩვენ არ ვწერთ, ბიოგრაფიას დრო წერს ისე, რომ იქედან სტრიქონიც არ იქნება უსახელოდ მიწერილი.

ებრაელმა ხალხმა უდაბნო წალკოტად აქცია. ქართველები ყველაფერს ვცდილობთ ღვთისაგან ნაბოძები წალკოტი უდაბნოდ გარდავექმნათ. ამ უზნეობიდან ფეხზე წამოდგომა არ გინდა? ან წამოვდგებით კი ოდესმე?

ლია, ერთმა უგუნურმა და მაღლიერებისაგან დაცლილმა გამახსენა თავი, თითქოს მისი ბინძური ხვედრიდან სახელოვან გზაზე არ გამეყვანოს. ახლა ეს თურქეთის ხარჭა, ყვავის არ იყოს, ნაგავზე ზის და ბოლოზე იყურება. (lia bibileiSvili gamomexmau axal rom>>

როცა გიჟს ჭკუას თხოვ, შენც ახლოს ხარ მასთან.

დალიეთ გერმანული ლუდი ჰიტლერს რომ უნდა მოერთმია და სტალინმა აქამდე გადაგივადათ. უმადურობავ, ნეოლიბერალი გქვია შენ!

გენიოსის ბიოგრაფიის წაკითხვის შემდეგ: მე არაფერი მინდა თქვენგან, ისწავლეთ ჩემგან.

ადამიანი არის ის, რაც მიწის ზევით რჩება, რაც მიწას მიაქვს, ნაგავი ხდება.

გადავჯგუფდეთ ნამდვილ ქართველებად და დანარჩენ ხარბებად, და ამაღლებულებად. გადავრჩებით კი არა, ახალი სიმალლის საქართველის გამოვიძახებთ.

როცა ზნეობა ეცემა, ადამიანი პირუტყვზე დაბალი ხდება.

ახლა სიცოცხლე სამშობლოს სჭირდება. სამშობლო სიცოცხლეზე უმთავრესია..

გენიოსი იყო გორელი: ჩამორჩენილებს სცემენ, და თანაც როგორ! მგელი სუსტ ირემს იჭერს, ძლიერი გაქცევით შველის თავს.

ზაურ, მესმის შენი, ვინაიდან მსაგვის ხშირად ხდება. ცოდნის წინ ენაზე ავრესია და სიმპატი-ანტიპატი ანთია და "კოკასა შიგან....გაიჭრა წინ საშუალი და მდაბიო აზროვნება და გახდა თეიმურაზ ხევისთავი ჯაყოს ხიზანი. წინ აღზვევული, გაბოროტებული, უსირცხილო, ტყვინგამორეცხილი ბრბო გაიჭრა, რომელიც ქვეყანას გადაშენებას უქადის.

როცა სული გაგექცევა სიამოვნებისაკენ, ღორობა ღორზე დაბალი ხდება ანუ ღორი ადამიანზე მაღალი.

სიკვდილს თუ გარდაცვალებით არ აჯობე, ქვეყნის სიმძიმე ყოფილხარ.

უდიდესი განსაცდელის წინაშე ვართ: ყველას დაუგრძელდა ენა ქვეყნის საქმეზე, როცა საკუთარი ოჯახის მართვა არ შეუძლია, ავისა და კარგის გარჩევა მისთვის პრობლემაა. აზრის პატივისცემა უნდა ვისწავლოთ; მეტი სიღინჯე გვმართებს. სატელევიზიო და ტრენინგული განათლება გვიბნელებს ტვინს. ცოდნა აგვერია ფსევდოცოდნაში.

ჩვენ უკვე ჩამოვყალიბდით კლასებად-პარაზიტი და დაჩაგრული უმრავლესობა. ამას სისხლი მოყვენა. აქ შერიგება შეუძღვარი მცდელობაა.

ქართველი ხალხი ხელისუფლებაში ყოველთვის ხსნას ხედავდა, პატრონად აღიქვამდა. ახლა მის მიმართ სრული უნდობლობა აქვს და სამართლიანადაც.

როცა პატრონი ვერ პატრონობს, ჯაყო სახლიდან გაგავდებს.

გაზაფხული შემოსულა. გაუმწვანებია მიწის გული. ხეების ძირებში სიმაღლეში ერთმანეთს ეჭიბრებიან კვარაკუნჩხები, იები, ენძელები, ფურისულები, ნარცისები ყანჩებით წამომართულან, ყელყელაობენ. გამახსენდა...მაშინ ამ იაიასნაირი ზედატანი გეცვა ენძელასფერი საყელოთი, რომელსაც ენძელასავით წვეტიანი ბოლოები ჰქონდა. უხდებოდა ფურისულასავით ნაზსა და მორცხვს იმის ფარისას შენი სახე.

გაიშალა მესხიერების ლამაზი ფარდა უმწიკვლო გრძნობის და სისპეტაკის, ცეცხლად რომ იწვის, სული გამცდარი სიმდაბლის მიწის, სული რომელიც მალლა და მალლა, სულ მალლა ილტვის...

გაზაფხული შემოსულა, დედისა და შენი დაბადების დღეც მოუტანია, გილოცავ!

გაზაფხული ახალი დაბადება, სიცოცხლის ამოფრქვევა, გულის ამოვარდნა, მოუსვენრობაა, ახალი სიმღარაა. იმღერე, სიმღერა სიცოცხლეა!

გაზაფხული შემოსულა ნაილ!

თებერვალს ეწყინა თავისი ნაკიანობა და გაბრაზებულმა მარტის ყვავილებს თოვლი მიაყარა. არ აპატიო მარტმა თებერვალს თავხედობა და ჯერ მზიანი თვალი მოუჭუტა, მერე წვიმა მიაშველა. იღვრება ახლა თებერვლის მორცხვი თოვლი ცრემლებად და ნაკადულებად მიედინება, რომ დედის დღეზეც არ იყოს შერცხვენილი.

უბედურებაა შეგეძლოს და არ გინდოდეს გახდე უკეთესი.

ენა ყოველთვის პირში უნდა გქონდეს.

[Ramaz Namicheishvili](#)

9 მარტი, 2017, 16:36-ზე ·

როცა ჩვენს ყოფას გვერდიდან შეხედავ, ცეცხლი წაგევიდება: რამდენი უნიჭიერესი, ტალანტი და მაღალი კვალიფიკაციის ადამიანი მონყვეტილია საერო საქმეს და ხელისუფლება უნიჭო გონებას უპყრია.

**2 წლის წინ**

გუშინნინ, გამოპრანჭულმა ტელე-"ექსპერტმა" დაგვმოძღვრა: მართლა სტალინის ეპოქაში ხომ არ უნდა დავბრუნდეთო. როგორც ჩანს, ამას სტალინი დახუნდარა ჰგონია, ხოლო ეპოქაში დაბრუნება-შესაძლებელი. აქ სიმპატია-ანტიპათიაზე, სიყვარულზე და სიძულვილზე კი არ არის საუბარი, არამედ უცოდინარობაზე. ამნაირი "აზროვნების" ხალხი რომ გამოვჭიმეთ წინ, იმიტომ მიდის საქმე უკან-უკან. განათლება ჯერ დაანგრის და ბიზნეს-კანტორად აქციეს, ახლა ყველაფერს იწუნებენ "რწყილი და ჭიანჭველადან"" ვეფხისტყაოსნამდე". გალაკტიონს თურმე ის არ სცოდნია, რომ მთაწმინდას თავისი მთვარე არა აქვს. ამაზე გაცინება არ შეიძლება, ეს ტრგედიია: აზროვნება ირყვნება და ჩვენც სასტიკ ჟამს ვუახლოვდებითო.

9 მარტი, 2016, 11:16-ზე .

წარმოუდგენლად ძნელია 8 მარტის მილოცვა ჩვენი ძვირფასი ქალბატონებისათვის. მინიმუმ 1,5 მილიონი ქვეყნიდან გაჰყარა კაცებმა და ახლა ქალის როლის შესრულებასაც ცდილობენ. რამდენი ბებია, დიასახლისი, დეიდა, მამიდა, ბიცოლა, ნათლია, ნათლული აკლია ქვეყანას, და მარტის მზესაც სცივა და სტკივა. ქალბატონებო! უყვირეთ კაცებს, თუ ჰქვიათ კაცები და ბიჭებს, თუ დედები უყვართ, რომ ქალები დაბრუნდნენ თავიანთ სამშობლოში, და სამშობლოში რომ ლუკმა პურის საშოვნელად დილიდან საღამომდე ბაზრებში დგანან-სახლებში დაბრუნდნენ. კაცები დამნაშევენი არიან ქალები წინაშე. ეს მერამდენე სირცხვილია ქვეყნისა, ქალებისთვის ვერ მოუვლია.

რაო, სიტყვის თავისუფლებაო? „დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა. ის იყო დასაბამიდან ღმერთთან“ (ხარება იოანესი 1: 1). ადამიანის თავისუფლება ღმერთთან მიახლოების ხარისხია. განა ღმერთი თავისუფლებას იძლევა. ღმერთმა ადამიანს მისცა უნარი იპოვოს თავისუფლება. ამიტომ სიტყვის თავისუფლება კი არა, სიტყვის უფლება არსებობს. სიტყვის თავისუფლება გამონაგონია.

იდეოლოგია, პოლიტიკა და სინამდვილე ხშირად სხვადასხვა სიბრტყეშია. არ ვარგა აჩქარება. მეტი რუდუნებითი შრომაა საჭირო. პირადი შეხედულებების გულწრფელობა სინამდვილის ურაცოფა ვერ იქნება. გენიოსების ეპოქაში ჩახედვა ისევ გენიოსებს შეუძლიათ. სხვებს გენიოსები ეპატარავებათ. ეს მხოლოდ სირცხვილია. ამით არაფერი იცვლება. თავს ვკარგავთ.

მადლობა ყველა იმას, ვინც ჩემთან უღირსი იყო და თვითონ გამეცალა.

ჩვენს ტრადიციულ ზრდილობას, სირცხვილს, თავშეკავებას- სიცილს აყრიან, ჩამორჩენილობა ჰქვიაო

ჭკუანადობი წარსულში მხოლოდ სიგლახეს ეძებს. ამიტომ მას მომავალი არა აქვს, გათენებიდან გათენებამდე ცხოვრობს. ჰო და, არა აქვს იმის სიცოცხლეს რაიმე აზრი.

ყველას რომ თქვენი დედა გიყვართ, გასაგებია. მაგრამ გიყვარდეს ქალი დედა, ეს სხვა სიმაღლეა.

აიჭრა ჭკუიდან ბევრი: ერთია ნეოლიბერალების საქართველო და მეორეა სამშობლო.

გააჩერეთ, ბაბუს უნდა დავემშვიდობო!

მანქანა გააჩერეს, ჩამოდის.

ბაბუ, მოდი ყურში რალაც უნდა გითხრა.

ა, ბატონო.

ბაბუ, მიყვარხარ, რომ ჩამოვალ, საჩუქრებს ჩამოგიტან.

სიცოცხლის სიყვარული არიან პატარები.

ხატზე გადაცემულებს ვგავართ: სმა-ჭამის მეტი არფერი გვახსოვს.

ლონიერი აზრის ლექსად მჭედელი (შოთა ნიშნიანიძის პორტრეტზე მინაწერი).

ჟურნალისტები საერთოდ გაუზრდელდნენ. რესპოდენტებს ლაპარაკს არ აცლიან, საუბრის 80-85% მათ წილად მოდის. რისთვის ინვევენ სხვებს!

კაი გამოსავალი ნახეს-21-ე საუკუნეაო. მერე რა, ეს იმას ნიშნავს, რომ წარსული შეიგინო, ყველა საზღვარს გადახვიდე, ალფირი მიუშვა, პირი დაალო და თავს იმისი უფლება მისცე ჰკითხო ადამიანს ის, რისი გამხელაც არ შეუძლია და დაკითხო-რას ჭამს, რა აცვია და რატომ იმას არ ჭამს, რასაც შენ, ან რატომ ისე არ იცვამს, როგორც შენ მოგწონს. აუტანელი ხდება ინტერვიუების მოსმენა. უზრდელობა ზენიტში ავიდა.

ერთად ვიხსნით სამშობლოს ქართველი მტრებისაგან. ესპანური ანდაზა ყოფილა: ღმერთო გვიხსენი შინა მტრებისაგან, გარეშე მტრებს ჩვენც მოვერევითო. ახლა ეს ჩვენზეა მორგებული.

ემჩნევა ადამიანს როგორ ტოვებს სული მისი სხეულის ჭურჭელს და ფიზიონომიის ამარად რჩება. მერე ისიც არ მოსწონს და პლასტიკური ოპერაციების სერიალში ერთვება. და გვაქვს არა ღვთიური ადამიანი, არამედ რალაც სხვა.

ახლა ყველაფერი ახლოსაა. ამათი უმრავლესობა 18 წლის ზემოთ არ იქნება. ფული უნდათ. ინყება საღამო და მოაწყდებიან ღამის სათევველა საამქრო რესტორან-ბორდელს ხეიბრები, ბინძურები, დაუბანელები, აქოთებულები, მყრალები, ლოთები, შეუხადავები, ასკილოიანები, ინდაურის წონიანები, ეშმაკის მაშხალები, გარეული და შინაური მამრი ავხორცობა და მიდის ვაჭრობა სასტუმრო ბორდელის უფალთან... იპლაკებიან სახით ანგელოზები, სულით დამპლები ფულისთვის, რათა ხვალ მაძლარი იყვნენ, ლამაზად ეცვათ, საქონლად ვარგისი იყვნენ. ეს დღეს, მაგრამ ხვალ ესენი მეუღლებად გამოდგებიან თუ შვილები ეყოლებათ და დედები იქნებიან?... მრეცხავები და დამლაგებელი იქნებიანო-თქვა აბე ფილკენშტეინმა აშშ დასავლეთ სანაპიროს რაბინმა. ფულის სიყვარული სულის ტრაგედიაა. საიქიოდან მობრუნების იმედი დარჩა.



## დედა

დრომ შენს ამ ქვეყნიურ დასასრულს წელიწადი შემოუხაზა და შენს მარადიულ საცხოვრისს წინ ერთიანი დაუწერა. ბედნიერებაა, როცა გყავს დედა და ბედნიერი ხარ, როცა შეგიძლია მონატრებულ დედას ქალაქიდან მიაკითხო, ჭიშკარი მოულოდნელად შეალო და დაიძახო: დედა მოვედი, როგორა ხარ დედა...ისე, შენ მე გჯობივარ, დედა. შენ სულ პატარა დაგტოვა მამამან შენმა-ფრონტზე წავიდა და აღარ დაბრუნებულა. დედამ მოგაცილა გაჭალარავებამდე. შენ და მამა მე ლამის შუაკაცობის ასაკამდე მომყევით. მერე მამით დავობლდი, შენ 65 წლისას ჩაგაცვა შავები. 85 წელიწადს რომ გადააბიჯე, შენ სულ დამაობლე...ჰო, მამასაც ბუნდოვნად ახსოვდა დედამისი, ბებიამის გაუზრდია თურმე, მამამისი სახლში არ იყო, ფრონტზე ებრძოდა გერმანელებს. ასე ცალ-ცალი ობოლი როგორ შეიყარეთ: შენ მამაშენი არც გახსოვდა ლამის, როგორც მამაჩემს-დედა. და მაინც, რა ღმერთმა შეგაძლებინათ ნახევრად მიმქრალი კერიიდან ცეცხლი აგენტოთ, მარტოხელთ იმერული კოპნია ეზო-კარი გაგემართათ, ბარაქა შეგექმნათ და თვალისმიმზერი ორსართულიანი, გედივით თეთრი სახლი დაგებუდიანებინათ, მტრის დახვედრისა და მოყვრის სახლობა გაგეშალათ, აულებელი სუფრები გენყოთ, ლექსის ცნობილი მთქმნელებისთვის ნანატრი მასპინძლობა გაგენიათ, შვილებისთვის განათლება მიგეცათ. მერე კიდევ თბილისს არგაშორებული შენი ძვირფასი მეუღლე მოსკოვში ჩასულიყო შვილის დისერტაციის დაცვაზე და წითელ მოედანზე რძალსა და შვილიშვილთან ისე გაევილო, თითქოსდა პარადზე იყო და სტალინი, როგორც მამამისის ისე ესალმებოდა 1941 წელს ომის წინა ხაზზე გაცილებისას. ცრემლები მაშინაც ვერ შეიკავა იმ "მოსკოველ" შვილს რომ სამსახურში ესტუმრა და კაბინეტის კარებზე კათედის გამგის ტრაფარეტის ქვეშ მისი ბიჭის სახელი წაიკითხა: დოცენტი ესა ეს. შენც ხომ წაგსკდა სიამაყის ცრემლები, როცა მეუღლის პანაშვიდზე ლამის მთელი განათლებული ქუთაისი გისამძიმრებდა-ამას, რას მოვესწარი, ნეტავი მკვდარი მე ვყოფილიყავიო. მერე კიდევ მარტო ოცი წელიწადი ეწეოდი ცალფა მეუღლისა და ოჯახის უფროსის ჭაპანს. თვალეებზე ცრემლი მაინც არ შეგაშრო განგებამ და შენი საყვარელი რძალი გამოგაცალა ხელიდან, რომელსაც ქალიშვილის ეძახდი და ისიც გეძახდა დედას, სრულიად გულწრფელად. ახლა მთელი სუფრა მაქვთ გაგიშლია: მეუღლე, შუათანა შვილი, რძალი, დედა, მამა, და და ძმა...ნათესავეებს, შენს საყვარელ მეზობლებსა და სულ ძველებს ხომ თვლა აღარა აქვს.

გაზაფხული შემოვიდა, დედა. წამოიჩიტენ ყვავილები შენს ნაჯაფარ ეზოში, რომელიც იმ შენს ჭრელაჭრულა კაბას მახსენებს ბავშვობიდან რომ დამრჩა მესხიერებაში. ახლა ამ ეზოში ყველაფერი ჩუმი და შენი ფლოსტების ფლატუნიც აღარ ისმის, ჩემი ბავშვობის მოუსვენარ გვირილებს სიო თუ გადაუვლის, გააღვიძებს და ქოჩორივით გადავარცხნის იქეთ-აქედან. ეკალ-ბარდებშიაც გაუღვიძიათ ყვავილებს, უშნობა დასტყობია თქვენს ხელთქმნილ, ნამამგარ სახლისწინა ეზოს, ბროწეულის

ცოცხით რომ დაუვარხცნიდი ამოზნექილ გულისპირს. თქვენი ნახელავი სახლის გვერდით ხეჭეჭური მედიდურად მამაჩემივით დგას ტოტებგაშლილი, ჩემს პატარობისას საძირებზე რომ დაამყნა-მახსოვს, დედა. შენ რომ აცეცხლებდი, იმ ბუხარში კვამლი აღარ ამოსდის, ჭიშკარი სულ რომ ღიად გქონდა, ახლა ბოქლომებით გადაკეტილია-სახლს უდაბნოს მდუმარება დაუფლებია. თავხედი სუროები შესევნიან ხეებს, თავი აუშვიათ განინმატებულ მაყვლებს. აქამდე თურმე ყველაფერს შენი შიში ჰქონია, ამიტომ აინყვიტეს ამ ნემსისთავიანებმა.

ობლობას თურმე ასაკი არ ჰქონია, დედა.

როგორ შემოალამდი ამ წუთისოფელს, ბოლომდე დაიხარჯა შენი სხეული და მხოლოდ ძვალ-ტყავის მეტი არაფერი წაუღე მიქაელ-გაბრიელს. შენი სიმღერა-სიცილიც ჩვენ დაგვიტოვე საჩუქრად საფლავთან რომ გიმღეროთ ერთ გუნდად, შენმა სახლობამ. ცეცხლი სული გქონდა, მაგრამ უშენობა მაინც სიცივედ დარჩა, თითქოსდა ჩვენს წილ მზეს სითბო დაჰკლებია.

წასვლაც შენეული იყო: ჯერ ჩემი დაბადების დღე დამილოცე, შენი დაბადების დღე ჩემგან მოძღვნილი წიგნით გულში ჩახუტებით გაითენე, დედობის დღეც არ დაგვინწყებია.

7 მარტს, 8 მარტი დაგვიტოვე ცრემლიანი.

ყვავილებით მოჩითული შენი ღობიდან ღობემდე ხილის ხეებით შევსებული კოხტა ეზო, ისევე, როგორც რკინისკუთხვილებიანი მართკუთხა ლითონით მარადიული შემოღობილიც ჩემი ბავშვობის დროინდელ ნაცნობ ყვავილებს დაუმშვენებია, ზოგი ჩვენ დაგირგეთ მინის სასთუმალთან სიცოცხლის არდავინწყებად, ზოგიც მაქედან ამოწვერილა და ორივე ერთად თქვენს მარადიულ სამყოფელს ხალიჩად გაფენიათ. შენი სახლობის მესამე თვალხატულამ ფეხი დაგადგა უცნობ დიდ ბებიას, ხელში წითელი მიხაკები ეჭირა და რაკი შენგან არ უსწავლია, რა უნდა ექნა, ჩვენ ვუთხარით და გულზე დაგაყარა.

უშენო წელიწადი რამხელა ყოფილა, დედა. გადაინაცვლა შენი დაბადების ათვლის წერტილმა: მარადისობიდან ერთი წლისა ხარ, დედა!

გაზაფხული შემოსულა დედა! ყვავილები გაფენია ფარჩად.

რამაზ ნამიჭეიშვილი.

20 თებერვალი, 2015 წელიწადი. ქუთაისის საზოგადოებრივი კოლეჯი.

სიტყვა დავითობასთან დაკავშირებით გელათში

ცნობილი ამერიკელი ლინგვისტი და პუბლიცისტი ნოამ ხომსკი თავის გახმაურებულ შრომაში „კლასთა ბრძოლა“-წერს, რომ კაპიტალიზმი თავის საწყის მე-19 საუკუნის პრინციპებს დაუბრუნდა, როცა ხელისუფლება პარაზიტია და მოსახლეობის უმრავლესობას მონურ მდგომარეობაში აყენებს, ყოველმხრივ ცდილობს სიღარიბეში ამოხადოს სული. თუ უკან დაბრუნებაა, მაშინ ჩვენ ქართველები, დავითის საქართველოს უნდა დავუბრუნდეთ.

დავითის საქართველოსთან დაბრუნება ნიშნავს:

1. ხელისუფლებისა და მართლმადიდებლური ეკლესიის მთლიანობას, როცა ისინი ერთად ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობითვის თანამშრომლობენ. ახლა კურიოზული სიტუაციის პირობებში ვიმყოფებით. ქართული ეკლესია მოძღვრავს და ზრდის ადამიანს, რომ არ იპაროს, არა კაც ჰკლას, არ იმრუშოს, უყვარდეს მოყვასი თვისი, არ გაიხადოს მონად თვისტომი, გადაუხადოს მუშას იმდენი, რომ მან ოჯახის შესახვა შესძლოს. მაგრამ ასეთი ადამიანი ხელისუფლებას არ სჭირდება;
2. იმას, რომ ხელისუფლება არ არის იოლი ცხოვრების პრივილეგია. იგი ქვეყნისა და ხალხის მსახურებაა, რომლის ანაზღაურების უმაღლესი ჯილდოა ხალხის სიყვარული, რომელიც მას მისი ნათლობის სახელს უცვლის და თავის სახელს არქმევს- აღმაშენებელს, თავდადებულს, ბრწყინვალეს, დიდს, ლომებზე მეტად, პატარა კახს;
3. ღვთის სიყვარულს, უმაღლეს პასუხისმგებლობას. დავითს არ დაუჩივლია, რომ მას მისმა წინამორბედებმა, მამამაც კი, მძიმე მემკვიდრეობა დაუტოვა. მან იტვირთა მისი ხვედრი ყველა სიმძიმე, აზიდა ქვეყნის ისტორიული ტვირთი და შთამომავლობას მანამდე არნახული სიმაღლის სულიერი და მატერიალური კეთილდღეობის ვრცელი ქვეყანა დაუტოვა ნიკოფსიიდან დარუბამამდე. საქართველო უცხო ტომელთა დასახლების საპარპაშო არ არის, არც თბილ ადგილს და თავშესაფარს უნდა ეძებდეს ევროპის ქვეყნებში, იგი მთლიანი, თვითუზრუნყოფილი, პოლიტიკურად მყარი და ხალი ცივილიზაციისაკენ მოძრავი იყოს.
4. განათლებისა და მეცნიერების განვითარების სახელმწიფოებრივ უზრუნველყოფას, რომლის წარმატებებზე ბაზირდება ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა, სოციალური კეთილდღეობა და პოლიტიკური ძლიერება;
5. დემოკრატია არ არის მხოლოდ ადამიანის უფლება თქვას ის, რასაც ფიქრობს, გამოხატოს თავისი აზრი. დემოკრატია ხალხის მართვაა ხალხის მეშვეობით, ხალხის კეთილდღეობისთვის. მაგრამ როცა სახელმწიფოსა და სოციალური ჯგუფების ინტერესები ერთმანეთს დაუპირისპირდება, მაშინ დემოკრატია უნდა მოიყადოს, უპირატესობა სახელმწიფო ინტერესებს ეძლევა და მასთან დაკავშირებული ყველა სიმკაცრე და სასჯელი გამართლებულია;
6. ღმერთი სულია და ზეცაშია, ის ერთადერთია და სხვა ღმერთები, მათ შორის მიწიერი მეფისტოფელი, სატანის მონაგონია, ისევე როგორც არ არსებობს ფულის რელიგია, რელიგია მართმადიდებლურია და სწორი, ადამიანის სრულყოფის ერთადერთი გზა;
7. სამშობლოს დაცვა მისი შვილების უწმინდესი ვალია და არ შეიძლება საქართველოსთვის სამხედრო სამსახური ვინმეს ნება-სურვილზე იყოს დამოკიდებული, იყოს ფასიანი და ვინმე გათავისუფლდეს სამხედრო ვალდებულებისაგან ფულადი გადასახადით.

ღმერთი თარავდეს საქართველოს!

დავითის მადლი უნათებდეს საქართველოს გზას ახალი ცივილიზაციისაკენ.

8.02.2019.

კარგია შენს თავში რომ ლიდერს ეძებ, მაგრამ ცუდია, როცა ეს ავადმყოფობად იქცევა. რაებს არ კადრულობენ, რა სოციალურ ჯგუფებს არ ქმნიან, დაგვინახეთ ლიდერები

ვართო, არა და სხვის დაკრულზე ცეკვავენ, ხალხის წინ ჯამბაზობენ. თუ ვინმე ნამდვილ ლიდერზე მიანიშნებს, მაშინვე დაიწყება ქვების და ტალახის სროლა და იქვე გამოცხვება ჩაქოლვის თეორიები, გაიხსნება ცხრაკლიტული და იწყება ისტორიული მასალების რეცხვა და იმ პირით გამოთენა, რომელიც მათ მოსწონთ წინსაფრად და რომლის უკან ყოველთვის ერთი აზრი იმალება: იმან გაათუჯა, იმან დაგვაქცია, ის სისხლის მსმელია, კაციჭამიაა, ქვეყნის მოღალატეა. მაშინ როცა თვითონ ქვეყნისა და ხალხის ჩაყლაპვა სიზმარშიც არ ასვენებს. მიგვიგნო ჩვენ ნეოლიბერალებმა ამ ისტორიულ სიგლახეს და ყოველმხრივი მხარდაჭერა გამოუცხადა მას. ორი საქმე კეთდება: ქვეყანა ნიჭიერებისაგან იცლება და სახელისუფლო კარუსელთან ფსევდო ლიდერების რიგები იზრდება. საქართველო ახლა ყველასია, ქართველების გარდა.

არ ვარგა, აკვიატებული აზრი: ხელისუფლებას შეეცვლით და მდგომარეობა გაუმჯობესდება. შეიძლება ვინმე ან რამდენიმე შეცვალო ხელისუფლებიდან, მაგრამ ხელისუფლების პრინციპებს ვერ შეცვლი, ვინაიდან მის უკან მსოფლიო ფინანსური იმპერია დგას. ბევრი ამას ვერ ხედავს და კატეგორიულად აცხადებს: დასავლეთი არათერს გვიშლისო. დასავლეთი და ვინმე ორთეხი და ორთეხობა კი არა, ხელს გვიშლის და გვასულელებს თამაშის წესები, რომელსაც ჩვენ გვინერენ და რომლითაც მაშინვე თამაშს იწყებენ მათ მიერ უკვე ტვინგამორეცხილი ქართულგვარიანი ლიბერასტი სხვის ხელზე მოსამსახურე მონები. ჩვენ აზრი უნდა გავაჯანსაღოთ, ცუდად ვაზროვნებთ; ავადმყოფური აზროვნებისაგან განკურნებას დრო სჭირდება ანუ გრძელვადიანი პროგრამა გვინდა და ისეთი უნარების გამომუშავება, რომელიც, ერთი მხრივ, ნიჭსა და ჯკუას დაათვას და მეორე მხრივ, იმდენად დამოუკიდებელი იქნება, რომ სტრატეგიულ პარტნიორებს კი არ აიჩემებს, ყველა ქვეყანასთან ურთიერთობის ადეკვატურ მექანიზმებს მოიშველიებს, რომელიც რუდუნებითი ნიჭიერი აზროვნებით გამომუშავდება. ნამეტანი თავხედი ვახდა საზოგადოებრივი აზროვნება, უფრო ზუსტად: ამას აზროვნება არ ჰქვია. 5. 12. 2017.

საქართველოში 700 ათასი პენსიონერია, 400 სოციალურად დაუცველი, 2 მლნ. ქვეყნად გაქცეულია, 500 ათასი უმუშევარია. ისმება კითხვა: ვინ ირჩევს ხელისუფლებას?

ნამეტანი ჩამოვრჩენილვართ

1. როგორ, ჩვენ არ ვიცით, რომ მსოფლიო კრიზისია? რომ უკვე შეუძლებელია წარმოების იმ ტემპებით განვითარება, რაც აქამდე შესაძლებელი იყო, რომ ფულის მასას და საქონლის მოცულობას შორის უზარმაზარი დისბალანსია, რომ ფულს მსოფლიო ფინანსური იმპერია ფლობს და მისი ეროვნულ ჩარჩოებში მოქცევა პრაქტიკულად შეუძლებელია?

2. ხელისუფლების შეცვლით უკეთესობა იქნება? ხელისუფლება შეძახილებით მიატოვებ სკამებს? რომელი პარტიას შეუძლია ქვეყნის გამოყვანა ამ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან? ვიყავი მიწვეული ერთ გახმაურებულ პარტიაში,

რომელსაც იმაზე ნაკლები გაიძვერა და ქვეყნის დამაქცევლები როდი ჰყავს, ვიდრე ახლანდელ სახელისუფლო პარტიას.

3. განა მშვიერი ხალხი გააკეთებს სწორ არჩევანს? არ გვსმენია, რომ ქოხებში ფილოსოფიაზე არ მსჯელობენ? (ამაზე რამდენი ხნის წინ წერდა სოკრატე). განა ფაქტები არაფერს გვეუბნება? 700 ათასზე მეტი პენსიონერი, 500 ათასი უმუშევარი, 400 სოაიალურად დაუცველი. ვის მისცეს ხმა? ანდა ვისთვის უნდა მიეცათ.

4. ახლა პარტიები ქვეყანას ვერ შველიან, ვერც უშველიან. ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ნიკოლაძის კვალს უნდა გავყევით-ახალი სოციალური მოძრაობა გავაფართოვოთ, ვინაიდან იგი უკვე დაწყებულია საზოგადოებრივ ქსელში. უნდა გავერთიანდეთ ქვეყნის ინტელექტუალების გარშემო და ხალხი გავიყოლიოთ.

5. როდის იყო ხალხი კრიზისულ მომენტებში ქვეყნის განვითარების საუკეთესო ვარიანტს ირჩევდა. ნუთუ ამერიკის მაგალითი არ გვსმენია. თუ ახლა დგას ამერიკელი ხალხი ხვალინდელი დღის სადარაჯოზე. ვუნუნებთ ხალხს პასიურობას მის თავმოყვარეობაზე რომ ვიმოქმედოთ, მაგრამ ეს საქმის მხოლოდ უმცირესი ნაწილია. საუბედუროდ ხალხი არ არის ქვეყნის პატრონი. ქვეყნის პატრონობა ერისკაცებს შეუძლიათ.

აი, სანამდე მიდის თავხედობა. მეცნიერს რომ სიტყვის თავისუფლებას აუკრძლავ, რა მომავალი ექნება მეცნიერებას!!!

ადამიანი გამოვიდა შიდა სამყაროდან და თავის თავს გარედან უყურებს. ფერებს არჩევს, იღებება, ჭრელა-ჭრულათი იჭინჭება, წონაში იკლებს, კონსტრუქციებს უცვლის ცხვირს, მკერდს, უკანალს, თავს იბრიყვებს და 60 წლისა 30 წლისას ვგვარო. დაცარიელდა გული, გამოშრა ტვინი, სიკეთე აიკრიბა ლატაკი სულიდან. გარედან ჭრელი, შიგნიდან სველი. ამნაირ ხალხს მომავალი არა აქვს. ესენი მხოლოდ მიწის სიმძიმეებია.

ეს ხელისუფლება თვითმკვლელობისკენ მიდის!

ჩემი აღმართი ისევ მატულობს, მეც მივყვები და მივყვები. ყველა თავის აღმართზე მარტოა, როგორც გზაზე ბევრი. მერე რა, რომ თანამგზავრი აღარ შემომრჩა. ზოგი სუსტი იყო, ზოგი უკადრისი, ზოგი მალე დაიღალა და წუმწეში იპოვა ქვევრი. ამ სიმაღლიდან მარადისობა უფრო შორია და მეც მარტოკა ვებრძვი სიმაღლეს. ღმერთამდე მისასვლელი გზა რა შორი და უსასრულო ყოფილა, და მაინც წინ, სიმაღლე თავისუფლებაა, მსუბუქია და იქედან პატიება ყველასთვის შეგიძლია. გმადლობ უფალო!

ჩემს სამშობლოს სიყვარული აკლია, ხალხის სამსახური არ იგრძნობა. ჰაერში ფულის მყრალი სული ტრიალებს. დაბრუნებოდეს ის, რაც ნამდვილად ქართული და ტრადიციულია. სამშობლოს სიყვარულზე უნდა ვსწორდეთ.

როგორ შეაზანზარა პოზიცია-ოპოზიცია პანკისის მოსახლეობის ტრაგედიამ. აი, რას ნიშნავს ოჯახის, სოფლის, დასახლების მთლიანობა. ქართველი საზოგადოება თუ ასეთი იქნება, ქვეყანა გამთლიანდება.

13.01.2018.

დავფიქრდეთ: ხომ არ ვაზვიადებთ იმას, რასაც ასე ხელაღებით ვწერთ და ვაცხადებთ, იქნებ გვეშლება და არ არის ისე, როგორც გვგონია. წაკითხვა განა მარტო ასოების ცოდნაა, წაკითხვა პროფესიაა. 14. 2017.

ეეჰ, ბადაგს თუ დადაულებამდე დალევ, ღვინო არასდროს გექნება! 14.01.2018.

და მაინც ბედნიერებაა დაიბადო და გაიზარდო საქართველოში, ვინაიდან აქედან ყველაზე მოკლე გზაა მარადისობისაკენ. ძალიან ბევრი გენიალური ადამიანი გაიზარდა საქართველოში, რომლებმაც იცოდნენ, რომ ღვთისმშობლის ქვეყანა არ არის გამდიდრების, ნივთიერი მომხვეჭელობის ადგილი. იგი ღვთის სიყვარულის, ხალხის სამსახურის ტაძარია. ჩამოიფერთხავს სამშობლო ყველას, ვისაც მისი არ ესმის, ვისაც მისი ვერ გაუგია.

ბედნიერებაა ღამე გაუთიო სტრიქონს, მძიმეს, წერტილს. ყველა მათგანს ხომ თავისი ადგილი აქვს.

მზია ძვირფასო, დიდი სიყვარულით გიხსენებ და გილოცავ დაბადების დღეს, ოღონდ მშრალად, ვინაიდან შორსა და ხარ და სუფრა ვერ გაგვიწყვია, რასაც დაჩვეული ვიყავით სტუდენტობიდან.

ნეოლიბერალი უმცირესობის უმრავლესობის ბატონობაზე შეტევაა. იყო დრო, როცა ელიტარული უმცირესობა უმრავლესობის მოსამსახურე იყო, რასაც დღეს ვერ პატიობენ "ძველებს" გაყოფილებული ელიტები. დაიცავი შენი ადგილის დედა. მაშინ იარეთ ქვეყნიდან ქვეყანაში ხელზე მოსამსახურეებად.

რამდენი სანთელი აგინთე სულში " შენდა შესაწირად ". ყველა ჩამქრალია ახლა. ვის გაუგია სულის შებერვით სანთლების ჩაქრობა, შე უბედურო! სინათლე არ გიყვარს, სინათლე არ გათბობს?

დავბრუნდეთ მიტოვებულ სახლებში, გავათბოთ კერია. ერთად ავანთოთ კოცონი სიყვარულის. ჰოდა, ჩვენი მომრევი არავინ იქნება. "ჩაკვიდოთ ერთმანეთს ხელი".

მიუტევოთ, ვაპატიოთ, შევეუნდოთ. ღმერთთან დავბრუნდეთ სულით. ვიცი ძნელია, მაგრამ სხვა გზა ტაძრისკენ არ მიდის. დანარჩენი ყველა გზა ეშმაკისეულია.

ადამიანის სულის სიღრმეში ჩახედვაა რთული, თორემ გარეგნულად ძალიან ხედავს და ცნობს ადამიანს, მითუმტეს, პატრონს.

ბავშვს რომ დაბადებიდან ყურები ეხედნება დასავლეთის სტანდარტზე, დასავლური ცხოვრების ბედნიერებაზე, რომ ქართველები ევროპელები ვართ, იგი ქართველად ვერ გაიზრდება. ერთი სული აქვს/ეყნება როდის დაამთავრებს საშუალო სკოლას, ისწავლის კომპიუტერს და ინგლისურს და მერე ფრიი ევროპაში. უკან არასდროს მობრუნდება. ნუთუ დაგვაფინცდა სამშობლო, არ გვიყვარს ადგილის დედა, თუ საერთოდ დაგვარგეთ დედა.

როცა ზღვარს გადასცდები, მერე ყველაფერი ნებადართულია.

თუ ცხოვრების პრინციპები შეგეშალა, გზას აცდენილხარ. გზასაცდენილი სახლში ძალიან გვიან ან საერთოდ ვერ დაბრუნდება.

როცა შენი სახლი შეგზარდება თუ შეგზარებენ და ევროპული სახლისკენ გაგექცევა თვალი, ვერც იმ ვირტუალურ სახლში იპოვი ადგილს და ვერც მამაპაპისეულ სახლში დაბრუნდები-იქ უკვე სხვისი კერია იქნება დანთებული.

სიყვარული, სინდისი და სირცხვილი ზნეობრივი ცხოვრების პარტერის წინა რიგიდან ქანდარაზე გადასვს. ვაი, თუ იქედან გარეთ გაგდებას უპირებენ. ჩვენ შევძლებთ დავიტიოთ ისინი?

დღები მოდიან, კი არ მიდიან. ამიტომ არის სიცოცხლე ტკბილი და დაუხარჯავი, ამოუწურავი. სიკვდილს სიცოცხლის სიყვარული მიაქვს. ამის გამოა სიკვდილი ტრაგედია. მარადისობა? ეს უკვე სხვა საკითხია.

ტრაგედია იწყება მაშინ, როცა გგონია, რომ შენი აზრი ყველაზე სწორია. ყველაფერი შენი ფიქრი აბსოლუტურად მართალია.

ძალღს რომ აყეფებ კატად, სახლი დარჩება თავგებს.

გათრიეს, ფეხქვეშ გაგიგეს, გაგუპატიურეს, გაგაბახეს, ველარ გაიგე, რომ ხელსახოცი ხარ?

ნუთუ ყველაფერი ქალაქის ცეცხლივით აბრიალდება. სადღაა ნაღვერდალი ან ნაცარი. ფერფლიდან სფინქსი ისევ აფრინდება? წმინდა ბერი გაბრიელის წინასწარმეტყველება აღვიძებს რწმენას და იმედებს.

ძალი მიაკავდა სულშიო-იტყვიან შენზე. ვიდრე მიწის ზევითა ხარ, შენი სული არ მოისვენებს და არც სხვებს მისცემს დავანებას. ორი მეტრი მიწიდან ქვემოთ. აი, სიმშვიდე შენი და ქვეყნის! აი, დავანების უებარი წამალი. მქონდა კი ოდესმე შენი ვალი? ბედნიერებაა, როცა სიკვდილი უკეთესის დაბადებაა. ამაზე მცალია ახლა?

მე შენ ქალობა არ დაგიფასე, გვერდით არ დაგიდექი, კაცად არ ვივარგე, თუ შენს გაჭირვებას არ შევეხიდე. რატომ მლანძავ, სირცხვილის ნატამალი აღარ დაგრჩა? თუმცა შენ მართალი ხარ-გალიიდან გამოყვანილს ისევ გალია ენატრება. ვირტუალური ცხოვრება ნამდვილს გირჩევნია. მონას სუფრიდან მოპარული ნატეხი პური მიძღვნილ შოთის პურზე უკეთესი ჰგონია. სიმარში მაინც დამეხსენი. როგორ მინდა რომ უკეთესი იყო. არ გენატრები? გლახაკი ყოფილხარ!

სიყვარულის მატარებელი შემოდის პირველ ლიანდაგზე. კაცთმოძულეებო გაათავისუფლეთ ბაქანი.

სხვა გამოსავალი არ არის. სამშობლოს სიცოცხლე უნდა მივუძღვნათ თუ მისი მარადისობა გვინდა, თუ მისი სიყვარული გვისწავლია. არ არის მეორე გზა. კაცებო, ქალები არ გეცოდებათ? რა გექვიფება, შე უბედურო საკუთარ სულს რომ დამპალი ლეშივით მიათრევე. ბედნიერებაა კორპუსს რომ მიაღებები, მთელ დასახლებას ძინავს, შენი ბინის ფანჯარაში შუქი ანთია, გელოდებიან. აი, რა არის სახლი და სითბო.

წავიდა ის დრო, როცა დაბადების დღეს ყველაზე პირველად მშობლები მილოცავდნენ. სუფრას გაანყოხდნენ და მერე სანთლებს აანთებდნენ, ღმერთს შეავედრებდნენ ჩემს თავს. ო, შენი დაბადების გახსენება მშობლებს უფრო უხარიათ, ვინაიდან ცოცხალი სურათი ხარ მეხსიერების ეკრანზე-ფეხით მოსიარულე სამი სული ღამე სოფლის მუხლამდე თოვლიანი შარადან რაიონის ცენტრალურ საავადმყოფომდე. მერე დაბადების საათი, დღე და რიცხვი, თოფის სროლა და სიხარულის სუფრა, ოჯახის კონსილიუმი სახელის შერჩევაზე.

"წინაპართაგან წასულა ყველა".

ღმერთო გმადლობ, რომ მომავლინე ამქვეყანაზე. მიყვარს ჩემი სამშობლო და ხალხი. ისინიც კი...აკი სიყვარული ღრუბლებზე უფრო შორი სიმაღლეა. ღამეებს ვუთევ წერტილს, მძიმეს, სიტყვას, წინადადებებს, თემას, პრობლემას. ნეტავი ის ჩხრიალა წყარო მაპოვნინა მე რომ დავეძებ, რათა პეშვით სახეზე შევაფრქვიო ჩათვლემილ არსებებს, იქნებ გამოფხიზლდნენ და საქართველოს სამსახურში ჩადგნენ. ბევრი ხომ არ მოვინდომე.

უფალო მაპატიე!

მადლობა ყველას, ვისაც ვახსოვარ, და ვაფინყდები.



11.02.2018. 11 საათი.

საქართველოში ნიჭი ყოველთვის სჭარბობდა ჭკუას. ეს არის, ალბათ, ჩვენი უბედური ყოფის წყარო და ფესვი.

ჯერ იყო და ქალები სახლიდან გავაქციეთ, მერე ისიც მივუმატეთ, რომ იმათი გამოგზავნილი ფულით უცხოურ საქონელს ვყიდულობთ. ქალებიც იქეთაა და ფულიც იქეთ მიდის, საიდანაც გამოაგზავნეს. აი, ჭკუა და გონება!

წინათგრძნობა ყოველთვის არ არის ფიქცია. სამშობლო ისევ სისხლით უნდა ჩამოვიბანოთ, მოფერება არ შეგვიძლია? "იქნებ მე თვალი მატყვილებს, ზეცა მამბრმავებს ბრდღვიალმ".

არ ვარგა, როცა ზამთარი გაზაფხულს ემსგავსება, როცა ჩვენ სიხარულით ცამდე ავდივართ. გაბრაზდება ერთ დღეს გაზაფხული და ზამთარს მკაცრად გადაუხდის. ვაი, თუ მარტმა ისესხოს ზამთარი თიბისი ბანკიდან.

წერტილთან მეძინა. მიძიმე გამალვია. მზემ ამოიტანა ძახილის ნიშანი. დილამ გადმოაბნია კითხვის ნიშნები. დღე გვიან ღამემდე დასდევს ამ კითხვებს პასუხების გასაცემად. მერე ჩაფიქრება და ისევ წერტილთან ჩაძინება.

ბოროტებმა მოკლეს კალმოსანი მიხილ ჯავახიშვილი, პოეზიის რაინდი-ტიციანი; დაიჭირეს ვალაკტიონი; გადაასახლეს უნიჭიერეები უნიჭობმა და სისხსლისმსენელებმა. ოცდამეერთე საუკუნის დღევანდელი დოქსოპულოები "ახალ სიმალღებე აფრინდენ"- მოგიგზავნიან შპიონებს და ქვეყნის მტრობას დაგაბრალიან. კუბოს გაგითლიან და გაგიმეტებენ. ის ავინყდებათ, რომ დიდი კუბო მაგათთის კაი ხნის გათლილია და სამარეც ამოთხრილი-მინის ზედაპირიდან ქვემოთ 2 მეტრის მინუს სიმალღემდე. აი, ეს არის დავინყების მარადისობა, როცა სიკეთე არდავინყების მარადისობაა.

შენ ისევ მოხვედი, კიდევ კარგი რომ შენ თვითონ მოდიხარ, თორემ ამათი მოსაყვანი რომ იყო, დაგაპატიმრებდნენ ჩვენი გულისთვის, განა ფაშისტებმა ტყვეებს გვირილები არ მოუყვლეს, რომ არ ესიამოვნათ? მართლა ნანატრი ხარ ამ სიგრძე ზამთრის შემდეგ. ჰო, არ შეგშინებია და უკვე ამონვერილია იები, კვარკუნჩხები და ფურისულები. მალე სულ გააწყობ მინის გულისპირს. შენ ხომ ფერები გიყვარს და ტყელმლის გათეთრება და ატმის აფეთქება. გმადლობ. ყველას, განსაკუთრებით ქალებს, გილოცავთ გაზაფხულის თვალის გახელას.

აპოკალიფსი გვიახლოვდება. ძმამ ავადმყოფ ძმას ცოლი ნაჰგვარა, ბავშვები მიატოვეს და ორივემ საზღვარგარეთ მოქუსლა. ერთმა ბიძაშვილმა მეორე ბიძაშვილს სახლი ჩაუდო ბანკში, მეორემ სიკეთე იმით გადაუხადა, რომ სახლი გირაოში წაართვა. ნათესავმა ნათესავს რაღაც თხოვა, გაუკეთა სარისკოდ, პირველმა პატივისცემის ნიშნად პოლიციაში უჩივლა და ციხეში გამოამწყვდია. სინდისი, სირცხვილი, კაცობა, ზნეობა აქა იქ თუ არის შემორჩენილი მარტის სიცხიან დღეებში თოვლის ნათელეები რომ რჩებოდა ჩრდილ და ნესტიან ადგილებში დიდი ზამთრის შემდეგ, სულ რამდენიმე დღით.

ბავშვობაში განაგონი გამახსენდა: ბაბუ, მოვა დრო და დედა შვილს ველარ იცნობს. ეს დრო მოვიდა, აპოკალიფსი გვიახლოვდება.

დიდი სიყვარულით ვულოცავ დღესასწაულს ყველა დედას, რომლის წინაშე დამნაშავეა 21-ე საუკუნის საქართველო, რომელმაც სიცოცხლე გაუმწარა დედებს, ასიათასობით მათგანი კერიას მონყვიტა და მსოფლიო მოსახლეობის ხელზე მოსამსახურება აიძულა.

ღიმილის ნათელი ცრემლების ზღვად ჩამოიღვარა. წმინდა ქეთევანის ნაშიერმა ახალი გმირობა ჩაიდინა-დაუძღურებულ ოჯახებს ლუკმა პური გაუჩინა და შიმშილს ააშორა.

ფეხზე წამოუდგეთ მარჩენალ დედებს.

დედა მარტი და გაბატუნის მარადისობაა! 3 მარტი, 2018. შაბათი, გოდოგნის დაჩა.

სიცოცხლის არსი წლების ხანგრძლივობით არ განისაზღვრება, სიცოცხლე მარადისობაა და წამებში ეტევა.

მთელი დაიკარგა ქვეყნის ქვედა რგოლებიდან უმაღლეს დონემდე. სირცხვილი, სინდისი, სიყვარული, სიბრალული, პასუხისმგებლობა ლიბერასტების ნადავლი გახდა, რასაც გახარებულები მღვიე წყალს ატანენ. ეკონომისტები რაღაც თეორიებს და პროგრამებს ჩმახავენ. მსოფლიოს არაფორმალურ მთავრობას ეკონომიკის ეშელონი ფულის ლოკომოტივზე ჰყავს გამობმული და მოუსავლეოში მიაქანებს. საქართველოც მასზეა მიბმული. ღმერთო გვიშველე!

ლიბერასტებმა უკვე დაიპყრეს აზროვნება: ყველაფრის დაცინვა, ყველაფრის გაქილიკება. ეროვნული ფასეულებების შებღალვა, ფენომენალური ქართული ტრადიციებზე ახირება, კაცობისა და ქალობის ინსტიტუტის გამასხარავება. ქვეყანა

კიდით კიდემდე გარყვნილი, და დიდი ბორდელია. ენა სიკეთეზე არ უბრუნდებათ. ნანი ბრეგვაძემ თურმე მოსკოვში არ უნდა იმღეროს, იმას კი არათურად დაგიდევს, რომ ქართველი ერის სიამაყე, ლეგენდარული მომღერალი ქალბატონი ნანი, 180 ლარს ღებულობს პენსიად, რომლის სიმღერებმა მალლა ასწია ქართული გენი და ქვეყანას მილიონობით შემოსავალი მისცა. მაშინ როცა ასობით ვიგინდარა სახელისუფლო სკამზე ზის და ხალხს პირიდან ლუკმას ართმევს; არც იმაზე ემღვრებათ სისხლი, რომ მხოლოდ 2017 წელს 557 ქართველი ქალი თურქზე გათხოვდა და აქ რომ თითო თითო ვახტაგი და ერეკლე გაეზარდა, იქ მინიმუმ ხუთ-ხუთ ეფენდისა და ჰასანს დაბადებს და ქართველის სისხლისმსმელ არმის მიუმატებს. ქართველი ერის გადარჩენის უმდიდრესი ფენომენი ქალის სინდის-ნამუსია. ეს ფუნდამენტი გვეცლება ქვემოდან. უბედურებაა უყურებდე სამშობლოს სიკვდილისიწინა აგონიას.

როცა ხელისუფლებაში მდაბიო ან ბოროტი აზროვნება დაიბუდებს, ქვეყანა ან გადაშენდება, ან სხვისი მფარველობის ქვეშ მოექცევა. თუ ეს ბოლო ვარიანტი დადგება. მერე ის ბოროტი გონი ეროვნული ხსნის მანტიას მოისხამს და ქვეყნის გათავისუფლების დრომას წამოავლებს ხელს-ქვეყანას მე ვიხსნი, მომყვითო. გულში ისევ ის ბოროტი წუხილი აქვს, რაც ჰქონდა-ხელისუფლებაში მოვიდეს თავისი ქვეყანა ძარცვოს და ხალხის სისხლით გაძღეს. ერევა ბოროტი გონი ქართულ ნაციონალურ ფენომენს. ეს ეროვნული აზროვნების სიმსივნური დაავადებაა. ნახეთ როგორ დამარქაფებული არიან თანამდებობრივად დაწინაურებული უღირსი, ავადმყოფური აზროვნების ქართველები. სულ იმის ძიებაში არიან რაიმე მოუძებნონ, რაიმეთი შეცდომაში შეიყვანონ ახლობლები, ნათესავები, ნაცნობები, ვინაიდან ეს უკანსკნელნი საკუთარ ქვეყანაში ყველაზე დაუცველები არიან სხვა ეროვნებებთან შედარებით. „გადარჩება?-ეჭიმებს ეკითხება ზოზია“. 25 მარტი, 2018. გოლოჯინის „დაჩა“.

თუ ქვეყნისა და ხალხის სამსახური არ შეგიძლია, ცხოველი ხარ, ხოლო თუ შეგიძლია და არ ასრულებ, შენს არსებობას სიცოცხლე არ ჰქვია.

საქართველო თუ ამ მდგომარეობიდან გადარჩება, ღმერთის წყალობა იქნება. ჩვენ, ქართველებს, სახელმწიფოებრივი აზროვნება არ გავაჩნია. რუსები ჩვენზე უფრო უბედურები არიან-მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყანა საუკუნეებია სიღარიბეში ყვინთაობს.

სულში ჩახედვაა ძნელი, თორემ დიდსა და პატარას, თეთრსა და შავს, ქალსა და კაცს ცხოველიც არჩევს.

ვინ ვარ მე? მე კი არა და ვინ ხარ შენ. ნაძირალა, ღორზე მაღალი, ზნეობაზე-მდაბალი, მყრალი ხორცი და ბოროტი სული, მონა მტრისა და მტერი მოყვრისა. შენს ხარბ გონებას გედისბუნტყლებიანი ფუმფულა ლოგინი სამოთხე ჰგონია. მაღალ სულს ის ხის ნარებიანი სანოლი ურჩევნია ისლის კონები რომ უფენია ლეიბად და საღამოს წამოგორებაზე ნედლი ბალახის სურნელი უმშვიდებს დაღლილ სამყაროს. უნდა ავმალღდეთ ხორცის ზეიმოდან, მაძღრობის ავადმყოფობიდან სულიერების გამარჯვებამდე, ფარისევლური თანაგრძნობისა და გაჭირვებულის თეატრალური ხელისგანვდომიდან ზნეობრივი სიყვარულისაკენ. ორივე ხელით ჩავეხუტოთ

ერთმანეთს, ნამცეცა თხილის გული ცხრამ გავინანილოთ, ღამე გავუთიოთ კეთილ ფიქრებს, შევუნდოთ ერთმანეთს, მივუტევოთ ცოდვები. მუხლი მოვიყაროთ უფლის წინაშე და მიწიერი გადაცდომების ჩამორეცხვის პატივი ვითხოვოთ. თორემ დამოკლდა ერის მარადისობის გზა.

გილოცავთ აღდგომის კვირას. გზა მარადისობისაკენ უფლის ხელშია. გფარავდეთ ღმერთი.

ეს ღამე უნდა გავუთიოთ უფალს, ცოდვების მონანიებას მივუძღვნათ. დავიჩოქოთ სიყვარულის წინაშე! ნუთუ მართლა გიყვარდი!. იქნებ შენ გაპატოოს უფალმა სიყვარულზე ხუმრობა, რომელიც ღვთიური ცოდვაა. ნუ გრცხვენია: ცხოვრება დიდი სიყვარულია: ასეა- ხან მიწის ზევით, ხან მიწის ქვევით. მოასწარ თორემ ხვალ ყველაფერო გვიან იქნება.

რამხელა სიმდაბლე არის-იყო მაძლარი ხელისუფალი, როცა შენი ხალხი მშიერია. იმდენად ზნედაცამული ხარ, რომ ვერ წარმოგიდგენია, ხვალ ის მშიერები თავზე წაგადგებიან-შენ თუ არა, შენს შვილებს და პასუხს მოითხოვენ შენი დამპალი სიცოცხლის ფასად. სასჯელი სასტიკი იქნება. "და დიოდეს წყალნი ქვეყანასა ზედა ასერ გასის დღე".

აქ მთავარი ზანგები კი არ არის. მთავარი ის არის, რომ ქართველი საქართველოში ეროვნულია, რაც ეწინააღმდეგება მსოფლიო მთავრობის გლობალურ ინტერესებს. მათი "თეორიით" ყველა ეროვნული უნდა გაქრეს დედამიწიდან. ამისთვის შედარებით აგრესიულ ერებს და ეროვნებებს იყენებენ. ჰოდა, ღმერთმა დაგვიფაროს და როცა თეთრი რასა აღარ იქნება, მერე ზანგების და მათი ფეხის მიმყოლების დროც დადგება. ამის შესახებ ამომწურავად წერს თავის ბესტსელერში ჯ. კოლემანი. სხვა უამრავი ლიტერატურაც არსებობს.

გამოსავალი ერთია-თავიდან უნდა დავიბადოთ ღვთისადმი, სამშობლოსა და ადამიანისადმი უმაღლესი სიყვარულის ნიჭით. დანარჩენი იოლად მოწესრიგდება. ამას საკუთარ თავზე ამაღლება ჰქვია.

ახლა ეს ცხოვრება ისე მიდის, რომ ყური უნდა ავუნიეთ ამ ლანჩრაკ თავხედებს. დასავლური ეპიდემიებისაგან დასაცავად-ყოველდღე 150-მდე ცალი ყურის აწევა მაინც მიხდება, მაგრამ წინა ღამით ისე არიან ევროპულად გამათრახებულები, რომ იმ ყურს უკვე აღარ გათხოვებენ-შენ ჩამორჩენილი ხარო. ჰო, დასწრებაზე ყოფილა ხვალინდელი დღე. ზევ უკვე ყველაფერი ჩავლილია და დედაბერვით მხოლოდ ლოცვა და ღმერთთან შევედრება დაგვრჩენია ნუგეშად.

სპეკულაცია ისეთ გიგანტურ მასშტაბებს იძენს, რომ შორს არ არის დრო, როცა მსოფლიოს შიმშილი შეიძლება ეპიდემიად ექცეს.

იოლია, ვინმე გათათხო, გალანძლო, მის ცოცხალ-მკვდარს შეუკუროთხო, დედა შეაგინო... ძნელია ისეთი სიტყვა/სიტყვები იპოვო, რომელიც დააფიქრებს, საკუთარ სულში ჩაახედებს ენაზე სიტყვამომდგარ პრიმიტივს.

ბოზების დრო დადგა. სირცხვილი და სინდისი დასათლავებულია..

ეს ხელისუფლება მტერზე უარესია და სასტიკი.

ამასაც მოვესწარი. სახლში გორილები შემოგვიცვივდნენ, ჩვენი მღვდრი მაიმუნები ამ გორილებთან ილაპაკებინ. იმას ვერ ხვდებიან, რომ ეს გორილები შემოგზავნილი არიან ქვეყნის ასარევად და გასარყენელად. გუმინდელი ტყიდან გამოსული, უდიდესი ცივილიზაციის ქვეყანას ცხოვრებას უწუნებს და ჭკუას არიგებს...რამოდენა სიმაღლისაა "ჯაყოს ხიზნები". (nigerieli tutucis gamoxmaureba 8 maisi, 2018)

თუ სულ წარსულის იმედად ხარ, ნორმალური არ გქვია.

ქვეყანა, სადაც ყველა ორფეხს სამშობლოს ხსნა ენაზე აკერია და ნებისმიერ უმეცარს მისი მეთაურება სურს; უარესი: ქართველის ხელთსაგომანებელი არცერთი წიგნი არ წაუკითხავს, სახლში უფროსი და უმცროსი, სამსახური და მსახურება ვერ გაურჩევია, ავტორიტეტული აზრი ვერ გაურკვევია, ბიბლიაში არ ჩაუხედია, ცხოვრების ტანჯვის ცხრაფაკანი არ გაუხდია, ძნელია მომავალი ჰქონდეს. რა საშინელია ამისი განცდა. ღმერთო გვიშველე!

ხალხი სხვადასხვა განათლების, ზნეობის, პოლიტიკური შეგნების, შეხედულებების, ხასიათის, მიდრეკილებების, კეთილისა და უკეთურის, მოყვარე და მტრული ადამიანების რაოდენობრიობაა. ხელისუფლებას აკისრია პასუხისმგებლობა გზა გაუხსნას ნიჭს, გასაქანი მისცეს ცოდნას, უმთავრეს ამოცანად ჰქონდეს ადამიანის კეთილდღეობა, გაუძღვეს ქვეყნის მომავალს...ვერ იქნა და ვერ გავიდა ნიჭი და ტალანტი, ეროვნული პასუხისმგებლობა სამშობლოს მეთაურად.(13მაისი, 2018. თბილისში არეულობაა. აღვირახსნილობა ზეიმობს. ახალგაზრდობა ილუპება).

დაცემა ბევრნაირია. სულის დაცემა ცხოვრების ფსკერზე დაღეჭვაა. აი, რა არის ერის უბედურება.

აი, საით მიდის აქციები... ხმალი ბლავილი ემოციის დაცლაა მხოლოდ. დამჯდარ გონებას უნდა უსმინო. მოსაწონი ყოველთვის ცოტაა ამ ქვეყნად, მაგრამ მთელი საპატრიარქოს მიტინგზე გამოძახება, უმწიფარი აზროვნების ნაყოფია. ახლა სიფრთხილე გვართებს. ამნაირი აქციების უკან ვილაც ვირეშმაკა იმალება. 2018 წლის 01 06, პარასკევი.

ეს ქვეყანა თურმე ნაცებისა და ქოცების მამული ყოფილა. ხან ერთი იქნება სათავეში, ხან მეორე. დანარჩენი წვრილფეხობაა და არათფერი მოეკითხება მიტინგებზე

გამოცხადების გარდა. „ჩვენ თანამდებობებზე უნიჭობს, ხარბებს და სულელებს წარმოვაჩინო“-ეკონომიკური მკვლელის აღსარება.

ავტომანქანას შეიძლება გამოუცვალო წინ ხიდი, უკანა ხიდი, საჭის მექანიზმი, საბურავები, მაგრამ " მოსკვიჩი " ამით "მერსედესი" ვერ გახდება.

თავის უფლება-თავის, ჭკუის, ჭეშმარიტების ძიება, მისწრაფება, მიგნება.

ცოდნასა და უცოდინარობას შორის ფსევდო ცოდნაა, როცა იმას აკეთებ, რასაც გიბრძანებენ ან რაზედაც მიგიითითებენ.

სპეკულაცია უპატივო საქმიანობიდან აზროვნების წესად იქცა. ამან გამოიწვია განათლების გაუპატიურება, მორალისა და ზნეობის დაცემა პლინტუსის ქვემოთ.

"შენ სისხლო ჩემო", ყოჩაღ, აწი აღარ მეშინია. ჩვენ ვიქნებით და გავიღებთ მსხვერპლს მარადისობისთვის. მიჩვეულ ვართ.16.06. 2018. შაბათი.

ჩვენ გავიშლებით და გავიყოფით პატრიოტებად და მოღალატეებად, მსახურებად და მოსამსხურეებად. ჩვენ გადარაჩევის ზღვარზე ვდგავართ. გამოენიაა-დიდი ღამე თენდება.

ბედნიერებაა იყო ქართველი, უბედურებაა, ვერ შეიგნო, რომ ეს პასუხისმგებლობაა.

აი, ვინ არის ქვეყნის ბედზე "დამწუხრებული". ეს და მისი მსგავსი სისხლის მსმელ ურჯულო მტერზე უარესია. ქვეყან შეჭამეს და ახლა მადა მოემატათ. მალე ცოცხლად ჭამას დაგვიწყებენ, გულზე თუ არ დავადევით. წამწარების დროც მოვა ( მინაწერი გუგული მალრადის „მადაზე“, რომ ხელთუასები არ ჰყოფნით).

ჰაკ ჩონ ჰის „აღორძინებული კორეა: ეკონომიკური მოდელი“, ლი კუან იუს „მესამე სამყაროდან-პირველში“, მაჰამად მაითჰირის „წინ სრული სვლით“ წიგნების გაცნობისას ცნობიერი ხდება, რომ ქვეყნასა და სამშობლოს შორის ტოლობის ნიშანი არ არის, მათი ერთმანეთთან გაიგივება არ შეიძლება. სამშობლოს ეკონომიკის აღორძინებას საფუძვლად უდევს ხალხის სიყვარული, პატრიოტიზმი, ისტორიული ტრადიციები, ეროვნული პასუხისმგებლობა, ახალ ეკონომიკურ მოდელზე გათვლილი სტრატეგიული პროგრამა, ხალხისა და ხელისუფლების ერთიანობა, რწმენა და იმედი. სამხრეთ კორეის რეფორმებს 16 წელიწადი უხსნიდა გზებს ჰაკ ჩონ ჰი და მსხვერპლადაც შეენია თავის სამშობლოს, 31 წელიწადი დღე და ღამეს ასწორებდა ლი კუან იუ სინგაპურისთვის, ხოლო მაჰამად მაჰათჰირი მალაიზიას 22 წელიწადი ექაჩებოდა ეკონომიკის მაღალი მწვერვალებისაკენ. შორს თუ არ წავალთ, აგერ ბელარუსის მაგალითიც გვერდით გვაქვს-ლუკაშენკო მეხუთედ აირჩიეს პრეზიდენტად. იმ ქვეყანას გრძელვადიანი სვლაგეზი აქვს.

ნუთუ ქართველები ისე დაგვიმონა სიხარბემ და გაუმადლობამ, რომ ლამის 30 წელიწადი ვერ გავძეხით სამშობლოს სისხლისმით, ერთმანეთის მტრობით, თუძიდან აყრით და მამაპაპისეული მიწის უცხოლებზე მიყიდვით. უტიფრობა და უსირცხვილობა ხელისუფლების საქმიანობის წესად იქცა, ხოლო ტყუილი და ფარისევლობა-მეთოდად. გახსოვთ, ხელისუფლებაში ახლადმოსული "ტვინები" იმოდღვრებოდნენ-სახელმწიფო მოხელეებს დიდი ხელფასები უნდა დაეუნიშნოთ, მოპარვაზე თვალი არ გაიქცევა და ქვეყნის აღმშენებლობაზე დღე და ღამეს გაასწორებენო. ეს აბსურდი ხალხის სატყუარად იყო მოთქმებული. ჯერ ერთი, ქურდი იმიტომ არის ქურდი, რომ უნდა იპარავდეს, რამდენიც არ უნდა ჰქონდეს მოპარული. მეორე, სახელისუფლო კაცი ფულზე კი არ უნდა იყოს დაგეშილი, ქვეყნის აღმშენებლობაზე იყოს თავგადაკლული, იყოს თავისი საქმის გამოცდილი და წარმატებული პროფესიონალი. მესამე, ფულზე დახარბებული კაცი სახელოსუფლო სამსახურში არ გამოდგება, არც გამომდგარა. მეოთხე, მაღალხელფასიანი უცოდინარი მისი ზემდგომის ყურმოჭრილი მონაა და იგი მისთვის ძალღმე ერთგულია. მეხუთე, ფულზე სულმიყიდული მაღალხელფასიანები ბანკებიდან დიდი რაოდენობის სესხებს ღებულობენ და ქვეყნის ეროვნული სიმდიდრეებს მუქთად ითვისებენ ან სხვებზე ჰყიდიან პირადი სარგებლობის გამრავლების მიზნით. აი, რას ნიშნავს, როცა ხელისუფლებაში გაუნათლებელი, ხარბი და უპასუხისმგებლო ორფეხები მომრავლდებიან.

ყურსაც არა აპარტყუნებენ იმაზე, რომ 2 მილიონი ადამიანი ცხვრის ფარად მოეფინა მსოფლიოს, ბევრი კიდევ ჩემოდნებზე ზის. ჯანსაღი ქალების გარეშე რჩება ქალის უძველესი კულტის ქვეყანა. ბინძური და მონური სამსახურიდან აქეთ დარჩენილი ოჯახის წევრების სარჩენად გამოგზავნილ ფულს უნიჭო სახელისუფლო მოსამსახურეები მთლიან ნაციონალურ პროდუქტს უმატებენ და ხმის ჩახლენამდე ყვირიან-ეკონომიკა ვითარდება, წინ მიდისო. აი, ეკონომიკური ევრიკა: როცა ხალხი სამშობლოდან გარბის, ეკონომიკა აღმავლობისკენ მიდის. რაც უფრო მალე გაიქცევა ყველა შრომისუნარიანი აქედან, და მათ კვალდაკვალ პენსიონერები დაიხოცებიან, საქართველო უქართველებოდ ეკონომიკური აღორძინების ზენიტში აღმოჩნდება!!!

ზემთ დასახელებული სამი ქვეყნის ეკონომიკური სასწაულის საიდუმლოდ პროტექციონიზმი მიიჩნევა, რომელიც გერმანელი მეცნიერის ფრიდრიხ ლისტის ეკონომიკური მიგნებაა, რომელმაც ინგლისისა და სხვა ევროპული წვეყნების სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე დაასაბუთა, რომ ამ სახელმწიფოების წარმატებები პროტექციონიზმის პოლიტიკის შედეგი ყოფილა, რომელსაც ახლა ეკონომიკური თეორიის სახლს არქმევენ.

უცნაური ხალხი არიან ეკონომისტები. რას არ მოიფიქრებენ ხალხის გამოსათავყვანებლად. სახელის მოსაპოვებლად ზოგი ფარისევლობს, ზოგი ეშმაკს მიჰყიდის სულს და სქელტანიან წიგნებში საშუალო და დაბალ აზროვნებას გაუნყალეს ტვინს. ქვეყნის სიმდიდრის, მისი საზღვრების დაცვა მეცნიერებაა?

არ ვკარგავთ იმედს, რომელიც არ არის.

ვაგროვებ ისლის კონებს, ვაშენებ ჯარგვალს, დილით ისევ ცივ შხაპს მივიღებ და ამ დახარბებულ ხალხს ვაჩვენებ, რომ სიცოცხლე უფრო მეტია, ვიდრე გათენება და დაღამება.

ეკონომიკა ხალხის უკეთესი ცხოვრების ხელოვნებაა.

ქვეყნიდან გაქცეული 2 მლნ. კაცი ხელებით ცეცხლიდან გამოღებულ თანხებს უგზავნის სამშობლოს, რომელიც ძირითადად იმპორტული პროდუქციის შექმნაზე იხარჯება და ისევ იქ მიდის, საიდანაც გამოაგზავნეს. ამას ჰქვია ეკონომიკის უსაფრთხოება და სახელმწიფო აზროვნება?

რას ელოდებით სახელისუფლო ცვლილებისაგანო-კითხულობენ წარამარა. საქართველოში უკვე დამკვიდრდა აზროვნების ტიპი-ხელისუფლებაში მოსვლა გამდიდრების მიზნით. გადაადგილება-გადმოადგილების იმედი გაქვთ? ქვეყნის აღმშენებლობას ეროვნული ხელისუფლება უნდა, რომელსაც მხოლოდ ერთი ფიქრი აქვს-ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება.

„სწორედ ჩვენ, კორეელები უნდა ვიყოთ პატრონები საკუთარ სახლში, რომ სწორედ ჩვენ, კორეელები ვმოსახლდებით ამ შესანიშნავ მიწაზე და სწორედ ჩვენ-კორეელები მისი უძველესი ისტორიის მემკვიდრეები, რომელიც 5000-ზე მეტ წელს ითვლის“.  
პაკ ჩონ ჰი. სამხრეთ კორეის პტემბიდენტი 1963-1979 წლებში.

ლი კუან იუს, პაკ ჩონ ჰის, მაჰატარ მაჰატარას, ჰა ჯუნ ჩანგის, ერიკ რაინერტის შრომების გაცნობის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ეკონომიკური აღორძინება სრულიად შესაძლებელია და თანაც მოკლე პეროდში. მაგრამ ამისთვის საჭიროა რეფორმატორული აზროვნების, მორალურ-ზნეობრივი-მალაკვალიფიციური-პატრიოტული ხელისუფლების არჩევა. აგრეთვე: შეგნება იმისა, რომ ე.წ. დემოკრატიულობა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების რეკომენდაციები გვერდზე უნდა დატოვო, ვინაიდან ისინი პროტექციონიზმისა და ეროვნული ეკონომიკის მტრები არიან.

ამდენი ქლესვა, ფარისევლობა, უკანძრომა, ფლიდობა, ცამდე აყვანა უნიჭოს, პირფერობა... ამიტომ იქცევა ქვეყანა. არ შეგიძლია ადამიანში იპოვო ის, რაც მასში მართლა ფასეულია? ორივენი უტვინო ხართ. შენ ნიჭი არ აგქვს, იმას კიდევ იმდენი შეგნება, რომ შენი ავარდნილი ქება, მისი შეურაცხყოფაა.

მესამე სამყაროს სახელმწიფოებიდან პირველში გადასული ქვეყნების „საიდუმლოების“ გაცნობა საშუალება გვაძლევს გამოვარჩიოთ საქართველოს ეკონომიკური აღმავლობის ძირითადი სქემები. ქვეყნის საზღვრების დაცვა, მეცნიერების განვითარების სახელმწიფო უზრუნველყოფა, საგანმათლებელი სისტემის რადიკალური ხარისხობრივი გაუმჯობესება, მკაცრი პროტექციონიზმი, რომლის გარეშე



შეუძლებელია ეროვნული ეკონომიკის აღმავლობა, ინდუსტრიის განვითარება მომპოვებელი და გადამმუშავებელი დარგების ბაზაზე, ეკონომიკის ჩაყენება ადამიანის კეთილდღეობის სამსახურში. ყველაფერ ამის შესასრულებლად საჭიროა მორალურ-ზნეობრივი-მალალპროფესიონალური-პატრიოტული ხელისუფლების არჩევა, რაც შესაძლებელია იმ გზებით, რომელიც დიდმა ნიკო ნიკოლაძემ დაგვიტოვა. იმ გზებზე უნდა გავიდეთ.

ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ არაფერი გაკეთდეს. უნიჭობმა თავისი თავი იპივეს, შემოქმედი ადამიანები სათადარიგო სკამებზე დასვეს ან საერთოდ მოიშორეს. შენდება უაზროთა ქვეყანა.

სისულელე ყველა ეპოქას აქვს, მაგრამ ეპოქა სისულელებით არ განისაზღვრება.

აი, რას წერს ერიკ რაინერტი თავის ბესტსელერში-„როგორ მდიდრდებიან მდიდარი ქვეყნები, რატომ რჩებიან ღარიბი ქვეყნები ღარიბებად“-„ჩვენ ვხედავთ: ღარიბი ქვეყნებისადმი ფულადი დახმარება როგორ იწვევს პასიურობას და კლავს შრომის მოტივაციას. ჰაიტის მკვლევარები წერენ, რომ აშშ ემიგრირებულთაგან ფულადი გზავნილები ნათესავებისთვის, ადგილობრივ მოსახლეობაში შრომის მოტივაციას ასუსტებს“. საქართველო ამისი ნათელი ილუსტრაციაა. უფრო მეტიც-იგი მსოფლიო კოლონიალიზმის პოლიტიკის მარწმუნებია მოქცეული. მსოფლიო ფინანსური იმპერიის დაქირავებული ჯარისკაცები არის საქართველოს ხელისუფლება, რომელსაც მხარს უმაგრებს აგრეთვე ფულზე დაგეშილი და ასევე გარედან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები. თვით ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლება პერიფერიების ბუნებრივი რესურსების მძარცველია. ქვეყნიდან ოჯახის შესანახად წასული მიგრანტების ფულად გზავნილებს ადგილზე მომხმარებლები ბინების შეძენაზე, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე, რესტორნებში დროსტარებაზე ხარჯავენ. ფულის მიმღებთა მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი თუ იყენებს ქვეყნის გარედან გამოგზავნილ თანხას სამეწარმეო და სხვა სახის საქმიანობის გასამართად. ყურადღების გარეშე რჩებათ ის, რომ ასეთი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში საქართველოში სამშენებლო ბუმი. ვისთვის შენდება ამდენი ძვრადღირებული მალლივი კორპუსები? პასუხს იუსტიციის სახლებში იპოვით, ოფიციალური ცნობის აღება არ დაგჭირდებათ. დადევით შესასვლელეში და უცხოთა სახეები ყველაფერს გეტყვიან.

კოლონიური სულისკვეთების მატარებელია ე.წ. სოციალური დახმარებები. ნაცვლად იმისა, რომ სამუშაო ადგილები შეიქმნას, თითქოსდა გაჭირვებულთა დასახმარებლად რაღაც ფონდებს ქმნიან, რაც სინამდვილეში ღარიბი მოსახლეობის მეურვეობის მასობრივ განწყობილებას და სოციალური შეღავათების ინსტიტუტის გამოწვევას ქმნის. ადამიანი მხოლოდ თავისუფლებას უნდა ესწრაფოდეს და უფლება არა აქვს ხელისუფლების კეთილშობილების მოლოდინით იმშვიდებდეს თავს. დამნაშავეა ხელისუფლება, რომელიც მოსახლეობას გაჭირვებაში ამყოფებს და სოციალური უზრუნველყოფის ეფემერული პროგრამებით ეკონომიკური აქტივობის იმპულსებს უხშობს.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Активы дома Рокфеллеров. smart-lab.ru/blog/116870.php.
2. Линдон Рауш. Физическая экономика. с. 31
3. Катасонов В. Ю. От рабства к рабству. От древнего Рима к современному Капитализму. С. 183. Кислород 2014.
4. Катасонов В.Ю. «Акулы капитализма» в России. [www.parufaturrussia.ru/.../377-v-yu-katasonov-205...](http://www.parufaturrussia.ru/.../377-v-yu-katasonov-205...)
5. ვიეტნამში მართვის, აეროპორტების მომსახურების, სახელმწიფო პორტების ექსპლუატაციის სფეროს 7 სექტორში სახელმწიფოს წილად მოდის აქციების 75%-ზე მეტი. 7, 10 და 10,5 % მოკლევადიანი, საშუალო და კრედიტების ნაწილი სახელმწიფო სუფსიდიებით იფარება. Thoi Knh te. 24.06.2014. Vietnam economic news, №24,2014.
6. Психические процессы и болезнь. www.medpsy.ru/meds/meds427.
7. Масоны создали США, проиграли февральскую революцию. Svpressa.ru.
8. მარკოზი. 10:23-25
9. Кто управляет президентом США?dokumentika.org/.../ kto-upravvlyaetv-ssha-i
10. Дарио Салас Соммер. Мораль XXI века. с. 488. М.:1995).
11. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. გვ 1133
12. Тарковский Ю. Китайская мечта Си Цзиньпина. Nvdaiy.ru/info/39166.html.
13. Катасонов В. Модель экономики Сталина. www.youtube.com/watch?v=MUHj\_Jt45U8
14. Советская и Китайская модели социализма: взгляд из Китая. rusrand.ru/.../sovetskaja-i-kitajskaja-modeli...
15. ნამიჭეიშვილი რ. ტრადიციული სოციალისტური ეკონომიკის ქვეყნები. მცირე და საშუალო ბიზნესი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საბჭოთა კავშირში. ქუთაისი, 2013.
16. ნამიჭეიშვილი რ. რას ვუნდებთ სოციალისტურ ეკონომიკას. სტალინური სოციალისტური ეკონომიკა 1930-1953 წწ. ქუთაისი, 2014.
17. О Китае, Марксизме-Ленинизме и частной собственности. [www.eifgart.info/kravets.htm](http://www.eifgart.info/kravets.htm).
18. Катасонов В. Экономика Сталина. С. 116